

იამზე არველაძე-ხეცურიანი

ბრიგოლ რობაქიძე-

შენირულთა გასაგებ ენაზე
ამეცხველებული შემოქმედი



იამზე არველაძე - ხეცურიანი

**ბრიბოლ რობაქიძე –
შეწირულთა გასაბუბ ენაზე
ამეტყველებული შემოქმედი**

გამომცემლობა ღაჭითი
თბილისი 2012

დიდი ქართველი მწერლისა და კლასიკოსის გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება ნაკლებადაა შესწავლილი. გასაგებ მიზეზთა გამო იგი მიუწვდომელი იყო საქართველოსთვის, რომლის სახელიც ნელ-ნელა მითოსით შეინისდა. აღნიშნული ნაშრომი ვფიქრობ წარმატებული მცდელობაა ამ ეპოქალური მწერლის რაობის სიღრმისეული წვდომისა. გრიგოლ რობაქიძე იმ რჩეულთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინაც თავისი თვითობა სამშობლოს მიუძღვნა და ეს ძღვენი სამშობლომ ისევე მიიღო, როგორც უფალმა ბიბლიური აბრამის შენაწირი. ეს კი მხოლოდ ეზოთერულ საიდუმლოს ნაზიარებთა ხვედრია. წინამდებარე წიგნში ეს კარგადაა გააზრებული და წარმოჩენილი. ეს, კი ქალბატონ იამზე არველაძე - ხეცურიანის გამარჯვებაა და მადლობა მას. წიგნი უდაოდ შენაძენია ქართული ინტელექტუალური საზოგადოებისათვის.

ნოდარ კობერიძე

რედაქტორი
ნოდარ კობერიძე

© ი.არველაძე-ხეცურიანი
ISBN 978-9941-9173-7-0

ბგელის პერანბი

აღამიანს და განსაკუთრებით შემოქმედს თვალე-
ბი ზეცისკენ აქვს მიპყრობილი და მარად მნათობ-
თა მიუწვდომლობით გულანთებული რჩება. ასე-
თი თვალებით ზეაპყრობილი დარჩა – მშობლიური
ქართული ზეცისა და მიწის ტრფიალით ატაცნილი,
მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან ევროპაში გა-
დახიზნული, თავისსავე სულში ჩაფერფლილი, სამ-
შობლოსა და ქართველ ხალხზე მარად თავდადე-
ბული, დიდი შემოქმედი და უზადო მამულიშვილი
– გრიგოლ რობაქიძე. გულზე მოწოლილმა კაემან-
მა – სამშობლოს ნოსტალგიამ მწერალს ევროპაში
მრავალი შედეგრი შეაქმნევინა, რამაც საფუძველი
დაუდო მისი შემოქმედების განდიდებას. საუბე-
დუროდ ყველა მის ნაშრომს გამომზეურება ვერ
ელირსა და რაც კი შესაძლებელი გახდა მოეპოვე-
ბინათ ჩვენს დიდებულ წინამორბედ მწერლებსა
თუ მთარგმნელებს მოგვაწოდეს, რომ სისხლხორ-
ცეულად დავწაფებოდით და ჩაეწვდომოდით მის
განცდებსა და არჩევანს, რის განხორციელებასაც
ზვარაკად შესწირა თავისი სიცოცხლის წლები.
მრავალსახოვანია მისი შემოქმედების არეალი, მა-
გრამ განსაკუთრებით გამოირჩევა ერთ ამოსუნთქ-
ვად გადაჯაჭვული პოეზია და პროზა. არანაკლებ
ღირებადია მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების
გამოჩენილი ქართველი მწერლების შესახებ წერი-
ლები, გამოკვლევები და მიძღვნები... საქართველო
– წარმოდგენილი უცნობის თვალით, ნაციონალიზ-
მი – ეროვნება – სიყვარული, ერის წარსული და
მთლიანობა. მისი უბადლო შემოქმედებით-პოლიტი-
კურ-სოციოლოგიური ნააზრევი – მარქსიზმის კრი-
ტიკა. ბოლშევიკების გაბოროტებული უძღურება.

საზოგადოება, მისი ევოლუციის გზები და პირობები. წერილები: თეატრზე, მუსიკაზე, მხატვრობაზე, ხელოვნებაზე. ნააზრევი უცხოელ პოეტებზე. მან დახატა პოლიტიკური პორტრეტები: ულიანოვ ლენინი, იოსებ ჯუღაშვილი, ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთელი, ადოლფ ჰიტლერი, ბენიტო მუსოლინი და სხვათა. თავისებური სტილი თხრობისა და თავისუფალი დემოკრატიულობა ყოველ შედარებასა და კრიტიკაში მის შინაგან „მეს“ გამოხატავდა (გაბედული მართალი სიტყვის თქმა კი, არც თუ ისე შორეულ წარსულში ხშირად რისკიანი და წარმოდგენელი იყო მავანთათვის). არც არის გასაკვირი, მაშინ ჩვენ თითქმის ყველას კაპიტალიზმი ბოროტებად გვეჩვენებოდა სოციალისტური გადასახედიდან, რომელსაც რა თქმა უნდა, თან ახლდა დემოკრატიულობის დეფიციტი. მისი განსაკუთრებული – განყენებული და თავისთავადი ხელწერა თავად მკითხველმა უნდა გაანალიზოს და შეისისხლხორცოს სწორედ ისე, როგორც მას აქვს ნააზრევი. სხვათა შორის, ამ მხრივ მისი სიტყვაკაზმულობა და წყობა თითქოსდა წააგავს ნიკოლორთქიფანიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას ხელწერას. და, აი მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ჩვენ ლიტერატურულ ცხოვრებაში გამოჩნდა გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“. როგორც კი დავიწყე ამ გენიალური ნაწარმოების კითხვა, თითქოსდა თავად გრიგოლი – თავისივე სულით შემოიჭრა ჩემში, მე კი მოვისხი მისი „ტანთგამოცვლილი“ სამოსი, მანამდე „ტანცალიერმა“, როგორც თავად ხშირად ხმარობს ამ სიტყვებს, და ახლა წყაროსავით აღვივსე მისი ნააზრევით, რომელიც ასე ახლოს აღმოჩნდა ჩემს სულთან და გულთან (მე ვფიქრობ, ალბათ, ჩვენ-ჩვენი წინაპრის საძვალეთა სიახლოვის გამო).

„გველის პერანგში“ გრიგოლ რობაქიძის თხრობა შეუვალი და თავისებურია თავისუფალი წარმოსახვითა და მოქმედებებით. მთლიანად გული და ცეცხლია თავისი თავისა და მკითხველისთვისაც. არსებითად თუ განვმარტავთ, სულში ჩამწვდომი

და ამაფორიაქებულია.

გრიგოლ რობაქიძე, როგორც შემოქმედი – თხრობაში არის უიშვიათესი, ნახულ-განცდილის ზვაობითა და ამეტყველებით. სულიერი და უსულო საგნების მხატვრული აღწერით. „გველის პერანგის“ კითხვისას ღრმა წვდომა არის საჭირო, რომ გაარჩიო მოქმედ გმირთა, უბრალო საგნებისა და ადგილსამყოფელთა სახეები, წოდებანი და, რაც მთავარია, ყველაფერი ეს შემეცნებითი პათოსით არის გაჟღენთილი, უპირველესად გამოწვეული ნოსტალგიით, წარსულის ფესვებს მოწვევითი კაცისა. ნაწარმოებში ჩაურთავს ბაღდათურ – ფერსათული, კუთხური სიტყვა-ტერმინები, რომლებსაც მეხსიერებიდან და გენიდან ვერ ამოძირკვავ (როგორც თავადვე აღნიშნავს: „რასსა“-დან ვერ ამოშლი). ეს სიტყვებია: რგვალი, წვირე, ვაშკაცი, ცალიერი, დაღურსული, წეხან, გვეიდა, იბუდრებენ, დეიბარა, უნობს და სხვა მრავალი.

რომანი „გველის პერანგი“ იწყება ქალაქ ჰამადანში ნაპოვნი ქვის ამეტყველებით. ქვაზე ამოკვეთილი სიტყვების შინაარსის ღრმა წვდომის შედეგად, იქ სპარსეთის მიწაზე – ჰამადანის ისტორიულ წარსულს მიაგნო და, გაუხუნარ ფიქრში ეხვევა: თეთრი ჩრდილოეთის რევოლუციის მოახლოვებულ გუგუნით, ან დიდი იმპერიის რღვევის მოლოდინის თანადროულობა იმედს უსახავს... და ფიქრს აგრძელებს: ყველაფერი წარსულის ნაშთია მხოლოდ, ტვინს უდაღავს ჰამადანში ნაპოვნი ქვაზე ამოჭრილი სიტყვები: „ჩემი ძმა არყოფილი ვითარ მიყვარდის უმეტეს მზისა და უმეტეს ხმალისა, რამეთუ იყო იგი სხვაი ჩემი“. სპარსეთი-ჰამადანი-ქველი ეკბატანა სიძველის ნაშთები.. ჰამადანი მზის საკურთხეველს შეუდარებია: მიზგითი შემკობილი.. წითელი ქვის ლომი კირსილისგან ჩამოსხმული, არის ნამდვილი თქმულება: 2000 წლის წინათ სწორედ ამ ქალაქში აღექსანდრე მაკედონელმა თავისი ბუცეფალი შეაგდო ეკბატანის სიმაგრეებში. ერთი დაკვრით აიღო იგი. არის მეორე ასეთი შესადარისიც: საუკუნეების წინათ სოლეიმან ბრწყინვალემ ქაფიანი

ცხენი შეაგელვა კონსტანტინეპოლის აია-სოფის ტაძარში. ძველი ბაზრებისა და ისტორიის სურნელით არის ნიადაგი გაჟღენთილი. მნახველი ხარბად ისუნთქავდა იქაურობის სურნელს. თვალში საცემი იყო ხალხის „რასსა“ და „მასსა“. მოსჩანდა სხვადასხვა ეროვნების ხალხთა თვალების ცქერა უშორესი წარსულიდან. არჩიბალდი ფიქრობს: ჰებრაელები გელაპარაკებიან: მე ვიცი და შენ არ იციო. სომხები შუბლზე შემორტყმული არიან საშინელი სიჯიუტით, უკმეხი ძრაობით, ღჯუ ხის მსგავსნიო. ყველგან მტკვერი და წვირეაო.

რომანში უკვე გამოჩნდა მთავარი მოქმედი გმირი. გამოიკვეთება გზა ბაგდადიდან ჰამადანამდე. არჩიბალდ მეკეში – მხატვარი უბრალო ლანდშაპტისა, რომელიც უბრალო მომცრო ტილოს შექმნელია, მაგრამ უნიჭიერესია თავისი ხელოვანობით. მისი ნაშრომი გაჯერებული იყო უმდიდრესი კომპოზიციებით. 1914 წელს ეს ნახატი მიიღო პარიზის სალონმა. ამის შემდეგ არჩიბალდს მოდის მოსაწვევი ამერიკელი მილიარდელის ფერგის ურვოორისგან, რომელიც ცნობილი და უცნაური კაცია. მას ვილა აქვს ხმელთაშუა ზღვის პირს გამართული. მის ხასიათში ისეთი სპლინი იყო დაბუდრებული თურმე, რომელსაც მხოლოდ ევროპის სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული რჩეული პირების დახმარებით თუ ანელებდა. ეს ხდებოდა მხოლოდ დროგამოშვებით. მოწვეულნი ჰყავდა მხატვრები, მუსიკოსები, არტისტები, მომღერლები და მათ შორის იყო არჩიბალდ მეკეში. ესენი იყვნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, განსხვავებულნი ბუნებითა და ხასიათებით. აღფრთოვანებაში მოჰყავხარ ბატონ გრიგოლს ურვოორის ვილას აღწვრითა და მისი სიმდიდრის გადმოცემით. რაც მთავარია, ურვოორი დიდ კმაყოფილებას განიცდის ასეთი კუთხის შექმნით. მართალია მას „ნიცშე“ არასოდეს წაუკითხავს, მაგრამ ღრმად სჯერა, რომ იგი ქმნის ნამდვილ სარბიელს ზეკაცის მოვლენისათვის.

ფერგიუს ურვოორი თავის დღეობაზე ყურს უგდებს მუსიკას და სიმღერის ტექსტის ყოველი

სიტყვა და წინადადება ღრმად აფიქრებს. ასევე საათობით შესცქერის სურათს, რომელზედაც ღრმააზროვანი ფრაზებია გამოხატულ-გამოძერწილი. მდიდარ შემოქმედებაში ჩართულ-ჩაძირულია, თავად კი როგორც გუდაფშუტა, იძირება როგორც გუდაფშუტა. კარგად გამოძინების შემდეგ ფერგიუს ურვოორი როგორც ჩამქრალი გუდაფშუტა ისევე ამდგარა. მიღოლავს ცარიელ ხეივანში მარტო, წინანდელი აფუებული სპლინით... ირგვლივ მოწყენაა.

მეკეში ფიქრებში წავიდა: ბაბილონიდან ჰამადანი ახლოსაა... მეკეში და ურვოორი ხეივანში ერთმანეთს ხვდებიან. მეკეში ამცნობს ურვოორს, რომ მას ფესვები აღარა აქვს. ურვოორს გაუხარდა, ალბათ ამასაც სპლინი მოერიალ: მართლაც, მეკეშს უკვე გული ესუთება. სამი წელი აუტანელი ყვირილი ვილლადან: „ახალი რასსა“, „ლიტანთა გენია“, „გერმანიის სული“, სისხლი, უღეცა, შიმშილი, ტირილი, წივილ-კივილი, დაჭრილთა სია. სიების კითხვა გახეთებში: ძებნა ნაცნობი გვარის, სახელის, გზნება ცხოველი: „ნეტავ ჩემიანი არ აღმოჩნდეს“... არჩიბალდ მეკეშს არავინა ჰყავს: არც დედა, არც ძმა და არც და.. არც მამა? სად არიან ვინ იცის. მოგონებებით მიდის სადღაც შორს.. ფიქრები არ უწყნარდება: მესოპოტამია – სპარსეთი, ეს ურთულესი გზაა. სწორედ ამ გზის გავლაა მისთვის უშორესი. მესოპოტამია ყველაზე ბავშვია უთუოდ სამყაროში და ამის დასტურად მოჰყავს ტოლსტოის აზრი, რომელიც ასე ასკვნის: ბავშვობის ხანა ყველაზე უგრძელესია – „პირველი წლიდან მეხუთე წლამდე ხანი უფრო გრძელია, ვიდრე მეხუთედან – მეოთხემოცე წლამდე“. უგენიალესი სინამდვილეა ადასტურებს თავადაც, „ვინ იცის: ეგებ უკან (პირველი წლის უკან) საშოსკენ ხანი უფრო მეტია: უთუოდ მეტი“.

არჩიბალდ მეკეში „უძიროა“, იგი თავის გულსაც ვეღარ იჭერს, საგულეში აღარ ეტყვა. აქ არის ის „გუნება“, რომელიც გალხობილია მესოპოტამიაში. დაუსრულებელი ფიქრები საწყისსა და

სიკვდილს შორის, მისი გონების წვდომა შორიდან წამოსული ინთქმება ბავშვობის წლებში. წინ კი გზაა საშინელი წარმოდგენებში თუ სინამდვილეში, გზა მიმზიდავი, როგორც იშვიათად სიკვდილი. სოფელი კეთროვანთა – „სადაც ყველა კეთროვანს აგზავნიან და საიდანაც არ არის ამბის მოხრობელი“. ბოლოს მაინც უცნაურ ბალახზე ფეხის დაბიჯება და გამოცდილი თქმულების ახდენა: იგი ეძებს ფესვებს, მაგრამ ვერ პოულობს. გულზე ზაფრანისფერი ბოხჩა, სადაც შეკრულია მამის მედალიონი... არჩიბაღლი წამოდგება. მისი გული ივსება ტანცარიელი წყაროსავით. უცებ მამის მოლანდება და კივილი: „მამა“. ჰამადანის თავზე კი ალიონია მტრედისფერი. თავშეუკავებელი სვლა... გზა ჰამადანიდან იწყება. იგი აღწერს გზის ყოველი მონაკვეთის თავისებურებას, სილამაზეს, არნახული მხატვრული პეიზაჟებით: რამაზანი – მანიანი – სულტანბუღად, სიმაღლეზე ასულ ჰამადანს ადარებს – გახელებულ მიწაზე დარტყმულ სისხლიან ნალს. მეკეში გაჰყურებს დატყვევებულ უზარმაზარ კლდეებში ჯადო ფერების შერწყმას, თან ფიქრობს: „ასპიდი და ხვითო ერთმანეთს ედავებიან“. მაშინ გააცნობიერებს გონებაში, თუ როგორ იქმნება სპარსული ხალიჩა.

ავტომობილი „ფორდი“ რომელიც ემსახურებათ, სულტანბუღადიდან ქვემოთ ეშვება. ხედავს დაპობილ ნაპრალებიან ქედს, როგორც პრეისტორიულ მამონტის ხერხემალს. სადგურ ავეჯში რუსები დგანან. ამ დროს ჰამადანი თურქებს უჭირავთ. ამ მომაჯადოებელ ბუნებაში მეკეში გადაქცეულია მოლანდებისებურ ფიქრებად, არეულია განცდილ-ნანახის ზმანებებით. ამ საოცარი ბუნების შეგრძნებისას აგონდება ჟან გუჟონის სურათი „დიანას“. სურათზე მოჩანს: ქალი დაღურსული თვალებით, რომელიც უცქერს შეელს, გულში გაივლებს „იქ მკერდის ძუძუებია თასები თვითონ“. ამ ფიქრებიდან არ იყო გამოსული და თვალწინ მძაფრი სურათი იშლება: ქალი შედის სასახლეში პუნქტში, ლოგინზე გაიშხვართება და თავსაბურავს იძრობს.

ყოველად გაურკვეველი იყო ქალის ასეთი საქციელი, უცებ... „გაშხვართული ტანი ავარდება... სტეპკო ქალის ღიმილს ისუნთქავს, ვით ველურ ვარდს“... ქალი გარბის ფიქრებში ჩაძირული: 1914. აპრილი. ლოზანა. მერე ევროპა და ახლა აზია. უნდა იპოვოს იგი, აუცილებლად უნდა დაეწიოს. არჩიბალდისთვის ეს ქალი ნაცნობია, იგიც შორეულმა ფიქრებმა წაიღო.

უეცრად „ალანმა“ ყურები აცქვიტა. წამოხტა, დაიყუფა. რა იყნოსა? დოგი ყველაზე მეძნობიარეა და შინაურთა ახლო დიდი მეგობარი. „ალანმა“ იგრძნო ის რაც მეკემს სულით ხორცამდე შესძრავდა. გაისმა ქართველების სიმღერა. აქ მეკეში მთლიანად გულისფეთქვად გადაიქცა. მისი თანმხლები ტაბა ტაბაი კი აცნობს არჩიბალდს ახალგაზრდას, რომელიც სანდროა ამილახორი. სუფრაზე გაისმა ქართული გვარების ჩამოთვლა: ჭავჭავაძე, ორბელიანი, მორბედაძე, მაყაშვილი... ამ უკანასკნელის გამოცხადებაზე არჩიბალდი მაგიდას ეყრდნობა, რომ თავი შეიკავოს დავარდნისაგან. უეცრივ მის თვალწინ „მამის“ ლანდი გაირბენს. მღერიან კახურ „მრავალჟამიერს“, რომელსაც იგი ადარებს კახეთის ღმრთისეულ შეზავებულ ბუნებას, მის უმშვენიერეს ცასა და მიწას, მდინარესა და მთაველს. თავადვე იცის: „აქ არის: კახის ლხინი, ხმალი – ქართლის სიმტკიცე, ფარი – სვანის ჯავშანი და „ლილე“, ხევსურის შუბლი და შემართება. მღერიან: თითქოს დედოფალი მოჰყავდეთ გაშიშვლებული ერთიმეორეს გადაჭდობილ ხმლებზე“... ამ დროს თავადაც გახელებულია მეკეში, თავის დაკარგვის შიშით. სარკეში იხედება და უცებ სუფრასთან ახლოს კვლავ მამის ლანდი მოეჩვენება. ყოველი ახალი სოფლის მიახლოებისას წარსულზე ფიქრად არის ქცეული. არ ასვენებს იმ აღშფოთებულ ქალზე ფიქრი, რომელსაც ჯარისკაცებთან პუნქტში ლოგინზე გაშხვართულს შეხედა... „ქალის ქცევას ქალიც ვერ გაიგებს... უფსკრულზე ქალს საქანელა არ ჩაუწყდება.. თუ ჩაუწყდება ვინმე აიტაცებს“, არჩიბალდი გამოდის წარსულის ბურანიდან, იმით

რომ თითქოს მის გვერდით ახლა სხვა ქალია.. იგი ამაჟამად მთლიანად შეპყრობილია ქართული სიმღერისა და ცეკვის ეშხით, ასევე მამის ლანდის ზმანებაშია მოქცეული... „ცეკვავენ ლეკურს, ეს სახელი შეუსაბამოა: ლეკს აქ რა უნდა?! ეს ცეკვა ქართულია და გარდა ქართველისა მას ვერ იცეკვებს ვერაფერს: რასსა არ ეყოფა“.. სადამოს იქ მყოფ ქართველებთან თავადვე მოაწყობს სუფრას. ერთ მომენტში კი, მაყაშვილის მიერ „ლეკურის“ შესრულების დროს, კვლავ მამის ლანდი მოეჩვენება და მაგიდას თვალცრემლიანი სახით პირქვე დაემხო. აქ სპარსეთიც კი, გრძნობდა ქართული ცეკვა-სიმღერის მშვენიერებას და სილამაზეს (გრიგოლ რობაქიძის ამ გენიალური რომანის კითხვა ხშირად გაურკვეველობაში გადაგისვრის და თავადვე ეჭვი გიპყრობს – ეს ამბავი წარმოსახვა, მოჩვენება თუ სინამდვილე არის-თქო). არჩიბაღდ მეკემს ტაბა ტაბაი შეახსენებს, რომ ქართველები არა მარტო სილამაზით არიან განთქმულნი, არამედ ლხინისთვისაც არიან შექმნილენიო, მაგრამ ასევე ლაპარაკობენ მათ სიზარმაცეზეო. მაშინ მეკემში მოიშველიებს უაილდის სიტყვებს – „განა სიზარმაცე ცუდია?! ქვეყანა რომ ისუნთქო საჭიროა ოცნება“-ო. ამით, თან თავსაც იმშვიდებს: სპარსეთის პლატომ თუ იცის მოლანდება, იმ ქალზე ფიქრი აღარ ასვენებს. ნეტავ სად გადაიკარგა?.. ნუთუ ის, ის იყო?! არა ნამდვილად ის იყო, მას ათას კაცში გამოიცნობდა. არადა თავად იმ ქალმა სად არ ეძება: პარიზში, ლონდონში, რომში და ახლა სულტანბულადის უღელტეხილზე... იქ პუნქტიდან რეკავს. ავტომობილი მიქრის, არ ჩერდება, სადგურიდან – სადგურამდე... კვლავ რეკავს: „ხაზზეა ოღვა ბალაშოვა. ყაზვინში დღეს ინგლისელი მეკემში შემოვა... უნდა ნახოს და დაიფერფლოს მისი მწველი ცეცხლით“. თავის მხრივ კი მეკემში ტაბა ტაბაისთან ერთად მიაქროლებენ უსაზღვრო სილამაზის ხეობაში „ფორდს“ და ათასგვარ ფილოსოფიურ თემებზე საუბრით გართულ-გაბრუნებულნი: ყოფის, არსობის და ამქვეყნიური არსის ჯერ

კიდევ ამოუცნობი საკითხების წვდომით, აგრეთვე მამისა და შვილის ურთიერთკავშირის მსჯელობა-გარკვევით არიან დატყვევებულნი. ცდილობენ: ირანის პლატოს დამის ამოცნობას, მთვარისა და მზის ურთიერთდამოკიდებულების თავისეულ ახსნა-განმარტებებს: თუ რატომ სწყდება ვარსკვლავი – ვარსკვლავს, რატომ არის მთვარე მძორის პლანეტარული ნიშანი... მაგრამ სურნელი აქვს, რომელსაც პოეტები სხვაგვარი გზნებით ისრუტავენ. მძაფრ სიუჟეტადაა გადმოცემული მამისა და შვილის ურთიერთდამოკიდებულება, აგრეთვე მათი არსობრივი შედარებები: ამ თქმაში მეტონაკლებად, შინაგანი თვითწუხილის დიდ გამოძახილს ვხედავთ... – „მე ვიღებ მას როგორც „მამას“.. შვილიც ხომ „მამაა“ ვისმეს მიმართ! დაუსრულებელ დგმაში. მე ვიღებ არა ამ მამას და არა იმ მამას – (იგი „შვილიცაა“ იმთავითვე) – არამედ საერთოდ „მამას“... რუახ ელოღჳიმ: სუნთქვა ყოველის, ქალი ჰამადანის გზით შედის ყაზვინის ბულვარში... ქალს ცრემლები მოერევა. „მის სამშობლოში ძველად სკვითები მტრის თავისქალისგან თასს აკეთებდნენ და ამ უცნაური ხაპით სმიდენ უცხო ღვინოს. მისი სამშობლო ესლაც სტეპებია თვალუწვდენი.“ ქალი დადის ბულვარში ამღვრეულ-მთვარეულივით, უცებ სიმღერის ხმა მოესმა და უკვე გული ამოვარდნაზე აქვს.. ცეცხლოვანი ნადველით ვეღარ ისვენებს... ამ დროს კი არჩიბაღდი და ტაბა-ტაბაი ერთიმეორეს გზადაგზა ეხმიანებიან, მაგრამ გაბრუებულნი არიან ყაზვინის მიდამოებისა და მთვარის ურთიერთსიამტკიბილობაში და ერთობლივი არნახული სილამაზის გამოშუქების ტყვეობაში. ამ დროს გაისმა ქალის უსასრულო კივილი, ავტომობილის ხმაური და „ალანის“ რაყიფის ხმით ყეფა ერთმანეთში ირევა. რომელსაც თავს დაჰყურებს ყაზვინის მთვარე და მოფარდაგებული არემარე. რომანში „გველის პერანგი“ თხრობა გრძელდება მომაჯადოვებელი ყაზვინის ბაზრის აღწერით. ბატონ გრიგოლს

ამ ადგილებში ადამიანთა განუწყვეტელი ნაკადი „ჭიანჭველათა ბუდეს“ შეუდარებია. ბაზარში სადაც შეხვიდოდი თურმე, იქედან გამოსვლა აღარ მოგიხდებოდა. აქაურობა გადატენილი ყოფილა ათასგვარი სამკაულ-ხელჭურჭლეულით, ძველი ანტიკვარული ნამუშევრებით თუ თვალმარგალიტითა და ოქრო-ვერცხლით. არჩიბაღდი მოაჯადოვა ხმაღმა, რომელიც, როგორც აუხსნეს ხოროსინის უნდა ყოფილიყო. ყიდულობს. მის წინ ვიღაც თავის გასაყიდ ნივთებს ეგვიპტური წარმომავლობით ახასიათებს. პატარა კაცი წიგნს კითხულობს. დაყვითლებული წიგნის ფურცლებს ობის სურნელი დაკრავს: „შირაზის ვარდის. ირანის ბუღბულის. ვისისა და რამინის. ყივილა სიმღერის. ნუშეული თვალების. გრძელი წამწამების“. შირაზი მთლიანად ვარდნარს მიაგავს, ასკენის თავადაც.

არჩიბაღდი შედის ფარდულში, ფარდულიდან – ოთახში, სადაც ყოველი კედელი, იატაკი და ტახტები ხალიჩებითაა მოფენილ-მოფარდაგებული. ერთერთ ხალიჩაზე ყურადღებას შეაჩერებს. აქვეა ტაბა-ტაბაი, რომელიც მოჯადოებულია სპარსული ნამუშევრების ფერით, მინიატურებით, სიხასხასითა და სურათებით. ორივენი აღტაცებულნი არიან. უცებ ალაყაფის კართან შემოანათებს ოღვა. რომელსაც „აღლან“ ენოსავს და ორივე ტორით ცდილობს მის ყელზე შემოხვევას. ვაჟი ოღვას ქაშანის ხალიჩას წინ დაუგდებს. „ქალის ტანი – თითქოს მოცველილი ხალიჩაზე დავარდება“. ვაჟი: გახსოვს მაღლარმეს ჰეროდოადის სიტყვები, მახსოვს.. მგონი ასეა: „კოცნა მომკლავდა მე – სილამაზე რომ არ ყოფილიყო სიკვდილი“.... იწყება ვაჟისა და ქალის ხვევნა-აღერსი, სხეულთა ალაპარაკება – მერე დადუმება. იგი ქალის სხეულს სადაფს ადარებს, რომელშიც ოკეანის შიშინის მსგავსი იდუმალებაა. ქალის თვალი ათასთა თვალით იცქირება. ელამით და ამღვრეულით.

არჩიბაღდ მეკეშმა სხვანაირი ლოდინი იცის. შეყვარებულის ლოდინი... უცებ ბარათით ხელში

ჯარისკაცი ეღობება, რომელიც წერილს გადასცემს და ამცნობს, რომ დღეს მასთან ქალი პაემანზე ვერ მივა. გაუელვებს თავში: გუშინ ხომ მასთან იყო.. მაგრამ შეყვარებულმა ხომ „გუშინ“ არ იცის.. მეკეში ბაღში სეირნობს.. კვლავ ქართული სიმღერა... იგი გულისწყურია ამწუთში მთლიანად. ბაღში მაგიდებთან ზიან სხვადასხვა ქვეყნისა და ეროვნების ადამიანები. არიან რუსები, ლიტველები, პოლონელები, ბერძნები, ოსები, ქართველები, სომხები, მათზე მეტი რუსები... მღერიან, ქეიფობენ, სადღეგრძელოებს ერთმანეთში გადადიან, პაექრობენ და ამდროს გამოიკვეთება ქართველი – სარგის პეტრიძისა და სომეხი ჭიშმარიტოვის შეხუმრება-პაექრობის ამბავი... ისინი ხელდახელ გადადიან ერთმანეთში.. სომხებს ესმარებათ ერთი ბანგვლიანი ახმახი, რომელიც გამოიწვევს ვამეხს. მოხდება სუფრის არეგ-დარევა, დებოში. აქ გამოკვეთილია ქართველისა და სომეხის ძველ-თბილისური გაუხუნარი შეხუმრებისდამავარი ეპიზოდის განმეორება. რომანში მთელი დაძაბულობითაა აღწერილი ვამეხისა და ბანგვლიანი აყლაყუდას ურთიეთმეტაკება.. ამ შეტაკებაში არჩიბაღდ მეკეში ერთვება, რომელსაც აქ ჯერ კიდევ უცხოელის სახელით იცნობენ. ბოლოს მათ ესმარებათ ბოსკერი, რომლის ბოლო დარტყმით ახმახი მარცხდება. ყველა ცოფებ-მორეულნი რევოლვერებს აძრობს, მაგრამ უცებ დარბაზში საშინელი ყუფით დოგი შემოვარდება. „აღლან!“ შეძახილი პატრონის და იგი წყნარდება. არჩიბაღდი და ვამეხი მორკინალთა თვალებით ზომავენ ერთმანეთს. ამ ეპიზოდში განსაკუთრებულია ის რომ სპარსულ ბაიათს აქ სპარსეთში სომეხი კაცი ქართულ ენაზე გაჰკვივის (ჩემი აზრით ეს ფაქტი თავისთავად სომხების ქართველურობისადმი ლტოლვა-სურვილის ერთგვარი გამოხატულების ნიშანია). არჩიბაღდ მეკემს სურს მთელი არსითა და შეგრძნებით ტაბა-ტაბაის დახატვა (მისი სახის ტილოზე გადატანა), ეს უკანასკნელი კი, რომელიც მის წინ ზის უძრავად, გახევებული მიმსგავსებულია – გველს მიწაზე გამოლტილს...

„სპარსი თუ, ჰინდუ თუ ეგვიპტელი, თითქოს „რუახჰ ელოღჰიმს“ უმზერს.. ტაბა-ტაბაი ცხენი არაა. იგი სხვაა. კაცი – მოჩვენება. პიროვნება და ლანდი, სახე და ნიღაბი. ყოველს დაცილებული: ეგებ მისთვის – რომ იხილოს ყოვლის წარმომშობი“. მეკემს უნდა დახატოს ეს ინდივიდი, მაგრამ იმდენად რთულია და შეუვალი ეგ საქმე, მხატვარს უჭირს და ეინი უფრო და უფრო ეძალება. საუბრობენ ერთმანეთში სარგის პეტრიძე, ტაბა-ტაბაი და ოლგა. სარგის პეტრიძე მეკემის ნაყიდ ხმაღს ხელში ატრიალებს. მასზე წარწერას ამოიცნობს და გაკვირვებული არჩიბაღდს ეკითხება სად იყიდა ხმალი. ჰამადანშიო გასცა პასუხი მეკემმა. სარგის პეტრიძე კითხულობს ხამადლა – „ირუბაქიძე“. არჩიბაღდი სახატავს უაზროდ უყურებს, გაოგნებულია მოსმენილისაგან. რა უნდოდა ამ ხმაღს ჰამადანშიო კითხულობს ოლგა. ამ შეკითხვაზე სარგისი უკვე ყიფით ივსება, იწყებს თხრობას: თამარ მეფის ლაშქარმა ერთ დროს ყაზვინი აიღო, ეს გვარი იც იმდროინდელიაო, ესლა ეს გვარი ორად არისო გაყოფილი: ჩოლოყაშვილად და მაყაშვილადო. არჩიბაღდი მოსმენილით უკვე ძველ საუკუნეებში იხედება. ცუდადაა. ხმალი ხოროსინისაა განაგრძობს ტაბა-ტაბაი, არა ხმალი ხალიბისაა, ხალიბები ერთ დროს უძველესი ქართული ტომები იყვნენ, მათ იცოდნენ რკინის დიდი ჭედურობა და სიმტკიცეო.. დაახლოებით მეთორმეტე საუკუნეში. კიდევ განაგრძეთ და მომიყევით ვრცლად ამის შესახებ სთხოვს არჩიბაღდი. „რა პატარაა და რა უძველ ამ სიტყვებთან ხერხემალ მაგარი არჩიბაღდ მეკეში... სარგის პეტრიძე პათოსია ცალიერი“... სარგისი განაგრძობს მოყოლას: არსად არ არის ასეთი მწველი და ლამაზი რამ... აზიიდან მოდის ქალწული, მოაქვს მცნება ქრისტიანობისა, მოდის ივერიაში თითქოს ალღოთი. მიწა და წყალი შეანელებს მის მხურვალებას. ქალწული ვაზს შეიყვარებს, მისგან გამოჭრის ჯვარს, რომელიც ჩვენში საღვინებლად შემოიტანა. ჯვარს თავისი თმებით შეკრავსო – რომელიც უფრო ნაყოფიერს გახდის მას, ეს ჯვარი

ახლაც სიონში ასვენიაო. ცოტა ხნის შემდეგ სარგისს ეკითხებიან, თუ რამ გადარია იქ გუშინწინ სუფრაზე. რატომ ეწყინა ასე მაგრად მისი სახელისა და გვარის შემასხარავებული ხსენება. ისტორია გვარია და სახელი. უნდა გავმართლდე ისტორიაში.. ხსნა ამის გარეშე არ არისო იყო პეტრიძის შესანიშნავი პასუხი. ამ დროს მათთან შემოდის 27 წლის ვამეხი, რომლის ვაჟკაცურმა საქციელმა მეკეშის გული სწორედ სარგისისა და ჭიშმარიტოვის შებრძოლების დროს მოიგო. ვამეხი ხელში იღებს ხალიბის რკინას, რამოდენიმეჯერ ვაჟკაცურად მოდრეკს და ზარს გამოაშვებინებს. არჩიბაღლი იშვიათი გულისხმიერებით ჩუქნის ხმაღს ვამეხს. ვამეხი სიხარულით 7 წლის ბავშვად იქცევა. რომელიც თვალს მოჰკრავს სურათს მაგიდაზე... მივარდება. აიღებს და აკვირდება. არჩიბაღლს ეკითხება: ვინ არისო ეს? ქართველი თავადი.. მამამ დამიტოვაო და ვამეხი არჩიბაღლს თვალს თვალში გაუყრის, როგორც მორკინალი. არჩიბაღლი ასეთ მზერაში „წყაროს თვალს“ იჭერს. არჩიბაღლ მეკეში წევს. უგუნებოდაა. მის შეუვალ ფიქრებს, ვერ ანელებს ოღვას აღერსი, ვერც ტაბა-ტაბაი და ვამეხი. მისი გზნება სხვა რამით ინთება.. „ვაჟის ფიქრები ერთ ლითონად ისხმებიან. ეს ლითონი არის „მამა“. დგება. ხსნის ჩემოდანს და ამოიღებს მამისეულ კოლოფს, რომელსაც ზედ აწერია ინგლისურად: გახსენი კოლოფი მაშინ: როცა – ერთი ფიქრით იქნე ლითონივით ავსილი“. რამდენჯერ მისულა ამ კოლოფთან?! ევროპიდან აზიამდე გულით ატარა მისი გახსნის სურვილი. და აი, ახლა ყაზვინში.. უცებ სურათზე მამის თაფლისფერ თვალებს შეხედა და ხსნის კოლოფს. სადაც პირველმა ამოიკითხა „ირუბაქიძე“.. კითხულობს სულმოუთქმელად, აგონდება ხალიბის რკინა. შემოდის სარგის პეტრიძე, რომელსაც საიდუმლოდ გაანდობს ყვითელი ხელნაწერის ამბავს და წასაკითხად გადასცემს. სარგისის „მაჭიკი სახე წინასწარმეტყველების ცეცხლით ივსება“ შეხედა, თუ არა ძველი ქართულით ნაწერს, მის გულში „გაჩენილ ნერვის პათოსი კვლავ

აღვივდება“... „575 წ. ქრისტეს დაბადებიდან. თვე ივლისი. გარდაიცვალა თავადი ირუბაქ ირუბაქიძე.. „ირუბაქ“ უნდა ნიშნავდეს ხის კორძს: საკუთრივ ძელქვისას“... შეზავებული მხატვრული გაფორმებით არის დახასიათებული თავადის გარეგნობა, სიღიადე, განსწავლულობა, გულჩვილობა და ამასთანავე სიჯიუტეც, რომლის თვალზე ცრემლს მხოლოდ დიდი სიხარულის დროს თუ შეხედავდნენ. ყოფილა დიდი მგოსანი და ჰებრაელთა დიდი დამფასებელი. მისი აზრით ღმერთებს მხოლოდ ჰებრაულით თუ დაეღაპარაკებო, ყოფილა კეთილი და სძაგდა ტყუილით, ჰყვარებია ვასაკა, რომელიც ნაწვიმარზე ხეზე ადის და ღმერთს აღიდებს. (ნიშანდობლივია, რომ ბევრი ასეთი ანდაზა შენოგვინახა ჩვენმა დიდმა წინაპარმა, ზეპირსიტყვიერებითა და სულიერი გამძლეობით). ჰყვარებია ხილვა გველის, როცა საკუთარ პერენგს იცვლის... და ტოვებს ცხელ რიყეზე. იგი გარდაიცვალა შუადღისას, მუხის ძირს მიყრდნობილი. არჩიბაღდს სუნთქვა უძლიერდება. ხოლო სარგისი ისევ აგრძელებს კითხვას.. „წმ. გრიგოლ ხანძთელის დროს ცხოვრობდა ვინმე ირუბაქიძე სახელად რაღამე. კაცი ახოვანი. ფიცხი. გადამლახველი...“. მას ცოლი ჰყოლია მეტად ღამაზი.. ერთხელ გასეირნებისას ორთავეს მტერი დაედევნებათ, ამ დროს თურმე ცოლი ორსულად იყო.. ცოლმა ურჩია ქმარს, ეტყობა (ქალის გატაცება უნდოდათ). მესროლე მომკალი და შენ მაინც გადარჩებიო. ფიქრის დრო არ ყოფილა, ქმარმა ხმალი ჩაარტყა და ხევში გადაიხეხა. ეს ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩენილა. გადაჩეხილი ქალი მეთევზეებს გადაურჩენიათ. გავიდა ხანი და ზღვასთან ახლოს ვაჟი კვლავ შეჰყრია თავის მეუღლეს. რაღამე ლხინს გადაიხდის ცოლის გადარჩენის გამო.. მაგრამ მიუახლოვდებოდა თუ არა, თურმე რაღამე თავის ცოლს საშინელ კვილს იწყებდაო თავის ჩადენილი საქციელის გამო, იგი ზღვას შერთვია თავის დასადუჰავად. ეს შეამჩნია თუ არა ცოლმა ისიც თან გადაჰყოლია. შეჩერდით ცოტა. არჩიბაღდი ღელვას ვერ იკაავებს... სარგისი ცოტა ხნის შემდეგ

განაგრძობს: უამობის ხანს ეწვია ივერიას წმ. მამა იოვანნე. ბერი წმინდა ათონიდან. ნახა სამშობლოში: „შური, უნდობლობა, გაუტანლობა. ეტკინა გული. ამბობენ: წყევაც წაცდა“... წმინდა იოვანნე ასეთი ამბებით გულდაწყვეტილი ისევ ათონს დაბრუნებულა თურმე, მაგრამ გზად უთხრეს ესპანიაში ბევრი ქართველებიაო, ისიც გამგზავრებულა ესპანეთისაკენ, რომელსაც უკან ადევნებია ვინმე „ირუბაქიძე“. როგორც ჩანს წმ. იოვანნე ესპანიაშიც აღარ წასულა უკან დაბრუნებულა ათონს. თავადმა ირუბაქიძემ კი თურმე ესპანიაც მოინახულა, მაგრამ იქედან ისიც ათონს წასულა და სამშობლოში აღარ დაბრუნებულა...

არჩილ მეკეში გაგუდულია. სარგისი კი აგრძელებს დატეხილი ხმით კითხვას: „ვინმე თავად ირუბაქიძეს მეწამული ფაშატი ჰყავდა – უდაბნოდან გამოგზავნილი საჩუქრად. თავადი ფიცხი იყო და ამაყი. თუმცა გულით ჩვილი და თვინიერი“. მომხდარა ისე, რომ თავად თამარს – ქართველთ დედოფალს მისთვის ფაშატი უთხოვია. ფაშატის თხოვნაზე თავადს ფერი ეცვალაო თურმე. ვერავინ ვერ მიუხვდა ეს წყენა იყო თუ გახარება. მეორე დღესვე ფაშატი დაუბრუნეს უკან. მაშინაც ფერი ეცვალა თურმე, ოღონდ ფაშატი მომყვანს ისევ უკან გაატანა. თამარს გაუკვირდა და შეუთვალაო: როგორ ჩავთვალო, როგორც საჩუქარი თუ, როგორც უკადრობაო. როგორც დედოფლის გულმა გიკარნახოსო შეუთვლია პასუხიც.

არჩილად მეკეში ლაღობს ამ სიტყვებით, ხოლო სარგისი სხვა რვეულის კითხვას აგრძელებს: „1250 წელი. ღვინობისთვე. საკვირველი. საქართველო აიღეს მონღოლებმა. ყველა დაემორჩილა მათ. არ დაემორჩილა მხოლოდ დიდი კარდუ. ნაშიერი დიდის თავადის ირუბაქ ირუბაქიძისა“... კარდუს სამთავროში ინახებოდა ჯვარი ვაზისა. სამთავრო ვერ დაიმორჩილა მონღოლებმა, მათ მეთაურს მოსწონებოდა დალლა – წმინდა ნინოსადმი შეწირული ქალწული. მონღოლები უფრო გამსეცდნენ. გიმმირ: კარდუს ვაჟი დაიკარგა. მოღალ-

ატემ მაინც გასცა ტასის-კარი და კარდუს სამთავრო გადაიხიზნება. კარდუს სასოწარკვეთილებაზე თვალს მოკრავენ პატარა ბავშვს ვაზის ჯვრით ხელში. ეს არის ზმანება დაკარგული გიმმირის, მინაწერში ნათქვამია: კარდუს მკერდის შუაგულზე ხალი ჰქონდა: ნიშანი მზის. ბავშვი დალლასი იყო – კარდუსგან. გიმმირ არ დაღუპულა. ლაშარს ეძახიან“. არჩიბალდ მეკეში დუმილითა და სიცარიელით გაგუდულია, მაგრამ მაინც მიუთითებს სარგისს, რომ კითხვა გააგრძელოს. ისიც განაგრძობს კითხვას: „მეთოთხმეტე საუკუნეში ცხოვრობდა ვინმე თავადი ირუბაქიძე. კაცი ფიცხი და კეთილი. ჰგავდა სახით და ხასიათით ძველ ირუბაქიძეს. სწერდა ლექსებს. ერთი ლექსი გადაურჩა დაღუპვას „ირუბაქიძის ხასა“... კაცი დახასიათებულია იმგვარად, როგორებიც იყვნენ მისი წინამორბედი ირუბაქიძენი – მასაც ჰქონია მკერდზე ხალი. ამბობდა თურმე, რომ მისი გვარი მზის თესლის მაგვარიყო, მზესავით ნათელი, გახელებული და მართალიყო. სიკვდილის მოახლოვებისას აივანზე გასულა, აივანი გაშლილ ვრცელ მინდორს დაჰყურებდა თურმე, სადაც თაველააუყრელი სიმინდის ლუში ტბა ირხეოდაო, მზე დახრილი მეწამულ მურებს ტბის მორევზე აშუქებდაო. მას სიკვდილის მოახლოვება უგრძობია. უეცრად ხალიბის რკინისგან გაჭედილი ხმალი კედლიდან ჩამოვარდნილა და ორად გადატეხილა. მან იგრძნო იმ წუთს თურმე გვარის ხერხემლის გადატეხვა. სწრაფად დაუკივლია სიტყვა: „მამალი ცეცხლის“. ამ დროს წითელი ფაშატი ბაგიდან გარბის, მას დაედევნება თავადის ხასა ჩერქეზი ქალი, რომელიც ქამანდით იჭერს ცხენს და მიაგებლავებს. ყანა დაუფენს მას სილუშეს და მზე აყრის მეწამულს, ხოლო გაშლილი ქალის თმა მოწყვეტილ ვარსკვლავებისებურად უკან დაედევნებიან. თავადი კი ფიქრობდაო, რომ მოვიდოდა დრო და საუკუნეებში მისით ამდერდებოდა ვინმე. სარგისი აგრძელებს კითხვას: „ირუბაქიძეს ყავდა ორი ვაჟი: მაყა და ჩოლოყა“. შემდეგ არჩიბალდს მიმართავს, აკი ადრეც გიამბე სწორედ ამის შეს-

ახეხო. სარგისი შემდეგ ლექსს ეძებს წასაკითხად. იპოვა და კითხულობს:

„ტანს გეტმასნება სველი ალერდი.
ჭვირვალნი ტანი გიმხელს თეძოებს
და აზიდული მაღალი მკერდით
მიეფინები მწვანე ეზოებს“...

მართლაც, თუ იმერეთში გააკოპწიალებული, ყელშედერებული ლამაზმანივით ყლორტებაკრული ვაზის მწკრივები – შიგადაშიგ თმააქოჩრილი სიმინდით შევსებული არ გინახავთ ან ვაზის ლერდით ფეხები არ დაგსველებიათ, ისე მძაფრად ღვინისა და მიწის სურნელს ძვირად შეიგრძნობს ადამიანი. სწორედ ეს მშვენიერება აქვს რობაქიძეს ამ ლექსით გადმოცემული. ეს მარტო ლექსი კი არა, უფრო სხვა უდიადესი სულის აღტკინება-ტრიალით შექმნილი შედეგია, რაშიც ჩაქსოვილია მშობლიური ვაზის, სიმინდის ყანების და მამულის მონატრება. იგი – გამოძერწილ-გამოკვართულია ქართული ნიჭიერებით – ჩაუქრობელი გზების და გულის გაუნებელი ცეცხლის დასაურვებლად. ლერდს კი ჩვენში – კერძოდ, იმერეთში დღესაც ვაზის ყლორტებზე ამოყრილ პატარა კვირტებს ეძახიან, რაც ზაფხულში – თავის დროზე უნდა შემოაშორო, რათა სამომავლო ყლორტი გაძლიერდეს. ლექსი მთავრდება ამგვარად: – „და ერთხელ კიდევ გასუდრულ მტევანს გაგშოლტავ ღოშნით:“..

სარგისი იღებს სხვა რვეულს, არჩიბალდი უყურებს „მამის“ ხელს და შიშის ქვეშ ექცევა... თხრობა იწყება ასე: „მე თამაზ მაყაშვილი გადმოხვეწილი საქართველოდან ვწერ ბოლოსიტყვას. მეც ხომ ირუბაქიძე ვარ“...

ამ თხრობიდან ჩანს: ისინი ბოლო დროს კახეთში დასახლებულან. მაგრამ საშინელი სენის გამო მამამისი იმერეთში გადასახლებულა. საირმესთან ახლოს. იქაც გაჰყოლიათ უბედური ავადმყოფობა, სადაც მალე მამა და დედმამიშვილები, მეუღლე და ხუთი შვილი იქვე გარდაცვლია. შერჩენია მხოლოდ

ერთი ვაჟი და, რომ საერთოდ არ გადაშენებულყო გაუყიდნია მხოლოდ მამული და წასულა ევროპაში საცხოვრებლად. შვილისთვის სახელი არჩილი – არჩიბალდით შეუცვლია და ევროპელი მეგობრისთვის ჩაუბარებია. თავად კი ბასკეთის მხარეში წასულა... „თუ მოვრჩი – შვილს ვნახავ, მკლავს სევდა საქართველოსი. გული იხსენებს ღამაზ ნ...ს“... სარგისი იღებს ბოხჩას... ეს რაღა არის ფიქრობს და შიგ: მიწის ნატეხი. საქართველოდან გადახვეწილები, ხომ მარად ატარებდნენ მიწის პატარა ნატეხს. არჩიბალდის გული ვეღარ იხვენებს.

რომანის ერთ-ერთი თავის მინაწერიდან ვკითხულობთ: „არის ცეცხლი მამალი და არის... ქაღალდიური თქმა“. არჩიბალდ მეკეში პორტრეტისათვის ვეღარ მუშაობს. იგი ათვალიერებს მხოლოდ აქაურობას, ასე რომ ვთქვათ მაჯას უსინჯავდა ქაღაქს. სასეირნოდაა გასული. რა დაანელებს მისი გულის ცეცხლს, რომელიც მწველ ნაცარ-ნაღვერდალშია აქვს ჩამალული. მისი გული იმ წამს დადაღული იყო მამის სიტყვებით და მისი ნაწერთა მოსმენით. ირუბაქიძეთა გვარის სასწაულებრივი თავგადასავლებით. „ხასიათში: სიფიცხე და ჩვილობა. წვა და დაუდევრობა. და ყველგან „მამა“. რომლის სახელი ცეცხლის ნალებით სდაღავს ტვინს“. გაუვლის „ქალაქთა კავშირის“ საავადმყოფოს, მერე გაღავანს. შიგ ხეივანია ალვის ხეების. ჩაუვლის ჭიშკარს და იქედან გამოდის ვამეხ. „აღლან“ წინ ეგებება როგორც კარგ მეგობარს. არჩიბალდი და ვამეხი ერთმანეთს ღიმილით ეგებებიან. მიდიან ქაღაქის გარეთ. ორივეს უჩვეულო დუმილი მოიცავს. არჩიბალდს წაკითხულიდან რაღაც ახსენდება და უეცრად ვამეხს კითხვას უსვამს: „საირმე“ სად მდებარეობს საქართველოში?!“ – ფერსათის მთების კალთებზე... (ხომ არაფერი გახსენებია?!). გაიმართება საუბარი მათ შორის, თან ორთავეს დაძაბული და ორჭოფილი ფიქრები მოიცავთ... რა ღამაზი სახელია „ნინო“ – განაგრძობს არჩიბალდი. ვამეხი ეჭვიანობს: „რამ გაგახსენათ?... ვაზის ჯვრის ამბავმა, მიუგო მან. ვამეხი კი აგრძელებს: დედქემს „ნინო“

ჰქვია... მაინც ორივენი იჭვნეულად შეჰყურებენ ერთ-მანეთს. ვამეხი გზად ნახულ ხილნარში არჩიბალდის ნაჩუქარი ხმლით შედის და ისეთი მოქნევით შეუტევს მაჯის სიმსხო ტოტებს, არჩიბალდი ტკება ცქერით... „ტანი აწურული. მკლავი გახელებული. მაჯა ჭდეული. თვალები ირუბაქიძის ცეცხლს ხომ არ ჰყრიან?!“ კიდევ დუმილი. არჩიბალდის საუბარი ვამეხთან საინტერესო თემით გრძელდება: ძველ დროში პონტოს ნაპირზე ამორძალები ცხოვრობდნენო, რომლებმაც იქ ახლადმოსულნი მეზღვაურნი ტყვეებად აიყვანესო, რომ შემდგომ სკვითებისთვის მიეყიდნათო, ერთერთ ამორძალს ტყვე შეეყვარებია, მას თავისი დისთვის – ამორძალთა დედოფლისთვის უთხოვია, რომ არ გაეყიდნათ მეზღვაურები. ისიც დათანხმებია უცხოელების დატოვებაზე და ასე დაიმკვიდრეს ადგილ-საცხოვრებელი ამ მიდამოებშიო. მეზღვარებს კარგი ხომალდის კეთება სცოდნიათო. შემდეგ მოსაუბრენი იგონებენ ლეგენდარულ თქმულებას, რომ მეზღვაურებმა გზად ნახული ტაძრის გარშემო ხეების ჭრა დაიწყეს, ამ დროს ახილესი – ტაძრის მფლობელი გარეთ გამოდისო, რომლის დანახვისას ცხენები თითქოს მხეცებად იქცნენო და ტაძარში მყოფი ქალები ფეხებით გასრისესო. შემდეგ გახელებულნი ზღვაში შევარდნენ თურმე. ავარდება იმ ადგილიდან ქარიშხალი, ხომალდები ერთურთს დაამსხვრევენ... „არჩიბალდი: საშინელი გახელებაა: არა?!... საირმეში ეხლაც ბევრია სახომალდო ხეები. – მაგრამ შავი ზღვის პირას ამორძალები აღარ არიან. ჩვენ ხომ ვართ?!... თითქო წასცდა ვაჟს – შერცხვა“... ამ საუბრის დროს წინ შემოეგებებათ ქართველი ჯარისკაცი, და ატყობინებთ სარგის პეტრიძის ავადმყოფობის ამბავს, რომელიც თურმე სულ გაიძახოდა: მე ვარო „სარგის ჯაყელი ციხისჯვარელი“ და არჩიბალდის ფიქრებს ისევ ის ცხელი ალი მოაწვება... „ცეცხლი მამალი“ ძველ ქალდეველთა – „აქ არის ალბათ შუაგული. წვა შორეული. დაცილება: ყოველ საგანს – ყოველ არსს – ყოველ მოვლენას. საკუთარ „მესაც“. ყინვა და ჩაძირვა სიღრმით და საგნით:

შორი-შორს – ზესკნელში თუ ქვესკნელში. მზის დიდი გაჩერება ბიბლიისა. ფოთლის ურხეველობა. გარინდება და დაქვავება: დაღსობა და გადნობა. „პიროვანის“ დაკარგვა. გაქრობა ყოველ „მაის“ და ხილვა „ერთის“ – რომელიც ყველაშია როგორც „მამა“ წარმომშობი: სულისჩამდგმელი და ამმოძრავებელი“...

საოცარია, არჩიბალდისმიერი შორეული ჭვრეტა, იგი გამართლებას ხედავს ეგვიპტურ პროფილში და სტილში, აი სად არის „მამალი ცეცხლის“ ურყევი სამყოფელი; „გაქვავება ყოვლის: რადგან მზერა მარადში გადასული-შტერდება“... „ჰელლენურ სარკოფაგთან სიკვდილი თითქო თამაშია და სიცოცხლე“... არჩიბალდი მოგონებებისა და სიყვარულის ცეცხლში ერთავად ეხვევა და აგონდება დიდი პითაგორის გაუხუნარი ციტატა: „მაღალო! დიდო! მიხსენ სიყვარულისაგან: რომელიც წვავს სულს და ნთქავს სხეულს“. რა პარადოქსია მაგრამ პითაგორს ქალწული თეანო შეუყვარდება და მას 60 წლის ასაკში ირთავს. არჩიბალდი ფიქრობს, ესლა ის მხოლოდ პითაგორის ნახევარი ხნისაა, დაინახავს ოლგას, წარმოიდგენს როგორც თეანოს, ეჩვენება, რომ იგი ახლა ძალიან დაძაბულია. „აქ არის ცეცხლი“... და მაინც „მამალი ცეცხლის“ – როგორც ეგვიპტის პორტრეტის საიდუმლო და ასკვნის, მის გარეშეც კიდევ სხვა მწველი ცეცხლიც არსებობს.

მიწა... გაიძახის მომაკვდავი სარგის პეტრიქე – იგივე „სარგის ჯაყელი ციხისჯვარელი“. სასწრაფოდ გარბის არჩიბალდი, ხსნის ჩემოდანს და მასში ბოხჩას ნახულობს. ხსნის და მიწის ნატეხს მიაბენინებს სარგისთან. სარგისი კი ისეთ ფორმაშია, მისი გადარჩენა შეუძლებელია. არჩიბალდის დანახვაზე წამოიძახებს: ვამეხი სად არის, არჩიბალდი! არა არჩილ... არჩიბალდს ფერი ეცვალა, ნუ გეშინია საიდუმლოს არ გაგტეხ. ეს ამბავი კი არჩიბალდს შეაშფოთებს, მას გაგონილი ჰქონდა, რომ მომაკვდავი ბოლო წუთებში ანდერძით ყველაფერს ამბობს... მიწის ნატეხს მიაწოდებს: „ხმელი ტანი

ავარდება: ჰოი მიწავ! საქართველოს მიწავ! მიწავ ირუბაქიძის გულზე დადაგულო! ირუბაქიძე კარდუ: სარგის ჯაყელის ციხისჯვარელის მეგობარი იყო“. როგორც ახერხებს ხელებით მიწის ნატეხს გულზე იღებს, თვალები კი სადღაც შორს მოუსაველეთისკენ აქვს მიპყრობილი. უხმობს დედა სიდონიას. წყალს თხოვს რომ მიაწოდოს, ეკითხება დედას ნუთუ ძუ-ძუებიც გაგიშრაო... იღება კარი და შემოდის ქალიშვილი, თავზე თეთრი თავსაფრით. ყველას სათნოების და ჰგონია. ერთ წამს გარინდებული დგას, მერე მოსხლეტით გავარდა ლოგინისაკენ, ლოგინზე დაემხობა. სარგისს მარჯვენა ხელით ცივ ფეხებს უსინჯავს და რაღაცა სასოწარკვეთილი ხდება. სარგისი გახევეებული არსება უცებ დაიკვივლებს: – „ირაჰმანდა! საირიგჰი! მე ვარ სარგის ჯაყელი ციხისჯვარელი, შაჰაბაზ!“ ხმამაღლა ყვირის გაგანადგურებ ჩემი ხმლითო. „პირქვე დამსობილ ირაჰმანდას შაჰაბაზის სახელი მზის შუბად ენათება“... სარგისი თავიდან ბოლომდე ჰყვება სპარსულ ენაზე ირაჰმანდას მიერ ნასწავლებ ლექსს და ქართული ლექსით ამთავრებს: „წუხელ გულის მტრედი ასე ეტყოდა იდუმალი ქვეყნის ბუღბუღებს: ქვეყანა მეგობრის სახის ათინათინია“.. სარგისის ძველბადეცეული ხელები ქალის თმებს ეფერება, გულზე ქართული მიწის ნატეხი აქვს. გაიძახის: ქართულ მიწას ხმაღს ჩავასობ მკერდში, გადავტეხავ ისე რომ რკინას შიგ ჩავტოვებო, ვიცი, რომ მაინც არ დაიჟანგებაო. ბოლოს ვამეხს სთხოვს რომ არ დატოვოს აქ... არ მიმატოვოო ყოველ წუთს ახსენებს... მერე ეკითხება წამიღებ? არა წავიყვან. ეუბნება ვამეხი. ის კი დაჟინებით სთხოვს, რომ წაიღონ აქ არ დატოვონ.. და ბოლო წუთებამდე კოცნის მიწას, ისე კი ხელებით ქალის თმისაკენ იწვევს... „– ირაჰმანდა... ირაჰმანდა... საირიგჰი.. ელოიელოი ღამაჰ საბაქთანია“... იმ ღამით ირაჰმანდა სახლიდან გაიპარება. თავის ნაცნობ ბაღში პატარა ჩიტს დაიჭერს და მოეფერება, ბაღში სიმღერის ხმა ესმის, მაგრამ მისთვის ეს ტირილია. სლოკინი. გოდება. რატომ ინისლება და იმღვრევა მისი გული და სისხლი?

რადაცა დიდი დაკარგა. რომელიც არასოდეს აღარ დაბრუნდება... მას გული წაუვა და ძირს დავარდება. ირანის პლატო მოწყენილია. ვამეხი სარგისის ბოლო თხოვნას ასრულებს. საბარგო მანქანით ორივენი ირანიდან გამოდიან. უკიდევანოა არჩიბალდ მეკემის ფიქრები... არაბული ცხენის გული 6 კილოგრამს იწონისო, გაუგია, რა შეედრება იმ გულის ფეთქვას... მეკემში ესლა მარტოდმარტოა ირანის ტაშირზე. ოლგას ძმა გახდომია ავად და პეტერბურგს წასულა მის სანახავად. ტაბა-ტაბაი თეირანიდან ჯერ არ დაბრუნებულა. ვამეხი საქართველოშია. „მეკემის ცარიელება მიაგავს სათავეგადაგდებულ წისქვილს... მისი გულისცემა შეედრება არაბული ცხენის გულის ფეთქვას“. ყველაფერი ერთად მოაგონდება: სარგისის გარდაცვალება, ირაჰმანდას თავდადებული სიყვარული. მისი ცქერა უსაგნოა ამჟამად. არჩიბალდ მეკემის ცქერას უეცრად 50 წლის ჟღალწვერიანი მიიქცევს. რომელიც თითქოს გახევებული არსებაა: არც ლაპარაკობს და ყურსაც არავის უგდებს. გაღიმებული ან გაბრაზებული არავის უნახავს. არც არავინ გააჩნია აქ. ათასში ერთხელ ჩაიღიღინებს, ან თავის თავს ელაპარაკება. მეკემში ქართველი ჯარისკაცისგან შეიტყობს რომ ეს კაცი უდია-ჯიშით... ამ რჯულის ხალხი ცოტანი არიან. მხოლოდ საქართველოში და სომხეთში, ოთხ სოფელში არიან ჩასახლებულნიო. არჩიბალდი ფიქრს განაგრძობს: ჩემსავით ყოფილა ეგ ოხერიო... უძირო, უფესვო და სიცალიერე მხოლოდ. არჩიბალდი აზუსტებს: ენზელიდან გემის გასვლის დროს და უმაღვე გაიფიქრა, რომ მხოლოდ საბარგო ავტომობილით მიუსწრებდა გემს. რემტის ბჭედან გადიან ავტომობილით თავად და მისი „აღლანი“. მგზავრნი დოგს ეალერსებიან. ამ სადგურიდან იწყება ელბურზის უმაღლესი მწვერვალი – ბუინაკ, ეგ არ არის ჩვეულებრივი უღელტეხილი – ეს გრანდიოზული მთებია. უცებ შოფერი გამოაცხადებს: მაშინა დაზიანდა და ყაზვინიდან შემკეთებელი უნდა გამოვიძახო. გამოდის რომ არჩიბალდი გემს ველარ ჩაუსწრებს. მან სასწრაფოდ გადაწყვიტა მენ-

ჯილიდან წამსვლელ ქარავანს გაჰყევს. „მიზოზავს ქარავანი: უზარმაზარი მუხლუხო – ეხლა თითქო უზარმაზარ გველად ქცეული – ცხელ კლდეებში მიიკლაკნება. უდაბნოს სურუშმა თუ წარმოშვა ეს უცნაური ცხოველი თუ ფრინველი – (არის ასეთი ქარი სურუშის) – ეს ბასტარდი ცხოველისა და ფრინველის ერთმანეთთან მრუშობის“... არჩიბალდი ირანის ცხელი სუნთქვით მოძრაობს: „აეროლიტები. მონოლიტები. ტიტველი მოჩვენებანი: პირამიდების – ქვაბულების – სარკოფაგების... გახელება ფარაოს ფანტაზიის თუ მზის დარღვევა და გაქვავება?!“..

არჩიბალდ მეკემის მიერ თვალით ნანახი – იქაურ მთებში ჩაღვრილ-ჩაქსოვილი სილამაზის მხატვრული გადმოცემა უიშვიათესია, მაინც როგორ დაითვაღა და შეიმეცნა ამდენი ნაირსახეობის ფერები, და მოგვაწოდა მცენარეთა ფანტაზიური ეგზოტიკა.. „გახედავ კიდევ: ასპიდი და ხვითო ერთიმეორეს ეჯიბრებიან. ერევა ხვითო. ბოლოს რჩება უთვალავი ვასაკა: ფარშევანგების ბოლოებით მიმობნეულნი“... ისეთ სურათებს ხედავს ბუნებაში, რომლის აღწერა შეიძლება მრავალ მეცნიერს და გეოლოგს შეშურდეს. „აქ ისტორიის დიდი ამბები ასტრალურ ლანდებად აყუდულან“. უცებ თვალს შეაველებს 50 წლის ებრაელს, რომელიც ამ კლდეებს უმღერის. არჩიბალდ მეკემში მოგონებებში იძირება. მას ქარავანით მოგზაურობა ახსენებს ებრაელთა მწარე ხვედრს. მათ უსასრულო ლტოლვას ყოველი მხრით – დედამიწის ზევით... „ხალხი: უსახლო, უკარო, ულოგინო. სახლის მაგიერ – კარავი, ლოგინის მაგიერ – ქვიშა. საგზურად აქლემი და ვირი. ხალხი: უცხო ცეცხლით ამწვარი: მოუსვენარი და დაუდევარი“... ჩემი აზრითაც ხალხი, რომელთა ნება-სურვილს ვერც უცხო მხარით ლტოლვა და საერთოდ ვერავითარი მოძრაობა ვერ აოკებს. ისინი მაინც უდაბნოსაკენ იღტვიან... მუდმივი მოძრაობაა მათი სიცოცხლის აზრი. არჩიბალდ მეკემს ზმანებად აედევნა უკვე „სინას“ მთა, ოზირისის ტაძარი. შიგ ლოცვა – წირვისთვის შესულნი: არაბები – სემიტები – ჰებრაელები. ჰებრაელი ლუღლუღებს,

ენა ებრვეილება, მაგრამ გონიათ რომ ეშმაკობს. არ უნდა გულისნადები მეგზურებს გაუყოსო. იქვე მოხუცი იოფორ აღნიშნავს: ყრმის სახელი ყოფილა სოზარსიპის. არჩიბალდი ფიქრს განაგრძობს. იგი იკონებს მემფისის ტაძარს, წარმოიდგინა შიგნით მლოცველი უცნაური ებრაელი ყრმა, რომელსაც გაურბის ქალები, ჰგონიათ მას ტახტის მემკვიდრეობა უნდა. ათასგვარ ფიქრებშია ყრმა, ტახტის მემკვიდრე იგი ვერ გახდება, ისე როგორც პირამიდები და ეს კლდეები ფეხს ვერ აიდგამსო. არჩიბალდი ფიქრს ამთავრებს ამ ებრაელზე და მის თვალწინ კი: „ჰებრაელი კლდის გარუჯულ ქიმს გაჰყურებს... ჰაა: ეს იოფორის შუბლია: ეთიოპის თუჯის შუბლი გადაღესილი... ეთიოპის წინ ყრმაა თავდახრილი: მოყოლა თუ გაათავა. ეგვიპტელის მკვლელი ყრმა შენდობას თხოულობს. იგი ყოველგვარი დასჯისათვის არის მზად. სატიკი მარხვით სულის დაძაბულობითა და ნების დაოკებით ტაძრის მღვიმეში გამოიკეტება... მაგრამ ყრმა მძღვეელია თვითონ მატერიის“... და აი, როცა ებრაელი „მოსეს“ ახსენებს ეს სწორედ სახელია სოზარსიპის. არჩიბალდი ეხლა კი ერკვევა იმ სიყვარულში, რითაც ირუბაქიძეს უყვარდა მოსე... ერკვევა ბურუსიდან და უკან ზოხვით მუხლუხოს მაგვარ ქარავანს ხედავს – კლდეებში გადაგრეხილმაგვალს. ბოლოს, იჭენეულად ასკვნის: შეიძლება ასეთი ქარავანით დადიოდა ძველად მცირე აზიაში ძველი გვარი ირუბაქიძის...

ქარავანი ისვენებს. მეკეში თავის გულს ჭიანჭველის გულს აღარებს აქლემის გულთან შედარებით. დარბილებული აქვს ეხლა ეს გული. აქლემთა სხეულები ერთიმეორეს მილაგებულნი ქვებს გვანან ერთმანეთს მილაგებულს. რა ემართება აქლემს, რომელიც ტირის?! თანაც თავს გვერდით აბრუნებს, თითქოს არ უნდა ცრემლი აჩვენის ვინმეს. საშინელი სიჩუმე. პაუზა. აქლემის პატრონი სპარსი ლოცულობს. ქარავანი ისევ მიდის, მაგრამ თვალცრემლიან აქლემს ტვირთი უჭირს. ტვირთს ჩამოხსნიან, მაგრამ მაინც ფეხები ეკვეთება. რამოდენიმე სპარსი შელოცვას ჩაუტარებს... „ბეხანს

ეთხოვება ვიღაც თვალცრემლიანი... უკან – ბლავილი ბეხანის. ჩამორჩენილი ბეხანის... მიტოვებული ბეხანის.. ყრმა ჰოზარსიჰ მიიყვანს ისრაელს აღქმული ქვეყნის კიდურთან და თვითონ კვდება მისი უნახავი... არჩიბალდ მეკეში უკვე მენჯილიაშია. „თითქოს სხეული სადღაც დარჩენია მეკეშს და ლანდი მიღოლავს მისი სივრცედაკარგული“... სპარსეთის კლდეებში მართლაც საოცრებაა ტელეფონი.. მენჯილიიდან არჩიბალდი ყაზვინს უერთდება, ესაუბრება ტაბაი ხანს, რომლისგანაც შეიტყობს მის სახელზე დეპეშის მიღების ამბავს. დეპეშა ვამეხის მიერ არის გამოგზავნილი, სადაც იწერება: „გთხოვთ მეწვიოთ რამოდენიმე დღით სოფელში. ყურძნის კრეფა იქნება. ნახავთ „საირმეს“. მაცნობეთ დეპეშით წამოსვლა, ბაქოში დაგხვდებით. უარს ნუ მეტყვი“. არჩიბალდს გული თითქოს ჩამოუკიდა. იგი მენჯილიდან გადის. იმ წუთებშია შექმნილი ლექსები – რომლებიც გამოხატავს არჩიბალდის არშეგუებას არსებულ სამყაროსთან, სულის კივილი, ბორბვა და გარდასახვა, ყველაზე მეტად მტკივნეული. იგი, როგორც არსება არარსებულისგან წარმოშობილი, ვერ ჰგუობს მის გარშემო გაუხეშებულ-გაორებულ თუ გაუცხოვებულ ყოფიერებას და ახლა უნდა ჩამოიშოროს (კანი იცვალოს ისე, როგორც რქიანი გველი იძრობს ხაოიან გარეკანს და პერანგს აგდებს მზის ქვიშაზე).

დღესაც არის იმერეთში ასეთი ადგილი, შორიდან ისე ჩანს, თითქოს ერთი ხეა, მაგრამ ახლოს მიახლოვებისას უკვე ცხრა მუხა დგას, რომლებსაც შუა წელის ზევით წანაზარდები ერთურთისთვის იმგვარად გადაუჭვდიათ, რომ მხოლოდ მიწისძვრა თუ დააშორებთ. მზის სხივებიც კი ვერ აღწევენ ცხრა მუხის ტევრს. ჭრიტინობელამ იცის ამ ადგილებში გაბმული სიმღერა. მას თითქოს შემოდგომის პირზე ბანს აძლევდესო ქვესკნელიდან ქვევრების მრეცხავთა სიმღერა. მუხები გამორჩეულად მაღლობზე დგანან, რაც შესანიშნავ სილამაზეს ქმნის მიდამოში. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფელში მარნების წინ მიწაში ჩაფლულ-ჩაკირულია სხვადასხვა

ზომის ქვევრი. რამოდენიმე გლეხი ერთდროულად რეცხავს მათ. ერთი ქვევრში არის ჩასული და მოხერხებულად შიგნიდან რეცხავს, მეორე მრეცხავი კი მოხერხებულად ზევიდან მეორე ჭურს რეცხავს, მესამე კი ახალი სარეცხელისათვის ბლის კანს არჩევს. ჭურისთავი შემოდობილია მესერით. სარეზზე წამოცმულია ჩონჩხადქცეული ცხენის თავები (ხშირად მინახავს ჩემს ბავშვობაში ასეთი რამ) და ორშიმოები ღვინის ამოსაღებად. მუხის ერთ წრეზე ვეებერთელა საწნახელია. იკრიფება ვენახი. მოაქვთ დაკრეფილი ყურძენი. ბიჭებს დედები ფეხებს ბანს, ისინი ყურძნის დასაწურად ემზადებიან. ეხვეწებიან ნინო ბიცოლას თურმე: ჩაგვიშვი საწნახელშიო, მაგრამ ისიც დაყვავებით პასუხობთ: მამას დაუცადეთო... მოდის მამა-ნიკო, რომელსაც უცხო სტუმარი მოყვება... სასწრაფოდ რძალი – ნინო ამზადებს სადილს და პატარა ბიჭი ძლივს მიათრევს კალათას: კეცზე შემწვარი ქათამი, წვენი ისრიმ-მაყვლის, ჭადები ნიგვზის ფოთოლში გამოცხობილი, ღვინით სავსე დოქი ნეშოთი თავდახურული, – ახლადამოდებული წყაროს მუცლიდან, ჭიქა, ჭინჭილა, კულა. ვინ დათვლის რამდენი ასეთი სადილი გაუმართავთ ამ ცხრა მუხის ძირას (აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება იმ ადგილას), ჭურისთავის ახლოს ნიგვზებია. მათ ძირში სიპი გრძელი ქვაა. იქ ზის ძია სარიდანი, რომელიც ფიქრებშია გართული: რამდენი ოდა სახლი უკავია ამ არემარეში მის ნაშიერს, ველარც ითვლის. გონებას ძაბავს და ჩურჩულით ითვლის: ამდენი ვაჟი, ამდენი ქალი, ამდენი შვილი, ამდენი შვილიშვილი. ამდენი გათხოვილი. მათი შვილები და შვილიშვილებიო. ბოლომდე მაინც ვერ დათვალა. უნებურად ცხრამუხას გადახედავს. სწორედ რომ ცხრამუხასავით მაგრადაა გვარში. სარიდანს შვილიშვილები გარს ეხვევიან და ერთმანეთში საუბრობენ. ეხოში ძელქვები დგას. ხუთას თუ ათასწლოვანი. აღმოსავლეთიდან მოსჩანს ლუში ნისლისფერი მთის კალთები, სადაც უამრავი ჯიშის ხეები იზრდება და სიმსხოთი ძაღზე დიდი. ზოგის ტანს შემოსარ-

ტყემლად ოცდაათი მკლავი დასჭირდება. აქ არის საირმე. იქედან კი გადასახედით მოჩანს დიდი ველი რიონის – სამეგრელომდე, ვიდრე გადაშლილ ზღვამდე. მოხუცი ერთი თვალით საირმეს გახედავს და მეორეთი დასავლის-ჩამსვლელ დანელეზულ მზეს. მოიზღაზნება ჯოჯი შარაზე. ქათმები ბიის ხეებზე ფრინდებიან დასაბუდრებლად. არჩიბალდი და ვამეხი უკვე სოფელში არიან. გაისმის ცხენების თქარათქური. ისინი პირველები ბაბუა სარიდანს მიესალმებიან. „ალანი“ ყევს ხმამაგრად, მაგრამ არჩიბალდი აწყნარებს. ვამახი დედას ეხვევა, და-ძმებს სათითაოდ კოცნის და გულში იკრავს მათ. მატასი სადაა? კითხულობს სწრაფად. ოთახში შევარდება და მატასის ხელში აყვანილს გამოიყვანს, მატასი ხელიდან უსხლტება ვამეხს არჩიბალდის დანახვაზე. უკვე ვამეხისთვის მოუსწრიათ თქმა – ალექსას ვანოს დაღუპვის თაობაზე. ვამეხი მის ოჯახში სამძიმრის სათქმელად გარბის. იქედან დაბრუნებულს თავის თაეზე უფრო ბრვე ბიძაშვილი შემოყვება. ოჯახში უკვე დაწყებული იყო ვახშმისათვის მზადება. არჩიბალდს სადაურობას ეკითხებიან, ისიც პასუხობს, რომ ინგლისიდან არის. ბაბუა სარიდანი დაბალი ხმით ჩაილაპარაკებს: ჩვენი თამაზიც „ანგლიჩანებში“ წავიდა. თამაზის ხსენებაზე არჩიბალდს აზროვნება ეყინება. არჩიბალდს სარიდანთან საუბრის გაგრძელების უკვე შეეშინდა. ვაი, თუ მისი სახელიც ეხსენებიანთ.

არჩიბალდს მატასის დანახვაზე ცეცხლი მოეკიდება და მითუმეტეს, როცა საღამოს მას ფეხდასაბან წყალს მიუტანს მთლად დაიშანთება. იმ დროს ვამეხი შემოვიდა და არჩიბალდს გააცნო იქაური წესი თურმე, რომ ოჯახის ქალიშვილმა სტუმარს ფეხი უნდა დააბანინოს. არჩიბალდი უხერხულობს, ამაზე უარი გამოუცხადა ოჯახს. ძილის წინ დედები იქ ათასგვარ ამბებს უყვებიან პატარებს დასაწყნარებელ-დასაძინებლად. არჩიბალდი სმენად იყო გადაქცეული. მეორე დღეს ბაბუა სარიდანი ნიგვზის ჩრდილში ჩამოჯდა როგორც ყოველთვის. მიუხელოვდა თურმე ვამეხი და ხმალი

მიაწოდა. ბაბუამ თვალიერება დაუწყო გაოცებით. ვამეხი კითხვას აძლევს თუ სადმე ენახა მოსუცს ასეთი რკინის ხმალი. დიახ, იყო პასუხი: აი, იქ, სამი ვერსისის მოშორებით, საჯვარეა და ძველ სასახლეში. მაყაშვილის ნამოსახლზე? კვლავ შეეკითხება ვამეხი. სწორედ იქ. არჩიბალდი ამ სიტყვებზე შეირხა უკვე. „ბაბუა სარიდან! მაყაშვილი მართლა გადაშენდა?!... გადაშენდა და არჩიბალდის ტვინს რაღაც კბენს. სულ გადაშენდა?! არა, ერთი დარჩა“. შემდეგ აგრძელებს: თამაზ მაყაშვილს თავადაც ვიცნობდიო. არჩიბალდის გულში ეხლა ვერავინ ჩაიხედავს, მის გულში ადგილი აღარავისთვის აღარაა, ცეცხლმოკიდებულია მთლიანად. (ჩემი აზრით, ძნელი იქნებოდა გადატანა ყოველივე ამისა). ვამეხი არჩიბალდს სასეირნოდ წაიყვანს, მაგრამ მას რა გამოიყვანს ზმანეული ფიქრებისაგან. საით მიდის არც კი იცის. მიუხელოვდნენ საჯვარეს, რომელიც ჩამონგრეულ-განადგურებული დაუხვდათ. შედიან ცხრათვალთან მუხის სასახლეში. კარებშეღებული თაფამონგრეული ყავრის სახურავი დამპალია. ყავარს ხავსი აქვს უკვე მოკიდებული. დგას ნიგვზები და მუხები არემკვდარ მიდამოში. აგერ უცნაური ცქერით და ხელში სიმიდის ტაროთი უცნობი ბავშვი ღობეზე შემომდგარა და მიმსვლელთ ამცნობთ: ეს ადგილი დაწყველილიაო, აქ ღამით ჭინკები დარბიანო, აქედან მცხოვრებნი ყველანი გაქცეულანო. ერთი გადარჩენილა და თან წაუყვანიათო. არჩიბალდს ამის გაგონებაზე ყელში ბურთივით რაღაც ეჩხირება. საფლავის ქვებზე მრავლადაა დაწერილი: გვარი მაყაშვილი ჩყ. წელსა. არჩიბალდი დიდი ნიგვზის მიწიდან ამოზნექილ ფესვზე ეცემა: „ახლა აძვრენენ პატარა არჩიბალდს ამ ფესვში“... და უცნობი ბავშვის სიტყვები ტვინს უბურღავს პატარა არჩიბალდს. პატარა არჩილს ძუძუს მეზობელი კაციას სალომე აჭმევდაო, სალომე ახლა უკანასკნელ დღეებს ითვლისო. არჩიბალდი უკვე ვეღარ ითმენს საჩქაროდ მიდის გამზრდელის სახანავად. არჩიბალდმა ვამეხის წინაშე გაამჟღავნა ის, რასაც აქამდე საიდუმლოდ ინახავდა. სალომეს

ჩაეხვევა და ეუბნება: მე ვარო არჩილიო. გამხმარი ხელები არჩიბაღდის ყელს ეხვევიან. არჩიბაღდს უკან წამოსვლა ეძნელება. დანოქილი ეალერსება ყოველივეს. სად არის ჩემი ჭიპი? აი, აქ ამ მიწაში, ის არ გამქრალა, ასკვნის ბოლოს. არჩილ! არჩილ!.. ვამეხი ყვირის: „მიწამ ნახა შვილი... ნიშნად: მისი ზედაში... დაილოცა ამის შემქმნელი“... ვახშამზე ორივენი სვამენ ღვინოს. დამით ახალგაზრდა გოგონები არჩევენ სიმინდს. სიზმარცხადეულ არჩიბაღდს კი, ამ დროს მატასის ყოველი ქმედება აქვს აღრიცხული. თავადაც ერთვება მათ ბავშვურ თამაშებში. გოგონები და ბიჭები ჭინკებზე და ჯადოქრებზე მოყოლით ერთობიან და ხითხითებენ.

გაიძარტება ვენახის კრეფა. აქ ვამეხი და არჩიბაღდიც ერთვებიან. საღამოს კი უკვე გამოუცხადებიან ბაბუა სარიდანისთვის უკან გაბრუნების ამბავი. არჩიბაღდი მოწყენილია სვალის გახსენებით, მას აღარ სურს დაშორდეს აქაურობას.

რომანის მომდევნო თავში ავტორს მინაწერით მოყვანილი აქვს შაჰ-აბაზის ციტატა: „ქვეყანა ქარვასლაა – ჩვენ კი ქარავანი“. რომანში თხრობა გრძელდება: ირანის ზეგანზე „ოპკელით“ მიქრიან ვამეხი, არჩიბაღდი, სვანი, კებრაელი მეეროვ და ჯიმშუტ. სომეხი ყარაბაღიდან. მათ შორისაა „აღლანი“. გზაზე ყოველ ნაბიჯზე ცხენის, ვირის თუ აქლემის ლეში გდია. ზოგი მთელი, ზოგი ნაწილ-ნაწილ. ხანდახან კაცია დაყუნცული, ნალი რომ ააძროს ფლოქვებზე დახოცილთ. თხრილებში ალაგ-ალაგ ჯარისკაცის ცხედარიცა სჩანს, როგორც „ნალიის კუთხეში ფრთებაბურძენული ქათამი მკვდარი... მკვდარ ჯარისკაცს კიდევ აფენია ნალველი მშობელი მიწის მონატრების, ტუნებს სიკვდილის ირონია, გულზე მიკერებული აქვს ბოხჩა, სადაც უკვე ფული აღარ არის.“ არჩიბაღდი აღრინდელ ამბავს იგონებს... იმ გზაზე მიტოვებულ ბეხანს... „ნუთუ ყოვლის ხვედრი ეს არის?!“ მოჩანს მენჯილი. ისევ ჩრდილოეთის ქარი. მაგრამ ეხლა მყუდროა და სანავარდო. გადვივლიან დაბა რუდბარს. რამდენიმე ვერსზე თვალწინ გადაეშლებათ ხეობა პალესტინისა. ზეთისხი-

ლის ხეივანარები – აი ნამდვილი სილამაზე. გზაზე უზარმაზარი ქვის ნატეხია... „ნუ თუ სეფიდრუდ ისე ადიდდა ოდესმე – რომ ამ სიმორეს გადმოისროლა ვეებერთელა ქვის ნატეხი?!“.. გზაზე უცაბედად მანქანა უფუჭდებათ, რომლის მიზეზიც პატარა ქვა აღმოჩნდება. არჩიბალდი ფიქრობს: ამდენხანს ჩვენს გავლას ელოდებოდით, რომ ჩვენი მანქანა დაეზიანებიაო?... მანქანა გაააკეთეს და გააგრძელეს გზა. ასახვევში პატარა დუქანი შენიშნეს, სადაც სანთლის შუქის დანახვაზე „აღლანმა“ ყეფა ატეხა. შედიან დუქანში და თანამგზავრებს შორის ვახშამი გაიმართება. სუფრაზე აქებენ ქართულ ღვინოს, „გიურჯის ღვინო ქარიგია“.. ამბობს სპარსელი, რომელმაც ომებში ისწავლა დამტვრეული ქართული. შოფერი ნახვამია. მას ურჩევენ ღამე აქ გაათიოს. იგი არ იშლის. მგზავრები ერთმანეთს გადაულაპარაკებენ გზაზე ქუჩუკ-ხანის რაზმები მოქმედებენ და ხვალ დილით გავაგრძელოთ გზაო, მაგრამ უმეტესობამ თავისი არ დაიშალა და მიდიან. უეცრივ, საღვურ ნაგლობერთან ადამიანის აჩრდილს შეხედავენ და გამართლდა კიდევ შიშიც. ქუჩუკ-ხანის რაზმელები – თულები თავს ესხმიან მგზავრებს. ვამეხი, არჩიბალდი და რამოდენიმე თანამგზავრი დაიჭრებიან. მტრები კი მოიგერიეს, მაგრამ ზოგი ძირს აგდია, ზოგიც არ ჩანს და მგზავრებიც ერთმანეთს ეძებენ. ვამეხის ფეხი იმდენად სერიოზულად დაუზიანდა, სასწრაფოდ უნდა წამოვიდეს თბილისში. არჩიბალდიც სთხოვს ვამეხს, რომ მას გააცილებს თბილისამდე.

თბილისის დახატვა რობაქიძისეული ხელწერით, ლექსიკით, მრავალფეროვანი ხასხასა და მდიდარი შედარებებით საოცარად მომხიბვლელია. ასევე მნიშვნელოვანია ქალაქის ყოველი კუთხე-კუნჭულის სახელწოდებათა ამოტივტივება, მისი ძველი და ახალი კოლორიტების მოქცევა ისტორიულ ჩარჩოში. ჯერ აღწერილი აქვს თბილისის დაარსების ლეგენდის ამსახველი მომენტი. შემდეგ დახასიათებული აქვს მისი გოგირდოვანი წყლები, მცხოვრებნი, სულიერი და უსულო არსებანის სუნთქვა-

მაჯისცემა. ბაზრობები, სამიკიტნოები, მეზურნეები თუ მებუქნავეები, მოშაირენი და მოლაყბენი. აგერ.. „უსაშველო თავი გაჰკვივის უსაშველოდ: შაკიკი თუ აუვარდა თავში... „შე წყეულო მარტის თვეო... აღსდექ თამარ დედოფალო, შენთვის სტირის საქართველო“. სამი საუკუნის წინათ შაჰ-აბაზის ლაშქარმა ტბილისი აიღო. სისხლით გაიღეშა მძლეველი და დამძიმდა. „ეს ხომ არ ახსოვს მაშადის – მითოლოგიური მექისის ნაშიერს?!... მერე: ისევ განიერი შარვლის ბუქნა, მერე ისევ: „რომლის“ აკვიატება. „რომელი-რომელიც“, ეგებ ვიღაცას ეძებენ, თავის თავი თუ დაჰკარგეს. სიტყვა ქართული. ბაიათი სპარსული. ხმა „ყარაჩოღელის: „რასსის დომხალი?! აქ თუა წვალება.“

ბოლოს ასკვნის, რომ თბილისში ადამიანებს სადამოს სახლში დაბრუნება ეძნელებათ, – ამდენი სამიკიტნოებისა და გასართობი ადგილების შემყურე. „აქ ყველგან „შენი“ სახლია“... აგერ ჩოხოსნები ზიან და ირჩევა საქმე საქართველოს შესახებ, ანდა რა განწყობაა მსოფლიოში...“ – რას ამბობს სიეისი სამოველ?!.. არის ერთმანეთში მიკითხვა-მოკითხვა, შესუმრება – ცოტა ირონიულიც, მერე გაჯიქურება – სმაში შესული მესუფრეების... „მრავალჯერ და მაღალი ტონი კვინისში ადის“... იწყება ჩოჩქოლი, რომელიც მალე მთავრდება. ირგვლივ გაისმის იმერული კილო-კავით საუბარი – მოუწყენელი სახუმარო სიტყვა-პასუხით. შემოდის ნაცნობი სილოვანი, რომელსაც სუფრაზე მიიპატიუებენ და „შემოსასწრებ“ სადღეგრძელოს დაღევას დააკისრებენ. ბრუნდება კვლავ სუფრაზე მრავალჯამიერის განწყობა. ამასობაში მეორე შემოყოფს თავს დუქნის კარებში და ასე იმლება მეორე სუფრა. ერთი კარებში აყუდებული კაცი სხვადასხვა გვარის რამოდენიმე კაცს ეძებს: თუ ცოცორიას, ბუილლიშვილს, წვიმიტაძეს, ლაქია ყველაზე არას პასუხობს... შემდეგ ვიღაც ხუმრობით გასძახებს: ლოიდ ჯორჯი ხომ არ უნდაო? და ასე შეხმატკბილებაში ისევ „მრავალჯერ“...

რომანის ავტორი ასკვნის: „ყველაფერს შე-

გიძლია გაექცე... ვერ გაექცევი მხოლოდ „მრავალ
ჟამიერს“... ქართველი ალაპშიაც გასძახებს ხოლმე
„მრავალ ჟამიერს“, ქეიფში – ვინ დააკავებს?! მღერ-
ის ქართველი „მრავალ ჟამიერს“ რაღაც წვალებით...
ემინია მოკლე ჟამის და მისთვის უყვივის მრავალ
ჟამს, თუ მრავალი ჟამი გაუვლია და ეძახის გარ-
დასულ ჟამს?! შესაძლოა პირველი იყოს მართალი,
შესაძლოა მეორე, შესაძლოა ორივე. უღაო ის არის
მხოლოდ: „მრავალ ჟამიერს“ ვერ გაექცევი“... სა-
მიკიტნოების კარებთან მრავლად არიან ქურთის
გოგო-ბიჭები, თავიანთი გასაყიდი წვრილმანებით,
პატარა გოგონები უკვე მიჩვეულნი არიან ხელის-
გულზე მკითხაობას, „...რომელიც შავი გველის წი-
წილებია უფრო – მომავალს გიკითხავენ ხელის
გულზე. სტყუიან?! პოეტები რაღას შვებიან?! ამ
გოგონების აღერსს კიდევ სად იხილავ?!... ტბილი-
სის ქუჩებში დაძინდილი ქალი გაივლის ხოლმე
მუცელგამობერილი. რა საშინელია მისი ხითხი-
თიანი სიტყვა?!“

რამდენნაირმა მგზნებარე, ავადსახსენებელ-
მა თუ უცნაურმა ფიქრმა უნდა შეგიღეწოს გუ-
ლის კარები ქართველ კაცს ქაშვეთის ხსენებაზე
და მითუმეტეს – როცა ხელთ გიპყრია გრიგოლ
რობაქიძის რომანი – შედეგური „გველის პერანგი“
და მის ფურცლებზე აღწერილ ქაშუეთს ეწაფები...
„აგესლილ მზერას ქაშვეთი მოგიჩინეს. ყოველი
ქვა ტაძრის ქალწულია თვითონ: ნელი – ლბილი
– ნაზი – თვინიერი. ტაძარია თვითონაც ქალწული:
წარმართი ქალწული სასხვერპლოდ დასაკლავი.
არა: აქ თვალები სევდას ნახულობენ“ ..ბატონი
გროგოლი აქ ყოველ ქალში თავადაც ივერიის ქალ-
წულის თვალებს დაეძებს და პოულობს კიდევ...
“ივერიის ქალწულის თვალები. რასსა შეურეველი
და ხალასი. სიამაყე და დარცხვენა – ერთად. ჩაივ-
ლის ქალწული. მიიძალება გროვაში. რომელი თვა-
ლი დაივიწყებს?!“... (მე ვიპოვე რობაქიძისეულ შე-
დარება-ლექსიკაში ქართული სიტყვით აღმაფრენა.
მისეულად თბილისის აღწერის ვერცერთ ეპიზოდს
აუღელვებლად ვერ წაიკითხავ). აგერ თეატრის

წინ ბრმა მოხუცი დგას. რომელიც.. „ეხლა ფერ-
ფლია და უდაბნო“ ახალგაზრდობაში თურმე იგი
თითქმის 40 წელი თეატრის წამოდგენების აფიშებს
აკრავდა. ახლა მას გამვლელნი ფულს აწვდიან. მი-
სივე სიტყვები ფულის მიმწოდებელი ადამიანების
წინაშე წარმოთქმული გაგაკვირვებს კაცს... „არ-
ტისტი ხარ?! – არა... რეჟისორი ხარ?! – არა.. – სცე-
ნარიუსი ხარ?! – არა.. ან თეატრის მოსამსახურე?! –
არა... მე სხვისგან ფულს არ ვღებულობ“... თბილის-
ში თურმე იმ დროს მრავალ სხვადასხვა უცნაურ
ფორმაში გამოწყობილთა და უცნაური მოქმედების
ადამიანებს შეხვდებოდი, მაგრამ იმდროინდელი
ტბილისქალაქის „კაცი აპოკალიფსური მოჩვენ-
ებით“ – სიღრმისეული თვალ-გონებით არის შე-
ფასებული. სხვა თემაა, სხვა ფილოსოფიური აზრია
ჩადებული იზმაილოვის ქუჩაზე – მეეხოვე აისორის
დიდნში, რომელიც ღამის 12 საათზე გამვლელს
საათს შეეკითხება. გამვლელი კი ფიქრობს: „რად
უნდა „რომელი საათია“ დროდაკარგულს“... ამ კაცს
კუთხე არა აქვს. სახლის კიბის ქვეშ ცხოვრობს თავის
ცოლშილით. ესენი არიან აშტაროტის შთამო-
მავალნი. ავტორიც ეგრე ფიქრობს: ალბათ ესენიც
ავხორცი აშტაროტის მოდგმა და შთამომავალნი
არიანო. ამ მეეხოვესაც სიმღერაში ასლოკინებს
და გაშტერებით ვარსკვლავებს უყურებს... ალბათ
მისი ასურეთის ბედი აღელვებს. მისი შორეული
წინაპარნი დევმირებად წოდებულნი – მეფეები
ლეგენდებით შერჩენილან დღესაც ისტორიას,
ბარელიეფზე გამოხატულნი.. „ასსურეთი ახრჩობს
ირანის ლომს“... და მისი ნაშიერ-მოდგმა კი მე-
ეხოვე და ფეხსაცმლის მწმენდელია თბილისშიო.
„ყურს უგდებს გასუდრული. თავის ხვედრს თუ ხე-
დავს ქალაქი?!... ათასი თემი. ათასი მოდგმა. არევა.
მრუშობა. განცხრომა“... ავტორისავე გადმოცემით,
ამ დროს თბილისი ქანაობს, მთვრალია. მადლო-
ბიდან პოეტები შაირობენ. პოეტები ლექსებში თა-
ვიანთ ორეულს ეძებენ. ზოგნი მთვარეს უყეფენ.
შაირი თითქოს სააკაძის ხმალს ჰგავსო, რომელმაც
ესესაა თბილისქალაქი ხერხემალში უნდა გადა-

ტეხოსო. ტორტმანობს ქალაქი. გამვლელნი ქუჩაში ჩერდებიან და წყრებიან: აღარ არის მოსვენება ამ გიჟპოეტებისგანო, ვიღაც ნახევრადშიშველი აივანზე გადმოდგება და გაგულისებული ყვირის: აღარაა საშველიო და ახსენებს ჭიშმარიტოვს. მილიციონრები დასაწყნარებლად მოდიან და ამ დროს პოეტებიც გამოდიან ბურანიდან და ხედებიან თუ რაში არის საქმე.

გრიგოლ რობაქიძე საგნების, ადგილსამყოფელისა და ყოველივე ნანახის ხატოვანადწერით შეუდარებელია. აქაც გველის პერანგის კითხვისას სული და გონება მინათდება. ამის გამო ფუტკარივით ვარ დაწაფებული მის სიტყვებს, წინადადებებს, რათა თაფლის ნექტარივით ამოვიღო და შევისისხლხორცო ჩემთვის სასურველი. ერთერთ ეპიზოდში ასკვნის: თბილისმა თავად არ იცისო, დასვლისა თუ, აღმოსავლის რომელმა ქარმა შეაყენა ის ამ გზის ჯვარედინზეო. შემდეგ ავრძელებს: იგი აღმოსავლეთს მოსცილდა და დასავლეთს ვერ მიაღწიაო... (დღესაც როგორ უმძაფრესად აქტუალურია ჩვენი სამშობლოსთვის – ეს საუკუნისწინანდელი წარმოთქმული გულში ჩამწვდომი მისი სიტყვები)... „დედოფალია სასურვი?! საქმრო მრავალი ჰყოლია. ბიზანტიელნი. რომაელნი. თურქები. პარსები. ხორეზმელნი. სარაცინები. არაბები. ყივჩაღნი. მონგოლნი. რუსნი. არავის დანებებია. დარჩა გაუთხოვარი?! არა: აუყვანიათ საქორწილოდ – მაგრამ ქალის მკერდი არ განუცდიათ. იყო მხოლოდ ძალაობა – მაგრამ ქალს ვინ მისწვდება თუ მისი მკერდი არ იხსნება.. დარჩა ქალობა – გაუშლელი: პერგამენტის ფერი მოუკვლელ ჟინს ფარავს. არ ჰქონია განცხრომა და არ იცის დაცხრომა... ნეტავ ვის ელოდება?! ცრუ საქმრო ბევრი ახსოვს“... ანდა კიდევ, როგორ იხსენებს ჯალალ-ელდინის შემოჭრას თბილისში...“ „სიონის კაჟისფერ ტანს ეხლაც ახსოვს ლორწიანი ხვევნა მტარვალის“... ბოლოს ასკვნის ეჭვნეულად: თუ ცრუ საქმროები ბევრი ჰყოლია თბილისს, ნუთუ თავის ვაჟებში ვერ ნახა საბედლო?! ამით ადასტურებს კიდევ ჩვენი ბედუკუღმართი ისტორიის

სინამდვილეს. მერე თბილისს ბოდვაშიც ხედავს როგორც ქალაქს – ხომალდს. ხომალდზე ლანდებს ამჩნევს, წყალში დამხრჩვალ-გაგუდულთა მოჩვენებებს. რამდენი თავის მკვლელი, განწირული ადამიანები ახსოვს ამ თბილის-ხომალდს, რამდენი შური, დალატი, ერთურთის დაგესვლა და მერე ასკვნის „არსის ხვედრი არსშია თვითონ“... ლანდები ერთურთში საუბრობენ. აქეთ მარაბდაა, სადაც მონგოლთა ოთხმოც-ათასიანი ჯარი უკუაქცია ქართველთ თორმეტათასიანმა ჯარმა. იხსენებს სააკაძის ორბისებრ მზერას გაუხრელს. მისი კამარის დარტყმას მტერზე. შემდეგ დამარცხებას. ეჭვებს: მან გაყიდა საქართველო?! არა. მისი ქმედება მართალია ჭკვიანურია, მაგრამ ბოლოს გამცემიაო მაინც. მან თავისი ხმალი მიწას ჩაარჭო გადატეხა და ლეგენდად დაგვიტოვაო, გაიმარჯვებს ივერია, თუ ის ხმალი გამართელდებაო?! (უიშვიათესია იმედისმომცემი მისი იმდროინდელი მოსაზრება). აქვე დასძენს: ათასთა ლანდებში, ხიხინში, ჭიხვინში, ზმანებებში, უუმურთა დაცინვებში – ყოფა უგემურდება, მაგრამ ბოლოს მაინც ყოველივეზე ძლევა იმარჯვებს „ტფილისი უყურებს ივერიის ქალწულის თვალებს. საცაა – მზე ამოვა“ (ამ დაიმედებაში ჭეშმარიტად ვეთანხმები სასურველ გრიგოლს!). თბილისი ბორგავს. თითქოს მთვრალიაო, ჩრდილოეთიდან ხმაურობსო დიდი რუსეთი და ძველ სამყაროს შთანთქმას უპირებსო, ამბობს არჩიბალდ მეკეში, ხოლო სამხრეთიდან ოსმალო მუქარით მოიწევსო, ორ ცეცხლს შუა არის მოქცეული საქართველო. არჩიბალდ მეკეშის ფიქრები შორეულ წარსულში იხედება და იძირება თითქოს. უძირო უფსკრულია თითქოს მის თვალწინ. უცაბედად მოაგონდება, რომ აქ დაბორგავდა გვარი ძველი „ირუბაქიძეთა“. ტკივილი და სიტკბოება ერთავად ჟრუანტელში ახვევს. მისი სულის ბნელეთს მხოლოდ ერთი სიტყვა – „მამა“ ანათებს, მეკეში მამას უახლოვდება, ინთქმება მის უბეში. აქაა ახლოს, და ტირის. მას გამოაფხიზლებს ფიქრებიდან მეგახეთე ბიჭების ყვირილი: – „ექსტრა! ექსტრა!.. – ბოშო წიკითხე – ერთი რა წერია... ეუბნება გამე-

ლედი თანამგზავრს“... არჩიბალდ მეკეში ბურანი-
დან გამოდის. მზერა ებინდება და აგონდება: ოღვა...
როგორ სჭირდება ესხლა იგი, მაგრამ „სადაა ესხლა ეს
გრილი ცვარი სიცხე რომ დაანელოს?! იგი შორსაა:
ოღვა“.. მეკეში მღელვარებს. მოაგონდება ვამეხი,
მაგრამ არც ის არის მის გვერდით. მის შესახებაც
არაფერი იცის. ვიწრო ქუჩაზე გადის. გზად პატარა
გამოკვეთილ ოთახს გაუვლის. თვალნათლივ ხე-
დავს პაწია ლამფას და მის შუქზე 7 წლის გოგონას,
რომელიც წიგნს კითხულობს, პატარას უფროსი და
სთხოვს ძველი ქართულით დაწერილის შინაარსი
განუმარტოს, ისიც გარკვევით პასუხობს: თავსა
კობცისას შეკრებილანო: შანშე. ევარსლან. დადი-
ანი ცოტნე. ვარამ გაგელი. ყვარყვარე. კუპრო შო-
თაი. პერელნი. კახნი. თორელი გამრეკელი. სარგის
თმოგველი. მესხნი. ტაოელნი – ო, რათა თათარს
ვებრძოლოთო. რაჭის ერისთავი და ცოტნე დადი-
ანი სამზადისთვის გააგზავნესო. გაიგო თუ არა
ეს თათარ-მონგოლმა, შეთქმულების მონაწილენი
წაიყვანეს შირაკავანსო და ყველანი საწამებლად
სიცხეში შიშველნი დააჯინესო. მეკეში სმენადაა
გადაქცეული, ბავშვი აგრძელებს ძველი ქართულით
კითხვას: „ვითარ იხილა ესე ცოტნე წარჩინებულ-
ნი, ესრედ უპატიოდ მსხდომარანი და სიკუდილად
განწირულნი, გარდახდა ჰუნისაგან, და დააბნია სა-
მოსელი თვისი, განშიშვლდა, და შეიკრა მხარნი, და
დაჯდა წარჩინებულთა თანა მწუხარედ“... ბავშვმა
თავადაც წაკითხულიდან ბევრი სიტყვის აზრი ვერ
გაიგო და ახსნა-განმარტებას სთხოვს დედას, ისიც
უხსნის: ცოტნემ თავისიანები ასეთ დღეში ჩავარდ-
ნილნი რომ ნახა, თავადაც გაუხდია ტანსაცმელი
და მათ გვერდით მიუჯდა-თურმეო. ბავშვი კვლავ
აგრძელებს კითხვას. მეკეში სმენას ამახვილებს...
„რომლისთვისაც განკვირდეს თათარნი, და წინაშე
მათსა მოუწოდეს, და ჰკითხვიდეს მიზეზსა მუნ
მისვლისა მისისა, და ამას საქმისა ქმნისა რომელ
მან ჰყო“... კვლავ წაკითხულიდან ვერც ბავშვმა
გაიგო ბევრი რამ და სმენადქცეული არჩიბალდიც
სწყევლის, რომ ძველი ქართული არც თავად იცის.

ბავშვის დედა კი ასე განაგრძობს: ჩვენ აქ იმისთვის შევიკრიბეთო, რომ თქვენი ბრძანება აგვესრულები-
აო, და ცოტნეც ამბობსო მეც იმისთვის მოვედი გამ-
ოვიძიოთ სიკვდილის ღირსნი ვართ, თუ არაო. თუ
ღირსნი ვართ სიკვდილისა, მეც ჩემ ძმებთან ერთად
მოვეკვდებიო... პატარა კითხვას განაგრძობს: „და ვი-
თარ ესმა ესე ცოტნესაგან ნოინთა მათ, განკვირდეს
სათნოებისაგან მისისა და თქვეს: ვინათგან ნათე-
საენი ქართუელთანი ესოდენ კეთილნი ხართ, და არა
ეცრუებიან ერთი ერთსა, რომე აფხაზეთით მოვიდა
კაცი ესე დიდებული, რათა დასდვას სული თვისი
მოყვასთა თავისათვის, და განწირნა სული თვისი
სიკუდილ... ამისთვის განუტევოთ ყოველა, და ნუ-
ღარა ვსჯით“. ჩერდება პატარა მკითხველი. ოთახში
მამა შემოდის. წიგნს დახედავს: „ქართლის ცხო-
ვრება“ და შვილს ეკითხება, სად იშოვა ის წიგნი.
ისიც პასუხობს: დუქანში კაცები ამბობდნენ კარგი
წიგნიაო, მეც ჯიბის ფული ვაგროვე და ვიყიდეო...
„ბიჭო! ქვეყანა იქცევა და შენ „ჟამთა აღწერას“
ეპოტინებიო?! – რა ქვეყანა?!.. ბავში გაკვირვებუ-
ლია“...

არჩიბაღდს გული ამოუჯდება და ცრემლე-
ბი აწვება. ყელში ბურთივით ეჩრება რაღაც. მიდ-
ის ფესვებშერხეული და ამაღლებული. იმ სახლს
კარგად იხსომებს. სასტუმროში მეკარე ბარათს ახ-
ვედრებს. არჩიბაღდი კითხულობს: „პეტერბურგს
მივაღ“... „საქმე მაქვს“... „საშიში არაფერია“... „ოლ-
გას ვნახავ“... „უჩემოდ თფილისიდან არ წახვალთ“...
„იმედია“. არჩიბაღდს მოაგონდა ვამეხის დიდიხნის
დროინდელი საუბარი, როცა იგი ოლგას მონატრება-
ზე ესაუბრებოდა, რას იზამ თბილისში რომ ჩამოვ-
იდესო?! ამ სიტყვებზე არჩიბაღდიც გაოცდა მაშინ.
არჩიბაღდს ვამეხის ღიმი მოაგონდა და ბარათის
მინაწერს აკვირდება: „გუშინ ტაბა ტაბაის მოვკარი
თვალი. მგონი ის იყო“. ამ სიტყვების წაკითხვაზე
გული ეკუმშება.

რომანის „გველის პერანგის“ ერთერთი თავ-
ის – „კუბო მხეში“ მინაწერში ვკითხულობთ: „არ-
წივი როცა მხეს უცქერის – კორტნა უნდა მისი,

სიკვდილს თუ ხედავს მასში“. მეცხრე საუკუნის მემატიანედან.

ეს მინაწერი არჩიბალდს მოაგონებს აღმოსავლეთის თქმულებას, რომელიც გულისხმობდა ზურმუხტის ქვის წარმოშობის ისტორიას – ეს არისო რომელიღაც საუკუნეში გაქვავებული ხვლიკის თავი. სწორედ ხვლიკისფერს ამსგავსებდა იგი გამეხის თვალებს ფერს. ამჟამად იმის ფიქრში წავიდა: მივიდა თუ არა პეტერბურგს გამეხი და თუ ნახა ოღვა. არჩიბალდი სასტუმროდან გამოსული თეატრს მიუახლოვდება, სადაც შეგროვილია ხალხი და ცას შეჰყურებენ, თან ერთმანეთს ესაუბრებიან: ვაი, თუ წვიმა მოვიდესო, მაშინ გასვენებას გადადებენო. „წიკითხეთ გაზეთებში რა წერიაო?“. გასვენება გადაიდება თუ მზე არ იქნებაო. მაგ კაცს პოეტები ასვენებენ და მაგენი ოცნებებში ცხოვრობენო. „რავა, კაცო მაგ უბედურს პატრონი არ ჰყავსო?“ აგრძელებენ მეორენი. კი ყოლია ბატონო, მარა, მიცვალებულს ისინი არ მიაკარესო, კიდევ ის წერია ამ გაზეთში რომ, ვისაც ცხენები არა გყავთ მიცვალებულის გასაცილებლად არ გამოხვიდეთო, ცხენოსნებს ხმლები უნდა ეჭიროთო ხელშიო, ეს ყმაწვილი ომში მოკლესო და თან პოეტების მეგობარი ყოფილაო, გაზეთში ისიც კი სწერია მზე ჰყვარებიაო. მოსაუბრენი არჩიბალდ მეკეშს შეესიტყვებიან, ისინი უცხოდ „მონათლულ“ არჩიბალდის ქართულის ცოდნას მიესალმებიან. ჯგუფები ქაშვეთის ეკლესიას უახლოვდებიან, იმართება პროცესია. წინ 7 წლის ბავშვი მიდის, ხელში შროშანი და ანთებული სანთელი უჭირავს, მიჰყავს უბელო ცხენი – აღისფერი. ცხენზე თვალყური უჭირავთ, არ დაფეთდეს იგი. ორ-ორი მხედარი წყვილ-წყვილად მიდიან და დიდი მოწნული ჩელტი მიაქვთ, რომელზედაც კუბოა მოთავსებული. არ ჩანან ჭირისუფალნი, არც მღვდელი. კუბოს მიაცილებს მხედრობა და ჩოხოსნები. მხედრებს ხმლები გაუშიშვლებიათ, სახეზე მწუხარებადადებულნი არიან. მხედრებში არჩიბალდ მეკეში თითქოს გამეხს ეძებს, როგორც დიდებულ მხედარს. არჩიბალდს უცებ ტანში ჟრუ-

ანტელი უვლის, ფიქრობს: რა უნდოდა ვამეხს ამ წარღვნის წუთებში პეტერბურგში? და კიდევ ოლგას ვნახავო?! ჯგუფები ერთმანეთში საუბრობენ: მომტირალნი რატომ არ ჰყავთო, კი ნდომიათ სამასი თმაგაშლილი ქალის გამოყვანა, მაგრამ ეს პროექტი არ გასულაო. ხმამაღლა ნუ ლაპარაკობთ, თუ ძმა ხარ, აკრძალულიაო. ვაი, მაგათ პატ... და სიტყვა შუაზე გახლეჩილი დარჩა... არჩიბალდს აგონდება ჰამადანში ნახულ ხვლიკისფერ ქვაზე წარწერილი: „უმეტეს მზისა და უმეტეს ხმლისა“... ვიღაც ჩაილაპარაკებს: ბიჭო, ლაშხი... „არჩიბალდ მეკეში მოზღვავებულ ზვავს ეყრდნობა“... ვამეხი ხომ არ არის?! „ვამეხის“ ხსენებაზე მთელი მხედრობა საშინელი თვალებით იხედება. არჩიბალდი თავს აიძვებს. „ოღონდ სხვა“... „ნეტავ სხვა ლაშხი აღმოჩნდებოდეს“.. არჩიბალდი იმედის პატარა ძაფს ეკოწიწება.

„და მზით მოვარდნილებს დახვეწილ მკლავებზე დაღათ გვამჩნევია მზის ცხელი ნარქენი“ იკითხება კარდუდან (მე ვფიქრობ, ამ მინაწერის წაკითხვისას ქართველმა უნებურად თავის მაჯაზე უნდა დაიხედოს)... სასტუმროს კარებს სოფლის გოგონა მოადგება, თავზე თავსაფრით და მხრებზე მოხვეული თავშლით. დარცხვენილი შედის სასტუმროში და შესასვლელში მეკარეს ეკითხება: არჩ... სახელს არ ამთავრებს, ინგლისელი მინდა და როგორ უნდა ვნახო. მეკარე პასუხობს: არჩიბალდ მეკეში „გევიდა წესან... ასე დებიარა თიატრში მივდივარო... სადაა თიატრი?“... მიასწავლიან თეატრის ადგილსამყოფელს. და ისიც „დარცხვენილი შედის თეატრში სახეკუშტი და მედიდური“. ხალხი შემოდის. ამდენ ხალხში ერთს ამოიჩინებს, მივარდება: „ვამეხ“, მაგრამ ის ვამეხი არ აღმოჩნდება. ეკითხებიან გარიყულად ჩუმად მჯდომარეს: ვინ გინდა? ინგლისელის ნახვა მინდა. არჩიბა ჰქვიაო... შეიყვანენ. წამოდი, იქნებ ნახო. მიჰყვებათ აწითლებული და აღეწილი. „გოგო დაღურსულ ხედვას იქითაქეთ მიმოაფენს“. მჭრელი სოფლის გოგოს თვალები მიმინოსებრია. მას კუთხეში დასვავენ.

არის განაბული და ათვალიერებს ვაჟებს. „იქნებ სადმე დალანდოს“. კულისებში პოეტები და არტისტები ერთმანეთში კამათობენ. პანტომიმა უკვე მზადაა: თამარიც მონახეს, ქეთევანიც, მაგრამ წმინდა ნინოს მსგავსება ვერ მონახეს. ნუთუ ქალები დაილია, ამბობენ. ქალი თვალებით, რომელშიც გიშერის სილუშე ამოიკითხებაო, მაშინ რუსი იყოსო ვინ გაიგებს?! „რასა უჩინრად ამხელს თავის თავს... დღეს რასსის ზეიმი... არ გაიმართება ნინოს გარეშე პანტომიმა კაცო! ვინ გაარჩევს გიშერში სილუშის ციალს?! – გეუბნები: რასსა უხილავ ხაზებშია“... გამოდიან: იქნებ ეს სოფლის გოგო მოეწონოთ, ყველანი სოფლის გოგოს ათვალიერებს, თავშალს და თავსაფარს მოხსნიან. გოგონა ილეწება, ალი ედება სირცხვილისაგან, მაგრამ ლაზათი და მედიდურობა, გაღურსული ცქერა ნამდვილ ნინოს წარმოადგენს.

თეატრის დარბაზში არჩიბაღდ მეკეში ზის და გრძნობამორეული გაცქერის წარმოდგენას – „ცოტნე დადიანის“ მიმოდრამას. მონღოლებს სიმართლე უყვართ. იმარჯვებენ შეთქმულნი. კოცნიან ცოტნეს. დარბაზი აყვანილი ყავს უმძაფრეს გულისამაყუჩებელ სცენას. არჩიბაღდის გული ყველას გულისცემაშია და თვალი ყველას თვალისცქერაში. ანათებენ ირუბაქიძეების სახეები – როგორც სიმართლე მზის და სირაინდე ხმლისა. თვალში ცრემლები ერევა. მიმოდრამას მოსდევს სხვა სცენები: „რასსის ნატეხები“. არის გურულთა – კისკასი სიმღერები, მეგრულთა შეშპარავი მზერა, სვანების დაკორძილი კუნთები და ჰიმნი „ლილე“, ქართლელთა სიღინჯე, კახთა როკვა, ფშავთა შაირი, ხევსურთა ფარიკაობა და იმერთა რასსიული დახვეწილობა და სიდარბაისლე („რომელიც ედავება ყველა რასსებს“...). არჩიბაღდ მეკეში ეხლა ყველას ეკუთვნის ერთად აღებულს და აგონდება ჰამადანში ქვაზე წარწერა: „ჩემი ძმა არყოფილი ვითარ მიყვარდის უმეტეს მზისა და უმეტეს ხმლისა რამეთუ იყო იგი სხვაი ჩემი“.

საარტიტო ოთახში კი ზის სოფლის გოგო „ნინოდ“ მორთული. კვლავ ეკითხებიან ნახა თუ არა

არჩიბალდი. ისიც პასუხობს: აქ არისო მითხრეს, უნდა აუცილებლად ვნახო, ჩემი ძმა ვამეხის ამბავი გამოვკითხო. არჩიბალდი კი ესტრადის ახლოს მაგიდას უზის. იწყება „კაბარე“. საჭმელი და სასმელი ქართველმა სხვანაირი იცის – ქართული ქეიფი („ესეც რასსის ნიშანი“), ესტრადაზე პოეტები და არტისტები ერთმანეთს ცვლიან აღტაცებით და თავდავიწყებით. გამორბის ახალგაზრდა, გაიძახის: სიკვდილი „ირუბაქიძის“. ამ წამოძახილზე ვიღაცას საფეთქლებზე სისხლი აწვება, ვიღაცა წამოვარდნას აპირებს. უცებ პოეტი იწყებს ლექსს, რომელიც დაუოკებელი მხედრის მსგავსად მიაჭენებს. ვიღაცა თავჩაღუნული ათას ფიქრებში გადავარდნილი ისმენს, ეხლა შორეულ წინაპარში და ფესვებში გახიდული. პოეტი განაგრძობს: „კვდება ირუბაქიძე“. ჩოჩქოლია დარბაზში, მეკეში ვეღარ ითმენს და უეცრად აღმოჩნდება პოეტის წინ, აწყვეტილი პოეტი ხელს მოუქნევს მას, მეკეში აიციდენს ამ მოქნევას, იგი სწრაფად მოიქცევს აწყვეტილ პოეტს ხელებში და უნდა ძირს დაანარცხოს, მაგრამ უეცრივ მეკეში წყნარდება და პოეტს ძირს ნელა დაუშვებს. არჩიბალდ მეკეში ძმებში გრძნობს თავს. ესტრადის კინო-ტილოზე სახელებია: ნინო, ქეთევან, თამარ, მედეა. ქალები გამოდიან ცალცალკე, ერთიმეორეზე უკეთესნი და თავიანთი როლების შესაფერისნი. გამოდის მეორე – ქალი მედეა: „ქალი კოლხის სილამაზეა და რისხვა. ამორძალი – იგი ხმაღზეა ათამაშებული. თუ გახელდა – ძუძუს აშანთავს. თუ იძია შური – საკუთარ ბავშვებს დაახრჩობს“. გამოდის მეოთხე ქალი, კინო აჩვენებს: ნინო. დარბაზი ინგრევა ტაშის გრიალით: „რასსა წყაროს თვალში გავლებული სპეკალია. სისხლი მართალი და შეურეველი“. ნინომ გაოცებისგან არ იცის რა ქნას. არჩიბალდი რაღაცას ნინოს შეცნეულს ატყობს, ვეღარ ისვენებს, ფიქრობს: ნუთუ ის ნინო: „იქ საირმეში?! მზის ჩასვენებისას ყვითელი ალი ნელდება“. ნინო ველურია, გაუხედნელი ცხენივითაა, რა იცის პანტომიმა, იგი ველარაფერს ამჩნევს დაბნეულობით. მიჰყვება სხვებს. მაგრამ უეცრად ესტრადიდან გად-

მოსტება და სასოწარკვეთით ყვირის: არჩიბა... არჩიბა... საპასუხოდ გაისმის: მატასი... მატასი... მატასი მუხლებზე ეხვევა არჩიბალდს. იგი მას წამოაყენებს. ირგვლივ ათასთა გოცება და კითხვა. მატასი გოცებით ეკითხება მას: „სად არის ვამეხი?!“ არჩიბალდი დაბნეულია. მატასი მისი ღუმილით შეშლილს ემსგავსება. გაურკვეველობა... ვამეხი სპარსეთშია... იჭვნეულად პასუხობს არჩიბალდი. მაშ ვამეხი არ დაუხვრეტიათ რუსეთში?! და მატასის სახეზე ცრემლებია. ორივენი ტოვებენ აზარფეშივით ავსებულ დარბაზს. ქუჩაზე სიცარიელეში გრძელდება მათი საუბარი. არ დავიწყნიათ ახლობლებისა და ერთმანეთის მიკითხვ-მოკითხვა. უეცრად ტაბა ტაბაის შეხვდებიან. არჩიბალდი მატასის აცნობს ტაბაი ხანს. გაიცანით ეს გოგონა ვამეხის დაა. ვამეხი სუყველასი ტკივილია ახლა. მატასი დაჟინებით სთხოვს არჩიბალდს ვამეხთან ერთად სოფელში მასთან სტუმრობას. ემშვიდობებიან ერთმანეთს. „არჩიბალდის მარჯვენას რაღაც შერჩა – ცხელი და მშრალი: მატასის ხელის თრთოლვა – ვით ბადეში გაბმული მიმინოსი“. („გველის პერანგში“ ამ სტრიქონების კითხვისას, ვიგრძენი სამშობლოს ნახვას მოწყურებული გრიგოლ რობაქიძის გულდათუთქვა – კაეშანი. არც არის გასაკვირი მისი ქართველი გოგონას შინაგან ბუნებაში ამდაგვარი მძაფრი ჩაწვდომა).

გრიგოლ რობაქიძემ თავისი რომანის მოქმედ გმირთან – ვამეხთან დამეგობრებით შეძლო თავის საძვალესთან – წარსულის ფესვებთან მიახლოება. ეს ყველაფერი სისხლხორცეული და განუმეორებელი კავშირ-გენიალობით განადიდა. ოღვა კი, როგორც ქალი ინდივიდი – პირდაღებული რუსეთის სიმბოლოდ ჰყავს საქართველოში წარმოდგენილი. ბატონი გრიგოლი სადაც არ უნდა იყოს და რა მწველი არ უნდა ჰქონდეს ყოფა, მის გულში და არსებაში მარად ქართველი ჰყავს წინა პლანზე წამოწეული. თბილისი მისი სულის ნავსაყუდია, იმ-ქამად მისთვის „მშური ნუგეშია“, ის რომ აქ ათასი რჯულისა და ეროვნების წარმომადგენელი ერთად

ილხენს, გამაბრუებელი ორკესტრის თანხლებით, – მთელი გუნდი სათნოების დებისა და აფიცურთა ცოლების გვერდით. პაპიროსის კვამლი, ყავა, კონიაკი, ჟრიალი... „ქალები დაყურსულები და ვაჟები ატეხილები“... „მაგიდებს თავს ევლებიან წამოჩიტული ქალიშვილები“...

კუთხეში ყოველდღე უცხო კაცი ზის, თითქოსდა მისთვის ამოჩემებულ განკუთვნილ ადგილზე. უკვე ყველამ იცის იქ არავინ უნდა დაჯდეს. მისი თვალები უსაგნოდ, ზოგჯერ დაბნეული ათვალეირებს ყველაფერს, ისე, რომ გეგონებათ უსინათლოა. ხანდახან სიგარას აბოლებს. მიმტანმა ქალიშვილებმაც იციან მისი ხასიათი და მხოლოდ მუქ ყავას და კონიაკს დგამენ მის მაგიდაზე. ყველას აეჭვიანებს მისი წარმომავლობა და ქცევა. უმეტესობას მაინც ქართველი გონია. ორკესტრი შეისვენებს თუ არა, ესტრადაზე პოეტები ისე მძაფრი და აღტკინებულნი ყვებიან თავიანთ ლექსებს, კაცს ეჭვი აღარ ეპარება, რომ ისინი ნამდვილად მორკინალთა შთამომავლები არიან. ისინი უმღერიან მთვარეს, ივერიის ქალწულს, ბუღბულს. რითმებით ეჯიბრებიან ერთმანეთს და ხმალში იწვევენ მოპაექრეთ. „ყველაფერს ახელებენ: თვითონ კი ტაში ახელებთ: როგორც აღერსი ამორძალის“... ამ დროს კარებში რუსული აქცენტით „ტაკიმასხარა“ შემოჰყოფს თავს, რომელიც ახერხებს ორი ღერი რუსულის რითმებით აწყობას. მას ამ წუთას მხოლოდ ერთი ჭიქა არაყი უნდა. მიაწოდებენ და გადაკრავს. „თითქო მთელი სამყარო იხილა მთლიან-აღებული... გადის, „უცხო კაცი“ მის გადმოკაკლულ თვალებში ჩამომხრჩვალის მხერას ხედავს – მესოპოტამიაში რომ წააწყდა“... ისევ ორკესტრი გრძელდება. უცებ ქალი და კაცი გამოჩნდებიან. ქალს წრიპინა ხმა აქვს. კაცს კიდევ დიდი სადგურის შვეიცარიის მიდიან მიიმღერიან. არცერთმა მათგანმა არ იცის საიდან და საით?! ესტრადაზე ისევ „ზემსუგარი“ საყელოს ისწორებს ახალი ნომრისათვის. ქუნაში გახეთებით ახალი ცნობაა მოსული. ბოლშევიკებმა დათმეს: ყარსი, არდაგანი, ბათუმი. მაგიდასთან

მჯდომი „უცხო კაცი“ თითქოს მიუვალ ტყეშია და მწერ-ფრინველთა ჟრიამულში იყოს გართული ფიქრებით. უკვე შორსაა წარსული. მეგაზეთე ბიჭების ყვირილი აფხიზლებს. გაზეთს ყიდულობს. კითხულობს დახვრეტილთა სიას „ნეტავ იმ გვარს არ ამოიკითხავდეს“... შემდეგ ისევ ფიქრებს მიეცემა. მართალია, ადამიანმა იცის, რომ ძლიერი და უზარმაზარი ყოველივეს ანადგურებს... ყველაფერი წარმატებულია, მაგრამ გული ვერ ურიგდება ამ მწარე სინამდვილეს... კაციც ჭიაჭველასავით ისრისებო, – ხშირად მაგრამ... ის „კაცი“ მეგობრის გულისთვის, რომ მთელი სამყაროა ასკვნის ბოლოს. რეკოლუცია იმარჯვებსო.. ბოლშევიკებმა დაამარცხესო.. „მაგრამ...“ მე... „მას“ ვინ იხსნის?! რა დააბრუნებს დაკარგულს?!

ბატონი გრიგოლი აქაც გადარჩენაში ეძებს თავის სულის ნახსაყუდს. კარები იღება. შემოდინ კაცი და ქალი. „ვამას“ ერთხმად ამოხეთქავს დარბაზიდან მჭექარე ქუხილივით. მაგიდებიდან ყვირიან დახვრეტილი გვეგონეო. მთელი კაფე ფეხზე დგება. ეგებებიან მას. ოღვა არჩიბაღდს გადაეხვევა და ერთად სხდებიან, ხოლო ვამეხი თავს ძლივს დაიხსნის პოეტებისგან. შემდეგ – არჩი!.. ვამეხ!.. „ძმური გადაჭდობა ყელი-ყელზე... ოღვა ქუდს მოიხსნის და აბურძენული წითელი თმით და სახეზე თითქოს მტვერითა და ქარით შეწუხებული დგას, მკერდი კი მისი ნადირივით სუნთქავს. არჩიბაღდს მის დანახვაზე თვალწინ წარმოუდგება გაშლილ არეში ნივგზის ჩრდილი. მოდის სიმწვანის ხვითოში. ქალის ტანის ალექვას და ელვარებას ხედავს... „ვაჟი ისუნთქავს მათრობელ სივრცეებს ქალის თვალებში“ ლხინი გრძელდება. ორკესტრი უკრავს. ვამეხ! აქ მატასი იყო, უცბად მიახლის არჩიბაღდი. „ვამეხ ავარდება, გარბის“... ვამეხი იმ წუთში ხმალი იყო ქარქაშიდან ამოღებული.

„სკვითების მენადა“ ასეთი იშვიათი მრავლისმეტყველი მეტაფორიული რობაქიძისეული შესატყვისი ქვეთავით გრძელდება თხრობა „გველის პერანგში“... არჩიბაღდი და ოღვა საუბრობენ...

ოღვა იხსენებს გუშინდელ სცენას. – „არჩი! რა წარმტაცია ივდითი ოლოფრენს რომ თავი მოჰკვეთა: ალბათ გაძღა მისი სისხლით“... ნეტავ რისთვის მეკითხებო გაჰკენწლავს არჩიბაღდს გულში. ოღვა აგრძელებს: ივდითს, რომ საქმრო ჰყოლოდა ნეტავ თუ მიიღებდაო უკან. მიიღებდა პასუხობს არჩიბაღდი, როგორც მტარვალის მსხვერპლს. მაგრამ თუ ივდითს ოლოფრენის ნაყოფი ჩარჩებოდა და იგი ვერ „გადმოენთხია“ მაშინ რა მოხდებოდაო?! ოღვას წარმოთქმულ სიტყვებზე არჩიბაღდს აგონდება მისი ამღვრეული თვალები და გაცემა შიშით: არჩიბაღდს ისიც აგონდება, თითქოს ქალი გააფთრებით – ნადირივით ხელებით თაიგულს სრესავს. არჩიბაღდი გაცებით შეეკითხება: ეს ყვაილები ხომ ვამეხმა მოგიტანაო, რატომ? რისთვის? რა ემართება ოღვას. უეცრად გაიფიქრებს: რუსეთი აიშალა, ეგებ ამან აშალა ოღვაც?! რაღაცა იღუმალებით მოცულმა ფიქრმა უკბინა: ვამეხ დავიჯერო, რომ ოღვასა და შენს შორის რაღაც იჭენეული მოხდა?!... არჩიბაღდს ოღვას ამდაგვარ დღეში ყოფნამ მოაგონა: დიონისო, რომლითაც ქალთა გუნდი ივსება, მაგრამ როცა ქალთა გუნდი დვთიურობით მთავარ დავიწყებას მიეცემოდა, მათ გასერავდათ რაღაც ნექტარი, რომლის ძალით ატეხილი ქალთა გროვა ისევ დიონისოს მიმართ კვილით მიექანებოდა. ოღვა შეადარა მენადას ატეხილს, ვინდა დაიხსნის ახლა მას?! ამ დროს თავად ოღვას გაშტერებული თვალი და გონი კი იხსენებს: ველებს, სადგურებს, „წითლებს“ „თეთრებს“.. და ამღვრეულ გაჩანაგებულ სივრცეს... მატარებელს აჩერებენ. ოღვა და ვამეხი გადახტებიან. მამაკაცები ოღვას დანახვაზე ნერწყვს ყლაპავენ. ვამეხი აფრთხილებს მას და ეუბნება: დაიუმნოვე ტანიო... ოღვამ რა ქნას... ვიდაცა აჩერებთ... ორივენი ჩემთან. გადამწვარია არე. ჯარისკაცები უაზროდ დადიან დაგლეჯილი შინელებით. წამოეწევიან ვამეხს ლაზღანდარობით. უეცრად გაისმა რუსულ ენაზე ვამეხის დამამცირებელი სიტყვა. ვამეხი ჯარისკაცს მიწაზე ანარცხებს... შემდეგ მეორე მივარდება, იმ-

ასაც იქვე დასცემს, იმას მესამე და მეოთხე იმ-
ნაირი მიჰყვება. ვამეხი საკადრისად უსწორდებათ..
ამ დროს ჯარისკაცები თოფებს მოიძარჯვენენ, მა-
გრამ წამსვე მათი უფროსი გამონჩდება და ყველას
თოფებს ძირს დააყრევინებთ. ვამეხი მიჰყავთ. და
სწორედ ვამეხის წამყვანი იმ ღამით ოლგას ულ-
ტიმატუმს წაუყენებს: ან დანებება, ან მისი თანმხ-
ლების – ვამეხის გაწირვა დახვრეტისათვის... „რათ
ირევა ქვეყანა?! სად მირბის სივრცე?! ქალი პირქვე
გდია. ვამეხის დახვრეტა?! არა... არა... მერე არჩი?!...
არა... არა... მსხვერპლი უდიდესი?! იყოს – თუ
დაიხსნის... ვიღაცას ჩუხული ესმის: „ერთი ღამე“
– თითქო სიზმარია... ქალი იმღვრევა... იღვენთება
– დრო სადღაა?! კარი გაიღო და გულასარევი –
საზიზღი ის „ვიღაც“ ეძახის: წამოდი! ქალი უხ-
მოდ მიჰყვება... „ღამე წყეული: დროიდან გამო-
ვარდნილი ხელშეხება: თითქო ასფეხას შეხება.
ლოშნა: თითქო გომბეშოს ღორწი: ჰაა, მეტი არ
ძალუქს“... ოლგა ბორგავს, ვერ ისვენებს, ახსენდ-
ება მოჩვენება სიზმარივით – „ერთი ღამე“ სიზმა-
რია. წაირეცხება, წყალი მოვარდება და წალეკავს
ხსოვნას... ნაყოფი? ამისთვის ექიმია გაჩენილი...
ქალობა შერყენილი?! ეს ხომ ძალაობა იყო!...
მერე თავსაც იმშვიდებს, რომ მას არჩიბადლი ყვე-
ლაფერს გაუგებს.. „მაგრამ მე რომ ვერ მოუკლავ?!“
ოლგა წამოვარდება. გადაიხედავს ფანჯრიდან და
ხედავს ქაშვეთის ქალწულს. გავარდება სასტუმრო-
დან და შედის ტაძარში. დადგება ღვთისმშობლის
წინ „არა: შენ ქალი ხარ! შენ გაიგებ! ვაჟისთვის
რაა ნაყოფი? არაფერი.. შემთხვევითი „განთავისუ-
ფლება“.. ქალისთვის?! იგი სისხლია.. იგი ხორცია..
მაგრამ მოძალადის ნაყოფი?! იგიც სისხლია: მა-
გრამ ბაღღმიანი. იგიც ხორცია მაგრამ შმორიანი...
უნდა ამოვაგდო?! ეხლა მხოლოდ სიტყვა ესმის
გაგუდული: წაბიღწული საშო!“ ფიქრებში იწვება...
ნეტავ არჩიბადლი იყოსო ცუდი, მაშინ უფრო მო-
ერეოდა თავს.. მაგრამ გადაწყვეტილება მისი მტ-
კიცვა, ასე სჯობსო ასკენის. რაღაცას ამზადებს, ეს
უთუოდ მომაკვდინებელი წამალია.. სასწრაფოდ

რადაცას წერს, ხედავს ქაშვეთის ქალწულს.. აღარაფერი აჩერებს მის ბოლო მოქმედებას. მხოლოდ ერთი სიტყვა აქვს ტუჩებზე შერჩენილი არჩი.. ბაღდ.. „აღლანს“ ჯერ აზმორებს, შემდეგ გარბის და ყეფს შეუწყვეტლივ, არჩიბაღდი ოღვას კარებზე აკაკუნებს. არაფერს უღებს და შეამტვრევს.. „ტახტზე ქალის ტანია გაშხვართული. თვალებზე ორი იის ფოთოლი გადაჰკრია ჩალურჯებული...სახეზე სიმშვიდე უკანასკნელი.. გულზე ვაჟის სურათი.. ხელიდან ბარათი დაუგდია..“ გაჩერებულა ოღვას გული.. მაგრამ ის არჩიბაღდის გულით აგრძელებს ფეთქებას.. ამ უკანასკნელსაც ამოსავარდნად აქვს გული გამზადებული. პატარა ბარათში გულსაკლავი სიტყვები სწვრია: „ვინ აიტანს მოძალადის ნაყოფს?!.. შანთები ამოსწვავენ საშოს.. ვინ გადალახავს გარდუვალს: ვინ მისცემს დავიწყებას ბილწის ცხელ დაღს?!.. ვინ მოსპობს მესამეს ორთა შორის გავლილს?!... ვერცერთი ქალი ნამდვილი... უმჯობესია სიკვდილი. „არჩიბაღდი მეორე ბარათიდან კითხულობს: „ვამეხს როგორ მივცემდი დასახვრეტად?! ვარჩიე „ერთი ღამის“ მიცემა მსხვერპლად“... ვამეხი ტახტთან დავარდება აქვითინებული: რად არ დამხვრიტეს მე უბედური, ვიდრე ასეთ სურათს წავაწყდებოდიო. ღამით კუბო მიაქვთ დახურული. ახლოს მიჰყვებიან ვამეხი ტაბა ტაბაი. მიდიან როგორც დამდურებულნი თავდახრილები. „მიდიან. მიაქვთ. ასე მიდიან დასახვრეტნი. ნაბიჯები ამ დროს გულს უთუთქავენ მიწას.“

ერთგან ამავე ნაწარმოებში თავად გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავს: ქალის გულს თავად ქალიც ვერ გამოიცნობსო, რაც ჭეშმარიტებაა!.. ყოველივე კი მას ათქმევინა ქართველი ქალის, კერძოდ ამორძალის ურთულესმა და უსპეტაკესმა ხასიათმა. ამ ხასიათის ხსოვნას იგი დაატარებდა ცხოვრების უკიდვებანო გამრიყავ გზებზე. აქედან გამომდინარე ამ შემთხვევაში არ გაძნელებია დაეხატა, როგორც თავადვე უწოდებს „სკვითების მენადას“ ოღვას შინაგანი სულიერი სამყარო და, აგრეთვე მის ურთულეს გრძნობებში ძირისძირობამდის ჩამ-

წვდარიყო.

გრიგოლ რობაქიძემ ყველასგან გამორჩეულად წინაპართა შეგვრძნების მგზნებარება უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. მის გენიალურ თხზულება „გველის პერანგით“ წარსულის ფესვებთან ასე ღრმად მიახლოვება კი, მხოლოდ ღვთისმიერი სიყვარულის ძალით თუ შეიძლება... თბილია ბაბუა სარიდანი და მისი ადგილსამყოფელი ფერსათის ღვთითკურთხეული ფერდობები და ზეცა... აქ გრიგოლ რობაქიძის ფიქრები ემთხვევა ბაბუა სარიდანის ფიქრებს: რამდენი გაზაფხული გამოუარია აქ, მაგრამ თითქოს ყველა ერთმანეთს ჰგავდა თუ არ ჰგავდა?! კითხვის ქვეშ აყენებს. თვალწინ ბალახი ამოდის, რომელსაც გულის ამოხეთქვა სურს. დედამიწაზე ველი ათქვირებულია, მზე კი მიწის მშვენიერებით გაღაღებული აზმორებს. თვალწინ შვილიშვილს – ვამეხს ხედავს, რომელიც კვიცს აურევებს. რაღაცა აკრთობს შორეული, ეს უკვე ახალგაზრდობის მოჩვენებაა. შორიახლოდან მატასიც მოდის, ბინული წყლით დოქი აქვს სავსე. ბაბუა სარიდანი წყალს თხოულობს... მატასი მის თვალში გაზაფხულია... „მატასი დოქს აწოდებს. მოხუცი მოსვამს – „ააჰ, რა ცივია“. ამ დროს თვალწინ გაუფლიან არჩიბალდი და ტაბა-ტაბაი, რომელნიც ვენახისკენ მიიჩქარიან. ბაბუა ვერ შეიძნობთ მათ, „დაიქცეს სიბერე“ სინანულით ჩაილაპარაკებს. არჩიბალდი თვალს ვერ აშორებს წინ მიმავალ მატასის... „სადღაც სიღრმეში რაღაც აეშალა: როგორც წყაროს თვალი ამომშრალი – წყაროს ტანიდან „...მოხუცი ბაბუა სარიდანი მატასის დანახვაზე კი თავის მზეხას იგონებს: „თავის ცოლს გარდაცვლილს“.

არჩიბალდი და ტაბა-ტაბაი მატასის ქებაში არიან. თვალწინ მოზრდილი ხვლიკი გაირბენს... „ხვლიკისფერი“ თვალები ფათურობენ – (ოლგა აგონდება)“... ისინი საუბარს განაგრძობენ, იმის შესახებ, რომ ყველაფერი ცვალებადია. არის რაღაც ხელშესახები ზოგჯერ ამ ყოფიერებიდან, თუნდაც სიცოცხლის ტკბილი წუთები „ამ წუთში არჩიბალდს ოლგასთან გატარებული დრო უდგას თვალწინ „-

ხელშეუხებებიც ტკბილია... თუ შეიგზნე“. არაფერი არ ქრება. „ერთი“ „სხვაში“ გადავა... მაგრამ ის „სხვა“ ხომ არ იქნება პირველი?! – „ისიც“ იქნება... ამაშია ყველაფერი მოქცეული – ძნელი საგზნობია“ ...არჩიბალდი უეცრად უცნაური შეკითხვით მიმართავს ტაბა-ტაბაის: გველი გველს თუ ჭამს ან თუ ყლაპავსო?. არა გველი პერანგს იხდისო იყო პასუხი.

ნიშანდობლივია, ბატონ გრიგოლისაგან ასეთი შეკითხვით მიმართვა გაურკვეველი ეროვნების კაცთან, როგორც თავად უწოდებს მის პერსონაჟს – „სპარსი თუ ჰინდუ თუ ეგვიპტელი“ და მეორეც ბოროტების სიმბოლო – შხამის მფრქვეველი არსებანი ერთმანეთს არ ჭამენ, ისინი დროის გარკვეულ მომენტში პერანგს იცვლიან. ე. ი. საკუთარ თავს ტოვებენ რიყეზე თუ ქვაზე... „პერანგი გველად მოცმია მეორე გველს: მეორე გველად. მზე გადახრაზეა: აცხუნებს. გველი ზმორებაა – თვლემაა – მოქნარებაა... რის?! ნუ თუ მზის – გაზაფხულის მზის?! ზმორებაში – მოქნარებაში – თვლემაში: გველი თავს ივიწყებს – რაღაცას სტოვებს უკან ქერქს თუ იცვლის. „განვლილს“ თუ სტოვებს: განვლილ სიცოცხლეს“. ტაბა-ტაბაის ცქერაზე გველი თითქოს ბრაზდება: სივილს უმატებს, ტანს უფრო აწვალავს, ტორტმანებს, მიწას დორბლს ანთხევს. კვლავ ატორტმანდება და პერანგი შუამდე სცილდება. შემდეგ გაიწევ-გამოიწევს. ერთი უეცარი მოძრაობა და ხალასი ტანით მეორე მხარეს გავარდება. პერანგს ტოვებს. ტაბა ხელში ათამაშებს პერანგს – ქერქს ხრტილოვანს, თითქოს უღამაზეს სიმდიდრეს – „ხედავ?! გველმა თავის თავი დატოვა: მოიხსნა და დააგდო. აქ არის სიბრძნე“... და ამის შემდეგ ავტორი ასკვნის: ისე უნდა უცქერდე საკუთარ წარსულს, როგორც გველი უცქერს საკუთარ პერანგს: გახდილსა და დაგდებულს, სიცოცხლის ატანა მხოლოდ ამ გზით თუ შეიძლებაო. აქ ხდება კიდევ უცნაური რამ: მოულოდნელად ტაბა-ტაბაი არჩიბალდს გველის ქერქს ყელზე შემოახვევს. არჩიბალდს შიში აქვს გველის, მაგრამ

ამ წუთში აღარც შიში და აღარც ზიზღი მისგან არ ჩანს: „დგას უაზროდ და გაშტერებით მეგობარს უმხერს. ხშირად სიზმარეული თავის სხეულს აღარ გრძნობს – (თითქოს სხვისია იგი). არჩიბალდ ასეთს სიზმარეულს ჰგავს“

არჩიბალდი თითქოს გველის პერანგით მოჯადოებული ახალგაფოთლილი ნიგუზის ჩრდილში ზის, მზის სხივები მაღამოდ ეფინება მწვანე მოლს, ყოველ ცქერასა და გაფიქრებაში მატასი უდგას თვალწინ, რომელსაც ავტორი საირმის მთის ნიამორს აღარებს. ბაბუა სარიდანი კი ტაბა-ტაბაის ტყის დედოფლის ამბავს უყვება; მოჯადოებული უხმენს ტაბა მოხუცს და ისიც ნელი თხრობით გადმოსცემს, თუ როგორ შეიტყუებს „ტყის დედოფალი“ თავის ქსელში მონადირეს, რომელსაც ეს უკანასკნელი ღამაზე შველს ახვედრებს. მონადირე შველს თოფს ვერ ესვრის, იგი უკვე მოჯადოებულია... „ქალი პირობას უდებს: მოკვდავ ქალთან არ შეცდეს. და ასე: ქვევით და ქვევით: სულ ახალი და ახალი ჯადო და ხვითო ავხორციანი ვნების“. ყოველი ამბის დამთავრებისას ბაბუა სარიდანი: „გააპურტყებს და დაატანს: აბაა“.. იქვე მყოფი ვამეხი უცნაურად ეკითხება: ბაბუა თუ თავად გინახავსო ტყის დედოფალი?! მინახავს კი არადა ორჯერ პირისპირ შევხვდიო... ერთხელ ნადირობაში ბედი დამიკარგაო და მეორედ მგელი შემახვედრაო, რომელსაც თოფი დაუშმიზნე და არ გავარდაო, მაგრამ ხელდახელ მივარდი და გაბრაზებულმა გავგუდუო. არჩიბალდი და მატასი სასეირნოდ წყაროსკენ მიდიან: „მარცხნით ღუშა ტყე „საირმესი“ მარჯვნივ: რიონის დიდი ველი – ყვირილას ჭალები – ხანის ხეობა. ყველგან მზე: ფერსათის მზე – ნელი ხვითო მეწამული“... (როგორი დამთხვევაა, მთის პატარა სოფელ ბაბოთიდანაც, სადაც მე დავიბადე, სწორედ ასე საოცრად მომხიბვლელად სჩანს ზემოთ ჩამოთვლილი სანახები).

არჩიბალდი მატასის – წყაროს თვალს ადარებს, რომლის დანახვა ახლა უდიდეს ბედნიერებას ანიჭებს. ამ დროს წყაროსთან შავი უნიშნო

ხარი მოჰყავს მწყემსს, ხარი ეწაფება წყაროს და ნახევრამდე სცლის წყალს, მატასის კი წყლის დაღვევა უნდა, მაგრამ როგორ ჩაუწვდება ნახევრამდე დაცლილ წყაროს? ამ დროს უნებურად ხელები უკან მიაქვს, ეს ხელები ეხლა არჩიბალდს უჭირავს, მატასი წყაროს დაწაფებული ხერკის ისე, რომ პირზე შეხეფები ესხმის თურმე, სისხლი აწვება. ამიყვანეთო ჰყვირის. არჩიბალდი მატასს გულში იკრავს, ჰკოცნის უსასრულოდ – თავდავიწყებით. არჩიბალდს მატასის კივილი გამოაფხიზლებს და ხელს უშვებს. შემდეგ წყაროს მოხედავს, როგორც შავი ხარი უნიშნო... „არა: მე ძრომდე დავცალე წყარო – ეხლა წყაროს თვალი მოჩუხჩუხებს მარტო“... (ამას ვინ ამბობს არჩიბალდის პირით?!)... აიხედავს ზევით მატასი არ სჩანს. მხოლოდ ახლა ერკვევა. „რა ჩაიღინა?! ღმერთო!“ ფიქრებს ჭრელი გველი უსერავს. მაგრამ შორს – სქესის ფსკერზე რაღაც იშმუშნება იმედიანი: „თვითონაც ხომ დანებდა“. (ვინ დანებდა?! მატასი?!). არჩიბალდი უკან ბრუნდება, ყველგან ბავშვების ტკბილი სიმღერა მოისმის: „ოდელია-რანუნი“ და ახლოდან უსმენს როგორ უმღერიან ლაშხის გოგოს – მატასს. თავად კი ერთი ფიქრი აწუხებს როგორ შეხვდეს მატასის და როგორ შეხედოს ვამეხს? ხედავს საირმეს როგორ ადგას თავზე მზე ხვითოდ. ხვითო კი მისი „ნატვრის თვალია“. ფერსათის მზე მას არ გაიმეტებს (მეც ვეთანხმები. მას არასოდეს არ გაიმეტებს ქართული ზეცა და საირმის მთები!). არჩიბალდის სისხლი ცეცხლია ირუბაქიდის. იმ საღამოს მატასი ცუდად ხდება, ბაბუა სარიდანი – ამოყოლილიაო ასკვნის, წყაროზე რომ წავიდაო იმიტომო, დედა კი მას წყალს უმზადებს დასაბანად. არჩიბალდის თვალს არაფერი გამოეპარება, ჩუმად ადევნებს თვალს მის ყოველ მოქმედებას, „მატასი ერთი გზნებაა – (ტანია ერთი გზნება): ვიღაცამ შელახა წყაროს თვალი თავანკარა. მაგრამ წყარო სიტკბოს გრძნობს უჩვეულო ამღვრევით“... (არჩიბალდი აქ ცეცხლი და მონატრებაა ირუბაქიდის). გავაზის თვალს ადარებს საირმის მზის მეწამულ თვალს, ეს თვალი კი ხარ-

ბად გაჰყურებს ჩვენი საყვარელი რიონის ველს, ყვირილისა და ხანის ჭალებს. ეს მატასი არის – ლაშხის გოგო – ვამეხის დაო ამბობს ბოლოს. იმ ღამით კი არც არჩიბაღდს ეძინა და არც მატასს.

რომანში თხრობა გრძელდება: მაყაშვილის ნამოსახლარის გვერდით დუქანია. აქ ჰყიდიან: მარილს, ნავთს, ჩითს, ასანთს საპონს და სხვადასხვა წვილმანს. სოფლელებიც აქ იყრიან თავს ახალახალი ამბების გასაგებად. დუქნის წინ კაჭკაჭი დახტის, რომელსაც კაცები საღაყბოდ რამდენიმე სიტყვას ასწავლიან. აქ არის ალექსია ჭიკარტუღაც, რომელმაც პირველმა ვამეხს და არჩიბაღდს მოუყვა ნამოსახლზე მაყაშვილის ჩამოსახლების ამბავს. სოფლელებში სიკო ზის და კითხულობს: ვინაა ის კაციო დუქნის გვერდით მოშვებული თმითა და წვერით რომ მოდისო?! მგონი ევროპელი უნდა იყოს დაასკვნის თანვე. უცხო კაცი კი სმენადაა გადაქცეული ყველაფერი ესმის მათგან ნასაუბრები. ბასკიო ასე უნობს. ლაპარაკში ნანია ერთვება: – სამტრედიიდან რომ მოვდიოდი, ეს კაცი მატარებელში ვნახეო, რიონის სადგურს რომ მოუახლოვდით, საწყალი ფანჯარას გადაეყუდა და ტირილი მორთოო, მატარებელს გაჩერებაც კი არ აცალაო, სადგურში უეცრად გადმოხტაო და აქეთკენ გამოიქცაო, გზაზე კიდევ ვილაპარაკეთო. ცოტა ქართული ცოდნიაო. ცოტაც დავიწყებიაო. როგორ ქართველი ხომ არ არისო დაეჭვდნენ თანამოსაუბრენი. გზავრი მოხუცი ხანდახან მათკენ იხედება. სოფლელები ხმას დაბლა უწევენ. მოსაუბრეებს სიკოია არწმუნებთ, რომ ეს კაცი მინახავსო. ნეტავ თბილისქალაქში რა უნდოდაო, მითხრა შვილი მეგულება თბილ ქალაქშიო...

„თამუნხო – (ეს ბასკური სახელია თამაზის) – მიდის ნამოსახლისკენ. ხარია მართლა: დარქენილი – რქამოტეხილი – თვალებამღვრეული – ღონემიხდილი. ფიქრი – ფიქრი – ფიქრი: მძიმე და ურკვევი... „გაცუდდა ყოფა“ – (ამას თუ ფიქრობს). ხარს დიდრონი თვალები ესველება – (ცრემლები?!)... თამუნხო შედის ნამოსახლში – (გალახული

ხარი ფარეხში ბრუნდება უგუნებო)... თითქოს წინაპარი აღსდგა და ეხლა ნამოსახლს დაჰყურებს ათასი წლებიდან... თამუნჩო მართლაც მუხაა ამ წამს მაგარი, კიდურიდან კიდურამდე... ერკვევა ათასი წლების ბურუსიდან და ძე აგონდება თავისი: არჩილ (არჩიბალდ)... ბურანში ნაკვერჩხალი კიაფობს... ხარბად ისუნთქავს „საირმის“ ჰაერს... შემდეგ ისევ ბურანი“... ვერ ისვენებს ის ბასკეთში, თავადაც ბასკად მონათლულია ეხლა, ერთადერთი შვილის ძებნას სტამბოლამდე მიჰყავს, იქ ლაზებს გაეცნობა და ბათუმამდე მოდის და აჰა რიონის სადგურიდან საირმის ცქერამ გული საგულედან ამოუგდო. თამუნჩო მიდის ახლოს საჯვარესთან, ხის ტოტი ძირს დაშვებულა. ფოთოლს აცლის და კოცნის.

იშვიათი თანხვედრაა ჩვენ-ჩვენი სულთა მონატრებისა, ჩემივე ფიქრ-გრძნობებითაც ეგრეა: დვთის წყალობით, საირმის მთები თითქოსდა ფანტასტიური ხატების მსგავსად ჩამოჰყურებენ ჩვენს სოფლებს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, რომელთა წინაშე დაჩოქილმა უნდა ილოცო. მიეახლები, თუ არა, ტირილი მოგინდება – ხევ-ხუეებში მზით სხივჩა-შუქებული ნისლების შემხედვარეს და ამავედროულად ზეცისა და მიწის ურთიერთტკბობის სიდიადით აღტკინებულს.

თამუნჩომ ერთი ღამე უნდა გაათიოს აქ. უკანასკნელი ფიქრი მაინც შვილია მისი. „სძინავს თავის ნამოსახლზე თამუნჩოს. თვალებზე შეშრობია ორი დიდი ცრემლი თითქო გასრესილი ისრიმი ქართული ვაზის“...

არჩიბალდი კი იქარის, ტფილისში დაბრუნება უნდა, იქედან სპარსეთში უნდა გადავიდეს სადაც „ანგლიჩნები“ ელოდება, ბაბუა სარიდანი სულ ამ ტერმინს ხმარობს. ნეტავ სად არის ეხლა თამაზიო ამბობს სარიდანი. არჩიბალდი მოთმინებიდან გამოდის, „აღლანს“ აიყოლიებს და მიდის მიდამოებისაკენ... სერზე ისევ მატასი როგორც „საირმის ნიამორი“ სად არის ვამქს?! კითხულობს არჩიბალდი – ისევ ნამოსახლზე.

გიგოს ღუქნის წინ რაღაც ხმაურია. ვამეხი

ჩოხაში გამოწყობილა, სოფლის ბიჭები ხმაღს უსინჯავენ. „მჭრელი უნდა იყოს“ ამბობს ახალგაზრდა. ვამეხი ხმაღს მიაწვდის, მოსინჯეთო კოპიტის ხეზეო ეტყვის. თავად დუქანში შედის. შემოჰკრავს ახალგაზრდა ვაჟი ტოტს, მაგრამ შუამდევ ვერ გაჭრის. კიდევ რამდენიმე ვაჟი მოსინჯავს ხმაღს მაგრამ ტოტს ვერ გადაჭრიან. უცებ უცხო კაცი გამონდება საიდანღაც. ეს კაცი (თამუნჩოა?) – აბა მომეცითო ხმაღი... და მოხუცი ახალგაზრდად გადაიქცევა. წელში იმართება, მკლავებშემართული დასცხებს კოპიტის ტოტებს და თვლა აღარ აქვს იმდენს ჩამოჰყრის უეცრად. ვამეხი დუქნიდან გამოსული უყურებს ამ ამბავს და თავისი თავი გაახსენდა, იქ სპარსეთში – როცა არჩიბაღდის თვალწინ ტოტებს ცელავდა იმავე ხმლით. მოხუცი ერთი წამით შეისვენებს და დახედავს ხმაღს. ხმაღზე კითხულობს: „ირუბაქიძე“ და უკვე იგი თავის თავს აღარ ეკუთვნის „ტვინში ცეცხლია, მარტო“ სიგიჟე მთელ სხეულში უჯდება. ვერავინ და ვერაფერი დააცხრობს და დაამშვიდებს მას. აქ უკვე თამუნჩო და ვამეხი ერთმანეთს ერკინებიან. ვამეხის დანახვაზე, ხმაღმომართული თამუნჩოს ხელი ძირს ეშვება. „ხედავს თავის თავს ახალგაზრდობაში. მოჩვენება ხო არაა?! არა: იგია – იგი: თამაზი ახალგაზრდა. ეგებ ორეულია მისი?!“ ვამეხი და თამუნჩო შეტაკებისას თხრილში გადავარდებიან და ხმაღზე ორივენი მსუბუქად დაიჭრებიან. ვამეხს სოფლელები სასწრაფოდ დახმარებას აღმოუჩენენ, ხოლო მოხუცს არჩიბაღდი წამოაყენებს და ეს უკანასკნელი ნამოსახლისკენ მიიწევს, არჩიბაღდიც მიჰყვება მას. მოხუცს აგონდება, რომ მასთან მოპაექრე ვაჟს ყურთან ხალი შენიშნა, მისი სახე თვალიდან არ შორდება. არჩიბაღდი მოხუცს უკოცნის მაჯას, მკერდს. თამუნჩოს სიცხე უკლებს. არჩიბაღდი მოხერხებულ დროს მედალიონს გადაუხსნის მას, მოხუცი ჰკივის: – „შვილო... შვილო.. არჩილ...არჩიბაღდ“, ამ მომენტს ვამეხი სარკმლიდან ჩუმად თვალს ადევნებს. მოხუცს აღარ ახსოვს არც სიცხე, არც ავადმყოფობა, წამოვარდება და უსას-

რულოდ კოცნის შვილს, ორივენი იცრემლეებიან. „იცრემლება კედელს აფარებულიც“, – ეს ვამეხია. მოხუცი ვერ ისვენებს, ისევ თვალწინ მორკინალი ვაჟი ელანდება. არჩიბაღდს ეკითხება ვინ არის და სად გაიცანი ის ვაჟიო. ისიც პასუხობს: სპარსეთში გავიცანი და ლაშხის ბიჭიაო, მამის სახელი არ ვიცი და დედას ნინო ჰქვიაო. ამას ყველაფერს ისმენს თავად ვამეხიც. მოხუცი ყვირის: მომგვარე ჩემი შვილიო. არჩიბაღდი კარებს გამოაღებს და ხედავს: ვიღაც მიდის ჩქარი ნაბიჯით. ჰო, ეს ვამეხია ასკვნის. აქ რა უნდოდა?! ამ იტყვებით შეპყრობილია არჩიბაღდი და უეცრად მამა საშველად უხმობს: ვისუთებო... ხვალ მომიყვანე ვამეხიო. მერე მიუბრუნდება არჩიბაღდს: ეხლა ხომ გაიგეო ვინ ხარ შვილო და კვლავ უკოცნის მსრებს, გულ-მკერდს. „ირუბაქიძე“ არის პასუხი და ორივენი იცრემლეებიან. – „მცივა შვილო!.. გაიხადე .. ჩემთან დაწვი.. მომეკარი მკერდს.. გამათბე შვილო“.. არჩიბაღდი წვება მასთან და განაგრძობს სპარსეთში ყოფნისა და მოგზაურობების ამბების მოყოლას. „ხედავს პატარა სპარსს მტირალს: ბეხან! ბეხან! და სპარსელის წინ ბეხანი აღარ იძვრის“.. უეცრად რაღაც ცივი მოხვდება არჩიბაღდს. – მამა ყვირის ვაჟი. – მამა! მამა!.. მაგრამ მამა აღარ იძვრის“.

სოფლელებმა მესამე დღეს ისევ გიგოს დუქანთან შეკრებილებმა გაროცებულებმა დააზუსტეს მოხუცის – თამუნხო მაყაშვილისა და არჩიბაღდის ვინაობა, რომ ისინი მამა-შვილნი ყოფილან. არჩიბაღდმა თავად გაუთხარა მამას საფლავი და მიაბარა წინაპართა საძვალეს. იმ დღიდან მოყოლებული მისი ფიქრები ვამეხზეა შეჩერებული. ცრემლი გამშრალი აქვს, უკვირს იმ საშინელი დღიდან (მოხუცისა და ვამეხის შერკინების) დღიდან ვამეხი სახლს რატომ აღარ ეკარება. „სად არის ვამეხ?! შერცხვა რომ ნახეს: ყურს რომ უგდებდა კედელს აფარებული?! შეიძლება.. მაგრამ ამისთვის არა.. ტკივილი იგრძნო რომ შეება მოხუც (მამას)?!.. თითქო მიაგნო არჩიბაღდის ფიქრმა: ვამეხმა მამა იხილა.. სხვა მამა.. როგორ შეხედავს დედას?! ჰაა:

აქ არის ალბად ძირი.. ვამეხ ქალწულის ბუნები-
საა“. არჩიბალდი ფიქრობს, ვინაიდან ვამეხი მამის
შეხვედრაზე ამდენად შეირხა, ალბათ გაუჭირდება
მას თავად – როგორც ძმას შეხვედეს. გადაწყვი-
ტავს: მის უმისოდ წასვლას, ემშვიდობება მამის სა-
ფლავს. შემდეგ ჩამოივლის ყოველ საფლავის ქვას,
ხეებს, მინგრეული სასახლის კედელ-ფიჯრებს, მიდ-
ის ნიგვზის ძირთან, დაიხრება აიღებს მიწის ნატქესს,
გაახვევს და უბეში იღებს. არჩიბალდი წინაპართა
მოგონებებით ივსება: მამით, წინაპრით, გვართა და
მამულით. არჩიბალდი უეცრად ნიკოს ბავშვებთ-
ან მოთამაშე მატასის შენიშნავს, რომელსაც თავი
ყვითელი თავსაფრით შეუკრავს, ფეხშიშველას
წვივები მზის კალოზე აქვს ალეწილი.. „ტანი ზვინს
ეტმასნება: თითქოს იგიც სიმინდის ყანის ნაყარია
– ათქვირებული ტარო: დიდი და მაგარი – ტარო
საქართველოს ველების. ზვინი ყვითლად მოსჩანს
მწვანე მიდამოებზე“... აივანზე ადის. ბაბუა სარი-
დანს ნახულობს. ეს უკანასკნელი დანანებით ამ-
ბობს: საწყალი თამაზი ნეტავი მენახა.. არჩიბალდს
მიუბრუნდება და ეუბნება: რატომ არ მითხარი თუ
მისი ვაჟი იყავიო, არჩიბალდი პასუხის მაგიერად
სარიდანს გადაეხვევა. არჩიბალდს გული ეკუმშე-
ბა... წერილს სწერს ვამეხის სახელზე და უდრეკი
გადაწყვეტილებით მიდის... „არჩიბალდის გადაწყვე-
ტა სხვაა“... არჩიბალდის წერილს ვამეხი და მატა-
სი დილით მაგიდაზე პოულობენ. ვამეხი კითხუ-
ლობს: „უყვარს ვამეხ.. ძმა არის მისი ვამეხ. უყვარს
ბაბუა სარიდანი.. ყველა უყვარს მისიანი. უყვარს
„საირმე“. უყვარს მშობელი მიწა... საცა მამა მიაბა-
რა უკუნეთს“... ვამეხი ფიქრობს ნუთუ მამა მოკვდა?!
ვამეხი საჩქაროდ მატასის თხოვს, რათა ცხენით
დაედევნოს არჩიბალდს და მოაბრუნოს გზიდან.
მართლაც ცხენზე ამხედრებული მატასი წამოეწევა
არჩიბალდს და – „არჩიბალდის ნება უკვე აღარ
არის ქვა? ეხვევა თვითონაც მატასის, ათრობს სურ-
ნელი „საირმესი“ – (მატასი ნიამორია „საირმეს“
მთებიდან). ათრობს სურნელი დაწურული მტევნის
(„მატასი თვითონ არის მტევანი“)“... მატასი ეუბნება:

რომ ვამეხი დაბრუნდაო... და მანვე, რომ სთხოვა არჩიბალდს დადევნებოდა გზიდან მოებრუნებინა. არჩიბალდი პირს იბრუნებს „საირმისაკენ“. უსიტყვოდ მიყვება მატასის. უბიდან რაღაცას იღებს, გველის პერანგია. „არჩიბალდი გველის პერანგს აკვირდება – თავის თავს ხომ არ ხედავს: წარსულს – გარდასულს – მოცილებულს?! ეზოს თავში ვამეხი უცდის... კიდევ მატასის და კიდევ...“ სამწუხაროდ თამაზი ვეღარ იხილავს ძმების ერთმანეთზე გადაჭდობას!..

ერთხელ კიდევ გამახსენდა: გრიგოლ რობაქიძის მიერ წაკითხული ჰამადანში ხვლიკისფერ ქვაზე ამოჭრილი სიტყვები: „ვითარ მიყვარდის უმეტეს მზისა და უმეტეს ხმლისა“... მან უგენიალესი მოკრძალებითა და მგზნებარებით შეძლო ევროპა-აზია მოვლილი „ირუბაქიძეთა“ გვარის – მამა-შვილთა კვლავ ასეთნაირი თავმოყრა, იმ ადგილას, სადაც პაპათა საძვალე ელოდებოდათ. მას უიშვიათესი მჭერმეტყველებით აქვს გადაწყვეტილი, ის რომ, მამულისადმი სულის ღტოლვას დრო და მანძილი ვერასოდეს დაანელებს. მან თავისი ფიქრ-ოცნებით მივიდა სწორედ იქ, სადაც მისი გვარ-ჯილაგის ძველი თაობის ახლით შევსება კანონზომიერად გრძელდება (ღვთის წყალობით დღეს რობაქიძეთა გვარი ბაღდათისა და თერჯოლის რაიონებში საკმაოდ არის გამრავლებული).

ბაბუა სარიდანი შორით გასცქერის „საირმეს“, და თან მის ახლოს მდგომ პატარა თაზიკას აჯავრებს, რომელსაც ჯერ თავისი გვარ-სახელის სწორად გამოთქმა უჭირს – ი... ლლუ... ბა.. ქი.. ძე.. ძლივს ამბობს და თან ბაბუას მუხლებთან ეთამაშება... მატასი ორსულადაა და შვენის დაქალება. ბაბუა სარიდანი საღამოუამს მზის მეწამული თასის ჩასვენებასთან ერთად მიიცვლება.

გრიგოლ რობაქიძემ რომანში „გველის პერანგი“ ჭეშმარიტად შეძლო მთელი თავისი „განვლილი“ ცხოვრება ყოველგვარი ყოფიერებითა და სახესხვაობით ჩამოეშორებინა და მის მაგივრად ახალ-თახალი – ხალასი სიცოცხლით ავსებული, დაბ-

რუნებულები წინაპართა მიწაზე. ეს მის სულიერებაში მოხდა დღეიდან დაახლოვებით ერთი საუკუნის წინათ. იგი ალბათ, დღესაც თავისი უკვდავი სულით აქ, ჩვენთან ქართულ ზეცაში – საირმის მთებსა და ფერსათის ფერდობების მიღმა ტრიალებს (მჯერა, ჩემი დიდი სურვილ-ოცნება ახდება და ბატონ გრიგოლს ადრე თუ გვიან საკადრის პატივს მიაგებს ქართველი ერი).

დაბოლოს, რომანით „გველის პერანგი“ გრიგოლ რობაქიძემ დაადასტურა, რომ მისი არსობის, ყოფიერების და უკვდავების თავი და ბოლო – იყო, არის და იქნება: „მამაზეციერი“, „მამული“ და „მამა“.

ფ ა ლ ე ს ტ რ ა

გრიგოლ რობაქიძეს რომანი „ფალესტრა“ დაუსრულებელი დარჩა, რაც მოასწრო და თხზულების სახით დაგვიტოვა, მეტად შთამბეჭდავი და საინტერესოა არა მარტო ქართული სიტყვიერების მხატვრული კაზმულობით, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით. მან ამ რომანით თითქმის მსოფლიოს ამცნო, რომ უკვდავია ქართული სულიერება და მასთან ერთად ქართველი ქალის განუმეორებელი კდემამოსილება.

რომანი იწყება კინორეჟისორ ადოლფ უნგარის ფიქრებით: იგი მიესაღმება ახალგაზრდა ვაჟკაცის სხეულში მწიფობის ხანის გაგრძელებას, მით უფრო თუ ეს ხანა ნადირის ჯამრთელობით მიდისო. მას თავად კი ეჩვენება, რომ სირაქლემას კუჭი და არაბული ცხენის გული აჩუქა ღმერთმა. რაც მთავარია არ ეკარება მოდუნება, მისი ტანი დაქნილია. იმდაგვარად აქვს დახვეწილი ძარღვები, შეუძლია რამოდენიმე მილზე გადასცუროს მდინარე. აი ახლაც, როცა ავტოს – ამ ლითონის „მწვანე მუდოს“ მართავს, დაძაბულია სიმარჯვით. მას ერთმა ღამაზმანმა: „ინგლისელი ღორდი შოფრის რელიეფით“ უწოდა.

ადოლფ უნგარს ქალაქში მანქანით სიარული დიდ სიამოვნებას ანიჭებს. გულისყურით ათვალიერებს ქალაქის ქუჩებსა და ქუჩაბანდებს, ხიდებსა და ვიადუკებს, მეტროს ხვრელებს, სადაც ლითონის მხეცები შიშინებენო. ასე ამბობს „ომნობუსები – გახელებული პოლიპებიან და „ტაკსები“ გაქანებული ლითონის ჭიანჭველების წერტილებიო“. ახსენ-

დება ერთი პოეტის სიტყვები, რომელმაც ქალაქის რიტმები „მექანიკის მაღიარიას“ შეადარა. „ხედავს იგი მრავალსართულიან სახლებს, ეკლესიის გუმბათებს – და ჰგონია: თითქო უზარმაზარი ხომალდები დაყუდებულან ოკეანეში. ქალაქს ნისლი დასწოლია – და ელექტროს ღვარებში გაღეშილი იგი მართლაც ოკეანეს წააგავს განათებულს (თუ ატეხილ ლებიათანს?)“.

ადოლფ უნგარი ავტოს დაატარებს ქალაქში, რათა მას უყვარს ხალხთა უწყვეტი მასსა. ბევრი კი ფიქრობს, ეს მასსა – ანგრეული ბუდეებია ჭიანჭველების. თავად უნგარი ჭიანჭველობაშიც სიამეს გრძნობს, რათა ამ დროს სცილდება საკუთარ „მეს“ და ჭიანჭველის ინსტიქტით მიიკვლევს გზას. ამდაგვარად, როცა შოფრობს, საკუთარი ძალის ტკობით არის კმაყოფილი. მისი შინაგანი „მეს“ ფიქრებს კი შორიდან უცქერის. უცაბედად ქალაქის ერთ სააფიშე სვეტზე თვალი გაექცევა. სურათზე: ცხენს მიაგვლევებს თმაგაშლილი ქალი. პლაკატს კი დიდი ასოებით აწერია „ფალესტრა“. ადოლფ უნგარ ფილმს ამზადებს ამორძალთა ცხოვრებაზე. სწორედ მათი დედოფალია ფალესტრა. დედოფალი ომისთვის ემზადება ალექსანდრე მაკედონელის წინააღმდეგ – მცირე აზიაში. „მზადაა ყველაფერი. ტანმკურივი ქალები იღესებიან“. ამორძალთა დედოფალს გუნება ეცვლება. მზისებრ მოენტება სახელი მაკედონელის – უძლეველი მხედრის, რომელიც წარმოიდგინა ბუცეფალზე შემჯდარი, როგორც მზის შვილი. დედოფლის გული ფეთქვას იწყებს – მისი ნდომით. იგი შეუთვლის ალექსანდრე დიდს: „მსურს ვიქმნე შენგან ორსული“. ამორძალები ამხედრდებიან, მაგრამ უდრეკია ნება დედოფლის... მაკედონელი მიემურება დედოფლის მიმართ... ადოლფ უნგარისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მათი შეხვედრის გარშემო ფიქრია. ფილმისათვის მთავარი ეს უნდა იყოსო. ყველანი ნაპოვნი ჰყავს: შვიდასი ქალი, – მხედარი შვიდასი ცხენით – ყველა რასის და ყველა სტილის. მხოლოდ რეჟისორს გაუჭირდა „ფალესტრას“ – თვით ამორძალთა დედოფლის გან-

მასახიერებელი პიროვნება – ქალის პოვნა... „ქალი, რომელშიაც სრულყოფილია მთელი სქესი ქალთა და რომელიც ეომება ამავე დროს კაცების კლანებს. ქალი რომელსაც ვერ სძლევს სიყვარულით ვერა რომელი ვაჟი... რომელიც მხოლოდ ერთხელ უღალატებს ამორძალთა ადათს, რომ ქალწულური მკერდი უომრად გადაუხსნას ფილიპის ძეს... ასეთი ქალი ვერ მოუნახავს ადოლფ უნგარს“...

ავტოთი ქალაქში სეირნობისას უნგარს შემოადამდება. ხედავს: „შორიდან მოსჩანს კაფე როგორც უღალკვითელა თვალი იზიდასი“. უნგარმა ავტო შორიახლოს დააყენა და კაფეში შევიდა. სადაც იკრიბებოდნენ: არტისტები, კინოს რეჟისორები, პოეტები, მხატვრები და შემოქმედთა დასის დიდი წარმომადგენლები. მაგიდებს შორის მიმავალ უნგარს მზერას და ჩურჩულს გააყოლებენ. ერთერთ მაგიდასთან შეჩერდება: გააცნობენ მოსიე პელეტიეს. თავადაც ეცნობა: „პერრ უნგარ!“ ცოტა დამაგვიანდა ეუბნება პერეცს და თავადაც მიუჯდება მაგიდას. არაფერია, თქვენს მოსვლამდე ჩვენ სწორედ იმ საკითხზე ვსაუბრობდითო, რომელიც თავად გაინტერესებთ, რაც შეეხებოდა „ფალესტრას“ ამბავს. პელეტიე ძვირად მოლაპარაკე კაცი იყო. პეტერეცი – ისიც დამხვდური კაცი, საუბრის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ გაისმა ორკესტრის ხმა და ყურადღება იქეთ გადაიტანეს, სადაც ყველანი ჩარლსტონს ცეკვავენ. მეტად საინტერესო გამოდგა ქალ-ვაჟთა გახელებული ცეკვა. ისინი ერთიმეორეს ეტმასნებოდნენ, ქალებს კაბები მუხლებს ზემოთამდე უფარავდათ და გრძელ ფეხებზე ისეთ ქსოვილებში ჰქონდათ შემოსვეული, გეგონებოდათ სულ შიშვლები აქვთო. ეგ სიტიტვლე ალბათ დროის ნიშანიაო – იძახის პეტერეცი. – ეს როგორ? ეკითხება უნგარ. „ქალთა სიტიტვლე ეპოქის სტილს სახავს... არა, მოსიე პელეტიე?... ეს თქვენ ჩემზე კარგად უნდა იცოდეთ“... კვლავ განაგრძობს: „ეპოქის სტილი სენსუალობაშია, მაგრამ არა სრულ სიტიტვლეში...“ ისინი მთლად რომ გატიტვლდნენ, მერე ვინღა მიეკარება მათო? იცინის... და თავის

მოუწესრიგებელ პირის ღრუს ერთიანად აჩვენებდათ. ქალებმა იციან როგორ რა დონემდე უნდა გაშიშვლდნენო და ტოლსტოის აზრს მოიშველიებს ამასთან დაკავშირებით. უნგარს და პელეტიეს რაღაცის თქმა უნდოდათ, მაგრამ პეტერეც კვლავ პათოსით აღვსილი აგრძელებდა თხრობას: „უწინ ქალების სიტიტვლე ყელიდან იწყებოდა, ეხლა ფეხებიდან იწყება“... მერე ასკვნის: ყელიდან დაწყებული სიტიტვლე რომანტიზმით იწყებოდა და სენსუალობაში გადადიოდა, ხოლო ფეხებიდან დაწყებული სიტიტვლე ღმერთმა უწყის რას ნიშნავსო. ალბათ, ახლა ეს დროის ნიშანიაო: ყველა რეკლამაზე, პაპიროსის კოლოფზე, აფიშაზე, წიგნისა და რვეულის ყდაზე ტიტველი ქალის კანჭები და მუხლებია გამოსახულიო, ეს ყველაფერი კი სოციოლოგიურ კვლევას უნდა მოვკითხოთო. მერე სიტიტვლესა და ცეკვას სხვა მნიშვნელობაც მიანიჭა და თითქოს მოსწყინდა ერთიდაიგივეზე ლაპარაკიო და საუბრის თემა შეცვალა: არ არის მართალი ჰიპოთეზა, რომ ადამიანი წარმოიშვა მაიმუნიდანო.. მე მგონია თავად ადამიანი გადაგვარდა მაიმუნადო. და კიდევ იცინის... აბა რას უნდა მიეწეროს ის ამბავი, რომ ზანგმა შემოიტანა ეს ცეკვა ევროპაშიო ე.ი. „იგი კულტურა – გავლილი დეკადენტი... ყოფილა დიდი კულტურული ხალხი და ზანგებში გადაგვარებულა“. ბოდლერსაც კი გაახარებს იმ სოფლად ეს ჩემი მოსაზრება, რახან ის: შავკანიან მადონნას... თუ არ ვცდები, კიდევ უყვარდა. ასეთი... არა: ჰქონდა აპოკალიფსური ინტუიცია... წინასწარ იგრძნო ჩვენი ხანის სურნელი.. „ავ ყვავილებში“ ეს ყვავილიცაა უთუოდ: სენსუალობა შავკანიანის ავხორცობით... არა, მოსიე პელეტიე?.. საინტერესო ჰიპოთეზია, მაგრამ ძაფს ვერ ვხედავ“... გამოეხმაურა უნგარი, რომელიც თითქოს იმ დროს თავისთავს ელაპარაკებოდა. პელეტიე პაპიროზს მოუკიდებს და კვლავ განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ ახლა ზანგი უკვე ევროპას იპყრობს თავისი ცეცხლოვანი რიტმებით, მხატვრობით და ლიტერატურითაც კი. ბავშვებიც ყოველ კუთხეში ზანგურ

ცეკვებით ერთობიანო, მასაშადამე ევროპა ეწაფე-
ბა ზანგურს. პეტერეცს საუბარს შეაწყვეტინებენ,
რადგან მას ტელეფონზე მიიხმობენ. პელეტიე და
უნგარი საუბარს პეტერეცზე განაგრძობენ: „ახირე-
ბული კაცია ეს ჩვენი პეტერეც“... ამბობს უნგარი
„ღიახ, დიდი პარადოქსალისტია“. პასუხობს პელე-
ტიე. ბატონო უნგარ, შენ მოსვლამდე ჩვენ სწორედ
იმ თემაზე ვლაპარაკობდითო, რომელიც „ამორძა-
ლებს“ ეხებათ. „ამორძალთა საიდუმლოებანი ჩვენ
კარგად ვიცით, მაგრამ ერთი რამ გვაფიქრებსო, თუ
ამორძალებს ძალზე სწყუროდათ ვაჟთა სიყვარ-
ული, მათთან განცხრომის შემდეგ თავებს რისთ-
ვის ჰკვეთდნენო მათ. სწორედ ამაში არის მთელი
საიდუმლოებაო... შეეპასუხება უნგარი. ამ დროს
პეტერეცი უკან ბრუნდება და მათ აუწყებთ, რომ
ყველას მისტერ ლეიკი და მისი ჟანნეტი ეპატიუებო-
დათ ვახშამზე. უნგარმა პირობა მისცათ, რომ ერთი
საათის დაგვიანებით ეახლებოდათ. პეტერეცისა და
პელეტიეს წვეულებაზე წასვლის შემდეგ, ადოლფ
უნგარი მარტო მჯდომი თავისი მაგიდიდან ხარბად
ათვალიერებდა მთელ დარბაზს. „ხედავს: გრძელი
ფეხები ქალის, დაშვეტილი და მოქნილი: ფეხები
– თითქო ორი მწიფე ხილი... ფეხებზე ტუფლები
შავი აბრეშუმის... ადოლფ უნგარ თეძოებს ხედავს
ქალისას... „ჰაა, ამორძალი, ნამდვილი ამორძალი“...
ყოველი ნაკვეთი, ცქერა, ფერი ქალის პროფილი –
სიკუშტე ყველაფერთან ერთად თავისი სასიამოვნო
რასსა იხილა მასში. არა ეს შემთხვევა ხელიდან
არ უნდა გაუშვას. „მწვანე აბრეშუმის კაბაში ქა-
ლის ტანი თითქო მოქნილი ქვის ნაკვეთია ბადეში
გაკვალთული“... პირდაპირ ლითონად დნება მისი
ცქერით. ასეთი რამ ქალის ხილვისას უნგარს ჯერ
არ დამართნია. „უცნობი ლამაზის წინაშე ადოლფ
უნგარ „წახდა“. რაღაცამ იგრძნო მის არსში, რომ
ქალმა სძლია მას“. ადოლფ უნგარი ვერ გაერკვია
მის სადაურობაში. ჩამოთვალა ბევრი ეროვნება, მა-
გრამ არა, ფიქრობს ეს სხვა რასსაა. მის გვერ-
დით იჯდა ხმელი კაცი, მაგრამ მისი სკლინი სულ
სხვა რამის მოქმელი იყო. უნგარმა იფიქრა ეს კაცი

უთუოდ ამერიკელი უნდა იყოსო, კაცი ქალს შიგადაშიგ ესაუბრებოდა, მაგრამ ცხადლივ სჩანდა, ქალი მის ლაპარაკს ყურს არ უგდებდა. უნგარ ფიქრს აგრძელებს, ნეტავ ვინ არისო ეს კაცი მისი ქმარი, შვილი თუ?... მაგრამ ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ ქალი დარბაზში არავის ყურადღებას არ აქცევდა. მხოლოდ ჟურნალი აელო მაგიდიდან და გადაეშალა. უნგარი ცქერად გადაიქცა. სწორედ იმ ჟურნალში მეთხუთმეტე გვერდზე მისი ფოტოსურათი იყო, თან ფიქრობდა თუ მიცნო, ვერაფრით ვერ დამიწუნებსო. მთავარია სურათი ნახოსო. ეს ესაა – გადაშალა თურმე ქალმა მეთხუთმეტე გვერდი, იმასაც მიხვდა, რომ ეს სურათი უნგარის იყო, ერთი მოიხედა მისკენ და არაფრისმთქმელი სახით – სხვა მხარეს გაიხედა. უნგარი გაბრაზდა. უნდა ადგეს და მივიდეს, პირდაპირ უთხრას, რომ ეძებს ამორძალთა დედოფალს და სთხოვოს მას გამოვიდეს „ფალესტრად“, მაგრამ ვერ მოახერხა. მერე უცებ შეხედა, თურმე რომ მისი – „ამერიკელი“ საპირფარეშოსკენ მიდის, იგი სადარბაზო ბარათს სწრაფად ავსებს და გადაწყვიტა უნდა გადასცეს პირადად ქალს, მაგრამ სწორედ იმ დროს ბრუნდება „ამერიკელი“ და ქალს ეუბნება: „კავა, დროა წავიდეთ“-ო. უნგარმა ქალის სახელი გაიგონა, ესეც ბედნიერებად ჩათვალა. ისევ სწრაფად გაედევნა, როგორმე ისეთი მომენტი ჩაეგდო ხელში, რომ ბარათი ჩუმად მიეწოდებინა მისთვის, მაგრამ ბედმა არც აქ გაუღიმა. ქალი და „ამერიკელი“ ავტოში ჩასხდნენ. თავად უნგარიც ავტოს მიაშურებს და ახლა ავტოთი დაედევნებათ. მაგრამ დახეთ მის ბედისწერას, მათ წინ გადასასვლელზე შუცმანი მოძრაობას აჩერებს. უნგარიც შედგება ავტოთი. ისინი კი თავინთი ავტოთი გადაასწრებენ. „ადოლფ უნგარი გრძნობს: ბედისწერამ გაურბინა გვერდით და მხრები აუწვა“.

მისტერ ლეიკი სამუშაო მაგიდასთან იჯდა – ისეთ კაბინეტში, რომელიც აურზაურიანი ქალაქისგან კარგად იყო დაცული. რის გამოც მის სამუშაო გარემოცვაში სულ სიწყნარე ყოფილა. სავარძლებიც კი მოხერხებული ჰქონია, როგორც თავისთ-

ვის ასევე სტუმრებისთვისაც. იმ დღეს სტუმრად ჰყავდა პელეტიე, რომელიც ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა მის სამუშაო ოთახს. მისტერ ლეიკი ტელეფონით საუბრობს. პასუხობენ: „მისტერ მაკ კოლახ ის შინ არ არის. როდის დაბრუნდება?... კარგი... გმადლობთ“... შემდეგ პაუზა. შემდეგ იგი კვლავ ლაპარაკს აგრძელებს პელეტიესთან, – კილო აუჩქარებლად, დამაჯერებლად. პელეტიე კი მის წარმომავლობაზე ფიქრობდა: „პირწავარდნილი იანკი“.

სინამდვილეში მისტერ ლეიკი ოდესაში დაბადებულია. მისი მამა ვილნოდან გადმოსულა აქ. ლეიკს გიმნაზიაში სწავლისას, როცა მეექვსე კლასის მოსწავლე ყოფილა უთხრეს ინგლისელს ჰგავხარო და „ანგლომანად“ მოუნათლავთ. იმ დღიდან ყოველ ძალას ხმარობდა თურმე თავისი რასსა შეეცვალა როგორმე ინგლისელით. დიდი ძალისხმევის ფასად შეისწავლა თურმე ინგლისური. შემდეგ ინგლისური ხასიათის ჩამოქნისათვის იწვალა. თავდაპირველი გვარი „ლეიკეს“ – „ლეიკ“-ად შეიცვალა. მერე სპარსეთის ფრონტზე მოხვედრილა. იქედან სამხედრო წოდებით „ქალაქთა კავშირის“ წევრი გამხდარა. აგროვებდა თურმე დიდძალ სპარსულ ფულს და სპარსულ ხალიჩებს, ვიდრე ყაზვინში თავის საყვარელ ქერა რუსთან ერთად – მთელი ქონებაც არ დაატოვებინეს. შემდეგ „მესპირტეთა“ კავშირში იმუშავა, დადიოდა თურმე მოსკოვსა და კავკასიას შორის. ბოლოს „წითლებს“ და „თათრებს“ ძლივს დაუძვრა ხელიდან და მონღოლიაში გადასულა. იქედან ამერიკაში მოხვდა. იქაც ვერ გაჩერდა და გერმანიას მიაშურა. სადაც ფულის ინფლაციის დროს კარგად გამდიდრდა. სასიყვარულო რომანებში არ გაუმართლა. შემდეგ მოიარა ვაჭრობით სპარსეთი და საფრანგეთი და ბოლოს ახლა გერმანიაში მოღვაწეობს. საქმე არც ახლა აქვს კარგად, მაგრამ აქვს დიდი კავშირები. ოცნებობს უფრო კარგად მოწესრიგებულ ბიზნესზე: კაფე-თეატრის შექმნაზე; სადაც სამი რამ კარგად იქნება შეხავებული: „ქალის სიტიტ-

ვლე, ზანგების რიტმები და პოეტური ფანტაზია“
კაპიტალს მისტერ მაკ კოლას პირდება გაიმართე-
ბა მათი საუბარი პელეტიესთან. ძალიან მუსიკისმ-
ცოდნეობას ავლენდა თავად საუბარში და უხს-
ნიდა მათ, რომ დღეს ძველი მუსიკა არავის სჭირდ-
ება, იმარჯვებს ზანგების რიტმი, სირთულე უნდა
შევიტანოთ მუსიკაში, და თან ეკითხება პელეტიეს:
„რას იტყვით თქვენ, – მოსიე პელეტიე, მდინარის
ხმაურის გამოყენებაზე (უნებურად მახსენდება: გუ-
რული „კრიმანჭულის“ შექმნის ისტორია, სწორედ
ეს სიმღერაც გურიაში შექმნილა მთის მდინარის
რაკრაკის მოსმენა-შეგრძნებით). პელეტიე აღფრთო-
ვანებაში მოიყვანა მისტერ ლეიკის მუსიკის მიმართ
მგზნებარებამ. თანხმდებიან მდინარის შიშინის და
ორკესტრალური რიტმების შეთანწყობაზე. შემდეგ
კი რაღაც მწველი ტალღისებრი გადავლა უნდა
შეჭრას ორკესტრშიო. ორივენი კმაყოფილნი დარჩ-
ნენ ამ საუბრით და იმ დროს მათთან შემოვიდ-
ნენ პეტერეცი და ჟანნეტი. ჟანნეტი სიცილს ვერ
იკავებდა და ამბობდა, რა შესანიშნავი ანეგდოტი
მომიყვა პეტერეცმაო. პელეტიეც აჰყვა ღიმილში.
ჟანნეტი ჩვეულებრივი ქალი იყო, ხშირად ნახავდით
კაფეებში, თეატრებში, სტუდიებში, ტანშხვართა მოდ-
ელებში. ერთხანს თავადაც მოდელიორობდა. იმჟა-
მად დაუმეგობრდა მისტერ ლეიკს ახლაც მასთან
ცხოვრობდა და ისიც არაფერს აკლებდა. ჟანნეტი
უნგარს ელოდებოდა. სუფრა მზადაა. პეტერეცი ხალ-
ისობს და გვერდით მჯდომთ ეუბნებათ: ნამდვილად
იმ ქალს აედევნა საღამოზე „ამერიკელთან“ ერ-
თად რომ იჯდაო – ჩვენს გვერდით მაგიდასთანო,
მასში ალბათ ამორძალთა დედოფალი იპოვაო. ჟან-
ნეტს ცოტა არ იყოს ხასიათი უფუჭდება. პეტერეცი
კი აგრძელებს: „მერე როგორ შემოვიდა ის წყეული
კაფეში: თითქო დედალი ნადირი დახვეწილი, ნელი
ბიჯით რომ გაივლის“... ჟანნეტი შურით თუ უხ-
ერხულობით სარკისაკენ მიდის. თავის თავს ერთხ-
ელ კიდევ სიამაყით შეხედავს. თანდათან მაგიდას
უახლოვდებიან და სწორედ ამ დროს შემოდის უნ-
გარ. იგი მოიბოდიშებს დაგვიანებისათვის და პე-

ტერეცი მიახლის: თქვენ უთუოდ იმ ქალს დაედევნეთ, რომელიც კაფეში ჩვენს გვერდით მაგიდასთან იჯდაო, მას კი ამერიკელი ახლდაო. დიდი ხნის კამათის შემდეგ გამოტყდა უნგარი, რომ მართლაც იმ ქალს აედევნა, მაგრამ შეხვდა მას თუ არა ეს კითხვები კიდევ აწუხებდათ პეტერეცს და პელეტისს. ჟანნეტიც მაგარ ინტერესში ჩავარდა ამ ამბის გამო. ბოლოს და ბოლოს დარწმუნდნენ, რომ უნგარსა და იმ „საინტერესო ქალს“ შორი შეხვედრა არ შემდგარა. პეტერეც ინტერესად გადაიქცა და კითხვას კითხვაზე აყრიდა უნგარს: „რად ჰკლავდნენ ტყვე ვაჟებს ამორძალები, თუ ასე ეტანებოდნენ მათ?“... ჩემი ახსნა ასეთია განაგრძობს პეტერეც: მამა შობს შვილს, შვილიც თავის მხრივ მამა ხდება და ასე დაუსრულებლად – ასეთი ცვლით ადამიანები თანდათან მიდიანო. მათი გვარი კი რჩებაო. და როცა ადამიანს სქესით გაგრძელება აღარ უნდაო, სრულქმნას ეძებს საყვარელთან ერთადო... „მაგრამ სქესი საყვარელ არსშია მოქცეული, და ხშირად განწირულია, სქესისადმი სიძულვილს საყვარელზე გადაიტანს ხოლმე... აქაა დაფლული ძირები სიყვარულისა და სიძულვილის... ამას სასიყვარულო სიტყვებიც ამჩნევენ: – „შეგჭამ“, „შეგსვამ“ და სხვა. ამის მაგალითად მოჰყავთ: ჰაინრიხ კლაისტეს – პენთე ზილეია ძაღლებს მიუსევს აქილესს და შემდეგ დაგლეჯილს კოცნის; უიალდის – სალომე იოქანაანის მოკვეთილ თავს ჰკოცნის, რომელიც თავადვე მოაკვეთინათ. „ღიას სიყვარული დუელია... ამორძაღლთა საიდუმლო სწორედ ეს დუელია და სხვა არაფერი“...

ადოლფ უნგარი უეცრივ მოიწყენს და პეტერეცს ეუბნება: „ტეოსოფები ამბობენ, რომ ყოველ ადამიანს ასტრალური სხეულიც აქვს, რომელიც ხანგამოშვებით მას სცილდება“... ალბათ თქვენ დღეს სწორედ თქვენი ასტრალური სხეული დატოვებთ კაფეში, რომ ჩემთვის თვალყური ედევნებიაო. ორივენი იცინიან. ამის შემდეგ პეტერეცი თავის წარმოშობის ისტორიას თავს მოხსნის და იწყებს: „მე თვითონ არ ვიცი, ვინა ვარ... მე არ დავბადებულ-

ვარ... მე მნახეს ქუჩაში... ჩემთვის უბრალო მატერიკაც კი არ არსებობს... შეიძლება მართლაც უღედ-მამოდ გაეჩნდი“ გუსტავ მეირინკმა შექმნა „გოლფემი“... ეს უფრო ცოცხალია... მე უფრო ვნებიანი ვარ... ვნებიანი, მაგრამ მაინც ანონიმი.. დიას, ხშირად ასე მეჩვენება“. მისტერ ლეიკი ეკითხება თქვენი გვარიც ეტყობა ან ანონიმია და ან ფსევდონიმო. მერე ისიც უთხრა, თუ თქვენ გვარს „ტე-ს“ მოვაცილებთ დარჩება პერეც, რომელიც რუსულ ენაზე – პილ-პილს ნიშნავსო. ამაზედ მაგიდის წვერებმა ბევრი იხარხარეს. მერე სახელიც გაუშიფრა, – თქვენი სახელი კიკო – ქართულად „ტუხს“ ნიშნავსო. და ასე თქვენი გვარ-სახელია: „ტუხი პილპილა“. ამაზედაც კარგად იმხიარულეს. სადამო ხანს ერთმანეთს გამოეთხოვებიან. უანნეტი კვლავ გააგრძელებს უნგართან საუბარს სცენარის თაობაზე, მალე ლეიკ და უანნეტი გადაიან. „დარჩა უნგარ მარტო. ღამით მან პირველად იგრძნო, რომ მისი ნახევარი „ასტრალური?“ სადღაც სხვაგანაა.

მაკ კოლახს დილის ათ საათზე გამოეღვიძა. უგუნებოდ არის, საქმიანი კაცი ასე გვიან არ უნდა დგებოდეს – გაიფიქრა. საჩქაროდ ჩაიცვა და პირველი რაც იყო, თავისი თავი შეათვალიერა სარკეში. მერე ტუალეტი მოიღია. ხელ-პირი დაიბანა. პირისგან წვერი მოიშორა და ცხელი ვანა მიიღო. თავისფერ სამოსში გამოეწყო. მაკიაუცი კი არ დავიწყნია. უკვე ყავა და საუზმე მიათვეს. საუზმის შემდეგ გაზეთები მიუტანეს. ჯერ დეპეშები წაიკითხა, მერე ახალი ამბები, პოლიტიკასაც საკმაოდ ეცნობოდა ყოველთვის. ყველაზე მეტად მისთვის საინტერესო იყო აქციები, ბირჟები, დოლარი, სტერლინგი და როცა კმაყოფილმა გაზეთი გვერდზე გადადო, მოსასვენებლად ტახტზე წამოწვა. ერთერთ გაზეთში თვალი მოჰკრა სათაურს „მისტერ ჯიმი“. მაკ კოლახს ამ პიროვნების შესახებ ბევრი რამ სმენია და საინტერესოც. ამიტომ გულდასმით მიჰყვა სტატიის კითხვას. წაკითხულიდან ბევრი რამ შეიცნო: მისი ბიოგრაფია, თავდაპირველი საქმიანობა, როგორ გახდა აგურის ქარხნის და უდიდესი ფოს-

ტის მეპატრონე, რამდენჯერმე ბანკროტიც შეიქმნა, მაგრამ გაუტეხელი – მტკიცე ხასიათითა და მიზანსწრაფვით წინსვლას მაინც განაგრძობდა თურმე. ის ვერ ისვენებდა და ყიდულობდა ყველაფერს რისი ყიდვაც კი შეიძლებოდა. ისეთი თავდაჭერილი ყოფილა, არავის შეეძლო თურმე მისი ხასიათის გამოცნობა. მოხდა ისე რომ 50 ათასი სტერლინგი წააგო, მაგრამ ამ ამბავსაც ისე შეხვდაო, როგორც მოგებას ხვდებოდა თურმე. მაკ კოლახი მისი ამ ამბის კითხვისას ისე აღფრთოვანდა ხმამაღლა წამოიძახა: „ყოჩაღ ჯიმი“. ქრონიკის ბოლოს წაიკითხა: ამჟამად ჯიმი იბრძვის ნავთობის ბიზნესისათვისო, რომელსაც მისი საზოგადოების ახლო მდგომი პირი უნდა ესმარებოდესო. მაკ კოლახი აღფრთოვანებული ეჭვიანობს. ნეტავ ვინ ესმარება? მეც ხომ ჯიმის მსგავსი პიროვნება ვარო. მეც ხომ შემიძლია მისი საქმის თანამონაწილეობაო. ბორგავს. ვერ ისვენებს. უეცრივ გადაწყვიტა ჰამბურგს წასვლა, მაგრამ გონებაში გაუელვა, მას ხომ თერთმეტ საათზე კავასათვის უნდა დაერეკნა. რეკავს კავასთან. ტელეფონით მოსამსახურე პასუხობს: კავა სახლში არ გახლავსო. თავში ათასნაირმა ფიქრმა გაუელვა – კავას შესახებ. მერე სიგარას მოუკიდა და მოშვებული ტახტზე მიწვა. ამ დროს კი კავა თავის ყვითელი ფერის კიბონითი შესლონგზე იყო „გამხვართული“. მას ახსოვდა თერთმეტ საათზე კოლახს რომ უნდა დაერეკა, ამისათვის გააფრთხილა სწორედ მოსამსახურე, რომ მისთვის პასუხად გადაეცა, კავა სახლში არ არისო. კოლახისგან ქალის დროებით განმარტოვება, გამოწვეული იყო იმით, რომ მაინცდამაინც ეს პიროვნება არ იზიდავდა. მით უფრო ის ახალი ჩამოსული იყო ევროპაში და ჯერ აქაურობის შეგრძნების პათოსით იყო შეპყრობილი. ქალაქის რიტმს, ხასიათს, ხმაურსა და ყოველივეს ესლა ეცნობოდა. „ეხლაც ამ გუნებაზე იყო ქალი. ჟურნალები გადაეყარა. წიგნი დაეგდო... ატეხილ მენადასავით სივრცეს მიშტერებოდა... ქალი იწვა გასუდრული: რაღაც აგონდებოდა – შორეული.“ იგი დაიბადა ჩრდილო კავკასიაში, მამამისი კაზაკი კოვალისოვი

ყოფილა და დედა ქართველი – სამეგრელოს მხრიდან. ბავშვობაში ელენა ერქვა, როცა წამოიზარდა, უბელო ცხენით ჯირითი შეუყვარდა თურმე და ისე შეისწავლა ეს საქმე მთიულებს არ ჩამოუვარდებოდაო ჯირითში და ტოლს არ უგდებდა ვაჟებს თურმე. მასთან შეჯიბრი მხოლოდ ახალგაზრდა ყაზი-ბეის თუ შეეძლო. ყაზი-ბეი მოხდენილობითა და ვაჟკაცობით განთქმული იყო იმ მხარეში. მას შამილის ნაშიერსაც კი უწოდებდნენ. ერთხელ ყაზი-ბეიმ ცეკვაში გაიწვია ელენა. რომელმაც ვაჟის გული მთლიანად დაიპყრო. გამოხდა ხანი და ყაზი-ბეი ელენას ხუთი მხედრის თანხლებით იტაცებს. „მხედარმა პირველად ძუძუები იგზნო კვრივი, რიყის ქვებივით მაგარი (ეს შემდეგ გაახსენდება მხედარს)... ქალიშვილი ბურანში იყო... პირი თუმცა შეკრული ჰქონდა ქალს, მაგრამ რომც არ ჰქონოდა, იგი სიტყვას ვერ დაძრავდა: ისე იყო გატენილი (მედიდური რისხვით, თუ კიდევ რამეთი, რომელიც მას თვითონ ვერ გაერკვია). აქ საოცარია უტეხი ქალის არსში რობაქიძისეული ღრმა წვდომა-ხედვა. ელენა და მისი გამტაცებლები უღრან ტყეში შეიჭრნენ. მოლზე ნალები გაშალეს და მიწვნენ. იმ ღამით მხოლოდ ყაზი-ბეის და ელენას არ სძინებიათო. შუალამეს დარცხვენილი ყაზი-ბეი ქალის ფეხებთან მიწაზე დაიხოქებს და პატიებას სთხოვს, მაგრამ ჩურჩულითვე ასეთი ყოფილა ელენას პასუხი: „სხვა გზით შეიძლებოდა...ეხლა უფსკრულია... ჩვენს შორისო“ ყაზი-ბეი მიხვდა ქალის შეუდრეკელ გადაწყვეტილებას და ბოდიშის მოხდით ქალი მამას დაუბრუნა. ელენას მამა კი, რომელიც ადრეც გრძნობდა, რომ ყაზი-ბეი ამდაგვარს ჩაიდენდა და ეხლაც ეგონა ქალიშვილი პატივაყრილი დამიბრუნაო, იტყვებით შეპყრობილი სულ დაეძებდა ტყედ გავარდნილ ყაზი-ბეისო. საუბედუროდ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. ხმალდახმალ ორთაბრძოლაში ყაზი-ბეის ელენას მამა შემოაკვდა. ელენა მთლიანად გაუბედურდა. დედა ადრე გარდაეცვალა, ახლა აღარც მამა ჰყავს. არც და-ძმა და არც ნათესავნი. ეს ის დროა, როცა კავკასიას საქართველო-

ში შემომსვლელი ბოლშევიკები მოადგნენ. ელენას მოაგონდა თბილისი. სადაც დედის მხრით ნათესავი ჰყავდა. გადაწყვიტა სწორედ აქეთაქენ გამოგზავრება. ამ დროს კი მასთან მიდის ტყვედ გავარდნილი ყაზი-ბეი, რომელიც მის ნაწნავებს ჰკოცნის და ელენას კინაღამ გული მოუღბო ამ საქციელით, მაგრამ ელენას უეცრივ თვალწინ მამა დაუდგება, თვალზე ცრემლები მოადგება და შეუწყვეტელ ფიქრებს მიეცემა. ყაზი-ბეის ეზოდან ცხენის ფრუტუნი მოესმის, სასწრაფოდ გარეთ გამოვარდება და ღამის წდვლიადში იკარგება. ელენამ საბოლოოდ გადაწყვიტა თბილისში გამომგზავრება.

თბილისი 1920-იან წლებში ისეთი უცნაურობებით სავსე ქალაქი ყოფილა როგორც არასდროს. გამორეკილ თუ გადმოსხვეწილ რუსებს – მათ შორის ბევრ ინტელიგენტსაც, შემთხვევით მოხვედრილთ აქ შესვდებოლით თურმე. პოეტები, მხატვრები, მათხოვრები მოსულნი საქართველოს ყოველი კუთხიდან, ქვეყნიერების მრავალი მხრიდანაც: კაფეებში, კინოში, სალონებში, თეატრებში და ასე შემდეგ... ყველგან თურმე რუსული აქცენტი და ენა სჭარბობდა. გაისმოდა კაფეებიდან კაჩალოვის, ხადატოვის, ჩერეპინის, ევრეინოვის, და კიდევ მრავალთა ხმა, მათ ემატებოდათო ტერენტიევი და ზდანოვიჩი, ერთი სანახაობა იყო მათი ლექსებზე საუბარი და ლექსების კითხვაო... „ტბილისი გახდა პოეტების ქალაქი, კაფე „ინტერნაციონალში“. იგი კიდევ გამოაცხადეს პოეტების ქალაქად...პაოლო იაშვილი სწორედ ამ ხანებში ისე დაეცა თავს ტბილისს, როგორც არტურ რემბო პარიზს... ტიცინ ტაბიქე ორპირის ჭაობში და მაღარიაში ლაფორგის მთვარიან სიყვითლეს ხედავდა და ლექსებში მასავით უყეფდა ამ ყბად-ადებულ მნათობს“... თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, შიგნითა ეზოში „ფანტასტიური კაბაჩოკის“ – თვის გამონახეს პატარა ოთახი 15 კაცი ძლივს ეტეოდაო, მაგრამ ლექსის სიყვარულით ადვსილნი ჟინს მაინც იკლავდნენო. ამ დროს გამოჩნდა ვინმე მეღექსე ხაზაროვიც. აქვე იყო ამერიკული ბარიც, სადაც ახალგაზრდები

– ქალ-ვაჟნი, იყრიდნენ თავს და ისინიც თითქოსდა მედეასა და იაზონის როლებში შეჭრილნი ერთმანეთს თავს აწონებდნენო. „ასეთი იყო თბილისის ფანტასტიკა“.

ამ დროს კი თავად – გრიგოლ რობაქიძე ამზადებდა „ორლობის ეშაფოტს“ და „პატმოსის რიგმებს“. „ტბილისში ლამაზი ქალი ლეგენდის ნატეხია... კაზაკის ასული, რუსთაველის პროსპექტზე ხილული, ლეგენდის ხტილად გადაიქცა“... და აი, იგი, უეცრად ბალტმაისტერის მოდების სტუდიაში მოხვდა... „და შიშველ ტანებში „მთიულის გოგოს“ ტანმა მთელი პარტერი ნახევრად ზეწამოაყენა თვალებ-აცეცებული – (გაისმა ხვნემა და ხვნემაში ცხოველის „ჰუჰუ“). მის მიმართ ერთმა პროექტმა მოხსენებაც კი წაიკითხა – „ამტაროტ“. ელენაზე არ მოქმედებდაო ყმაწვილთა ქება-დიდება. ვერცერთმა თბილისელმა ყმაწვილმა სიყვარულის ხიდი ვერ გადოო ელენასთან. ის იყო მედიდური... წარმოიდგინეთ თავადაც კი უკვირდა ხშირად თავისი ასეთი ქმედება-საქციელისო. ერთადერთს დაუახლოვდა თურმე, შეხედულებით ართვალს – ჟურნალისტს. რომელსაც „მეგობრად“ თვლიდაო. ყმაწვილიც დამორჩილებული იყო ბედს და ელენასაც როგორც მორჩილი და მსახური ისე უყვარდა იგი. თბილისიდან ელენა ბათუმს გაემგზავრა და ჟურნალისტიც გაჰყვა. ბათუმში მან პირველად ნახა ზღვა. „ქალი აიშალა. ველური თვალები დააკვდნენ ზღვას. ქალმა იგზნო რაღაც სრულიად ახალი: ბუნებრივი ელემენტი – ურკვევი... ლივლივა ტალღებში იშლებოდა მარადი „დენა“. ათქორილ ტალღებში – მარადი „ქცევა“... ზღვა – ბუნების უპიროვნო ელემენტი... ქალი შეირხა: ვერ ერკვეოდა. იდგა გაოცებული: ნადირივით“... როგორც რომანიდან ჩანს, კავკასიონის მაღალ მთებში გაზრდილი ქალი მოიხიბლა ყველაზე მეტად ზღვის მღელვარებით და ამავდროულად მისი გრძნეული მდუმარებით. ზღვის ჩურჩულსა და ნაპირზე მის ჩხრიალში რაღაც უთუოდ თავისნაირი მიუწვდომლობა-მედიდურობის შეგრძნება დაეუფლა. „ტანმა

იგზნო „მიწა“. მოვარდნენ ტალღების ტუჩები და ფეხები დაულოკეს: იგზნო ქალმა თანვე: ამიერიდან „ზღვისაა“ იგი, როგორც მისი ელემენტი. ქალმა თავი დაღუნა: მზემაც დადალა“.

ზღვის ხილვის შემდეგ ელენა აფორიაქდა. უკვე ერთ ადგილზე ვედარ ისვენებდა, ძველებურად ვედარც პოეტები ართობდნენ. ჟურნალისტს ბათუმში სახელი გადაუფრანგულეს და ახლა ის ჟოზეფია, მან შეატყო თუ არა ელენას მოწყენა შესთავაზა: წავიდეთ სტამბულშიო. ქალი დათანხმდა, თან გაუკვირდა რა სახსრებით უნდა გადასულიყვნენ იმ დროს თურქეთში. ჟოზეფმა უთხრა: ათას დოლარამდე მაქვსო და კიდევ რაღაც გამოგვიჩნდებაო. სწორედ იმ ხანად ინგლისელები ბათუმიდან სტამბოლში თითქმის ერთიანად გადადიოდნენ, ელენამ და ჟოზეფმა მოახერხეს მათთან ერთად სტამბოლში ჩასვლა და დროებით დამკვიდრება. იქ ჩამსვლელნი ძალიან ეტანებოდნენ კაფე-შანტანებს, სადაც მოცეკვავე ქალებს ფულსაც სთავაზობდნენ. ჟოზეფმა ელენას უთხრა: სახელი შეიცვალე ევროპულ სტილშიო. ქალიც დათანხმდა და მთიელი ქალი „მადმაზელ კავალლად“ მოეწვინა სტამბულში ჩასულ უცხო – უამრავ ხალხებს. კაფეში ცეკვისას ელენას ყოველთვის თავისი ყაზი-ბეი აგონდებოდა და მისი მოგონება მთელ სხეულს უთუთქავდა. ამას ისიც დაერთო რომ კაფე – შანტანებში მოსწონდათ ქალის ცეკვა მაგრამ... „შანტანებში სხვა რამეც მოსწონდათ: შესაძლოა ეს სხვა უფრო – ვიდრე პირველი. ხოლო კავალლა ამ „მეორეს“ როგორ გაიღებდა?!“ ცოტა ხანს დააცადეს და მერე შანტანიდანაც გამოაგდეს. კავალლას და ჟოზეფს ფული გამოეღიათ. შიმშილიც კი დაემუქრათ თურმე. ჟოზეფა გაუმინაურდა კავალლას და შინაურული ლაპარაკი დაუწყო. შენნაირი ადამიანები კავალლა დიდად ბედნიერები ხართო, რათა ღმერთმა დიდი ჯილდო – სილამაზე გარგუნათო... „მაგრამ უბედურიცა ხარ: ვინ უნდა მონახო შენ სიყვარულისთვის, ან, ვინ უნდა დაგაბრმავოს შენ ტრფიალით?... მახსენდება ერთი პოეტის ნათქვამი... ვაჟი „პერიფერიულ“ წვდუ-

ბა ქალს... შენ ვაჟი სულ ვერ მოგწვდებოდა, ძალა არ ექნება გძლიოს სიყვარულით...“ ჟოზეფის ამ სიტყვებზე ქალი იმდაგვარად ჩაფიქრდა, თითქოს ახლა კითხულობდა თავის თავს. „მერე? შეეკითხა ჩუმად ქალი... „მერე და აქედან ისეთი დასკვნაა პირდაპირი, – მიუგო ჟოზეფმა: შენ შეგიძლია მხოლოდ სიყვარულის „გასახუქრება“. სხვა არაფერი“... ბოლოს ჟოზეფს ყოველივე ზემოთ თქმულის დასტურად მოჰყავს ერთი ეპითაპია, რომელიც ეგვიპტეში, კერძოდ საისში ქალღმერთ – „ნეიფ“-ის ქანდაკის საფეხურზე ეწერა: „მე ვარ ის, რაც იყო, რაც არის და რაც იქნება, და არცერთ მოკვდავს და არცერთ უკვდავს არ აუხდია ჩემი საბურველი“. გადმოცემით კი ის ქალი ავხორცი და მრუში ყოფილაო. დაამატა ჟოზეფმა. „ქალმა თითქოს რაღაც გაიგო და დუმდა... ტანი აემღვრა. მოიღუშა. აიღუწა. აცეცხლდა. ხოლო „ცეცხლში“ აღარ იყო სიხარული. ვაჟი მოსცილდა“. სწორედ ამ დროს სტამბოლში გამოჩნდა მაკ კოლახი, ამერიკელი – ცივი და ხმელი. დაინახა თუ არა კავალა, მოიხიბლა მისით. კავალა მიხვდა მაკ კოლახის სურვილს და ამ დროს გაახსენდა „ნეიფის“ სიტყვები: „შეიძლება „ნეიფ“ მართალია... ცივად, სადად, მექანიკურად მისცა თავისი თავი ცივს, სადას მექანიკურ ამერიკელს. გამოჰყვა ვეროპაში“... კავალა ამ დიდი და უცნაური ფიქრებიდან უეცრად გამოდის და თავის თავს კითხვას უსვამს: მისცა კი?! თავი კოლახს.. სასწრაფოდ ჩაიცვამს და ნადირის ელვარებით ქუჩაში გადის. ეს უზარმაზარი ქალაქი უკვე სულს და გულს უთუთქავს. გაახსენდა კოლახი და ტანში რაღაც საზარელმა დაუარა. გამოიძახა შოფერი და სასწრაფოდ ქალაქის გარეთო – მიაძახებს. მიწაზე ფეხის დადგმა მოენატრა. „ჰო, რა იქნება, ჩრდილო კავკასიაში რომ იყოს ესეა!.. როგორ მოახტებოდა თავის „ლურჯას“ და როგორ გააქანებდა მას ატეხილ ველებზე!.. ქალის სურვა ისე ძლიერი იყო, რომ მოეჩვენა კიდევ: თითქოს მართლაც მიაჭენებს მუხლმაგარ ლაფშას“... ამ მოგონებებში ღრმად იძირება, ერთ ადგილას ავტო ქვას გადაუვლის, ქალ-

საც შეახტუნებს და უეცრად აზრზე მოდის, ის ხომ კაფეში უნდა ყოფილიყო საათის ხუთზე: გასძახა შოფერს.. შოფერმა ავტო მოაბრუნა... ქალი გაემართა კაფესაკენ... თითქო სისხლის – ასაღებად... სახე ქვაური იყო.. კრთოდა ხანდახან.“...

ვეროპის დიდ ქალაქში სულ მოუსვენრადაა ადამიანის გონება, დასვენების დროც რომ ჰქონდეს, მაინც აფორიაქებულია. მოსვენებისათვის შარადას და რებუსს ეწაფება ხალხი – თუნდაც ტრანსპორტის რომელიმე სახეობაში იჯდეს. ტრანსპორტში რომც ჩამოეყვინთოს, ან ძილისგან ხვრინვაც ამოუშვას, მისი სხეული იმდენად გამექანიკებულია, საურველ გაჩერებაზე იღვიძებს, დგება და ჩადის. ვერ ისვენებს ადოლფ უნგარიც, იგი შეპყრობილია მხოლოდ და მხოლოდ იმლამინდელი უცხო „ქალის“ ნახვის სურვილით. ვერ იქნა და მის კვალს ვერსად მიაგნო, თუმცა ყოველდღე ქუჩა-ქუჩა დაყიადობს და ქალაქში თითქმის ყველა თვატრი, კინო, მუსიკ-ხოლი და გამოჩენილი სასტუმრო მოიარა. აგერ მიბორგავს ერთერთ ქუჩაზე და მუშებს მოაფლო თვალი, არასდროს ასე გულისხმიერად მუშების დამქანცველი შრომა-გარჯისათვის ყურადღება არ მიუქცევია. მიდის გულშეწუხებული. წინ აპოკალიფსურ მოჩვენებასავით გადაედობება მიტროპოლიტის ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი. ალბათ რაღაცას თხოულობსო გაიფიქრა. ვერ წარმოიდგინა ასეთ გამასხარავებულ ფორმაში ის ორ გროშსაც თუ იშოვიდა. ქუჩის კუთხეში კი ყოფილი ინტელიგენტნი – ამჟამად ბრმები იყრიდნენ თავს. „ადმოსავლეთში ბრმები ბავშვებს დაჰყავთ. აქ კი ძაღლებს: ადამიანს ვერ უნახავთ ისეთ ნაღვლიან თვალებს, როგორიც აქვთ ამ ძაღლებს“... ადოლფ უნგარმა ერთ ბრმას ასანთის კოლოფი გამოართვა. მარკა გადაუხადა. ბრმამ კი თავის მხრივ მადლობა უთხრა. უნგარი შეაკრთო ბრმის გვერდში მყოფი ძაღლის თვალების სისველემ და წკმუტუნმა. უცებ თავი მადლა ასწია და ბრმას სახეზე შეხედა. „ადოლფ უნგარი გაქვავდა: ეს იყო მისი მეგობარი, ჰერმან ჰაუსმან“... ეს უკანასკნელი ომში

იყო უნგართან ერთად, მისი დაბრმავების ამბავიც იცოდა, მაგრამ აქ თუ მათხოვრად იხილავდა მას რა წარმოადგენინებდა. რამოდენიმე წამს გაქვავებული იდგა. შემდეგ ბრმას ჩუმად ჯიბეში ოცი მარკა ჩაუდო. ბრმა შემრა ქალაქის ფულის შეხებამ. ლულულუღებდა ათას მადლობას. ძაღლს კი ძლივს იტყერდა, რომელიც უნგარს უყვებდა (ძაღლი მადლიერებას ხომ ყვეფით გამოხატავს). „უნგარი მიდიოდა თავჩაღუნული... ზურგი გრძნობდა ბრმა მეგობრის თვალებს – ჩამქრალებს... ხელიც იწვოდა სირცხვილით, რომელმაც ფული გადასცა... რად არ გამოეცნაურა? უნგარი მიდიოდა გაგულული. რცხვენოდა რაღაცასი“. აღოღფ უნგარი ფიქრებიდან გამოსვლას ცდილობდა და მოუხმო ავტოს. რამოდენიმე წუთში იგი უკვე ქალაქის გარეთ იყო. მყუდროებაში მოექცა. „მყუდროებას ლეწავდა აშმაგებული ლითონი... ტანი გავარდნილი გრძნობდა სიამეს; რაღაც უჩვეულო აშვებას. რამოდენიმე საათის შემდეგ უნგარმა ისევ ქალაქს მოაშურა. ასი კილომეტრი სინქარით მოაქროლებდა ავტოს... ეხლა უნგარ ერთი მორგვი იყო სასტიკი და მორგვი თვალი იყო სწორი და უტყუარი“... უეცრად წინ წერტილი დაინახა. ეს იყო ურემი, რომელსაც ორი უზარმაზარი ხარი მიეზიდებოდა. ერთ წამში უნდა გადაეველო ურმისათვის, მაგრამ ერთერთი ხარი განზე გახტა – დაფეთდა. ერთი წამი და მეორე ხარიც გაჰყვა სისწრაფით პირველს. ამ დროს ურემიც გადავიდა და საწაულებრივ გადაარჩა ხარ-ურემი და თავად უნგარიც. ავტომ სინქარეს უკლო. უნგარი ველურმა შიშმა შეიპყრო. სასწრაფოდ სახლს მიაშურა. მოწყვეტილი საწოლზე დავარდა. უაზროდ დაეძინა. გამოეღვიძა გვიან. სხეულში ცოტა სიმსუბუქე იგრძნო. „სხეულიდან „პლანეტის ნატეხი“ (უცხო ქალი?) თითქო ამოვარდნილიყო“. ის იყო ფიქრი დაიწყო კვლავ „ფალესტრაზე“ მუშაობისთვის და ტელეფონის ხარი აწკრიალდა: პეტერეც ეძახდა კაფე „ვიენიდან“ „უცხო ქალი აქ არისო“. კარგიო უპასუხა და ტელეფონის ყურმილი დადო. უნგარი კვლავ აფორიაქდა. ნეტავ არ ეცნობებიათ მისთვის

ეს ამბავი გაიფიქრა. არა, არ წავალ ერთი გულით გადაწყვიტა, მაგრამ რაღაც სიამემ მაინც სძლია... კაფე „ვიენი“ თავის ცხოვრებისეულ ელვარება-მდელვარებაში იყო გართული. უკრავდა გაჩახჩახებულ დარბაზებში ორკესტრი. მასთან ერთად ჩელო, ფლეიტა და კლისოფონი. მაგიდებთან მსხდომარენი შეექცეოდნენ: ყავას, ჩაის – „ზოგიც აპერიტივებს (აპერიტივი მეტაფიზიკაა ევროპულ კაფესი). მეორე სართულზე ისხდნენ ჟანნეტ და პერეც. გვერდით, ახლო მაკ კოლახ იჯდა. ეხლა მარტო იყო და კავალ-ლას უცდიდა. ჟანეტასა და პერეცის მაგიდასთან ახლოს შემთვრალმა ყმაწვილებმა ჩაიარეს. „ნეტავ რას ნახულობენ ამ სიმთვრალეში“ ჩაილაპარაკა ჟანნეტმა. პერეცს სალაპარაკო თემა მიეცა და დაიწყო: „რას ნახულობენ?! რასა და თავდავიწყებას. ოპიუმი, ჰაშიში, კოკაინი, ალკოჰოლი, ეფირი, ნიკოტინი, კოფეინი – ეს რომ არ იყოს ადამიანი გაგიჟდებოდა... არ არის ადამიანი, რომ არ თვრებოდეს რაიმეთი... თავდავიწყებისათვის“... პერეცი საუბარში ყოველთვის თავის დიალოგს ბოლოს მაინც მონოლოგად აქცევდა, მაგრამ ამჟამად სიტყვა ჰაერში დარჩა. თვალი მოჰკრა იმ „უცხო ქალს“ კაფეში შემოსულს. ქალი გააგებული ჩანდა, როგორც მგელი, უხმოდ დაჯდა მაკ კოლახის გვერდით. ჟანნეტმა უცბად იყნოსა... ალბად ეს არისო „ამორძალთა დედოფალი“... მაკ კოლახმა „უცხო ქალს“ გაზეთი მიაწოდა და თან დააყოლა ხვალ „სამასკო ბალი“ იმართებო.. ქალს სახეზე სიმშვიდემ გადაუარა. პეტრეცი თავის საუბარს განაგრძობს: ღიახ, უმწარესი და უტკბილესი: „მე“, აქ მარხია ყოფის საიდუმლო: უმწარესი – რადგან სიკვდილია იგი, უტკბილესი – რადგან სიცოცხლეა იგი. თითქმის ერთსადაიმავე დროს“... სიცოცხლე უწყვეტი ცვლადენაა. და ამ ქცევა-ცვლაში „სახე“, ხატი (არა სალოცავი) უცვლელი რჩებო, ამტკიცებს პერეცი: „იმ კულტებში, საცა „ცვლა“ ყოფის საიდუმლოდ იყოს გამოცხადებული, ქცევა“ მასკით ხდებოდა... ქალები ამ კულტში გამოდიოდნენ: ძაღლებად, მგლებად, პანტერებად... რისთვის? რომ აღესახათ ყოვლად-

ში გადასვლა... საქართველოში – „გონჯას“ ამბავი. სატურნალიების მონაწილე სახეს იმურავდნენ წითლად (აქაც სისხლის ნიშანი)... ასე: „მე“ უნდა გაირღვეს, რომ ყოვლადს ეზიარო“...

პერეცი გადის. ტელეფონისკენ გაემართა, უცებ მოაგონდება, რომ უნგარს აცნობოს „უცხო ქალის“ აქ ყოფნის შესახებ. ბრუნდება თუ არა, კვლავ საუბარს აგრძელებს: ველარ ისვენებს „ხატი“ – ფეტიშია. ფეტიში კიდევ მასკა... და საჭიროების შესახებ მტკიცებულებები და მაგალითები მოჰყავს; თუ ისტორიიდან, თუ სამარხებში თვალით ნახული სინამდვილედან. ამ დროს კაფეში შემოდის მთელი სხეულით აკანკალებული კაცი. „ევროპაში კანკალით ავადი ხშირია“, აუტანელია მისი ყურება, მას გაზეთის წაკითხვა უნდა და ვერ ახერხებს. ყავის დაღვევა უნდა და... „მაშინ მთელი ომი იმართება ხელსა და თასს შუა“... თავბედს დაიწყევლი აღბათ ასეთ ავადმყოფს ქუჩაში რომ შეხვდე... დასძენს რომანის ავტორი. ჩემი აზრით, ბატონ გრიგოლისაგან ასეთ ავადმყოფობაზე ხაზგასმა დიდი გამაფრთხილებელი ფრაზაა საერთოდ ქართველთათვის, რომ ეს ქვეყანა არასოდეს არ უნდა მოწყდეს თავის საწყისსა და ბოლოს.

„უცხო ქალი“ მაკ კოლახს რაღაცას ანიშნებს და ორივენი გადიან კაფედან. არ გასულა ხუთი წუთიც და კაფეში შემოდის უნგარი. იგი პერეცს და ჟანნეტს მიესალმება, თვალს მთელ კაფეს შემოაგვლებს, მაგრამ „უცხო ქალი“ ვერ შენიშნა. პერეცმა უნგარს უთხრა, რომ იმ ქალმა ხუთი წუთით გაასწრო, ჟანნეტი ეკითხება ვინ გაასწრო, პერეცი პასუხობს: „ფალესტრამ“. ჟანნეტმა საყვედურით გაჰკენწლა, რად არ მითხარით თუ „ამორძალთა დედოფალი“ აქ იყო. პერეცმა და ჟანნეტმა კვლავ საუბარი განაგრძეს, მაგრამ უნგარს აშკარად დაეტყო მოღუშულობა. „ჰერერ უნგარ!.. თქვენ შეგიძლიათ ნახოთ ის ქალი, ამორძალთა დედოფალი... ხვალ იგი სამასკო ბაღზე იქნება“... ეუბნება ჟანნეტი და თან სასტუმროს მისამართს მიასწავლის, სადაც სამასკო ბაღი უნდა გამართულიყო. აქვე დაუმატა:

ქალს ბაიადერის სამოსი ეცმევა და ამითაც გამოცნობა არ უნდა გაავიჭირდესო.

დიდი ევროპული სტილის ცნობილი სასტუმრო ხალხით იყო გაჭედილი. პერეცი ცოტა უსიამოვნოდაა, მაგრამ სანახაობა ართობს. „ფრაკები სმოკინგებს სცვლიდნენ და სმოკინგები ფრაკებს“, კაცები თითქმის ერთ ფერებში იყვნენ გამოწყობილნი, სამაგიეროდ ქალებს შვენოდათ ათასნაირი სამოსი-ფარჩეული. პერეცი რომელსაც ხელს უწყობდა ინტუიცია დაფარული სამოსიდანაც კი გამოიცნობდა ადამიანს ხელოვნებითა და მოხელეობით. თან ამბობდა: „მათი ძრაობა ამხელს მათ პროფესიასო“... ესტრადა ხალისობდა ზანგური რიტმული ცეკვებით. ჩალსტონი, ტანგო. სხეულებით ერთმანეთს ეტმასნებოდნენ: „ქალმა არ აცოდა, ვინ იყო ვაჟი. ვაჟმა არ იცოდა ვინ იყო ქალი. ან რად უნდოდათ: სქესი უპიროვნოა“... უნგარს გაკეთებული მასკა ეჩოთირა, მაგრამ უაზროდ მაინც ვილაცასთან იცეკვა. ჯერ კიდევ თვალი ვერ მოკრა ბაიდერის ტანსაცმელში გამოწყობილ ქალს, მაგრამ კარებში გამოსვლისას, სწორედ ბაიადერის ტანსაცმლით ქალი შეეჩხა. უნგარს უეცრივ გამბედაობა მოეძალა და სწრაფადვე მიმართა ქალს, – გავიდეთ პატარა ოთახშიო, მის სიტყვაში ღირიკა გამოსჭვიოდა და არა სხვა პროსტიტუციური. ქალიც უხმოდ გაჰყვა. უნგარს სიტყვა აღარ ემორჩილებოდა უხერხულობისაგან. ენა დაებრგვილა. უეცრად მასკა ჩამოიშორა და ქალს შეეკითხა: „მიცანით?“... „კინო-რეჟისორი აღოლფ უნგარ“. მიუგო ჩურჩულით ქალმა. თქვენ კი ის ქალი ბრძანდებით, ამას წინათ, ამერიკელთან რომ გნახეთ კაფეშიო. თავადვე უთხრა უნგარმა. „დარწმუნებული ხართ“ ჩაიცინა ქალმა. „აბსოლუტურად“... ქალმა მიხვდა, რომ უნგარი მის მიმართ გახელეებულია. მისგან მოდიოდა სუნთქვა „მდომი და ცხელი“. ქალმა აღუთქვა მას, რომ სახლში ეწვეოდა, მაგრამ იმ პირობით, რომ სახეზე „მასკა“ ექნებოდა. მისი სიტყვების აზრიც ვერ გაიგო უნგარმა კარგად, – რად უნდოდა მასკა „უცხო ქალს“, მაგრამ მას არაფრის დარდი არ ჰქონდა...

მხოლოდ შეპყრობილი იყო მოუთმენლობით და ლოდინით მასთან შეხვედრამდე... მთელი დამე და მეორე დღე იჭყვებით ითანგებოდა. არ აყო დარწმუნებული ქალის სიტყვების სიმართლეში, ან კი, მივიდოდა მასთან ნამდვილად?... ლოდინით გულგათანგული, რაღაცის უბრალო ხმაზეც კი ფეთდებოდა, აი მოაღწია დანიშნულმა დრომ და სმენად გადაიქცა. ესმის ავტოს გაჩერების ხმა. ითვლის წამებს, ითვლის მისი ფეხის ნაბიჯებს. კარებზე წკარუნი და კარიც გააღო... ხედავს ქალს პირბადეთი. „ქალი მიჯდა ტახტზე“... უნგარ ისე გრძნობდა, თითქოს მის წინ ყოფილიყოს: „სირიის „მა“, ფრიგიის „კვიბელა“, ფინიკიის „აშტორეტ“, ბაბილონის „ბელტის“... უცხო ქალთან შეხვედრა რაღაც რიტუალად იქცა“... ქალი წასასვლელად რომ მოემზადა, უნგარმა შიშ-შერეულმა კითხა: შეხვდებოდა კიდევ თუ არა. ქალი პასუხობს: თუ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ მე ის „უცხო ქალი“ ვარ ნამდვილად, მაშინ მას როცა შეხვდებით არ უნდა წამოგცდეთ, რომ მასთან იყავით ე.ი. თქვენთან? კვლავ ეკითხება უნგარი. „როგორც გეჯეროთ“... „თქვენი მისამართი რომ არ ვიცი?“... „მე ხომ „მასკა“ ვარ! და მერე: რად გინდათ მისამართი?! მე თვითონ დაგიჩვენებ ხოლმე“... „ის“ იყო კი?! ეჭვობდა უნგარი.

მისტერ ლეიკის წინადადება პელეტიესათვის მისაღები გამოდგა. პელეტიეს თავად აწვალებდა 1918 წელს ევროპაში შემოჭრილი ჯაზ-ბანდი. მან იქედანვე დაიწყო მუსიკის ძირეული შეცვლა. „იყნოსა ზანგების სულიერი გალობა... დათვრა პელეტიეც ზანგების რიტმული პოლიფონით“... შეისწავლა ჯაზის საკრავები, მიეჩვია ხმათა ტონალობას, სისადავეს, სიმძაფრეს და შეიხმატკბილა სასიამოვნო რიტმებით. „პელეტიე დაიპყრო ხაზის იმპროვიზაციულმა დენამ“... მის წინაშე დიდი არჩევანი დგას. „უღალატოს ევროპის მუსიკას და გაჰყვეს შაკვანიანების ახურებულ რიტმებს?!“ მართლაც იმ დროს იყვნენ ასეთი არჩევანის გამკეთებლებიც.

მისტერ ლეიკმა მოიწვია 50-მდე ზანგი. პელეტიემ თავად დაწერა მუსიკა. კიკო პერეცმა ლიბრე-

ტო შექმნა და ამ ერთობლივმა ნამუშევარმა დიდ წარმატებას მიაღწია. მისტერ ლეიკთან ხშირად იკრიბებოდნენ სტუმრები. მათი გართობა იყო ხშირად მუსიკაზე და გაბედულებაზე საუბარი. მოდიოდა ზანგურთან ერთად კალიფორნიიდან და ლუიზიანადან ახალი ჯაზის და ცეკვის ხიბლი. ერთნი ამტკიცებდნენ ოცი წლის წინანდელი წინასწარმეტყველების ასრულების შესახებ, მეორენი: ზანგები – „რასსა მაგარი. რიტმი – ცხელი. მაგრამ კულტურა? ნუ ვიკითხავთ: ვინ დაიჯერებს „უთავოდ“ შექმნილს!... მესამენი: „ზანგს აქვს გზნება, მართლაც საოცარი. მაგრამ ეს არის „სენსუალობა“ სხვა არაფერი“... მეოთხენი: „ჯაზის რიტმებში: „ხორცია“ და არა „სხეული“. „ხოში“ და არა „ლტოლვა“, „ხურში“ და არა „სიმთვრალე“, „თავგასულობა“ და არა თავდავიწყება“. რა საჭიროა თავის მოტყუებაო?!“ ბჭობდნენ და აზრს აყალიბებდნენ... და ბოლოს ისიც თქვეს... „ზანგები კი არ მოდიან, ჩვენ მივიღვართ ზანგებისკენო“... ერთერთი მოკამათე ამტკიცებს: პუშკინი ნახევრად ზანგი იყო და მისი ფენომენობაც აქედან მოდისო... „დააკვირდით მის დუელს. მის სიკვდილს... განა ეს ზანგური წინხედვა არაა?... არ დაიჯერებთ? მაშ აიღეთ პუშკინის რიტმი... ასეთი მდიდარი რიტმი არა აქვს არცერთ რუს პოეტს... არა მგონია, რომელიმე სხვა პოეტს ჰქონდეს, თუ გინდ ევროპისას.

პეტერეცი ვერ ისვენებს, საზღვარი არა აქვს მის თხრობას პუშკინის ლექსების ქებაში, მერე ქალბატონ კავალლას მიმართავს: თქვენ რუსული ენა ჩემზე კარგად იცით და რას იტყვით ამის შესახებო? „სახელი კავალლა ლითონივით გვარდა მსმენელთა წრეში“. მაგრამ ცოტა სინჰუმის შემდეგ, რაღაც ახლის მოლოდინით აივსო აქ მყოფი საზოგადოება. ჟანნეტთან ერთად შემოდის ადოლფ უნგარი. ყველანი სხვადასხვა ფიქრებმა მოიცვა. პირველი პელეტეიმ მიმართა უნგარს: თქვენ მოსულამდე ჩვენ ზანგების შესახებ ვსაუბრობდითო. ჩვენი კამათიდან აზრთა სხვადასხვაობა გამოიკვეთაო. ზოგნი ამბობს: ზანგებს დაუბრუნოთ ევროპა, ან

კიდევ პირიქითო. ან კიდევ ზანგი უფრო მაღლა დგას როგორც არსი, ვიდრე ევროპელიო. „თუ გინდ, მაგალითად, ისეთი დიდი მოაზროვნე, როგორიც არის იმმანუელ კანტ“... „ეს კენიგსბერგელი ჩინელი?!.. ჩაიხითხითა პერეცმა“.. „მართლაც კენიგსბერგელი ჩინელი, როგორ დადალა იგი ნიცშემ.. რასაკვირველია, ტვინი მისი საოცარია, მაგრამ რა გააკეთა ამ ტვინმა? ყოფას ჩინური კედლები შემოაფლო გარს და ჩასვა შიგ ადამიანი, როგორც მოჩვენება“. პერეც ველარ იჭერდა მის სიტყვებს. ბოლო არ უჩანდა ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობას. მისი როგორც გონება ისე ხელ-ფეხიც ველარ ისვენებდა მუსიკალურ რიტმებში გადავარდნილი. ხანდახან მისტერ ლეიკიც ჩაერთვებოდა: „კარგია ქება ზანგების, მაგრამ ევროპის ასეთი გაცუდება. არა, ეს ზედმეტია“... კავალლას უნგარი მორიდებით, მაგრამ ხშირად თვალს გადაჰკრავდა: „ისაა უთუოდ: ფიქრობდა. „ხოლო მან“ ყველაფერი იცის ჩვენ შეხვედრაში, მე კი „ცოტა“.. დახე ადამიანის ბუნებას, მასკა აფარებულნი ქალი, და უტიფარი“. უნგარს თავიდან არ ამოდიოდა „უცხო ქალის“ ასეთ უცნაურ ფორმაში წინანდელი შეხვედრა. ამ დროს მაკ კოლახმა ნარდში მოიგო, იმდენად გაუხარდა ეს ამბავი ხმამაღლა გამოუვიდა თქმა: „შაჰ“ და „მატ“, პერეცმა უნებლიედ მისკენ მიხედულმა, თავი ვერ შეიკავა და ის ის იყო ძირს უნდა გაშხვართულიყო, უნგარმა ხელის შეშველებით ჰაერში შეაჩერა. მაგრამ ხელით მაგიდას სწვდა და რაც ზედ იყო ძირს გადმოყარა. ქალებს კაბები ღვინით დაეწუწათ, „ბენედიქტინი“ დაიმსხვრა... პერეცმა მაგიდასთან მსხდომნის საუბრის თემა გამოიყენა და უხერხულობის დასაძლევად განაგრძო: „მეც იმ ურჯულოს ჯიშისა ვარ, ამ ჩინურ საფრთხობელასი... აბა, ველური რომ არ ვიყო... ეს დამემართებოდა?! ჰა-ჰა-ჰა“. ყველანი ხითხითებს, იცინის და აგრძელებენ ლაპარაკს: თეატრის ახალ წარმოდგენებზე, კინოებზე, პოლიტიკაზე და ათასგვარ რაიმეზე. საუბარში პოეტი ჩაერია: „რაა ბოლოს და ბოლოს ეს ჯასბანდი და მისი ნაქები რიტმები?.. მერე შეჩერდა

და კავალლას მიმართა: ქალბატონო კავალლა! მე თქვენ მიხიხართ მოცეკვავე კონსტანტინეპოლში... მითხარით: რაა ბოლოს და ბოლოს ეს ზანგური რიტმები?“. ამ სიტყვამ თითქოს ქეძაფი გადაასხა მისტერ ლეიკის სტუმრებს. შეკრთნენ ყველანი, თავად კავალლამ თავი მედიდურად ასწია, წელში გამართულმა მაგარი სახით მიმართა სტუმრებს: „რა არის ზანგური რიტმები?.. თქვენ სხეულებს ჰკითხეთ, თქვენს ტანებს.. მაშინ გაიგებთ“. ყველანი გაოგნებული დარჩა ამ სიტყვების მოსმენაზე.. მხოლოდ პეტრეცს გადააჰქონდა სიცილ-ხარხარში ეს ამბავი. თან ამბობდა: ეს აქამდე რომ მცოდნოდა ხომ არ გადავქანდებოდი გასაშხვართავადო. აღოლფ უნგარს ქალის სიტყვები აღარც მოუსმენია, იმდაგვარად იყო კვლავ „მასკიანი ქალის“ ფიქრში გადავარდნილი. პერეცი კი ვეღარ თვრებოდა სიტყვით და ვეღარც მეტყველებდა „თავისებურად“...

მაგიდის წვერებს მოთენთილობა დაეცყოთ. ამას უმაღ მიხვდა მისტერ ლეიკი და ჟანნეტს ანიშნა როიალის დაკრით გაერთო მოწვეულნი. ჟანნეტმა როიალს მიუჯდა, მერე ჟანნეტი პელეტიემ შეცვალა. გამხიარულდნენ სტუმრები. კავალლამ შენიშნა, რომ მისი კონსტანტინეპოლში ცეკვების შესახებ პოეტი პერეცს უამბობდა. გაახსენდა ის დრო და ძალაც იგრძნო: პერეცს მიმართა: „გსურთ ვიცეკვო?“ პერეცმა გაოცებულმა ამ სიტყვებით სტუმრებს გასძახა: „ქალბატონ კავალლას ცეკვა სურს!“.. ერთ წუთში სტუმრები გაირინდნენ, – სიჩუმე ჩამოვარდა. „პელეტიეს ხელები კვლავ წვდენ კლავიშებს, ისევ ის ხვატიანი და ხოშიანი რიტმები. კავალლა ეღვარებდა სიველურით“... „არა „ის“ არ უნდა იყოს“ – იჭვობდა უნგარ“ მაინც არ ასვენებდა უნგარს კავალლასთან – როგორც მასკიან ქალთან“ შეხვედრა, თანაც დაღვრემილი ჩანდა. ჟანნეტმა დრო იხელთა და უნგარს ამორძალთა დედოფალზე სიტყვა გაუგრძელა: „ფალესტრა როგორ მიდის?“... „შეჩერებულია“.. მიუგო რეჟისორმა. „რათა?“ ქალი ვერ მოვნახე, ამორძალთა დედოფალი რომ განასახიეროს“... პერეცს ყურში ჩაეწვეთა უნგარის პა-

სუხი და ეუბნება: „ქალბატონ კავალლას ვთხოვოთ, ითამაშოს ამორძალთა დედოფალი!...“ „მე?“ იკითხა კავალლამ და გაკვირვებული სახით უცქეროდა უნგარს და პერეცს. „ღიას თქვენ“.. მიუგო უნგარმა. „მე?... როგორ?... შევძლებ განა?...“ „შეძლებთ და მერე როგორ!“ უპასუხეს ორთავემ ერთად. „კავალლას სახეს ეხლა კდებმა მოეფინა“... „ჟანნეტ დედალ ძერასავით უცქეროდა მთიელ ქალს“...

გრიგოლ რობაქიძემ „ფალესტრა“-ში ჩვეული ხელწერითა და სრული მონდომებით გადმოგვცა კავკასიელი ქალის – ელენას ერთდაგვარად ზვიადი კდებამოსილება, რომლის ფიზიკური აღნაგობა და ურთულესი ხასიათი – იქ ევროპაში – ცხოვრების სტიქიით და ორომტრიალით თავბრუდახვეული საზოგადოების თვალში „ახალ მოვლენას“ წამოადგენდა. გრიგოლი შედარებას ახდენს: „მორელლა. ნეიფი ქალი იყო ავხორცი... მორელლა და მაინც დარჩა ხელუხლებელი“. სწორედ თავსატეხია და ხშირად მიუწვდომელიც ქალის ე. წ. „სუსტი სქესის“ შინაგანი „მე“, რათა მისი შეუვალი ხასიათი და შეიძლება მისი იდუმალი ყოფიერება, პირადად თავისთვისაც ჯერ არშეცნობილ ელემენტად რჩებოდეს. ამაზე მეტყველებს ელენას ამოუცნობელი ხასიათიც, ბატონი გრიგოლი ასკვნის: „ქალის გულს ქალიც კი ვერ გამოიცნობს“-ო... „მაგრამ ქალს ვინ მიწვდება თუ მისი მკერდი არ იხსნება“-ო და კიდევ „ქალი – კოლხის სილამაზეა და რისხვა“-ო.

ჩაკლული სული

თამაზ ენგური სასკინმრეწვის სასცენო განყოფილების უფროსია. ამჟამად მუშაობს სცენარის დადგმაზე, რომელშიც ყველაფერი დიალექტიკური უნდა იყოს. ფიქრობს: დიალექტიკური ხედვა წარსულშია. ასეთი თემა წარმოიშვება ხოლმე ლიტერატურაში და ხელოვნებაში. თავად კი არც რევოლუციონერია და არც, კომუნისტი. საბჭოეთის მიზანს, – ღმერთის უარყოფაზე, სწორად არ თვლიდა. მას ვერ წარმოედგინა ხალხის ცხოვრება უღმერთოდ. მაგრამ ამ საკითხის ირგვლივ, მაინც ძუნწი და ორაზროვანია. იგი წარმოშობით სვანია და იცის მისი შთამომავალნი სალოცავში რელიგიურ კულტს, რომ თავდადებით უვლიან, ისე როგორც დანარჩენი მთის ხალხი. მაგალითად ხევსურეთში „ადგილის კულტი, ხევისბერი მხილებულია, მიწის კულტი ჯადოახსნილი, საიდუმლო – ამოცნობილი, ახსნა-განმარტება – მოცემული, სოციალური ჩაგვრა – გამოაშკარავებული“. ააღელვა ამდაგვარმა სცენარის შინაარსმა, რადგან მასში ჯერ კიდევ ცოცხლობენ ტომის ელემენტები.

დიდხანს გაგრძელდა მის თავში დისკუსია რელიგიის შესახებ. ისიც იცოდა, რომ „ადგილის დედის“ და მიწის საიდუმლოებას, რომ ვერანაირი რადიოაქტიური ელემენტის აღმოჩენა შეძლებდა. რელიგია და ყოფიერება – როგორც ცალ-ცალკე და მთლიანი ჯაჭვი ჯერ კიდევ ერთმანეთში ერეოდა.

კამათი, შეხლა-შემოხლა ორს შორის, ორივეს დამარცხებას ნიშნავს, გამარჯვებული კი ყოველთვის მესამეა. მხოლოდ ამას ცდა, იმ ჯადოს ახსნისა, რომელიც ქართულ სინამდვილეს ხალხურმა

მითმა და ზღაპარ-თქმულებებმა შემოუნახა.

თამაზის ფიქრები შეუვალია: თუ, რაიმე სრულყოფილება გაუმეტებია ღმერთს თავისი შესაქმისათვის, ეს ყოველივე დევს ქალში, თამაზი დედამიწაზე ეძებს ყოველივეს ძვირფასს – გაახსენდა კვლავ მუხა, და არგამეტება გველისა და ხვლიკისა. ფიქრები გველზე: „ადამი და ევა არ მოუტყუებია გველს, ღმერთს სიცოცხლისათვის სხვა სჭირდებოდა – და შექმნა იგი. პირველმა ადამიანებმა იგემეს იდუმალი ნაყოფი, იწყეს შობა და ამით ღმერთთან შეიქმნენ წილნაყარი. ღვთიურია თესლი საშომ, რომ უნდა მიიღოს ბნელმა. თესლის ცეცხლი შექმნილია – მაგრამ ამ შექმნისას მცირდება ღმერთი, როგორც მცირდება მთვარე: ქმნილებას გაქრობა ემუქრება. მისი ხვედრი სიკვდილია. ეს გველმა პირველ ადამიანებს დაუმალა, რადგან თვითონ არის სიკვდილის მატარებელი. მისი ფოსფორისებური მზერა სიკვდილს აფრქვევს. ამ მზერაში სიბნელეა თვითონ. ეს მზერა ძრწოლას იწვევს ადამიანში. იგი გაუსაძლისია, რადგან წარმავალის ხედვაა. „არარას სუნთქვა“. აქედან თამაზ ენგურს გამოაქვს დასკვნა: გველის უფრო მამაკაცს უნდა ეშინოდესო და მზერას მიაპყრობს მზისგან გავარვარებულ ნახნავებს, მის გვერდით კი მზის სივრცეში ქალი ყვინთავდა.

თამაზის მიერ კოჯრის მიდამოებიდან დანახული საქართველო ასე გამოიყურება: „შიშველი კლდეები, როგორც მზით შეტრუსული აქლემების დასასვენებლად შეჩერებული ქარავანი. დიონისე ჯერ ისევ ღაღობდა: მისი დამათრობელი სურნელი დღესაც ასდის ქართულ მიწას, ხოლო მენადების კვილი ჰაერში მიმოქრის“. იგი კოჯორში ნადიმზეა მიწვეული. სუფრას გადახედავს, თუ არა, გაახსენდება: ქართულ მიწას არასოდეს აკლია მადლი – წყალობა, ლხინში და ჭირში. სუფრასთან ისხდნენ სხვადასხვა წრის წარმომადგენლებიც, მათ შორის გამოიკვეთება, ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგე – ვინმე ლიტველი – ბერზინი. ნადიმზე მრავლად გაიჟღერა ლექსებმა, ოღონდ არ-

ცერთი რევოლუციას არ ეხებოდა. ამის გამო ბერ-
ზინი გააკვირვებულა და თავის აზრს გამოთქვამს:
„ასე მგონია, აქაურ მიწას რევოლუცია ჯერაც არ
შეხებიაო“. საუბარში ჩაება ახალგაზრდა ლევანი,
„ეს მიწა, სადაც ახლა ვქეიფობთ, სამი საუკუნის
წინათ ცეცხლოვანი რაშებით გადათქერა... გიორ-
გი სააკაძემ. მის ნაკვალევზე ფესვს ვერ გაიდგამს
რევოლუცია“.

ნადიმის დროს რევოლუციის თაობაზე დიდხანს
გაგრძელდა დისკუსია. განსაკუთრებით კი თამაზ-
სა და ბერზინს შორის. ბოლოს, სრულიად მოუ-
ლოდნელად თამაზმა მგზნებარე საუბრით დაიწყო
თხრობა, იმის შესახებ, თუ პოლტავის გუბერნია-
ში, როგორ მიმდინარეობდა რევოლუცია. იქ, რომ
ცოფმორეული ხალხი, ჯერ სასახლეში შეიჭრა –
ყველაფერი გაანადგურა, მერე კი ბრძოლით უინ-
მორეულნი თავლაში შეიჭრნენ, ყველაზე გამორჩეუ-
ლი ცხენი აღვირით მოქაჩეს, მაგრამ ვერ დაიყოლიეს,
ბოლოს, წინა ფეხებით ცხენი ღობეზე ჩამოეკიდა.
მაშინ მასზე შური იძიეს და ისიც კი გაატყავეს.
„ცხენი ცოცხლად გაატყავეს, აი, ეს არის პროლე-
ტარული რევოლუცია“...

რუსეთი სამოქალაქო ომმა მოიცვა, გამოჩნდა
ტროცკის დემონური აჩრდილი. საქართველოში ბერ-
ზინი იმ მატარებლის შემადგენელი ნაწილი იყო
„იმ დაღუპული ვაგონის ღვიძლი შვილი... რომელ-
მაც თავის დროზე გერმანიის მიწა გადასერა, რათა
რუსეთში რევოლუციის ცეცლი დაენთო“.

„დაგლეჯილი ღმერთის ხორცადქცეულ ნაწილს“
უწოდებს თავის თავს, რუსეთიდან საქართველოში
მატარებლით მომავალი თამაზი და მისი ფიქრები
ასახვანა – სამოქალაქო ომით გამოწვეული სასო-
წარკვეთილებისა. იქ გზაზე ნანახ-განცდილით
შეძრწუნებული თავის გულზე ამბობს: „ის იყო
ხორცადქცეული ნაწილი მისტიურად დაგლეჯილი
ღმერთისა“. თამაზმა აქ იგრძნო: „ყველას გულს, რომ
შეექდოს სხვების შესახვედრად გაღება, ბოლომდე,
მთლიანად, კოსმიურად, მაშინ ალბათ გამრთელდე-
ბოდა დანაკუწებული ღმერთი“ (რა ჭეშმარიტება და

ღვთიური აზრის გამოხატვაა ეს გამონათქვამი!!!). თამაზმა მატარებელში გაიცნო ბაქოში მიმავალი – „მემარჯვენე ოპოზიციონერი, რომელთა აზრები ახალი პოლიტიკის შესახებ ერთმანეთს დაემთხვა. ისინი საუბარში შეეხნენ ლიტერატურას, ხუთწლიან გეგმას, სტალინის მაგარ ხელს. თამაზი საუბარში თავშეკავებულია. ბაქოელს ნაღდად შეეცყო კონტრევოლუციური ელფერი... ბოლოს გამომშვიდობებისას, თამაზს უსურვა – „ღმერთით გველოთ“. „სადა ხარ ღმერთო? დაიყვირა გულში თამაზმა და დაავიწყდა, რომ ღმერთი ყველგანაა, სადაც გული ღიაა“. თამაზი ბაქოელთან საუბრის შემდეგ, მაინც იჭვნეული გახდა: შეიძლება ისეთი რამე დასცდა მასთან, რაც შემდეგ წინ დახვედროდა მგზაკვრულად.

მოსკოვიდან მობრუნებულს, ბერზინის წიგნი დაუხვდა მაგილაზე, რამაც ძალიან გაანაწყენა. რაღაც უხილავი ბოროტების სიმბოლოდ მიიჩნია და ღრმა ფიქრებმა მოიცვა. ამ დროს, ოთახში შემოდის პარიზში გაცნობილი სოციალისტ-რევოლუციონერი პეტროვი, რომლის თვინიერ სახეს, ხშირად რისხვისა და სუსხისმაგვარი ელფერი გადასდიოდა. მაინცადამაინც სანდო პიროვნება არ ჩანდა. საკმაოდ განათლებული წიგნების კითხვით. ხალხური ზეპირსიტყვიერების ენით თამაზთან საუბრისას, ყოველთვის ისეთ ამბებს შეეხებოდა, თითქოს მისი – ძირითადი ცხოვრების მიზან-მიმართულება აინტერესებდა. უეცრად პეტროვმა მექსიკაზე საუბარი წამოიწყო: „ადამიანი მსხვერპლი!.. არსებობს უფრო რაიმე იდუმალი ქვეყანაზე? ადამიანი საკუთარი სისხლით კვებავს ღმერთს. ხომ გახსოვთ აბრაამი? ასეა მექსიკაში, სადაც რჩეული ტაძარში მიჰყავთ“. მანვე გაიხსენა ქურუმისა და ყმაწვილის ამბავი, როცა ქურუმი ბასრი ქვის დანით მკერდს გაუგმირავს ყმაწვილს, მისგან გულს ამოიღებს და მზეს აჩვენებს. პეტროვი გ. პ. უ-ს წარმომადგენლის ამბავსაც მოიყვანს, რომელიც მძიმეჩქმებიან ქალს სისხლით სავსე აბაზანაში ჩააწვენს. მოყოლისას თვალს თამაზისკენ აპარებდა. თამაზი

კი დაბნეული იყურებოდა. უკვე ეჭვებშია, რაღაც მოახლოვებული – საშიშროებაც იგრძნო მისგან. პეტროვმა სახლიდან გასვლისას, თამაზს გამოაოცნებელი შეკითხვით მიმართა: „მაპატიეთ გეთაყვა! კინაღამ დამავიწყდა – მინდოდა გამეგო, რას ნიშნავს „ჯუღა“?... თამაზი დიდხანს ფიქრობდა ამ შეკითხვის ირგვლივ და მერე ლევანს მიაშურა.

1923 წელი. ძალაუფლება „ტრიუმფირატს“ უჭირავს: სტალინს, კამენევს, ზინოვიევს. ტროცკი სამხედრო რევოლუციური საბჭოს ხელმძღვანელია. ამიერკავკასიის კომიტეტის სხდომაა. სხდომას ესწრება ბერზინი, რომელსაც გ.პ.უ-ს თანამშრომელი დოსტოვესკის წიგნს „ეშმაკნი“ გადასცემს. წიგნში შენიშვნები აქვს გაკეთებული და სოხოვს წიგნიდან რამოდენიმე გაუგებარი სიტყვის ახსნას.

„ბერზინი მთელი ღამე ფურცლავდა წიგნს. არ უყვარდა დოსტოვესკი. არ ესმოდა მისი „ღმერთის ძიება“, ხოლო რუსული სულის უთავბოლოობას მოთმინებისაგან გამოჰყავდა.“ მხოლოდ ყველაზე მეტად მოინიბლა აზრით: „ვისაც ხალხი არა ჰყავს, იმას არც ღმერთი გააჩნია! ისიც იცოდეთ, ვისაც თავისი ხალხის არ ესმის რა და ვინც მას მოსწყდება, მყისვე მამულის რწმენასაც დაკარგავს და ათეისტი ან ყველაფერზე გულაყრილი კაცი გახდება“... იგი მეტად დააფიქრა და ვერ გაიგო წიგნში მოყვანილი სიტყვა „ჯუღა“, რომლის შინაარსის გარკვევას, ქართველებისგან ცდილობდა.

თამაზ ენგურმა ოპერაში გაიცნო ივანოვი, – იგი მუშაობდა ამიერკავკასიის მთავრობის საინფორმაციო ბიუროში – საზღვარგარეთული პრესის განყოფილების გამგედ. ახლა, მასთან სტუმრად მისული თამაზი, ისმენს მის გაუთავებელ საუბარს, – ევროპულ პრესაში გახმაურებული ახალი სკანდალური ამბების შესახებ. თამაზი ივანოვის მიერ პრესიდან ამოჭრილ საინტერესო დეტალებს ეცნობა. აგერ ჰოლივუდის კინოჟურნალისტები თავს იმტვრევენ: ეკრანის გმირმა რომელი სახის სიგარა მოსწიოს, ასევე – „აგერ მბრუნავი მაგიდა აღარ ჰყვება ნაპოლეონის განცდებს აუსტერლი-

ცის გამო“. ასევე წაიკითხა ლუდოვიკო მეთოთხმეტის – ტექსტში მოყვანილი ციტატები. განაგრძობს კითხვას: ჰოლივუდში თურმე, გამხდარი ქალებიც გადასულა მოდიდან, საზოგადოება დაკავებულია სიმსუქნისათვის ზრუნვაში. ასევე პრობლემად გადაქცევიათ კითხვა: სიგარა ქალებს უფრო უხდებათ თუ მამაკაცებსო. თამაზი შეშფოთებულია ასეთი პრიმიტიული საკითხების სენსაციურობაში და კვლავ ახალ ამონარიდს ეცნობა: „ოქსფორდში დისკუსიის სადამოხე სპირიტუზმის გამოჩენილმა მკვლევარმა სერ ოლივერ ლოჯმა განაცხადა, რომ სიკვდილის შემდეგ დაამტკიცებს სულის უკვდავებას“... ერთ ქვრივზე ახლადდაქორწინებული ქალბატონი მოითხოვს განქორწინებას, იმის მიზეზით, რომ ქვრივის პირველი ცოლის სული მას მოსვენებას არ აძლევს. ქვრივიც თავგადაკლული სპირიტისტია. ამონარიდების კითხვისას არ გამორჩენია მხედველობიდან იტალიის აკადემიის მდივნის მარინეტის ლექსის წაკითხვა, – ბუდაპეშტის აკადემიის სააქტო დარბაზში, სადაც იგი ძალღად გარდასახვას შეეცადა და სცენაზე ძალღური მოძრაობებით იხილეს... საკუთარი თავის გამასხარავება, შენიშნა თვით ივანოვიმაც. შემდეგი სენსაცია ის იყო, რომ ამერიკელი მდიდარი, 10 წლის კატას კბილების ჩაუსვამს... აგერ საფრანგეთში, ფრანკორუსულ კლუბში ყოველდღე შედის სამი კაცი და დასასრული არა აქვს მათ მიერ კარტების დარიგებას ერთმანეთში. მეტად დამაფიქრებელია ნიუ-ჯერსში საცეკვაო მართონის დროს მომხდარი ტრაგედიის ამბავი. ცოლ-ქმარი ახალგაზრდა წყვილი ცეკვის შემდეგ საბანაოდ წავიდნენ, ძლიერმა ტალღამ ქმარი ჩაითრია, ქალი გადარჩა. ერთი საათის შემდეგ ქალი ისევ უბრუნდება საცეკვაოდ სცენას. ფიქრობს: „ახლა, რომ მივატოვო მართონი, ქმრის დასამარხ ფულს ვერსად ვიშოვნისო“. ამ სტატიების კითხვისას, თამაზი თანდათან დაუახლოვდა ივანოვს, მათ თითქმის ერთად გაარჩიეს საკითხი, რომ რადიო ღვთის საიდუმლოს დესპანად იქცა, რადგან 1932 წლის 6 აგვისტოს კარდინალის მოხსენებაში

ეწერა: ქრისტემ ეთერის ტალღებზე გადაიარაო. უკვე ათასობით ადამიანი მოისმენდა რომის პაპის 31 ენაზე გადაცემულ ლიტურგიულ პარაკლისსო. თამაზი ღრმად ჩააფიქრა, იმან რომ ტექნიკა შეიჭრა ღვთისმსახურებაში, და ადამიანი იჭრება ბუნების კოსმიურ დინებაში, იგი ამავე შეხედულებისაა ელექტროგანათებაზე ეკლესიებში... „განა შეიძლება, ელექტრობა სანთელს შეედაროს? სანთელი ცოცხალია: ის იწვის, დნება, წვეთავს, კვდება. იგი ნამდვილი ღოცვაა“. უცებ, ივანოვი თამაზის თვალწინ მკერდს გადაიხსნის, სადაც ოქროს ჯვარი უკეთია... „მე ვებრძვი ჯვარს და ამავე დროს ვატარებ მას“. ჩაილაპარაკა მან და აგრძელებს: „ყველაფერი რაც საბჭოეთში ხდება, ხდება ყველგან... მიწისქვეშა დინებები აიღეთ. ყველგან ერთნაირია. – ჩვენთან, ევროპაში, ამერიკაში. ჩვენთან ღმერთის წინააღმდეგ იბრძვიან, მისი მოკვლა სურთ. ამერიკაში და ევროპაში... იქ არ კლავენ ღმერთს, იქ იგი თავისით კვდება“. თამაზმა დაინახა მისი რეალური სახე. თითქოს, იგი, რამოდენიმე საათში ახალ სრულქმნილ ადამიანად იქცა, რომელმაც მკერდში ჩაკვრით და კოცნით გააცილა თამაზი.

წიგნში „ჩაკლული სული“ გამახვილებულია ყურადღება, – საბჭოთა საქართველოს მწერალთა დელეგაციის მოსკოვში სტუმრობაზე. შეწუხებული და „სულჩამკვდარი“ მწერლები ათასნაირი ხერხებით მოქმედებენ, რომ ამ დროის სიმწარეს გადარჩენოდნენ. და, ახლა მწერალთა ყრილობაზე გასაგზავნად დელეგატებს შორის აღმოჩნდა თამაზ ენგური. დელეგატები საზეიმო სხდომაზე მიიწვიეს ოპერის თეატრში, – სადაც „კალეს მოქალაქენი“ გადიოდა. ოპერაში უცხოელებიც იქნებოდნენ და სიტყვაში გამოსასვლელად თამაზს სთხოვეს. დელეგატები თავისებურად დელავდნენ, უცებ გამოაცხადეს: სტუმრებს მიესალმება, ქართველ მწერალთა დელეგაცია... თამაზი უმალ გამოერკვა... „ახლა მის წინ რევოლუციის ნება აღმართულიყო, მონობის განადგურებით გამობრძმედილი“... ღოჯაში ნატა შენიშნა, უფრო აენტო, ძალა მოემატა. ქართულზე

გადავიდა. სიტყვებმა გაიტაცა... თითქოს კაპიტალი-
სტურ დაძაბუნებულ სამყაროზე დროული იყო
ემარჯვა იმ რევოლუციას, რომელმაც აქ საბჭოეთი
გამაგრა... ისე შორს წავიდა სიტყვით, – „მსოფლიო
განახლებისათვის „სისხლის გამოშვება“ კი იხ-
მარა, მაგრამ არ ახსენა სიტყვა „ოქტომბერი“ და
საქართველოს გასაბჭოების მოტივი... „თამაზი ორა-
ტორი არ იყო, მაგრამ ამ წუთს მის ძლიერ სიტყვას
ჰქონდა ცეცხლი“.

სხდომაზე იყო ბერზინი, რომელიც მის ყოველ
სიტყვას გაუშიფრა-აუწონელს არ დატოვებდა.
ბერზინმა ერთ ქართველ ინჟინერთან ერთად ნატა
შენიშნა და ბასრად მიახალა მას, თუ რაზე საუ-
ბრობდნენ, და ისევ მალე გაშორდათ. ღონისძიე-
ბის შემდეგ თამაზი და ნატა ერთმანეთს შეხვდ-
ნენ. უსიტყვოდ, თვალებით საუბრობდნენ. თამაზმა
იგრძნო მისი გამბედაობა, – თავისსავე გამოსვ-
ლისა. მაგრამ მწარე სინამდვილე „რა ეშველება
თავისუფლებას, ღმერთის ამ უმაღლეს საჩუქარს?“
ტვინს უდაღავდა... „ნატას გამომცდელმა თვალებმა
უფრო დაადარდიანა“... სადამოს გამართულ ბან-
კეტზეც მივიდა, აქაც აიღო სიტყვა „ახლა სისხლის
გამოშვება არ უხსენებია; თეატრში ნათქვამის შერ-
ბილება თუ უნდოდა უცხოელ სტუმართა წინაშე“.
ბანკეტის შემდეგ ორ უცხოელს, – იტალიელები
უნდა ყოფილიყვნენ შეხვდა, რომლებმაც დოსტო-
ევსკიზე გაუმახვილეს ყურადღება. თქვენ გეტყობათ
ძალიან გიყვართ დოსტოევსკი და როგორ მოგწონთ
მისი წიგნი „ემმაკინი“-ო. თამაზს მაინცადამაინც ეს
შეკითხვა არ მოეწონა... და ბოლოს ჩურჩულით უპა-
სუხათ: „დოსტოევსკის შესახებ ჩვენს შორის დარჩ-
ესო“. უცხოელებმა ღიმილიანი მზერა გააყოლეს
თამაზს. ნაბახუსევმა და იტალიელების შეკითხვით
დამთვრალ-თავბრუდახვეულმა გვიან ჩაიძინა და
დარდად ეს ხალხი „ჯაშუშები“ ხომ არ იყვნენ
ექვთი, და დოსტოევსკის წიგნზე ათასჯერ წარწერი-
ლი სიტყვა – „ჯუღა“ სულს უდრღინდა.

თამაზი ქანცმილეული ადგა და პირველად
პრესა დაათვალიერა, მისი გამოსვლა გაზეთებში

გამოექვეყნებინათ. გ.პ.უ-ს წარმომადგენლებს ვერ გაერკვიათ სიტყვები: „სისხლის გამოშვება“. კინოატელიეში გაემგზავრა. გზად პატარა მეგობარი შემოხვდა, რომელსაც ჩვეული ტონით მიესალმა, უმაღლ მოღუშულობაც შეატყო. ჰკითხა მოწყენილობის მიზეზი, მაგრამ ბავშვმა უხერხულობა იგრძნო და ხელის თითების კვნეტას მოჰყვა... თამაზს ენიშნა, რომ მისი მშობლები გაზეთს წაიკითხავდნენ და ეს ფრაზა „სისხლის გამოშვება“ თავზარს დასცემდათ. იმ დღის შემდეგ თამაზმა იმდაგვარად ჩაიკეტა თავის თავში, თითქოს მის არსში ჯერ ამოუკითხავ ქრონიკას ეცნობოდა.

გრიგოლ რობაქიძის გადმოცემით, ამ მძაფრ დღეებში ადამიანი თითქოს ციფრ რვიან მიაგავდა: თითოეული შეიცავდა როგორც რევოლუციურ ისე კონტრევოლუციურ ელემენტსაც. ვინც გუშინ საბჭოეთს აკრიტიკებდა, დღეს უკვე მის დამცველად გვევლინებოდა. დოსტოევსკის გმირების ნიშანთვისებანი, ძალიან მიესადაგებოდა უმეტეს ადამიანთა ფიქრ ქმედებას. არავინ უწყოდა დღევანდელი კაცი, ხვალ რისთვის განემზადებოდა... „ფარდობითობის თეორიის შემდეგ სამყარო ვეღარ გაიზომება ჩვეულებრივი წარმოდგენებით“... თითქოს ძველი ცხოვრება დაემხო, მაგრამ ხელში ლანდი გვრჩებოდა. მრქს-ენგელსს – ლენინი მოჰყვა – მას პირდაპირ სტალინი გაჰყვა. „ვერასოდეს წამოიდგენდნენ, რა სოციალურ წინააღმდეგობებში გადავიდოდა კომუნიზმი. არავინ იყო საკუთარი თავის ბატონ-პატრონი. ცალ-ცალკე გენერალური მდივანი არავისზე იყო დამოკიდებული, მთლიანობაში – ყველაზე. ის მთლიანობის მაჯისცემას უბდებდა ყურს და თუმცა ყველაზე მაღლა იდგა, ყველაზე ნაკლებ იყო თავისუფალი უპიროვნო მთელის წინაშე: ერთი მცდარი ნაბიჯი და გათავდებოდა მისი საქმე“. ერთმანეთისადმი შიშისა და უნდობლობის სინდრომი – ხშირად ავაზაკურად ქმედებდა – ყველაში და ყოველში. ერთი უბრალო შეცდომის გამო პრესაში, კრებებზე და საპროტესტო შეხვედრებზე ნადგურდებოდა იგი. მზაკვრულმა ფიქრ-განსჯამ

მოიკიდა ფეხი უბრალო და მოქიშპე ადამიანებში. დამკვიდრდა სიტყვები: „გადამხრელი“ და „მავნებელი“. ე.ი. „უღმერთონი“ გახდნენ ღვთისწილხვედრი სამშობლოს მიაშიტი ადამიანები. ათასი კაციდან ერთში თუ შემორჩა სიკეთის ნაყოფი, მაგრამ მისი გამოყენებაც მეტად სიფრთხილესა და მიზანშეწონილობას მოითხოვდა. ამ დომხალში თანდათან იშლებოდა ზღვარი „ღვებანდელსა და ხვალინდელს შორის“. ლიტერატურაში, თეატრში, კინოში მოღვაწეობა აკრობატიკულ ილეთებს მოჰგავდა, თავის გადარჩენის მიზეზით. ქალაქიდან ქალაქში მოსიარულე მსახიობთა დასები რუსეთის პირქუში ღამეებივით დაძრწოდნენ ჩვენს მიწაზე და საშინელი „გილიოტინით“ იმუქრებოდნენ. და ამ დროს ღენინი სტალინს უწოდებს „ღვებანდარულ ქართველს“. გრიგოლ რობაქიძე კი გაბედული სიმართლით ამბობს: ღვებანდარული მასში ბლომადაა, ხოლო ქართული ნაკლებად... სტალინის გამორჩეულ ხასიათს მისი წარმოშობის ისტორიაში, მამის სასტიკ ხასიათსა და პოლიტიკური ღვენის მიღმა ეძიებდა, რომლებმაც ეს პიროვნება გამოაწრთო და ყოვლისშემძლედ ჩამოაყალიბა. „შესამჩნევ კვალს არსად ტოვებდა. საღლაც უეცრად თავს ამოყოფდა, უსახელო პოლიგრომი, როგორც გოლემი, რომელიც ებრაული თქმულების მიხედვით, ოცდაათ წელიწადში ერთხელ ეწვევა სამყაროს: მასთან შეხვედრა გაკრთობს - გონს მოხვალ, ის უკვე აღარ ჩანს“... სტალინს ბავშვობაში მამის აღერსი აკლდა; - ეს სინამდვილეა და... „ის არ არის აალებული, ხორცშესხმული ნაწილი მისტიურად დაგღუჯილი ღმერთისა: ის ცივია, მტკიცე და პირქუში. ასეთი ადამიანისათვის არ არსებობს ექსტაზი... კეთილ სწრაფთათვის იმის გულია დახურული, ვისაც ღვთიური ძალა, - სიცოცხლის მადლი აკლია“...

გრიგოლ რობაქიძე იმასაც აღნიშნავს, რომ სტალინი მოწაფეობისას საეპისკოპოსო გუნდში გაღობდა და ღექსებსაც თხზავდა პატრიოტულს (ყველამ ვისწავლეთ ზეპირად სტალინის ღექსი პირველ კლასში, და ვმღეროდით კიდეც ამ ღექსზე შექმნილ

სიმღერას), – „მაგრამ ამავე დროს ესპერანტოსაც სწავლობდა: უკვე მაშინ სწამდა მსოფლიო ენისა, ცხადია, მექანიკურად შეკოწიწებულინა, აშკარად სტანჯავდა სამყაროს ორგანული მრავალფეროვნება. მეტიც: თვით სიცოცხლის ატანა არ შეეძლო. სიცოცხლის მიმართ მტრულად იყო განწყობილი და ყველგან მტრები ელანდებოდა“. ლენინი პირველივე შეხვედრით მოიხიბლა სტალინით, მისი გამბედავი და უტეხი ხასიათით. „სტალინი თავიდანვე ლითონის ნატეხი იყო: მასშიც გაერთიანებული იყო რაციო და ინსტიქტი. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მეორე ელემენტი უფრო მძლავრად ჰქონდა განვითარებული“...

ლენინის პიდაპირი მიმღევარი ტროცკი იყო და მაშინ როცა ქართველი კომუნისტების ერთი ნაწილი მდივანის ხელმძღვანელობით მეტ ეროვნულ თავისუფლებას მოითხოვდნენ – ეს ორი დიდი ფიგურა ამ საკითხზე საქართველოს მიმართებაში თანხმდებოდნენ, მაგრამ თავად სტალინი წავიდა წინააღმდეგი სწორედ მათ მიერ ამგვარ შეთანხმებაზე... „თუმცა წმინდა კომუნისტური თვალსაზრისით იქნებ ცენტრისტული ხაზი უფრო იყო გამართლებული... შესაძლოა, სხვა რამეშიც იყო საქმე“. სწორედ ამ დროს ლენინს ორჯერ ჩაექცა სისხლი, ტროცკი უკვე მოიშალა და ამოვარდა მოქმედების არიალიდან. სტალინმა კი კამენევი გამოგზავნა საქართველოში, რომელმაც სტალინის მიმღევარ ორჯონიკიძეს მხარი დაუჭირა და საკითხი უცვლელი – საბჭოური დარჩა.

სტალინმა „ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში გაბედა ყოფილიყო ლენინი“. რაც შემდეგ მოხდა, მხოლოდ გაღვივება იყო ჩანასახისა. მოკვდა თუ არა ლენინი, სტალინმა სამუდამოდ მოაშთო ტროცკი“. რაც უფრო დრო გადიოდა, სტალინი უფრო ძლიერდებოდა. მოწინააღმდეგე – ოპოზიციას ყოველთვის იგერიებდა, ისე რომ, მის წინაშე ქედს იდრეკდნენ და უკვირდათ, საიდან ჰქონდა ამდენი ძალა, უხეშ კავკასიელს, ერთზე გამარჯვებული ათსებზე თავდასხმისათვის ემზადებოდა „სტალინი დღითი

დღე იზრდებოდა... ყოფილ რუსეთის იმპერიაში უმითო ეპოქას ერთბაშად არნახული ტოტემური ძაღლის მქონე კაცი მოვევლინა“... ყველაფერზე მიდიოდა ძალაუფლების შესანარჩუნებლად. „ყველას აკვირვებდა სტალინის ასკეტიზმი“... მისთვის უცხო იყო ამქვეყნიური – მიწიერი სიამოვნებანი, ასევე უცხოა მისთვის დოსტოევსკის სიტყვები: „ჯოჯოხეთი არის ტკივილი იმის გამო, რომ არ ძალგამს სიყვარული“. მუდამ საქმეებში ჩაფლობილი სტალინის, უდიდესი ძალაუფლების მქონე პერსონის, – „ტელეფონით საუბარიც კი ყველას თრგუნავდა. მისი საშიში ზემოქმედებისაგან არავინ იყო დაზღვეული. სისასტიკით აღსავსე აღმართულიყო, როგორც საბჭოეთის – და შესაძლოა მთელი მსოფლიოს – ცივი და ბრმა ბედისწერა“... და როცა ტელეფონით საუბარს მორჩებოდა, „შეშინებული გრძნობდა, თუ როგორ ეცლებოდა ღონე, აი მაშინ ახსენდებოდა შორეული საქართველო, რომლისგანაც შემოენახა: საცივისა და კახური ღვინის გემო, მრავალჟამიერის ჰანგები და ქართული გინება: „მაგათი დედა კი ვატირე“.

თამაზ ენგურმა... რვეულის, რომელშიც „სტალინის პოროსკოპი“ ეწერა, – კითხვა დაამთავრა, გვერდზე გადადო და ნელ-ნელა ჩასთვლიდა, მაგრამ ძილი არ მიეკარა. ფიქრებს მიეცა. თვალწინ დაუდა ბავშვობის დრო, როცა ოცდაათი წლის წინ ხეები ღარგო მშობელ მიწაში. ახლა წარმოიდგინა, რომ იმ ხეებს მკვდართ, გამხმართ ხედავს. თავისი თავიც ამგვარ დღეში ეჩვენა... „მისი არსება ხანდახან მკვეთრად ეხებოდა იმ ზღვარს, სადაც არარა და ღმერთი ერთად არიან, თითქოს საშინელს შეეხოს, „არარას“ – სუნთქვა გაუჩერდა – პირდაღებულ სიცალიერეს, რომელიც გაქრობას უქადის და „არად-ყოფს“...თამაზმა ეხლა მთელი ძალით შეიგრძნო მისი ნაწერ-ნაშრომის აალებადი ხასიათი და მისით მოსალოდნელი საშიშროება. ბუხარში ცეცხლი მინავლებულიყო. შეამჩნია, მორიელი ბუხარში მიღოდავს, ვერ მოითმინა და ფანქარ-კალმისტარით ნაღვერდალში შეაგდო. წარმოიდგინეთ ერთ წამში

მორიელი უკვალოდ გაქრა... მაგრამ არა, ის არ დამ-
წვარა... თამაზის რვეულის ფურცლებში გაუჩინ-
არებულა და იქედან მოისმის მისი ნაზი შრაშუნი...
თამაზმა რვეული ძრწოლით ბუხარში შეაგდო. ამ
დროს მის კარებთან მანქანა გაჩერდა... გ.პ.უ-ს წარ-
მომადგენელი თავზე დაადგა. ბუხრიდან რვეულის
ერთი პატარა ნამწვი ამოიღეს და თამაზთან ერთად
ხელს წააყოფეს.

გრიგოლ რობაქიძეს რომანში „ჩაკლულ სული“,
გ.პ.უ-ს შენობა სიკვდილის ხახად ჰყავს წარმოდგე-
ნილი, იმდაგვარი შემაზრზენი ატმოსფერო სუფე-
ვდა შიგნით – მის სართულებში... „აქ ჩურჩული
ცვლიდა სიტყვას, მოძრაობას – პაუზა. თვალი სხვა
თვალს გაუბოდა. განზე ან დაბლა იყურებოდა.
ჰაერში დანის და სისხლის სუნი ტრიალებდა...
ტელეფონით ყველაზე საშინელს ელოდნენ. ყურ-
მილის აღება სასიკვდილო განაჩენის აღსრულე-
ბას ჰგავდა“. ამდაგვარ გარემოცვაში გამოკეტილი
თამაზი ფიქრობს, თითქოს დიდი არაფერი დაუშავე-
ბია... რა დანაშაული იყო ის ერთი სიტყვა – თე-
ატრში წარმოთქმული... ან რა საშინელების მომტა-
ნია სიტყვა „ჯულა“. თამაზი სარდაფში ჩაიყვანეს.
სადაც ორი პატიმარი დახვდა, ორივე უმწეო მდგო-
მარეობაში. გავიდა ხუთი დღე და დაკითხვაზე არ
გაჰყავდათ. ძილი გაუტყდა, მის გვერდით ოთახიდან
ქალის საშინელმა კივილმა გააოგნა. უცებ ლევანი
მოაგონდა, რომელიც აქ უნდა ყოფილიყო რომე-
ლიმე საკანში, უმწეო იყო მისი ფიქრი – მასავით
ზვარაკად შეწირულთან შეხვედრისა.

თამაზი მეექვსე დღეს დაკითხვაზე გაიყ-
ვანეს. თავაზიანად მიანიშნეს სკამზე დამჯდარიყო...
თვალი მაგიდისკენ გაექცა, სადაც დოსტოვესკის
წიგნი „ემშაკნი“ შეამჩნია. გამომძიებელმა წიგნ-
ის ფურცლებზე გაკეთებულ შენიშვნებზე დაუსვა
შეკითხვა... რომლებზედაც გულწრფელი და დამა-
ჯერებელი პასუხები გასცა... არ უნდოდა გატეხვა
მის წინაშე. გამომძიებელი გაოგნებულთა მამაცი
და პირდაპირი პატიმრით, მით უფრო იცის ის კაცი
პოეტია. დაკითხვა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა...

„თქვენ ერთობ ხშირად ხმარობთ სიტყვას „ჯულა“. რას ნიშნავს იგი?... „რკინის წიდას... მაგრამ ჩურჩულით კვლავ შეუბრუნებს ამ შეკითხვას: „თქვენ ისე ხმარობთ ამ სიტყვას, თითქოს ადამიანის გვარი ყოფილიყოს. არის კიდევ ვისი გვარია?... „თქვენი ბელადისა“ მიუგო თამაზმა“. გამომძიებელი გააღიზიანა თამაზის ერთგულებამ დოსტოვესკისადმი, რომელიც თვლიდა, რომ რევოლუცია იყო საფრთხილბელა და უდიდესი საფრთხე მომავლისათვის, რომ თავად რევოლუციაც უღმერთობაა. გამომძიებელი იმითაც გაოცებულია, რომ ამ პროგრესულ პიროვნებას ღმერთი ასე ღრმად რატომ უნდა სწამდესო (გრიგოლ რობაქიძე სწორედ „უღმერთო“ საბჭოთა საქართველოში ცხოვრებას ვერ ეგუება, ეს არის მისთვის ამჟამად უპირველესი სასჯელი). გამომძიებელმა და პატიმარმა თამაზმა კიდევ არ იციან, თუ მოსკოვში არსებობდა მეორე ეგზემპლარი „ემშაკნისა“ და იმასგანაც რაიმე ხიფათი მოელოდათ.

თამაზი საკანში დააბრუნეს. იქ კი სულ სხვა მდგომარეობა დახვდა. ხანშიშესული ყვირის: „ვერასოდეს ვნახავ მას... ვერასოდეს ვნახავ მას“. გივი ჩურჩულით ეუბნება თამაზს, რომ ამ კაცს როცა ცოლ-შვილი აგონდება, ასე უაზროდ ყვირისო. იმ წუთებიდან თამაზმაც დაკარგა სიმშვიდე, მოხუცის ბლავილით გამოწვეული სევდა გულს უხრავდა: „მეტიც: თავად გრძნობდა ამ ტკივილს; ღრმად შეჭრილიყო მის არსებაში ნატას სიყვარული – ქალისა, რომელიც მის ნაყოფს ატარებდა... ხანდახან გივი მღეროდა; ასეთ წუთებში ამომავალი მზის ნაწილი იყო....

თამაზს სჯეროდა, რომ ისეთი რამ არ დაუშავებია რომ დახვრიტონ, მაგრამ სიკვდილის შიში თანდათან ერეოდა, ზმანებებში ხშირად იძირებოდა, უსაზღვრო სივრცეებში გადასვლით შველოდა თავს. თითქოს მდინარეში ბანაობდა. მზის ამოსვლას უცქეროდა, მკერდში ეკონებოდა ნატას. ხოლო ამ დროს მისი სხეული ლოგინზე ეგდო, როგორც „გველის მიტოვებული კანი“. ამ წუთში უსიცოცხლოს – ზვარაკად შეწირულს ჰგავდა. თვალებს

ცრემლები უბინდავდა. მუხლებში ძალა ეცლებოდა. ხელი უხმებოდა. გული ეკუმშებოდა. მთელი არსებით ეწამებოდა.

საბჭოეთში გაჩნდა სიტყვა „ბოროტი ძალები“, რაც კონტრევოლუციური ძალების გამოღვიძებას ნიშნავდა. „მანქანები მიმოქროდნენ. საიდუმლო ტელეფონი მთელი თაცზარდამცემი დატვირთვით მუშაობდა“. კომუნისტები ახლა ნაცნობებსაც კი უფრთხოდნენ. ასეთები თამაზმა კარგად უწყოდა, მაგრამ გ.პ.უს ტუსადები, თუ რა დღეში იყო, ახლა უმკაცრესად თავადაც იწვნია. ტუსადები დამუნჯებულნი ელოდნენ, თუ როდის გაიდებოდა კარი – მათ მოსაშობად... ათასთა გულები შეწირულნი, წინასწარ განგმირულნი. გველივით დაძრწოდა შიშისმგვრელი – შემაძრწუნებელი სიტყვები. „მომსპობი ხახა დაღებული იყო, ბნელი და გაუძღომელი. კიდევ ერთხელ ეწამებოდა დიონისე“. ტუსადები ყოველ წამში აყურადებდნენ სიკვდილს: „მუდარის ხმები, მოკვეთილი და ისტერიული ყვირილი – გინება... ფეხის ბაკუნი, ხანდახან ხრჩობის ხმა... მერე იყო პაუზები შემაძრწუნებელი: „გათავდა?“ სხვა გამოიძახეს და მე გადავრჩი ფიქრობს გადარჩენილი და საბნის ქვეშ იგორგლება... გადარჩენილი საწოლს ეკვრის, მაგრამ სიცოცხლე უკვე ჩამქრალია მასში.

მოხუცი გაიყვანეს უკანასკნელი შეძახილით: „ველარასოდეს ვნახავ მას“ და გივის მისამართით: „მიხედე ჩემს ცოლ-შვილს“...

თამაზი ამ ყველაფრით შეძრწუნებული ასკვნის, რომ ადამიანი შექმნილი არ იყო.

ამ დროს კი, ნატა ქობულეთში ისვენებდა. უტკბესი ვნებებით იყო გაშხვართულ-გატრუნული ზღვის სიახლოვეს. მოჯადოვებული ნადირივით განაბული (უნებურად მახსენდება კავკასიელი ელენა, როგორც ამორძალი და თავაშვებული მენადა, რომელსაც სწორედ ამდაგვარი გრძნობა დაეუფლა პირველად – ზღვასთან სიახლოვისას)... „ქალმა ბუნდოვნად იცნო სულიერი ნათესაობა ზღვასთან, თითქოს მარადიული ტალღის ნაწილი ყოფილიყოს,

ოდესღაც წიაღს მოწყვეტილი... ნახევრად დახუჭულ თვალებზე მუხის მძიმე ფოთოლივით ეფინა სიმშვიდე... მზე ვნებით იწვოდა... თავზარდამცემი შეიქმნა ამ დროს მისთვის თამაზის დაპატიმრების ამბავი... „მასში ნაყოფივით ყვაოდა სიყვარული. ფეხმძიმედ იყო თამაზის სიყვარულისაგან... ტროპიკულმა მუხამ მზის სიკვდილი იგრძნო უეცრად“. ქალი სასწრაფოდ გამოემგზავრა თბილისს... იგი გრძნობდა სიკვდილის მოახლოვებას, რომელიც ხანდახან თითქოს შორდებოდა.

ნატა ყველა გავლენიან ხალხს დახმარებას სთხოვდა, მაგრამ დანაპირების შესრულებას მათგან ბედი არ ეწერა.. ბოლოს გადაწყვიტა ბერზინისათვის ამ ცივ და პირქუშ კაცისათვის მიემართა და ასეც მოიქცა – „შევეცდები ყველაფერი გავარკვიო“ დაპირდა ქალს. ბერზინმა გ.პ.უ-ს წარმომადგენელს შეხვდა, რომელმაც დოსტოევსკის „ემშაკნი“ გადასცა და შემდეგ ბრეგაძეს გამოელაპარაკა. გაიმართა მათ შორის დიალოგი თამაზის დაჭერის ამბავზე. მაგრამ ამ საკითხის ირგვლივ ვერაფერი გაარკვიეს და ასე დაშორდნენ ერთმანეთს. ბერზინს ნატას სიახლოვე და მასთან ნეტარება სურდა. უფრო და უფრო მეტ დამაჯერებლობას ამჟღავნებდა მის დახმარებაში, ქალსაც თითქოს აღარ ეჩვენებოდა ის პირქუში და ცივი, პირიქით იგი სულ ღიმილიანი ხვდებოდა მას. ბერზინი ფიქრობდა, ნატა საკუთარ ქალობასაც კი შემომწირავს ამ საქმის გამოსვლის ფასადო. თამაზის განთავისუფლება გვიანდებოდა, ქალი კი უკვე მზად იყო ყველაფერი გაეღო მის დასახმარებლად: „ყველა საბურველი ჩამოეხსნა, გაშიშვლებულიყო, მრავალი ავადმყოფობა აეღო თავზე, რათა ბნელეთიდან გამოეხსნა მიჯნური... „ნატა „იშთარი“ უნდა გამხდარიყო“ (უდიდესია შეგრძნება გრიგოლ რობაქიძისა, რომლის თვალწინ ასე სასტიკად იტანჯება მშობელი – მზიური საქართველო!)... მორიგი შეხვედრისას, ბერზინს ნატა იმდენად მომხიბვლელი, სინატიფითა და უსაზღვრო მშვენიერებით აღვსილი – გამხლართული დახვდა, რომ ქურდულ მზერას ვერ წყვეტდა მას. ბერზინი

დათვრა ქალის სურნელებით, თავი ვედარ შეიკავა და დასწვდა მას საკოცნელად. „უტკბესისათვის მოემზადა. პიროვნება ქრებოდა. ქალი გზნება იყო... ურცხვი სიტყვები ჩასწურჩულა... კაცი შუბლზე ემთხვია და უჩუმრად გავიდა ოთახიდან“.

ქალი შეურაცყოფილი დარჩა, რაც ყველა გაუპატიურებაზე უსაშინლესი იყო და სატევარივით აიღესა. აირია თამაზის სიყვარულით. თავის თავს ეკითხება: აქვს კი უფლება თავისი თავი თამაზის სიყვარულს ანაცვალოს? უეცრივ ნეიფის სიტყვებს იგონებს „ჩემი საბურველი არავის აუხდია“ – არ აუხდია? – ესე იგი, საგსებით არ მისცემია კაცს, მხოლოდ ზედაპირს ეხებოდნენ მისას“.. –(გრიგოლ რობაქიძეს ეს თემა უფრო ღრმად და კონკრეტულად აქვს გაშუქებული „ფალესტრაში“ – მაშინ როცა ელენას შინაგან არსში ძირეულად წვდომას ცდილობს). ბერზინთან ურთიერთობისას, ნატა თავის შინაგან დემონს ეომებოდა, – რათა ის პირქუში კაცი ეზიზღებოდა და მითუმეტეს, როცა უკანასკნელ შეხვედრაზე მიატოვა. კაცი, რომელიც „ცივ სისხლსა და ცეცხლს, ანგარიშსა და ინსტიქტს – ორივეს ერთდროულად ემსახურებოდა“...

ბერზინი მოსკოვში იმყოფება პარტიულ კონფერენციაზე, კომისიის წევრად არჩეული, – სცენაზე ზის. ფიქრების ნისლში გაეხვია, თითქოს სიმთვრალე მორეოდა, ისე იყო გაბრუებული, მოეჩვენა თითქოს მის გვერდით თამაზი ზის, რომელიც კითხულობს: „სად ხარ დმერთო?!“ იგი თავდაკარგულს მიემსგავსა, საშინელმა წარსულმა და მოსალოდნელმა სააშიშროებამ გონი დაუბნელა. უეცრად თეატრს მოავლო თვალი. „თუმცა თეატრის სცენაზე იჯდა, თავს სხვაგან გრძნობდა“... შუა სცენაზე გრძელ მაგიდასთან ბელადები ზიან. „ისიც აქ იყო. ხვლიკისთავა... ჩიბუხს ეწეოდა... უღვაშებში ხანდახან მომაკვდინებელი ირონია უთამაშებდა“... ბერზინი ისე წაეღო ფიქრებს აღარავის უსმენდა, ოღონდ გუმანით რაღაცას მიხვდა და წამოდგა – დაინახა: „ტომის ბელადივით იჯდა „უდრეკი“... მაღალი ძაბვის გაყვანილობა, გაუელვა ტვინში,

და მის სახეში თავისი თავი მოეჩვენა. ბერზინმა თვალები მოიფშვნიტა... მათ ერთმანეთი სცნეს და დადუმდნენ“. ოღონდ ბერზინმა მიხვდა, იგი სიკვდილის წინაშე იდგა. „და ერთბაშად იგრძნო, როგორ ამოიფრქვა ნატას მიმართ მთელი დაგროვილი თავშეკავება და თითქოს მექანიკურად დაიცალა“. ბერზინს გამოეღვიძა. შიშისაგან მთელი სხეულით ცახცახებდა. დამბლადაცემულივით ლულლულებდა“. გაიფიქრა: რა ტკბილია სიცოცხლე, მაშინაც კი, როცა მიწაზე ხარ გართხმული და მხოხავიო.

ბერზინმა დილით სამსახურში შესვლისთანავე მეკარეს ღიმილით საღამო მისცა, მეკარემ იფიქრა ან ნასვამია, ან ჭკუაზე შეიშალაო. შიშს, სირცხვილს, ორგანულ სიმსუბუქეს ერთნაირად დაუფლებულს, ახლა თანდათან იშორებდა. თანამშრომლებს უხაროდათ მისი ასეთი გადასხვაფერება, ვერ წარმოედგინათ თუ ოდესმე ასეთ ფორმაში ნახავდნენ. საღამოს ნატას ესტუმრა – გაშლილი გალადებული მზერით და აუწყა „თამაზს ამ დღეებში გაანთავისუფლებენო“. თანაც სიხარულით სტვენა დაიწყო... კარგ ხასიათზე მყოფმა მონდომა ნატას კვლავ გულში ჩაკონებოდა. ქალმა უკან დაიხია. როგორ? ეჭვნულად გახედა ქალს, არ გესიამოვნათ თამაზის გამოსვებო... ქალს არც უპასუხნია ისე დატოვა ბერზინის ადგილსამყოფი.

ორი კვირის შემდეგ საბჭოეთის პრესა იუწყებოდა, რომ „ბოლო წლებში პარტიის ზოგიერთმა წევრმა მტრული იდეების ზეგავლენით ჩამოაყალიბა ჯგუფი, რომლის საქმიანობა ლენინური პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული... ჯგუფი სადავოს ხდიდა კოლმეურნეობებისა და მეურნეობების არსებობას და მიწის ნაკვეთების კულაკებისათვის დაბრუნებას აპირებდა“... ამ ჯგუფის წევრები პარტიიდან გარიცხეს; მათ შორის იყო ბერზინიც (ჩემი მშობლების გადმოცემითაც მახსოვს, რომ მაშინ თურმე ასეთ ხალხს „გადამხრელებს“ უწოდებდნენ).

გივი გაიყვანეს... თამაზი საწოლზე იწვა, თითქოს სისხლისაგან იწრიტებოდა... „სად ხარ, ღმერთო?“

აღმოხდა... სახე ბალიშში ჩაერგო, ინსტრუმენტის მკვდარ ხის სხეულს ჰგავდა“. უეცრივ კარი გაიღო და გივი ისევ შემოიყვანეს... „გადავრჩი“ – „რა მოხდა გივი?“... იგი ბარბაცებდა, ქანაობდა. ქანცგაწვეტილი ჩაეძინა, ისე რომ თამაზს პასუხიც კი ვერ გასცა. ძილში კანკალებდა... თამაზს მისი კანკალი გადაედო და მთელი ღამე მასაც არ ეძინა.

გამომძიებელმა ხელმეორედ დაკითხვაზე გაყვანილ თამაზს – 1924 წლის აჯანყება შეახსენა. ამ საშინელი დღეების ირგვლივ ბევრი შეკითხვები დაუსვა, მაგრამ ხელისმოსაჭიდებელი ვერაფერი ათქმევინა. მხოლოდ საქმე გაართულა დესპანის ხსენებამ, – რომელიც თამაზთან ერთად ბათუმში იმყოფებოდა... დესპანთან საექვო „ჯაშუშმაც“ გაირბინა, რომელიც მაგრად სცემა ლევანმა, რომლის სახელი თამაზს არანაირად არ უნდა წამოსცდენოდა. დესპანის ჩანაწერებში ხშირად იხსენებოდა „უშიშარი“, როგორც სანდო კაცი. ვარაუდით ეს უშიშარი ლევანი უნდა ყოფილიყო და ნაცემი „ჯაშუში“ კვალს უკვე ავნებდა.

ციხეში მჯდომი ლევანი ძმასავით უყვარდა თამაზს. მისი „უშიშრად“ მონათვლის შესახებ კი, არაფერი იცოდა. თავად ლევანი გულგაუტეხავად იჯდა და ფიქრობდა, როგორც ნაშიერი „რაინდული საქართველოსი“. იცოდა მზე გამოაბრწყინებდა მისთვის... ვერაფრით ვერ გატეხეს... „მე არაფერი ვიცი“, იყო მისი შეუდრეკელი პასუხი. ხოლო როცა დაშინებას დაუპირებდნენ სიცილით მიმართავდათ: „თქვენ ხომ ისედაც მომკლავთ!“

საბჭოეთის მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. ბერზინი გრძნობდა, რომ საშიშროება არა მარტო მიწას, სასწორზე შედგა რევოლუციის მთელი მონაპოვარი. სტალინი კი ლენინის დაწყებულ სწორ ხაზს პირდაპირ მისდევდა, თითქოს უკან დახევისა და ყოველგვარი ახლის ემინოდა. ბერზინი ფიქრობდა სერიოზულად სტალინის მოშორებაზე, მაგრამ წამიერი გამბედაობის ძალა ყოველ პარტიელს და აპარატსაც გამოცლოდა. ნდობა გამქრალიყო ყოველ ადამიანში, უნდობლობა კი ვე-

რანაირად ვერ გააერთიანებდათ. ორს შორის უკვე ერთი პროვოკატორი იყო. ბერზინმა კვლავ განაახლა სიარული ნატასთან და საბოლოოდ გამოუტყდა იმაშიც „თქვენ მხოლოდ სხვის გამო მეძლევი. ეს არ არის სიყვარული. ამის მიღება არ შემიძლია. თამაზზე ნუ იდარდებთ“. ქალს მოეწონა ეს სიტყვები, მისგან კეთილშობილებად მიიღო, მაგრამ ბერზინს სხვა შხამი აწუხებდა. ფიქრობდა თან, ხმლის პირი რომ გამაგრდეს, მხურვალე რკინას ცივ წყალში ჩაუშვებენო... ამ საქციელშიც მისი დემონური ძალა დაინახა.

თამაზი კვლავ რამოდენიმეჯერ დაკითხეს, ამჟამად სულ სხვა გამოძიებელი მიუჩინეს, მაგრამ მანაც ვერ გამოტყება და სიმართლე ვერ ათქმევინა. გამოძიებელს მასთან არც მოსკოვის საქმე უხსენებია და არც დოსტოევსკის წიგნი. მან მხოლოდ ბათუმში დესპანთან შეხვედრის და ამ დროს სანთებლის დაკარგვის ამბავი შეახსენა. თამაზმა ამის უარყოფა ვეღარ შეძლო და განაგრძო... შევხვდი. იგი ჩემი ნაცნობი იყო, შეხვედრაც მანვე მთხოვა, უარი ვერ ვუთხარი, მხოლოდ არავითარ საბჭოეთის თემას ჩვენ არ შევხებივართო.

საკანში დაბრუნებულ თამაზს გივიმ უთხრა, თუ როგორ გაიყვანეს ორნი დასახვრეტად. ერთ დღესაც გივი და თამაზი ცალ-ცალკე დაკითხეს... უეცრად ვიღაცამ თამაზის საკნის ახლოს დაიყვირა: „აქედან ცოცხალს ვერ გამოიყვანთ!“ ლევანის ხმად მოეჩვენა. მასში სვანურმა ძალამ იყივლა და რკინის კარები გაამტვრია, როცა გონს მოვიდა „დამშრალ წყაროსავით“ ივსებოდა... იმედი ბუტყავდა მასში, შეიძლება, ლევანი არ იყო... რამოდენიმე დღეში თამაზი და გივი გაანთავისუფლეს.

თამაზი თითქოს მკვდრეთით აღმსდგარი გამოვიდა გ.პ.უ-ს შენობიდან. მიწაზე ფეხის დადგმამ შეაკრთო და მზის სხივების ელვარებას გრძნობდა საოცარს. პირველმა, მოახლე გოგონამ შეამჩნია, რომელსაც ცოცხი ხელიდან გაუვარდა სიხარულით. სახლში შესულმა მონატრებული მზერა მოავლო ყოველ საგან-ნივთს და უმაღლე მოაგონდა ლევანი,

მისი სახლისაკენ წავიდა. უბანი ძაძებში გახვეული ეჩვენა. მეზობლის გოგომ შეატყობინა, რომ ლევანის საქმე ცუდად არისო... „ციხეში საჭმლის მიღებაზე უარს ამბობენ, – შეიძლება დახვრიტეს!“ თამაზმა შეიტყო რომ ლევანის დედა იყო სოფლიდან ჩამოსული, რომელსაც უთხრეს, რომ ლევანი სპარსეთში წავიდაო. თამაზი ნატას სანახავად გაემშურა. ნატა შემფოთებული დაუხვდა, ლევანი მგონი იმიტომ დახვრიტეს, ევროპიდან წარმოგზავნილ კაცთან ჰქონდა კავშირიო... თამაზს ტვინი გაუბურდა ამის თქმამ, ვაი თუ გამომძიებელთან მისი საუბარი გახდა მიზეზი ყოველივე ამისა. ჩამწარდა განთავისუფლება, თანდათან აზუსტებდა, რომ თავად იყო „მოღალატე“, ნატა კი ფიქრობდა, – თამაზში ის ცეცხლოვანი გრძნობა, რომელიც ასე ასულდგმულება ქალს, თითქოს ჩამქრალიყო... თამაზი ქალს, როგორც სატრფოს კი არა, როგორც დას ისე კოცნიდა და ეაღერებოდა. მაშინ ნატამ ვეღარ მოითმინა და მის მუცელზე მიანიშნა, სადაც უკვე გაცოცხლებული ნაყოფი მოძრაობდა. უსასრულოდ აღივსეს სიხარულით და ნატამ გამოთქვა აზრი პირმშოსთვის ლევანი დაერქვათ. თამაზს ლევანის ხსენება კვლავ ტკივილად მოენთო. მეორე დღეს დეიდა ნინოს ეწვია. ქალს ყველაზე მეტად სჯეროდა ლევანის მეგობარ თამაზისა და დასტურს მისი შვილის ადგილსამყოფელის შესახებ მისგან ელოდა. თამაზმა აცნობა მას, რომ ლევანი სპარსეთშია და რამოდენიმე დღის წინ, მეგობარმა წერილიც კი მიიღო მისგანო. თან დაამშვიდა, სპარსეთი ჩვენს ქვეყანას ძალიან წააგავს და იქ არაფრით მოეწყინებაო (ნიშანდობლივია, თავის დროზე – არჩიბაღდ მეკეშისა და ახლა, ზვარაკად შეწირული ლევანის ერთობლივი სწრაფვა სპარსეთისაკენ)... შენნაირ მეგობარს იქ ვერ იპოვის ჩემი შვილი, შეეპასუხა დეიდა ნინო. თამაზს ცრემლები მოერიო... უხერხულობის დასაფარავად ლევანის დედას ეუბნება: ეს ტირილიც გ.კ.უ-ს წარმომადგენლებმა მასწავლაო. „წყეულიმც იყოს ეგ ხალხი“ ჩაილაპარაკა ბოლოს.

დეიდა ნინოსთან შეხვედრის შემდეგ, თამაზი ზვარაკად შეწირული დადიოდა... ლევანის ძაღლი გვერდიდან არ შორდებოდა. ერთ საღამოს, ვაკეში ხევის ახლოს მივიდნენ, სადაც თურმე ხალხს ხვრეტდნენ. ძაღლი ერთ ადგილზე შეჩერდა, მიწის თხრა დაიწყო და იქაურობას წკმუტუნით იკვებდა. ძაღლს იმ ადგილის მიტოვება არაფრით არ უნდოდა. თამაზმა ძაღლი მუჯღუგუნით გამოაგდო იმ ადგილიდან, რომელსაც სველი თვალები ჰქონდა. „სიკვდილმა გაიარა თამაზში და ხრწნის კვალი დატოვა“... ერთ საღამოს მთვარეულივით მობარბაცე ნატასთან მივიდა. გიჟივით იჯდა და დუმდა. „როგორ მიყვარხარ, ნატა!.. თუ მოვკვდე, გახსოვდეს მუდამ შენთან ვარ“... შემდეგ მუცელზე შეხედა „და ესეც გახსოვდეს!“ თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. შემდეგ ნატას მხრები და მკლავები დაუკოცნა, თითქოს უკანასკნელად ეთხოვებოდა. თამაზი ნატას გამოემშვიდობა და კოჯრისაკენ გასწია, სადაც პირველად იხილა კაკლის ხის ძირას ნატა, მაშინ იყო უბედნიერესი, ნახა ის ხე, მიუახლოვდა და აკოცა ძაღუმად, მერე მანგლისისაკენ გასწია, მერე კლდეები გამოჩნდა. გარბოდა და ყველაფერს გაუბოდა. მოსაღამოვდა, აგრილდა და შორეთიდან განუმეორებელი ძაღლის მქონე ორკესტრის ჟღერადობა შეიგრძნო, „ბგერათა ტალღები ძლიერდებოდა... მოქცევა და უკუქცევა იყო ორკესტრის სუნთქვა... ოკეანის უსაზღვრო შორი ხმაური იყო ჩაჭერილი ამ ორკესტრში. თამაზი ამ აზვირთების ერთი ტალღა იყო მხოლოდ“... იგი მთებისკენ მიდიოდა... იგრძნო, თითქოს მიწას შორდებოდა, მოგონება მოეძალა, როცა მაცხოვარმა სული განუტევა... „მცველმა შუბი ჩასცა მკვდარ სხეულს. ნეკნებიდან სისხლი და წყალი გადმოვიდა. იოსებ არიმათიელმა სისხლი თასში შეაგროვა, რომელსაც ქრისტე თავის მოწაფეთ აწვდიდა ზიარებისას“. ეს თასი შემდეგ გახდა გრაალი. თამაზი ფიქრობს, იმ სისხლის წვეთებით მთელი დედამიწა არის გაჯერებული და დღეს თუ ხვალ თავის აღსასრულის მოახლოვებასაც გრძნობდა. ღრმა მწუხარებაში შე-

სულს მსხნელად მაინც რაღაც სიამის მომგვრელი უხილავი ძალა აძლიერებდა: „ო, სიმარტოვეე! ო, შენ, ქრისტეს სისხლო, დაჭრილი ნეკნებიდან გადმოღვრილო, შენს ერთ წვეთს მაზიარე, მხოლოდ ერთ პატარა წვეთს, რათა განვახლდე, გავნათლდე, ვითარცა ბავშვი, როგორც ქალწული“. შორეული სივრციდან ხმა მოესმა, ხმა ლევანისა... თამაზის წინაშე დიდი ძლიერი სინათლე გამოჩნდა. თვალები მოიფშენიბა... ხელში ლევანის ძაღლი აიყვანა. თვალებში ჩახედა... და შეშინებულმა ღმერთი იხილა... „შენ ხარ, შენ ხარ, შენ ხარ“. თამაზი თავადაც ვერ გამორკვეულიყო... ძაღლი წყლიანი თვალებით მიჩერებოდა...

გრივოლ რობაქიძეს „ჩაკლულ სულში“ მოყვანილი ჰყავს ავადსახსენებელი 1921 წლის 25 თებერვლიდან დაწყებული დრო, როცა გასაბჭოებამ ჩვენი ყოფა ბნელეთით დაფარა. საქართველო ის მარგალიტი აღარაა, როგორიც იყო. დაკარგვა დაემუქრა მის სახე – კეთილშობილებას. დაითრგუნენ „გრალის თასის“ გმირები, ისინი ისე ამაყად ვეღარ დააბიჯებენ ქართულ მიწაზე. საზარელმა რევოლუციამ, ძირეულმა ცვლილებებმა ქვეყანას გამოუზარდა საშინელი დესპოტი – ბოლშევიკები და შეიქმნა ათასგვარი დამსჯელი ორგანოები, საქართველო, როგორც საბჭოეთის მოკავშირე ქვეყანა, ამ ქარცეცხლში გაეხვია და ყველაზე მეტად იწვნია სოციალისტური სისასტიკის ეხო: კოლექტივიზაცია, 1937 წელი, მეორე მსოფლიო ომი. კოლექტივიზაციას გლეხი კი არა, პირუტყვიც კი ვერ ეგუებოდა. „ერთმა ხარმა რქებით გაანგრია ბოსლის კარი, კოლექტიური ბაგა დატოვა“ და თავის ბოსელს დაუბრუნდა თურმე. აშენებდნენ ელსადგურებს, გაჰყავდათ ახალი გზები, ცდილობდნენ ძველებური ცხოვრების ახლით შეცვლას. მაგრამ „იყო ელემენტის ბრძოლა ადამიანში, იყო ბრძოლა ადამიანებს შორის... რაც ხდებოდა ყველაფერი იწერებოდა, ოღონდ არა ღიად, არამედ საიდუმლოდ, როგორც ინდოელთა აკაშა იწერებოდა ხეზე, ქვაზე, ძაღლის დინგზე“... სწორედ ასეთ უმგვანო ეპოქას

ვერ ეგუება სწორუპოვარი და ჭეშმარიტი მოღვაწე გრიგოლ რობაქიძე. ამ ცხოვრებაში დამკვიდრებული „გენერალური მდივანი უკვე აღარ იყო ადამიანი, ის იყო არსება“. სტალინის ირგვლივ მსოფლიო აღაპარაკდა... „ლენინს არ მოუგროვებია იმდენი ძალა თავის არსებაში“. მხოლოდ საქართველოში მოვლინებული – ბერზინი ჩაწვდა სტალინის ხასიათს და საათობით ჩაშტერებოდა მის ჰოროსკოპს. ჰოროსკოპი, რომელიც, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ბევრ რაიმეს მიაჩნებოდა სტალინის სულიერ და ფიზიკურ მონაცემებზე. ამ დროს კი გ.პ.უ-ს თანამშრომლები და სხვადასხვა ჩინის წარმომადგენლები მოსკოვიდან საქართველოში წარგზავნილები, გამაღებით ქექავდნენ ყოველ ქართულ სიტყვას, ეძიებდნენ მის სისწორეს, რამდენად დასაშვები იყო ის საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთაგან მოითხოვდნენ ცემზურას. და განსაკუთრებით ფრთხილნი იყვნენ დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის პიროვნების მიმართ. ან კი, ვინ გაბედავდა ასეთი მსოფლიო მნიშვნელობის „დიქტატორის“ აუგად ხსენებას, ან მასზე მინიშნებით გადახრილ ლაპარაკს. სწორედ ამდაგვარი მიზეზით დაკარგა აურაცხელი პატრიოტი და შემოქმედი საქართველომ: დახვრეტით, გადასახლებითა და თვითმკვლელობით. საქართველოში პიდაპირობამ, სიმართლემ, პროგრესულმა აზროვნებამ არათუ ფასი დაკარგა, არამედ მეტიც – აიკრძალა და დაიგმო.

ძალიან მძიმე აღმოჩნდა საქართველოსთვის პირველი დამოუკიდებლობის დანაკარგი. გაჩნდა კითხვა: როგორ და როდის შესძლებს კიდევ ქართველი ისტორიის უკუღმართი კლანჭებიდან თავის დაძვრენას?!...

გრიგოლ რობაქიძემ „ჩაკლულ სულში“ იოსებ ჯუღაშვილის ფიგურის დახატვის მიზანსწრაფვით, ბევრ სარისკო და ჯერაც ამოუცნობ დეტალს გვაზიარა. ძნელად ასახსნელია, მისი ფენომენალური აზროვნებით, – მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსის ავბედითი მხარეების ერთობლივად წარ-

მოჩინება.

მეჩვენება, „ჩაკლული სულში“, გრიგოლ რობაქიძემ ისეთი გამბედაობა და რისკი გასწია – იოსებ ჯულაშვილის პორტრეტის დახატვისას, როგორც თავად სტალინმა – ხალხთა მასაზე ზემოქმედებით, როცა მილიარდობით ადამიანის გონება ზეგავლენის ქვეშ მოიქცია. მე მახსენდება: 1953 წლის 6 მარტი, როცა 6 წლისამ ვიგრძენი საშინელი ზაფრა გარდაცვალებისა, რაც კომუნისტმა მამაჩემმა იმ ისტორიული დღისადმი გამოხატა. ვიფიქრე, ალბათ ქვეყნიერებას მამოძრავებელ-საყრდენი ძალა გამოეცალა-თქო. და მეორეც, შესაძლებელია გამორიცხულიც არ იყოს, იოსებ ჯულაშვილი და გრიგოლ რობაქიძე ცხოვრებაში რაიმე დემონური ნაბიჯების გადადგმისას, ან თვითობის დამკვიდრების მიზან-შეპყრობილობით, – ერთ მომენტში ერთნაირ ხასიათში მოიაზრებოდნენ გრიგოლ რობაქიძემ „გველის პერანგისა“ და „ჩაკლული სულის“ შეთხზვით, თავი გასწირა, და ამავდროულად შეემზადა საქართველოსთან გამოსამშვიდობებლად.

და... – მცველნი ბრალისა

დავიწყებთ თუ არა კითხვას, გრიგოლ რობაქიძის „მცველნი ბრალისას“, თვალწინ დაგვიდგება მისი სახე და შეუწყვეტელი ფიქრები მშობელ მამაზე, – მის უკანასკნელ ბარათზე, რომელსაც ვერსად და ვერასდროს თვალ-ხელიდან ვერ იშორებს. ურყევია მისი სპეტაკი სიყვარული, და ტკივილი მამასთან განშორებისა. ხშირად გადაშლის ამ ბარათს და გრძნობს, თუ როგორ სუნთქავდა ფურცელი – მამის მოახლოვებული სიკვდილით. გული ეკუმშებოდა. ეხლაც, ამგვარ ფიქრში იყო, როცა ფოსტა შემოუტანეს, – გადააქვს ფიქრი მეგობრის მოწერილ წერილზე, რომლის შინაარსი კიდევ ერთხელ დამაჯერებლად დაანახევებს ყოფიერების მარადიულობას. მეგობარი წერს, რომ მის ცხოვრებაში დადგა მომენტი, როცა წარსული, აწმყო და მომავალი ერთმანეთს შეერწყა და ცოცხალთა და გარდაცვლილთა შორის ყოველგვარი ზღვარი წაშალა. ჩემი აზრითაც, ცოცხალთა და გარდაცვლილთა შორის, ისე როგორც ქვესკნელსა და ზესკნელს შორის არსებობს გარდაუვალი კავშირი. წერილის წაკითხვამ თითქოს გონება მოუბრუნა და ქალაქში სასეირნოდ გავიდა.

რომანში ჩნდება მთავარი მოქმედი გმირი – ლევან ორბელი, 40-იოდე წლის ბრგვე ვაჟკაცი, ნატიფი სახითა და შეურყვეველი ბუნებით. მიდის დინჯად, მაგრამ შინაგანი ფორიაქით. მისი სახის უძრავობა თითქოს წააგავდა უსიცოცხლო უზარმაზარი ლოდის თმენასა და ლოდინს. ფიქრობს: შეიძლება ეს ლოდებიც პლანეტიდან ჩამოსულნი იწვიან უნაშთოდ ფერფლისა და ნაცრის გარეშე. ლევან ორბელი „პირქუში და მხურვალე იყო ერთდროულად. მშრალ და ცეცხლოვან სულს უწოდებდა

აღბათ მას ჰერაკლიტე“. სადაც კი იმყოფებოდა, იმდენად ჯიქური გამომეტყველება და იერსახე ჰქონდა, მის ირგვლივ დაძაბულობა დაისადგურებდა. იგი, უბრალოდ და იოლად დასამორჩილებელი პიროვნება არ იყო. მოწინააღმდეგესაც ალღოთი სცნობდა და საჭიროების შემთხვევაში საკადრის პასუხს ახვედრებდა კიდევ. და, მომხდარა ისეც, რომ შეზარხოშებული ახალგაზრდების შეძახილზე „საქართველოს გაუმარჯოს“ და მათი მოთხოვნა ფეხზე წამოდგომის შესახებ არ შეუსრულებია და ამგვარ ქმედებაზე თავიც გაუმართლებია. მეორე მომენტში კიდევ, დუქანში ყოფნისას, გ. პ. უ-ს თანამშრომლის და რუსულად მოსაუბრე უცხოელის წინ იჯდა თურმე, ცხადლივ ადევნებდა მათ ყოველგვარ საქციელს ყურადღებას, წამში იგრძნო ქართველის – „თანამშრომლის“ „ასპიტის თავი, თითქმის უთმო და უწარბო, თვალები – ვიწრო, ოდნავ წყლიანი, და მაინც გესლიანი.“ არც მის გვერდით უცნაურად არაბუნებრივი აღნაგობის უცხოელი თანამოსაუბრე ეჭაშნიკა შესახედავდაც, ისეთი აუტანელი ყოფილა „ტიბეტელი ჯადოქარით ყრუ და მომწუსხველი ხმა ჰქონდაო“. ლევან ორბელს საქართველოს სიყვარული ცხელი გულით დააქვს და მის აუგს ვერავის აპატიებს. სწორედ ამ დუქანში მოესმა იმ უცხოვრიპირო თანამშრომლისგან: „საქართველოს გაუმარჯოს საბჭოეთს!“ ეს ხმამაღალი წამოძახილი სწორედ მის გამოსაჯავრებლად, შემდეგ მას მოაყოლა თურმე, მეორე ფრაზაც: „საქართველოს გაუმარჯოს, კმ? საბჭოეთის გარეშე?.. ლევანი აენტო, ადელდა „იგრძნო როგორ ჩაექცა სისხლში ბაღდაში“. ადგა და უხმოდ გაშორდა მათ. ასეთი უსიტყვო დათმობა პირველად შეემთხვა. რა იყო ამის მიზეზი დიდხანს ფიქრობდა და თავადაც ვერ გაარკვია. „უკანასკნელი სამი წელიწადია, ამ ტვირთს ატარებდა, ასეთი რამ ჯერ არასოდეს გადახდენია: ეს წითური აჩრდილი საბჭოეთის ყოვლად შემზარავ განსხეულებად გამოეცხადა“. შემდეგ თბილისის ძველი უბნისაკენ გასწევს და მღელვარე ფიქრებით ეფლობა წარსულის შეუდარებელ

სურნელში. ძველი თბილისის ხისგან აშენებული სახლები – ისე სათუთი გრძობით გადაჭდობილან ერთმანეთს, – შესაშური მომხიბვლელობით მაცქერაღნი, – თითქოსდა ცოცხალი გულ-სულით სუნთქავენ ტკივილს, სიხარულს, გამზიანებასა და მოწყენილობასაც. ყველა ერთმანეთის ჭირისა და ღხინის გამზიარებელია. აქ ისინი ცოცხალი არსებანივით შემოგაფეთებენ – გარდასულს, და ოდითგან ნახულ-განცდილს. აქვე დგას მომცრო ეკლესია – „სადად ნაკვეთი მისი ღოდები გაქვავებული ღოცვებია“. ლევანმა ქალაქს ზემოდან დახედა და კიდევ ერთხელ გაიხსენა: „იქნებ ამ საარაკო ქალაქის მომწესხველი ჯადო იზიდავდა საუკუნეების მანძილზე ამდენი ჯურის მტერსა და მომხვდურს, როგორც პატარძალს, გარს რომ ეხვეოდნენ და მის მოხელთებას ესწრაფვოდნენ?“.

თბილისის ისტორიის თანმიმდევრულად გადმოცემას, გრიგოლ რობაქიძე შესაშური მიმზიდველობით ახერხებს, – მეექვსე საუკუნიდან, ვიდრე საქართველოს პირველ დამოუკიდებლობამდე. შემდეგ თითქოს მისთვის ყველაფერი დამთავრდა. მაგრამ არა, – მთავარი წინ არის, თასი გრალისა გადარჩება, რომელიც მარად ხელთ ეჭირათ საქართველოს სიყვარულით გულანთებულ მამულიშვილებს.

თბილისის ისტორიიდან ყურადსაღებია, გრიგოლ რობაქიძის დამოკიდებულება გიორგი სააკაძის პიროვნების მიმართ: რომელმაც ერთ ავადსახსენებელ დღეს, თბილისს ალყა შემოარტყა და მოისურვა ქვეყნის დაქუცმაცვებულობის აღდგენა. მაგრამ ჯიუტი ფეოდალების წინააღმდეგობას ვერ სძლია. „სააკაძეს მარადიული საქართველო უყვარდა, თანამედროვე კი სძულდაო“ – ასკვნის. სწორედ ამ გაორებულ განცდას ვერ გაუძლო და გადაიხვეწა საქართველოდანო. „საფრთხემ მისი სულის მთლიანობას რომ დაემუქრა, დაბინდა მასში ქართული არსი. იგი, პრომეთეს მსგავსად, მედიდურობას ემსხვერპლა“. სპარსეთიდან დიდმა აბასმა სააკაძე მეთაურად გამოაყოლა მის დიდძალ ჯარს ქართველთა წინააღმდეგ, გიორგის სულში ქართულმა სისხლმა

იყივლა, ქართველთა მხარეზე გადმოვიდა და სპარსული ჯარი თავადვე გაანადგურა. შემორიგებულმა, ქართველ ფეოდალებს მაინც ვერაფერი შეასმინა და „წმინდა რისხვამ აიტანა, იმავდროულად სიყვარულითა და სიძულვილით ჩაასო მახვილი ქართულ მიწას, თბილისის მისადგომებთან“. ამ ფიქრებით აღტკინებული ლევანი ამბობს, ძველი თბილისის შესახებ: ალბათ იდუმალი რაღაც ხდება ამ მშვენიერ ადგილას, რომელსაც მხოლოდ სულიერების უმაღლესი წერტილიდან თუ შეიგრძნობს მოკვდავიო. თვალწინ გაურბინა ავადსახსენებელმა 1921 წლის 25 თებერვალმა. მერე თავის გულში ჩახედვით გაარკვია, რომ აღარ ახსოვს, იმ სამ წელიწადში, – დამოუკიდებლობის მონაპოვარში, როგორ ცხოვრობდა: „ის შინაგანი ღერძი და ღვრიტა, ზეციური თვალი პატიოსანი, რაც გამჩენმა ჩაუდო სულში, ახლა დამსხვრეულიყო“... ერთხელ კიდევ გაიხსენა დუქანში უცხოელის წინაშე უკანდახევაზე. მერე, ლეგენდარული ქალაქის ისტორიით მონუსხულმა, ოქროყანას გადაავლო თვალი. არც ისე შორიდან გლეხის სიმღერას მოკრა ყური – „უბოროტო სევდას განემსჭვალა მისი სიმღერა“. ლევანი ფიქრობს: რამდენი ჟამთააღმწერი გამოუტარებია ამ სიმღერას და გლეხს, რომელიც, ასე ტკბილად ღიღინებს „ურმულს“, მისი დარდი და ფიქრი არა აქვს, საუკუნეების მიღმა კვლავაც ახმიანდება, თუ არა ეს სიმღერა-ღიღინი.

ლევანს უცებ მოაგონდება მეგობარი პოეტი ავალა, რომელიც ოქროყანაში იმყოფებოდა და მისკენ მიაშურა. ავალა ოცდაოთხი წლის ქართმიანი მეოცნებე ყმაწვილი გახლდათ. ლევანის სტუმრობამ გაახალისა ავალა და მასთან ერთად მისი მეგობარი კოსტა. ეს უკანასკნელი ავალამ მოსკოვში სწავლის დროს გაიცნო და დაუმეგობრდა კიდევ. ავალა, ხშირად ლევანს თქვენობით ელაპარაკებოდა (ეს იმერული თავაზიანობის ერთერთი უკვდავი გამოხატულება). ლევანს გადაღლილობა ეტყობოდა და დასვენება შესთავაზეს. ისიც დათანხმდათ. კოსტა და ავალა სასეირნოდ წავიდნენ და

ლევანის პიროვნების ირგვლივ საუბარს მოჰყვნენ. უცნაური კაცია ეგ ლევანი, თითქოს შემლილობის კარზე მეჩვენებო. წარმოსთქვა კოსტამ. ღვთაებრივი შემლილობისა, – შეუსწორა ავალამ... სიშორის მონატრება სტანჯავს. მისი მონატრება ყველასგან განსხვავებულია – აპოკალიფსურია... „ლევანი ყოველ წუთს ყოფიერების ზღვარზე დგას.“ მას ახლის მოლოდინის წუთი სრულ წარმოსახვაში აქვს და „იმითაა ანთებული, რაც მიუწვდომელ სიშორეში ძევს, მაგრამ მიუწვდომელის გზებით უახლოვდება და სუნთქვით თითქოს სწვდება კიდევ“. აპოკალიპტიკოსი იდეალისტია. გრძნობს დასასრულს, მაგრამ მთელის მონდომებით ელოდება ახალ ქვეყნიერებას. მას ძალუქს მხოლოდ წონასწორობის დაცვა მარადიულსა და მიწიერს შორის. ავალა ადასტურებს ლევანზე შეხედულებას: რომ იგი უსულო საგნებში სიცოცხლეს ხედავს და რთველში კი სიცოცხლის მჩქეფარებას. ლევანი საქმის კაცია, რასაც ხილვებში ხედავს, სინამდვილედ უნდა რომ გადააქციოს და მას ხშირად წარმოსახვად განიცდის... „მისი არსება ერთხელ და სამუდამოდ არის სრულქმნილი“. წვლან გვითხრა: თბილისით ავად ვარო... ეს ის სენია, რომელიც მე და შენ შეგვეყარა თებერვლის 25-ში. ამ დღეს ლევანი კვლავ იმ სიმძიმით განიცდის, როგორც იმ დღეს... თითქმის სამი წელი არც გასულიყოს. ამავედროულად ისეთი უცნაური კაცია, ყოველ არსებაში დროდადრო ნათელის გამობრწყინებას ელის. ასეთ მომენტში იგი ისეთი ღმობიერია, შეიძლება სულის მკურნალადაც მოგველინოს. ლევანი პოეტია, შემოქმედია, წერს, მაგრამ ცოტას აქვეყნებს, მისი ხასიათის გამო. არაფერს ისე არ უფრთხილდება, როგორც პროფესიას. შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებულ ლევანს თავისი მოსაზრება ჰქონდა ამ პროფესიის ადამიანებზე: „პოეტთა უმრავლესობა კი სწორედ ასე იქცევა: ნაცვლად იმისა, ბედისწერას სისხლით გაუმკლავდნენ, მათ ის წარმოსახვის სფეროში გადაჰყავთ“. ლევანს უცებ გაახსენდება, რომ კოსტა თავადი გიორგის ვაჟი უნდა იყოს და სეირნობიდან უკან მობრუნებული

კოსტასგან ამ ვარაუდს ადასტურებს. ლევანი მოწადინებულია თავადი გიორგის ნახვით. კოსტასაც ახარებს ლევანის გულისწადილი. უეცრივ, კოსტა რაღაც უცნაურმა უსიამო შეგრძნებამ მოიცვა. მათთან საუბარს გული ვერ დაუდო და სახლს მიაშურა. იგი ავალამ და ლევანმა გააცილეს. მარტოდ დარჩენილებმა კოჯრის გზას ჩაუყენენ. „თბილისის ბედისწერა ჯვრის ნიშნითაა აღბეჭდილი“, ჩაილაპარაკა ლევანმა და განაგრძო: 1099 წელს ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს. მუსლიმანური სამყარო საფრთხეშია, იგი გრძნობს ჩრდილოეთიდანაც მეტოქეს... ქრისტიანულ სამყაროსი საქართველოს სახით, და აი, 1121 წელს წინა აზიიდან უზარმაზარი 600000 კაცით შემდგარი ჯარი თურქმენტა, სელჯუკთა და არაბთა შემადგენლობით მისი ნეჯმ ადღინ ილღაზის სარდლობით დაიძრა საქართველოსაკენ. ჩვენს ხელმწიფეს – დავით აღმაშენებელს კი, 60000 მხედარზე მეტი არ გააჩნდა. მოხდა სასწაულებრივი რამ, დავით აღმაშენებლის სულიერმა სიმტკიცემ და გამძლეობამ, აგრეთვე მოხერხებულობამ მას ამ უთანასწორო ბრძოლაში გაამარჯვებინა. მტერს სომხეთამდე მისდია და ანისიც შემოიერთა. (1121 წლის 14 აგვისტოს – დიდგორის ბრძოლა ჩვენს ისტორიაში ბრწყინვალე თარიღად ჩაიწერა და საქართველოს ოქროს ხანას განეკუთვნება). „მამაჩემმა მითხრა, – ჩაილაპარაკა ღუმილის შემდეგ კოსტამ: – ჯვაროსნებმა აღმაშენებელი თავიანთ მეზობლად აღიარესო“... ეს სიმართლეა, რადგან ეპისტოლე პარიზის არქიეპისკოპოსის გალონისა და არქიდიაკვან სტეფანესი მოგვითხრობს: ჯერ დავით აღმაშენებლის სიდიადეზე, შემდეგ კი, იმის შესახებ, რომ ჯვარი რომელზედაც მაცხოვარი მისტიური სიკვდილით აღესრულა, საქართველოდან წადებული იქნა ევროპაში, კერძოდ, ჯერ იერუსალიმში და შემდეგ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში. „დავით აღმაშენებელზე კი ლეგენდები არ წყდებოდა: დავითს მტკიცედ ეპყრა ხელთ კასპიის კარიბჭე, რომლის მიმართ გოგსა და მაგოგს შორის დაამკვიდროს რაღაც შეუდარებლად დიდი“. ლევანი

იხსენებს თამარ მეფის ხანას, მის ვაჟს, რომელმაც დედის ანდერძის თანახმად, მისი ნეშტი იერუსალიმში წაასვენა. ლევანი, ავალა და კოსტა მიაპყრობენ მზერას დიდუბეს, სადაც თამარ მეფემ ჯვარი დაიწერა. იქედან აგრეთვე კარგად მოჩანდა სიონის საკათედრო ტაძარი, სადაც ნინოს ჯვარი ასვენია. „თბილისი მართლაც ჯვრის ნიშნითაა აღბეჭდილი, – თქვა ავალამ“.

გრიგოლ რობაქიძემ საუკეთესოდ იცის, თუ როგორია გრალის წმინდა თასის ისტორია, როგორი დაუსრულებელი მსჯელობაა მის შესახებ, რომ უხსოვარი დროიდან მრავალი ევროპელი ფილოსოფოსი და განსწავლული იმტვრევს თავს მისი არსის სრულყოფილად საბოლოო წარმოდგენაში. მაგრამ საქართველოს გრალის მცველნი ახლო-ში არიან, ჩვენს გვერდით, ჩვენს წიაღში აღმოცენებულნი. და, საერთოდ ბატონი გრიგოლი ახალი გრალის ძიებით არის ცნობილი და მიაგნო კიდევ: „უფსკრულის პირას დამდგარი რაინდები მტერს ქედს არ მოუდრეკენ, ურჩვენიათ სიკვდილი, მათ მოაქვთ სიწმინდე: წმინდა ნინოს თმით შეკრული ვაზის ჯვარი, რომლებსაც განსაცდელის უამი დაუდგებათ, უკანასკნელ წუთებში მანამ მამაკაცები უფსკრულში ჩაცვივდებიან, ციცქნა გოგონა შეეხება ჯვარს და ჯვარიდან ამოსკდება ყვავილოვანი ვაზის ყლორტები და მასზე ოქროსფერი მტევნები მწიფან. სასოწარკვეთილთ უსასრულო აღტაცება ეუფლებათ და ზეადამიანურ ძალას ანიჭებთ. ახლა მათ ვერავინ დაამარცხებთ.“ სწორედ ამდაგვარი შინაარსისაა სიმღერა, რომელსაც ლევანი მღერის. სიმღერითვე განაგრძობს: ზემოთხსენებულმა „რაინდებმა სასწაულებრივ მტევანთა წვენი თასში შეაგროვეს, როგორც იოსებ არიმათიელმა შეაგროვა მაცხოვრის გოლგოთაზე დაღვრილი სისხლის წვეთები. თასს წმინდათაწმინდაში ინახავდნენ. თასის გარშემო, წმინდა გრალის ორდენის მსგავსად, საიდუმლო საძმო შეიკრა. საუკუნეების მანძილზე მცველები მას ერთურთს გადასცემდნენ. ამ თასში გული იყო დაცული: საქართველოს მზე. მცველნი

გრაღისა მშობლიურ მიწას მტრისგან იცავდნენ“. ლევანი როლში შეჭრილი თავდავიწყებით მღეროდა ამ შინაარსის მქონე სიმღერას, ავალა და კოსტა აღტაცებისაგან ცახცახებდნენ. ხოლო თავად ლევანი, – თითქოს ერთ უძრავ სხივოსან ღვთაებრივ მახვილად გადაქცეულიყო. იგი ღუმდა. მეტი აღარ შეეძლო.

კოსტას მამა, – თავადი გიორგი ჭეშმარიტი მამულიშვილი, – არგვეთის ბატონთა დიდებულ გვარს ეკუთვნოდა, რომლის წინაპარი გმირულად უმკლავდებოდნენ ხალიფა ომარის სარდლის მურვანის შემოტევას. არგვეთის მთავრები ძმები დავითი და კონსტანტინე ამ ბრძოლაში მოწამებრივად აღესრულენ. სწორედ მათი გმირობით აღტკინებულმა, დაარქვა თავის ტყუპებს: დათა და კოსტა. ხალხის გადმოცემით, ყოფილა მომენტი, მას რუსეთიდანაც მიუღია ჩინ-მედლების შეთავაზება, მაგრამ პასუხად ასეთი რამ შეუთვლია: რა უნდა მიბოძოს რუსეთის მეფემ, რაც ჯერ კიდევ მერვე საუკუნეში არ მქონიაო. მის მაღალ სულიერებას, თავისი ფიზიკური მონაცემებით ამკობდა. „მისი შემხედვარე იფიქრებდით, ქართულმა ჯიშმა ამ ადამიანში უმაღლეს სრულყოფილებას მიაღწიაო“. ახლა კი სამოცდაჩვიდმეტ წელს მიტანებული, – გარაგნული იერით სულის სრულყოფილებას გამოხატავდა. მას უმაღლესი განათლება ევროპაში მიუღია, მრავალი ენა შეუსწავლია და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული ლექსებსაც წერდა თურმე. ჰყვარებია ჯირითი და ნადირობა შევარდნებით. „ქართველ მეფეთა კარზე ხომ ოდითგან შევარდნთა სამინისტროც კი არსებობდა“. მას თავისი წარმოდგენა ჰქონდა რუსებზე, რომ ისინიც მალე მოვლენ გონს და მოაწესრიგებდნენ საქართველოსთან ურთიერთობას. უნებურად, ამის წაკითხვისას, საქართველოს დღევანდელი და მიდგა თვალწინ. თავად ლევანს მონაწილეობა არ მიუღია ზეიმში, რომელიც თავადაზნაურობამ გამართა რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის გამო. ბოლო დროს კარჩაკეტილ რაინდულ ცხოვრებას ეწეოდა, შეის-

წავლა საქართველოს გარდასული დღეების მატ-
იანეები, ბევრი იმოგზაურა. შეისწავლა უძველესი
ხალხური თქმულებები. ევროპაში მაისტერ ეკპარ-
ტის სიტყვებმა გააოცა „მიუხედავად იმისა, ღმერთი
სრულიად სხვაა, ის ჩემს საკუთარ თავზე უფრო
ახლოა ჩემთან“. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა
იყოს, ჩემს წარმოდგენაშიც ასეა, მჯერა რომ, ღმერ-
თმა უფრო მეტი იცის ჩვენ შესახებ, ვიდრე ჩვენ.
ირანში კი, ინდოეთის საზღვარზე ერთ ყარობს გა-
დაეყარა. „რას დაექებ ჰკითხა თავადმა, – ღმერთს,
მიუგო ყარობმა. ოდნავ თუ მაინც მიუახლოვდი? –
რაც უფრო დიდხანს დავეძებ, ასე მეონია, მით უფრო
ვშორდები. და მაინც განაგრძობ ძებნას? – მე კი
ვშორდები, მაგრამ მჯერა, ის მიახლოვდება.“ მისი
ამდაგვარი პასუხით განხარებულმა და გაოცებულმა
ღრმად ჩაუფიქრდა ჩვენს ისტორიას, მრავალი ამ-
დაგვარი ნიშან-თვისება აღმოაჩინა ჩვენს სინამდ-
ვილეში, – მშობლიურ ფესვებში.

თავადს სიმშვიდეში კაეშანიც ეწვეოდა ხოლმე,
ხშირად ჯოჯოხეთური ძრწოლა ეუფლებოდა. და
აი, იგრძნო უკვე სიცოცხლესთან გამოთხოვების სი-
ახლოვე და ორივე ვაჟს ერთდროულად მოუხმო.
თან ხშირად აკითხავდა კარადას, რომელშიც პაპის
საიდუმლოდ დაცულ რელიქვიას ინახავდა. რომელ-
მაც თანვე დაუბარა თურმე: „ვაჟკაცურად დაიცავი
ეს სიწმინდე! რაც არ უნდა მოხდეს, ის უნდა გად-
არჩეს! – თავადი მოწიწებით ინახავდა მას, რადგან
მასში სიმბოლურად საქართველოს გული ძგერდა.“
ტანჯავდა ფიქრი საქართველოს გულზე, რომელსაც
ვერ მოუარა... მაგრამ რელიქვია საიმედოს ხელში
უნდა გადასცეს... რათა იმედი მომავლისა მაინც არ
ჩააქროს. სწორედ ეს იყო მიზეზი, ორივე შვილთა
მოხმობისა.

ავალა და კოსტა რუსთველის პროსპექტს მი-
უყვებიან. კოსტას ნაღველი შემოსწოლია მამის
უცნაურ მიხმობაზე. გზად ოდილიანი შემოხვდათ.
საუბარი განაგრძეს. ოდილიანმა კოსტას უხასიათო-
ბის ამბავი გამოიკითხა და როცა გაიგო თავადის
ავადყოფობის ამბავი, შეწუხდა და შესთავაზა მას,

მამის სანახავად მეგობრებიც გაჰყვებოდნენ. კოსტა შეყოვნდა. ვინაიდან, თავადზე ამდენი ნაცნობ-მეგობრის ხილვით გამოწვეულმა სიხარულმა და ემოციამ ცუდად არ იმოქმედოსო. ბოლოს მაინც შეთანხმდნენ, ჯერ კოსტა მოინახულებდა მამას და იქედან დეპეშით აცნობებდა მათ თავადის ნახვის თანხმობას. ასეც მოხდა, შეიყარეს თავი ლევანმა, ავალამ, ოდილიანმა, მარჯანიმ, კიდევ რამდენიმე მათთვის სასურველმა მეგობარმა, პოეტებს დაემატათ მხატვარი ვანო და სანდრო. გაემგზავრნენ მატარებლით. რიონის სადგურში მათ კოსტა და დათა ეტლებით და ცხენებით დახვდნენ. სადგურში თბილისიდან ჩასულებმა, მრავალი ახლობელი ნაცნობ-მეგობარი ნახეს, რომლებიც პირიქით, დედაქალაქში მოემგზავრებოდნენ მნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებლად. გაიგეს თუ არა, თავადთან მათი სტუმრობის შესახებ, თავიანთი საქმე გადადეს და საირმეში მიმავალ ჯგუფს შეუერთდნენ. ესენი იყვნენ ოდიშელი – ხელოვნებისა და ლიტერატურის დიდი მცოდნე და განათლებული პიროვნება. მზისავარი – განთქმული მეფუტკრე. ჰიდირი საარაკო ძალის მქონე გოლიათი. მუშნი დადიანი, მოცეკვავე ყარანგოზი და მფრინავი ზაქარა. ისინი თითქოს მექორწინეთა მაყრიონივით გაუდგნენ გზას საირმისაკენ. ნიშანდობლივია, რომ არჩიბაღდ მეკეშიც, თავის დროზე, სულმოუთქმელად ამ გზით გაიქცა საირმისაკენ.

მაისის თბილი უშფოთველი ღამე იდგა. ფერდობები, ხეობები და სოფლები ბინდში იყო გახვეული. გამოჩნდა თავადის სასახლე, ერთი ფანჯრიდან იდუმალი მოკიაფე სინათლით მოცული.

წიგნი „მცველნი გრალისა“ იმდაგვარად არის შეთხზული, მასში ყოველი წინადადება სამშობლოს პათოსით არის გაჯერებული. თავადი გიორგის სასახლის სილამაზე, აგების სტილი და მისი ადგილმდებარეობა ისტორიის კუთვნილებათა, ქართული სულის ფაქიზი და ნათელი გამოსატყულებათა და ხელოვნების ნიმუშია, თავადური პატივმიგებაა. თავადი გიორგი მიუხედავად ავადმყოფობისა, საკადრისად დახვდა სტუმრებს: „შემობრძანდით! –

მომიტყვეთ, საწოლში, რომ გვხვდებით“. სტუმრები ავადმყოფის გარშემო რკალად ჩამოსხდნენ. თავადს უმაღლვე თვალში მოხვდა ოდიშელის ჭადარა და უთხრა: – თმაში ჭადარა გამოგრევიო, „როგორც ამბობენ, ჭადარა თეთრი გიორგის მადლიაო, საქართველოს მფარველი წმინდანის ხსენებამ, ამავდროულად მასპინძელის მფარველიც რომ იყო, მოხუცს საოცარი სიხარული მოჰგვარა“. თითქოს ყველას გამოესაუბრა და განსაკუთრებულად მაინც ლევანი მოხვდა თვალში, მიხვდა იმ კაცს, რაღაც იდუმალი სული დასტრიალებდა. ამ დროს მხატვარი ვანო გულდასმით ათვალიერებდა სასახლეს. – „რა მშვენიერია ეს კედლები, – შენიშნა მან, – განსაკუთრებით როცა მზე დაჰნათის!.. – მზეს უყვარს მუხა, – უეცრად ჩაილაპარაკა ლევანმა“, ისიც განუმარტა სტუმრებს, რომ მუხა, მზე და გველი მითოსურად არიან ერთმანეთს დაკავშირებულნი. ეს აზრი განსაკუთრებულად გასდევს „გველის პერანგის“ შინაარსს.

თავადმა ძალა მოიკრიბა. ქართულ სამოსში გამოეწყო და დარბაისელს ჩონა ისე მოუხდა... „თითქოს სასწაულმა საქართველოს გმირული ხანიდან აწმყოში გადმოიყვანაო“. მიუახლოვდა ლევანს, რომელიც ძვირფასი ქვების სილამაზეს გაუტაცნია. თავადმა ყოველი ქვის ბრწყინვალეობა და ისტორია ზეპირად იცოდა, მას ძვირფასი ხელნაწერები ჰქონდა დიდი წინაპრისგან ნაბოძები. მეორემეტე საუკუნის ეპოსი – „ვეფხისტყაოსნის“ სახით. მეორე ხელნაწერი ბეზიას ნამზითვი, მესამე კი, მეფე ერეკლე მეორეს უსტარი. სტუმართაგან თითქმის ყოველ წევრს ღირსშესანიშნავი საჩუქარი მიართვა. შემდეგ თავისი მსახურნი წარუდგინა მოსულთ. მხედველობიდან არც გერმანიიდან ჰკვიანი, ერთგული ძაღლის – ჰასანის საჩუქრად გადმოცემის ამბავი გამოპარვია. სტუმრები მისი ძვირფასი მრავალენოვანი წიგნებით დიდად მოიხიბლნენ.

გაიმართა ნადიმი. ქართული – ზემოიმერული. ვინც ბაღდათსა და საირმეს ერთხელ მაინც სწევიან სტუმრად – ის დრო მისთვის განსაკუთრებუ-

ლად სამახსოვრო დარჩება, – თუნდაც დღევანდელ პირობებში. და აი, გრიგოლ რობაქიძე აღწერს თავადის სასახლის აივანზე მისულ სტუმრებისა და მათთან ერთად სოფლელების ნადიმს: მაისის „ნორჩი მზე“, ტურფა გარემო – თავისი ყველა შემადგენელი ხე-ბუჩქებით, ტყით, მაღლარი მრავალსაუკუნოვანი ვაზით. ფერდობებზე განფენილი შუქჩრდილები და პატარა ხევ-ხუეები სტუმარ-მასპინძელთა მზერას აჯადოვებდა, ნადიმს უხვად ეფინა მასპინძელთა თბილი კეთილშობილური დახვედრა. „არქაულ ეპოქაში პურისჭამა საკულტო ქმედებას წარმოადგენდა, და ასეთად დარჩა დღემდე საქართველოში.“ ნადიმის პირველი საკითხის გადაჭრაა თამადის დანიშვნა, რომელმაც ისე უნდა წარმართოს სუფრის ხელმძღვანელობა, რომ ყველას აზრი და შესაძლებლობა გაითვალისწინოს, და სუფრა ნამდვილ დღესასწაულად აქციოს. მითუმეტეს ნადიმზე მრავლად იყვნენ ხელოვანნი და ლექსის მოტრფიალენი. თავადმა სუფრის თამადად მამია ოდიშელი დაასახელა. ოდიშელს თამადობისათვის შესანიშნავი ტონალობის ხმა და გონება-განწყობილება გააჩნდა. პირველივე სადღეგრძელო თავადის ჭერის დალოცვა იყო, და მასვე მოაყოლა ამბავი ქართული მითისა, თუ როგორ მოხიბლა უბრალო მჭედელმა ციხე-სიმაგრეში ჩაკეტილი თავადის ქალი, რომელმაც თურმე ზარი გამოჭედა, რაშიც ქალის სიმღერის ტკბილი ხმა მოაქცია, და ციხის გარედან ასმენინებდა თავადის ასულს, ამგვარ მოიგო მან თავადის ასულის გული და მისი კუთვნილება გახდა. „– აი, ასე შევიგრძნობთ ქართველები ბგერის არსსა და სიმღერას... პაუზის შემდეგ ზემოიმერული მრავალჟამიერი“. სუფრაზე გაისმა თავადის კნინასა და ქალ-რძალის სადღეგრძელო, მათ მიმართ მიმართვები – პოეტური და მხატვრული. გაჩაღდა ცეკვა „ლეკური“, ცეკვაუდნენ სანდრო და თავადის ქალი... „რაც კი ყოფიერს უბოძა გამჩენმა, ყოველივე ეს ცოცხლობს ამ ცეკვაში“. შემდეგ ყარანგოზმა შეასრულა მთიულური ცეცხლოვანი ცეკვა.

გრიგოლ რობაქიძე აღტაცებით გადმოგვცემს:

აღბათ ნიცშეს ჩვენი ცეკვები რომ ენახა, წარმოსთქვამდა: „მუსიკა უნდა გაკავკასიურდესო... კვლავ გაისმა სიმღერა, რომელმაც საღვთო საგალობლების მსგავსად, სტუმრებს განცდები დაუწმინდა და გაუსპეტაკა“. სუფრაზე შემოაქვთ მწვადები, შენელებული კოწახურითა და ბროწეულით, „ჰომერიდებმა ერთხმად შესძახეს: – ღვთაებრივი კერძი!... შეექცეოდნენ ისე საზეიმოდ, როგორც საღვთო კერძს“. თამადა სათითაოდ ადღეგრძელებდა დამსწრეთ. ერთმანეთს პატივს მიაგებდნენ სახოცბო საზეიმო სიტყვებით. ყველანი მხიარული ჩანდა, გარდა ლევანისა. ლევანი მოკრძალებულად გამოიყურებოდა. თავადის რძალმა – ახალგაზრდა ქვრივმა... „ერთადერთი ცქერით მასში გრძნობათა ქარიშხალი გამოაღვიძა“... უცქერდა და ფიქრობდა იქნებ რაიმე ნაკლი აღმოუჩინო და ეს მწველი გზნება გავანელოო, მაგრამ ამოდ. თუმცა შინაგანი ფორიაქი გარეთ არ ემჩნეოდა. სხვებისთვის თითქოს უძრავი ჩანდა. გახელდა სუფრაზე ლექსების წარმოთქმა. საქართველოში ლექსი კაციდან კაცზე გადადის და ასეა უკუნიდან უკუნიდან. ახლაც, ამ ნადიმზე გრიგოლ რობაქიძის გადმოცემით: „თითოეულმა პოეტმა განუმეორებელი მანერით წაიკითხა საკუთარი ლექსი... მასში საღვთო საგალობლის კდემა იგრძნობოდა“. ნადიმი სასიამოვნო რიტუალს მოეცვა. თამადამ აზარფეშა მიართვა ლევანს: საზეიმოთვე წარმოსთქვა: – „მზის ნიშნული“. ახლა ლევან ორბელი, – „მზის ნიშნული საქართველოს“ პათოსია სრულიად და ვინდა შეაჩერებს მის ენამზიანობას. ლევანის წარმოთქმული სადღეგრძელო ეხება ქართულ სიტყვას, მის სიდიადეს – სიტყვა – სეტყვა – ტყეობა – ადარებს ერთმანეთს, ასევე სიცოცხლე – ცეცხლი – ცხენი – ცოცხი – ერთი ფუძის მატარებელია და რაც მთავარია მზე და მზერა. ლევან ორბელის ამდაგვარ საზრიანობას ემთხვევა სწორედ „გველის პერანგის“ მთავარი გმირის არჩიბაღდ მეკემის მსჯელობაც ამ საგნების ირგვლივ. ლევანი სიტყვას აგრძელებს... „ქართველები მეფეს „ხელმწიფეს“ უწოდებენ. მბრძანებელს „მწიფე ხელი“ უნდა

ჰქონდეს, სიმდიდრე არ უნდა აკლდეს, რათა უხვად გასცეს. არც ძალაუფლება – რათა დაცვა შეძლოს. არც ღვთის კურთხევა – რათა ხალხს ემსახუროს“. იგი თხრობას განაგრძობს ცეცხლისა და მზის შედარებით, რომლებიც ქართველთათვის ყოფიერების მაღალი წერტილია. ქართველიც ისეთივე სრულყოფილია მომენტში, როგორც ეს უდიდესი ქმნილებები, ვინ თქვა ქართველი მოუთმენელიაო, – მე დღეს თავადის ბიბლიოთეკაში ასანთის კოლოფისოდენა წიგნმა მაფიქრებინა, რომ მის შემდგენელს ჰქონდა უდიდესი ძალა მოთმენისა და სიკეთის გაცემისა. ერთი ქართული ანდაზაც არის ამდაგვარიო: როცა ცეცხლოვანი მზე მინდვრებს გვალვით დასწვავს, ამ დროს გადამწვარი ღორლიდან მეწამული გველი გამოდის. მზისაკენ პირდაფენილი იყურება და გადმოაგდებს ხახიდან მოყვითალო ქვას, მზის სხივებში შეათამაშებს... ამ ქვას ხვითოს (ნატვრისთვალს), ეძახიან. ვინც ამ ქვას ხელში ჩაიგდებს უბედნიერესი გახდებაო და საბოლოოდ ეზიარება ღვთის მაღლსო. შემდეგ განსაზღვრავს სიტყვა გულის – განსაკუთრებულობას, როგორც ზოგადად, ისე მეგობრობაში და სიყვარულში. ამასთანავე ქართველის მიწასთან დამოკიდებულებას ახსნის... „ჩვენთვის მიწა სისხლი და ხორცია“. „ადგილის დედის“ განუზომელი სიყვარულიც აქედან გამომდინარეობს... მზე და მიწა საქართველოში შეწყვილებულ-შეუღლებულნი არიან ღრმად და წრფელად“ და სწორედ ასეთ ქვეყანაში შეიძლება გამოჭრა ვაზის ტოტისგან ჯვარი და საკუთარი თმა შემოახვიოთ. ამის შემდეგ საკმაო ხანს დუმდა და შემდეგ განაგრძო: „ვინ შექმნა სამყაროს ამგვარი ხატი? არა ცალკეულმა ჩვენთაგანმა, არამედ ყველამ ერთად. ის ჩვენამდე იქმნებოდა, მაგრამ თითოეულს ჩვენგანს საკუთარი წვლილი შეაქვს მის ქმნალობაში. ჩანს, დასაბამიდან ხმიანებდა ჩვენს არსებაში ის მრავლისმთქმელი და იდუმალი რამ, თითოეულ ქართველში – დიდი ხნის წინათ გარდაცვლილში, ახლანდელსა თუ ჯერარდაბადებულში – განაგრძობს უღერასა და სუნთქვას... მრავლადაა ჩვენს ის-

ტორიაში პიროვნებები, ვისშიც ქართლოსის სახე გაცხადდა... ერთი ასეთი კურთხეული დღეს ჩვენს შორისაცაა. ესაა თავადი გიორგი. მზის სახელითა და მთელი საქართველოს გასაგონად შევძახებ: გაუმარჯოს ჩვენს მამამთავარ ქართლოსს! დღევრძელი იყოს თავადი გიორგი!“ თავადი გიორგი ლევანს მიუახლოვდა და შუბლზე აკოცა... გაისმა ზემოიმიერული მრავალჯამიერი!... „ლევანმა აზარფეშა დასცალა. საკუთარ სხეულს ვედარც ის გრძნობდა, მანათობელ სხივად იყო ქცეული“...

ნადიმი დასრულდა. ყველანი დაიშალნენ, ისე, რომ თავისუფალი ჭამა-სმა ყველას შეეძლო, ასევე დროსტარება. უეცრად ლევანი ზეზე წამოხტა. ირემივით შედგა და სახით ცისკენ მიმართული მომხიბვლელი რიტმებით ამეცყველდა: „რა იყო ეს? ლექსი, ჰიმნი თუ შელოცვა? „მზის საგალობელი, – ჩურჩულით წარმოსთქვა დამსწრეთაგან ერთმა, – ჩრდილოეთიდან ჩამოსულ ჩვენს მშვენიერ დას ვუძღვნი ამ ჰიმნუსს!“ ხმამაღლა წარმოსთქვა ლევანმა, ახალგაზრდა ქვრივის მიმართ.

ბევრს განგვიცდია შეგრძნება მშვენიერებისა, მაგრამ სრულყოფილად მისი გადმოცემა ვერ მოგვიხერხებია, გრიგოლ რობაქიძეს კი მისი გონებამახვილობისა და ფილოსოფიური აზროვნების დახმარებით უამრავი საინტერესო დეტალი გასაგები ფორმით აქვს წამოდგენილი თავის თხზულებებში. და აქაც, როცა თავადის რძალს საუბარში ნადიმზე თავის მოწყენილობის მიზეზს უხსნიდა: – „მთელი დღე სევდიანი ჩანდით, განსაკუთრებულად მაშინ, როცა მზეს უგალობდით, – დიახ, შესაძლოა, – უპასუხა ლევანმა. დღეს მზე ღრმად და ძალუმიად შემოვიდა ჩემში. – კი მაგრამ, ნუთუ სიღრმე გარდაუვალად სევდას უკავშირდება? – ჭეშმარიტი სიბრძნე მუდამ სევდასთანაა ნაზიარები! – მაგრამ მზე ხომ ღვთის სიხარულია... – ასეა მაგრამ, ამ სიხარულს სევდის ოდნავშესამჩნევი რიდე ფარავს. როგორ აგისხნათ? ალბათ თვითონაც გამოგიცდიათ, მუსიკის სმენისას, როდესაც ნეტარ თავდავიწყებას სევდა ერთვის“.

ლევან ორბელი ქვრივთან საუბარში გამოცემა, რომ მასში ორი სახე იხილა – ერთი ნაცნობი და მეორე უცნობი. მერე იგონებს 1914 წლის ბორჯომში დასვენების დღეებს, დაწვრილებით გადმოსცემს თავისი და 12 წლის ქერეთმიანი გოგონას მეგობრობაზე. რომ ის ბავშვი იყო მისთვის ახალი წყაროსთვალი. ალბათ მასში მომავალი ქალის სახეა ც კი მიყვარდაო. ომის შემდგომ საერთოდ დაკარგეო. „სიშორე როცა მიხმობს, მუდამ მის სახეს ვხედავ, ახლოსა და მიუწვდომელს“. შემდეგ ლევანი საკმაო ხანს დუმდა. ხოლო ქალი თითქოს ძილბურანმა მიოცვა და მიეყრდნო მოაჯირს. იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ის კაცი პირველი შეხედვისთანავე იცნო... იმ ბავშვობაში ნახული და ომის გამო დიდიხნის დაშორებულებმა, და ახლა როცა ერთმანეთი გაიხსენეს, დიდხანს დუმდნენ. მერე მოიკითხეს ერთმანეთი და ნორინასაც თავისი განვლილი მძიმე – 1918-1921 წლები თვალწინ გადაეშალა. ამ მომენტში – ამ თხრობაში გრიგოლ რობაქიძეს ქართულ მიწაზე საირმისა და ბორჯომის ღვთიური მადლი აქვს ამხევებული. შემდეგ ლევანმა შინაგანი გზნება, ნორინასთან შეხვედრის დაძაბულობის მოხსნის მიზნით როიალის დაკვრა მოინდომა და აჟღერდა მუსიკის ნაკადი: ეს ხმა „თითქოს სხვა სამყაროდან მოედინებოდა... და დამაბრმავედელ ნათელს ასხივებდა.“

– ბობოქარი სული, – თავისთვის ჩაილაპარაკა თავადმა.

„გარდაცვალების შემდეგ სულებს სიტყვები აღარ სჭირდებათ. ალბათ მუსიკით ესაუბრებიან ერთიმეორეს“. ყველაზე მეტად ამ მუსიკით ნორინა მისცემოდა თავდავიწყებას და შიშობდა კიდევ – კაცი ამგვარი გზნებით ჭკუაზე არ შეშლილიყო. მაგრამ შვეებით ამოისუნთქა, როცა მისი „შეშლილის ნაცვლად ბედნიერებისგან გაცისკროვნებული სახე იხილა“.

თავადის სასახლეში ნადიმი სამი დღით გაგრძელდა. გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით, დიდებული დროსტარების, გართობის და ლიტერა-

ტურული სადამოების მომსწრენი გახდნენ. ლევანი და ნორინა ისევ ერთმანეთის ჭვრეტა-სიამოვნებაში იყვნენ. რაც არც თავადს და არც მოსულ ხელოვან სტუმრებს მხედველობიდან არ გამოპარვიათ. დღის ნადიმი ლევან ორბელმა თავისი ღირსშესანიშნავი ლექსით „წმინდა ნინოს“ – დაამთავრა. რამაც უძრავი მღუმარებით მოიცვა მსმენელნი. თავადი გიორგი იმდენად მოიხიბლა ლექსით ცხრა სანთელი ანთო და გაირინდა, თითქოს ლოცულობსო.

მეორე დღით კი, დიდი გაიმართა – თავადის სტუმარ ანრისა და მეზობელ ბასილას შორის. მზიური რაშის თავდავიწყებამ, გახელებამ, მგზნებარებამ მთელი მაყურებელი სტუმართა გუნდისა აღფრთოვანებაში მოიყვანა. გიორგობის დღესასწაული ნამდვილ ზეიმად იქცა, – ისტორია, მითი, ხალხური სიბრძნე, ადათ-წესი წინაპართაგან შემონახული მათ თვალწინ გადაიშალა.

გრიგოლ რობაქიძეს ღრმად აქვს შესისხლ-ხორცებუელი ქართული მზის კდმა-ღიადღმა და ამ გრძნობით არის გაჟღენთილი მისი ნაშრომნი. აქაც „მცველნი გრალის“ კითხვისას, თითქოს გგონია, საცაა ყოველი სიტყვა მზედ გადაიქცევა: ნადიმიდან ერთი კვირის შემდეგ, თავადი გიორგის რძალი – „ტანაშოლტილი და მზით გაცისკროვნებული, მიუახლოვდა მამაკაცებს. ქვრივმა ბალი და ვარდები მიართვა თავად გიორგის... – მშვენიერია, – გაიხარა თავადმა, – მზის წვენი და სისხლი მოგვიტანე, – მიხარია, თუკი მართლა მოგიტანეთ მზე. მზე თქვენ სულ მუდამ დაგყვებათ, – შენიშნა ლევანმა.

თავად გიორგის და ლევან ორბელის საუბარი ახალგაზრდა ქვრივის ირგვლივ – ეს არის მისი ისტორია, დღევანდელი თუ ხვალისდელი დღე, – გულშიმწვდომია და დამაფიქრებელი. თავადს მხედველობიდან არ გამოპარვია ლევანის გატაცება და მოხიბვლა ნორინათი, თავადი მოხარული იქნება თუ ისინი მომავალ ბედს ერთმანეთს დაუკავშირებდნენ.

თავადი გიორგი და ლევანი ერთხანს დუმდნენ. შემდეგ სიხუმე ლევანმა დაარღვია: „ხომ გახსოვთ,

რა გადახდა თავს ფრობენიუსს აფრიკაში, როცა ანტილოპაზე სანადიროდ წავიდნენ“ – ამ ნადირობისას ქვიშაზე გამოსატულ ანტილოპას, – ქალები შელოცვით, ანუ მაგიური ძალის გამოყენებით, ნამდვილ არსებად გადააქცევენ. წარმოსახვას ფაქტად აღიქვამენ, ისე, რომ სხვასაც ჭეშმარიტად გადასცემენ ამ ამბავს. გამოიკვეთება აზრი, – იმისა, რომ ანტილოპის სისხლი მზეს შეესაბამება, ისარი კი მზის სხივს.“ აქ მზეა ყველაფრის მოქმედი – ჯერ ერთი სხივით ატილოპას სიცოცხლის მიმღები და მეორე სხივით მონადირეების დამცველი. აქ ის აზრიც დევს, რომ ვითომ ქალები, უფრო დიდი ექსტაზით ღებულბენ მზის ძალას, ვიდრე მამაკაცები. შემდეგ მოსაუბრენი სვან ყანსავს შეეკითხებიან ქალღმერთი „დალის“ თქმულების შესახებ. ისიც უდასტურებთ, რომ ჯიხვი ქალღმერთის რჩეული ნადირია და მოკლული ჯიხვის რქებს სვანეთში სწორედ მას სწირავენ მსხვერპლად. „ირმის სისხლიც მზიური წარმომავლობისა“, დაადასტურა ლევანმა.

გრიგოლ რობაქიძე გრალის წმინდა თასის მცველებს, ქართული სულიერების სრულყოფილებაში ჩაბმულ მწერალთა და ხელოვანთა რიგებში, ასევე აქ საირმეში – თავადი გიორგის მიერ შენარჩუნებულ ქართულ კულტურასა და ადათ-წესებში ეძებს და აღწევს მიზანს კიდევ.

თავადი გიორგი მოისმენს რა ლევანის ლექსს – წმინდა ნინოს საგალობელს – „თითქოს საგალობელის ძარღვებში მზის სისხლი დიოდა,“ მერე „ბინდში ჩაფერფლილ მზესავით მიქრა საგალობელი“... თავადი გიორგი აღფრთოვანებულია ლექსის სიდიადით და ლევანს მიმართავს: ეს საოცრება, სულის რაღაც განსაკუთრებული მდგომარეობის ანარეკლიაო. ლევანმა: – „ესეც არის, ეს 1921 წლის 25 თებერვალს მოხდა“. და, ეს იყო, სწორედ უსასობის ჟამი მისი ცხოვრებისა. ამ საგალობელს წარმოსახვითი ამბავი – ხილვა გრალისა აცისკროვნებდა. სწორია. დაუდასტურა თავადმა. „– ეს თასი საქართველოსთვის ზეგარდმო მონიჭებულ მადლს ინახავდა, – განაგრძობდა თავადი, სწორედ

ის იყო მისი მასაზრდოვებელი წყარო. თუკი მცველნი გრალისა ჭეშმარიტი მზისშვილები იყვნენ, წყარო არ წყდებოდა“...

თავად გიორგიმ და ლევანმა კარგად უწყიან, რომ შემოქმედების უნარი რწმენის საიდუმლოებაშია. – „რწმენას მაშინ ვკარგავთ, როდესაც მიწის, ჩვენი მარადიული დედის, წაბილწვას ვიწყებთ“... მიწა, რომელიც გვაძლევს პურს – როგორც ქრისტეს ხორცს და გვაძლევს ღვინოს როგორც ქრისტეს სისხლს, მარადიული თაყვანისცემის ღირსია. ამდაგვარი ზეგარდმო მონიჭებული მაღლი ჩვენი რწმენით უნდა იყოს მარადიულობაში გადასული: „თუკი მიწის საშოს მკვდარ მატერიად მიიჩნევს ადამიანი, იმწამსვე დაიცლება ლოგოსური ძალებისაგან“.

თავადი გიორგი იმდენად შეიჭრა ლევანის მთლიან არსებაში, ამოიკითხა რა, მის სულში ის პათოსი, – რასაც თავადვე მთელი სიცოცხლე სისხლხორცეულად ემსახურებოდა. მიხვდა. მიაგნო სწორედ იმ პიროვნებას, რომელსაც ბოლო ხანებში გამაღებით ეძებდა, რათა წინაპრისგან გადმოცემული თასი გრალისა გადაეცა, და ასეც მოიქცა.

– „ორიონი უკვე გამოჩნდა... – დაე, ეს იყოს იღუმალი მოწმე! – თქვა თავადმა. – აიღეთ ეს გასაღები, – თავადმა ღრმად ჩაისუნთქა და წარმოსთქვა: – ამიერიდან შენ იქნები თასის მცველი“...

რომანში ამეტიყველებული ამბავი – გულის სახსოვარის შესახებ, რომელიც 12 წლის ნორინამ შემოინახა ლევანის წერილის სახით, და ახლა ლევანს წააკითხა – ქართული მიწის ნოყიერების მაღლია, რომლის წიაღში აღმოცენებულ შვედ გოგონას ასე გაუთავისებია და შემოუნახავს. ლევანი წერილს ხელში აიღებს და ნორინას მიმართავს: „ჩემი გული ნათელი ჭურჭელია, თქვენს სანუკვარ სახებას რომ ინახავს, ისე, როგორც თასი გრალისა იტევს სამარადისოდ უწმინდესს სითხეს.“

საირმოდან დაბრუნებული ლევანი თვალთახედვიდან ვერ იშორებს საირმის ნათელ სამყაროს, თეთრ თავადს, მომაჯადოებელ ნორინას და წმინდა თასს. ახლა თავად წმინდა თასის მფლობელია და

მისი ძლიერებით მადლცხებული მიემგზავრება მანგლისს.

გრიგოლ რობაქიძის წვდომა მანგლისის მშვენიერებასა და სიდიადეში თითქმის თვითუული ჩვენთაგანის დამოკიდებულებასაც ასახავს, ამ მხარის მიმართ. მანგლისის მიდამოები, მდინარე ალგეთის კლდეები, მრავლისმთქმელი გორაკები, ცადაზიდული ხეები, მზით გაჯერებული მთა-ველი ახალი შთაგონების წყაროდ ექცევა ლევანს.

პიროვნულად – მეც მანგლისის გახსენებისას ავლელდი, აფფორიაქდი, და მაინც, ისტორიული სევდა შემოიჭრა ჩემში. – თითქოს ალგეთის ახლოს, დიდგორის მხრიდან, მთის წვერზე შემომდგარა დავით აღმაშენებელი და მესმის მისი გპირული გამოძახილის ექო, რომელიც ამავდროულად საუკუნეებში ინთქმება. ტყედექცეული და გავერანებული ნასახლარ-ნასაყდრალნი წარსულიდან ამოდ უხმობენ საშველად აწმყოსა და მომავალს.

მანგლისიდან დაბრუნებულმა ლევანმა ზაქარას საუბრიდან გაიგო, რომ მებრძოლ კომიტეტს დაგეგმილი აქვს აჯანყება ბოლშევიკების წინააღმდეგ. რომელშიც ჩართული არ არის ქაქუცა ჩოლოყაშვილი (იცის – ეს უკანასკნელი ისტორიულად ირუბაქიძეთა გვარის შთამომავალია), რომ ვითომ ქაქუცა თავადვე მიხვდებოდა, და აჯანყებულებს გაჭვირების უამს შეეშველებოდა. ლევანს ეს აჯანყება თავიდანვე დასამარცხებლად განწირული ეჩვენა, რომელის ვარაუდიც შემდგომში მართლაც გამართლდა.

ამ შემზარავ დღეებში ლევანი და ნორინა თავს იყრიან თბილისში. უსაზღვროა მათი ერთმანეთისადმი ლტოლვა-სიყვარული. ისინი ერთნაირად არიან დაჯილდოვებულნი სიკეთით და მადლიერების გრძნობით. გვერდიგვერდ მჯდომნი ერთმანეთს მხოლოდ მხრებით ეხებოდნენ, შემდეგ ლევანი კითხვას შეუდგა: ჯერ „ედადან“ ამონარდი მსოფლიო იფნის, იგდრასილის შესახებ, რომელიც თავის სიტყვებით დაამთავრა: „თუმიცა იმ ქვეყანაში არ დავბადებულვარ, სადაც ეს მითი შეიქმნა,

მაინც ცოცხლად შევიგრძნობ ამ ხის ყვავილობას: მისი ფესვებიდან გამომდინარე წყაროები ჯერაც არ დამშრალა. ურდის წყაროსთან ორი ფრინველი სახლობს: ნებიერი გედები, მეფური სინაზით რომ დაცურავენ მის წყლებზე. ზეციური ირმები მისი რტოებისაკენ იგრძელებენ კისრებს და ფოთლებს აგლეჯენ. მესმის რტოების შრიალი: სწორედ მათგან წვეთავს ის ნამი, ველებს რომ არწყულებს. ჩემო ნორინა, დაე, ამ ნამმა თხემით ტერფამდე დაგირწყულოთ სხეული და სიცოცხლის უშრეტი ძალა მოგცეთ“. (რა უცნაურია, მახსენდება ჩემი ბავშვობა: – მეც ისეთ ადგილებში გავიზარდე, სადაც იფნის ხეები ბლომად ხარობს: კორტოსებზე, ხეებში, კლდის წვერებიდან ამაყად მდგარნი, თავს უხრიან წყაროთ და დიდ ქვებზე მოჩქრიალე მდინარეთ. რომლებთა ძირებზე ხშირად მზის მოელვარე სხივებში მცოცავ ხვლიკსა თუ გველს შენიშნავთ, ხოლო მათი ფესვებიდან ჩამონაჟონი ნამით სულსა და გულს იამებს ჩვენი უღამაზესი ხევ-ხუეები. დღემდე თვალიდან ვერ მომიშორებია კლდეზე ჩამოკიდულ იფნის ხეთა სახება, რაც ლექსადაც კი მაქვს ამეტყველებული).

აჯანყების მოლოდინში ჩაბუდრებული ქალაქი – თბილისი, თითქმის ერთ დიდ ყაზარმად ქცეულიყო. ყოველი ფეხის ნაბიჯზე სამოქალაქო პატრული იდგა. გაისმოდა გ. პ. უ-ს თანამშრომელთა განუწყვეტელი ზარები მოსკოვთან, გამზადებული იყო თვითმფრინავი მთავრობის წევრთა გადახიზნავად. ბოლშევიკები შიშსა და ძრწოლას მოეცვა, ხალხი კი კაემანს. ამბოხის მონაწილენი მაინც თავდაუზოგავად იბრძოდნენ: ქართლში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, ფშავ-ხევსურეთში, სვანეთში და თუშეთში. თბილისში ასიათასკაციანი მიტინგი ჩატარდა აჯანყების წინააღმდეგ, მაგრამ თუ მოამბოხენი, ქალაქში შემოჭრას მოახერხებდნენ, შემდეგ „ბრბოს აღტკინება მაშინვე დიონისური ლხინის ველურ ამოფრქვევაში გადაიზრდებოდა“. აჯანყება ერთ კვირაში ჩაახშეს. გ.პ.უ-ს წარმომადგენლებს ბევრი საქმე გამოუჩნდათ, ხვრეტდნენ

აჯანყების მომხრეებსა და მონაწილეებს.

ერთ დღეს შავებში გამოწყობილი ასობით ქალი შეიკრიბა ქაშუეთის ტაძარში. ეს მთავრობისათვის შემზარავი, – საქართველოს ჭირისუფალ ქალთა გულწრფელი დემონსტრაცია იყო... „დღეა დასტიროდა ამ წუთებში ხალხის დაშრეტილ წყაროსთვალს“... აქ შეკრებილნი – მომტირალნი იყვნენ ჭირისუფალნი სამშობლოს ზვარაკად შეწირულ სისხლ-ხორცისა.

აჯანყების დამარცხებით სრულიად განადგურებული ლევანი – ჩვეულ ურთიერობაში მტკიცე და მკაცრი, შინაგანად აფორიაქებული გახდა. თავის თავს ვეღარ ცნობდა და იტანდა. ტანჯავდა მუშინისა და მისი ძმის სიკვდილით დასჯა. მეგრელი ანრის დახვრეტა. ოდილიანის უმცროსი ძმის სიკვდილით დასჯა. ზაქარასა და მეფუტკრის ძმების საქვეყნო უბედურების ზვარაკად შეწირვა. იგი განმარტოვებით ქვითინებდა. მოქმედებდა ყოველდღიური საქმიანობით, მაგრამ საკუთარი სიცოცხლიდან ამოვარდნილი. – „სრულიად დაშრეტილი და გამოფიტული“. ეშინოდა, ხალხის მთლიანი სულიერი ფესვი არ მოწამლულიყო და დემონურ ძალებს ხელში არ ჩაეგდოთ. ლევანს თვალწინ წარმოუდგა: – „ნამუსაყრილი „ივერიის ქალწული“, რომელსაც სირცხვილი და შეურაცყოფა მუდამ სტანჯავს და ანადგურებს და არავინაა მხსნელი“. და გულდათუთქული აღნიშნავს: ეს დამარცხება უფრო გულშემზარავი იყო, ვიდრე 25 თებერვალიო.

გასაბჭოებამ სრულიად წელში ვერ გადატეხა ქართველი ერი, მაგრამ უხილავი იყო ტანჯვა, რაც სულს უღრღნიდა ყოველ ჯანსაღ ადამიანს. საფრთხე ადამიანთა დაშინებისა და დამონებისა უფრო ძლიერდებოდა. ლევანი გრძნობდა: ეს დემონი ბოლშევიკები, დღეს, რომ თავს გამარჯვებულად გრძნობენ, თავადვე მისწრაფვიან დაღუპვისაკენო.

ამ დროს კი ავალა ბათუმშია, ოდილიანი სოფელში შემორჩა ტრანსპორტის შეფერხების გამო, ნორინა და კოსტა ისევ თბილისში. უსახლვროა ლევანისა და ნორინას ურთიერთშეყრის იდილიური

სინთეზი. ასეთი შემზარავი და გამანადგურებელი ამბების შემდეგ ნორინა თითქოს დის სინაზით ეფერებოდა ლევანს. მაგრამ, არა, ლევანის ერთი ვნებიანი კოცნა და ქალშიც გამოიღვიძა მეტრფემ, ისინი თავდავიწყების მორევში ეფლობიან და თუ „წინათ ნათელ სხივებში ბანაობდნენ, ახლა კი შემზარავი ვნებიანი არარას ტყვეებად იქცნენ. სიტკბოება მომაკვდინებელი გამოდგა... ვისაც ერთხელ მაინც უფლია სიყვარულის მზიურ გზაზე, სხვაგვარად ვერ შეიგრძნობდა. ხედავდა, თავისი არსის გულისგულს მიაყენა დარტყმა და ვერ გაეგო, როგორ უმტყუნა თავშეკავებამ... მხემ შური იძია კაცზე გზიდან გადახვევისათვის... ვნება ორივეს ხრავდა... ორივეს ესმოდა, რომ ეს დადუბვა იყო, მამაკაცს უფრო, ვიდრე ქალს, მაგრამ ცოდნა ერთია, ყოფნა კი სულ სხვა, ყოფნის წრებრუნვის შეჩერება მათ არ შეეძლოთ... გასრესილი, დამარცხებული, დაფლეთილი იჯდა ერთ დღეს ნორინასთან“... ლევანის უხასიათობით შეწუხებული ნორინა ეკითხება მას მძაფრი კაეშანის მიზეზს. ლევანი პასუხობს: მე არასდროს ისე ახლოს არ ვყოფილვარ შენთან როგორც დღესო, თან გასაღები აჩვენა, რომელიც თავად გიორგიმ ჩააბარა. მოუთხრო ამბავი გრალის წმინდა თასის მისთვის გადაცემის თაობაზე. ბოლოს ეჭვშეპარული წარმოსთქვამს: მზიურ გზაზე ხელმოცარულს რა უფლება მაქვს გრალის მცველად დარჩენისაო. მაგრამ ქალი ანუგეშებს „- შენ ხომ ჯერ კიდევ იტანჯები“. ლევანმა იგრძნო, როგორ შეახო სულის საღებუნი მის ღია ჭრილობას და გაიფიქრა: „ვიდრე ადამიანი იტანჯება, მას კიდევ რჩება ძალა აღორძინებისათვის“... ლევანმა დარწმუნებით იცის, რომ ცოდვილია ხორციელი, რომელსაც მზიური ძალა მოაკლდება... „- მაგრამ იქნებ ჩემში ცოცხლობს ჯერ კიდევ ის მზე, შენ რომ დაანთე?“... მიმართავს ბავშვური გამომეტყველებით ნორინას... „უცნაურია, მოაგონდა, რომ ზოგიერთ ხალხებს, მათ შორის ქართველებს და გერმანელებს, მზე ქალის სახით წარმოედგინათ... იფიქრა, იქნებ მზე სულიერ ძალთა დამბადებელი და მასაზრდოვებელი საშოა. და,

თუკი ასეა, მაშინ მზეს ქალივით უნდა შეეძლოს ჩასახვა და შობა. მზის ღმერთის ოსირისის მშობელი ისილა ხომ მზის ქალიშვილი იყო?...

ლევანი თითქოს მზის ძალის ენერჯით სავსე, მაგრამ სულით უკიდურესად შეძრწუნებული ემშვიდობებოდა ნორინას... თავისსავე მშობელს... (გრიგოლ რობაქიძე რომ მზიური კულტურის აპოლოგეტი იყო და მისტიური სამყაროს იდუმალებით შესუდრული, ეს ზემოთაღნიშნულ შედარებებშიც ნათლად სჩანს). ლევან ორბელმა, მიუხედავად დიდი ხნის მიჯნურობისა, სიახლოვის განცდებისა, ვნება-ამბორისა, სძლია საკუთარ თავს... „მაგრამ ვნებაზე გამარჯვება, ათასგზის უფრო ტკბილი იყო! მზესავით, რომელიც ეგვიპტური რწმენის თანახმად, თვითონვე ანაყოფიერებს საკუთარ თავს“. შემდეგ ასკვნის: „არა, ჭეშმარიტება მეტრფემ უნდა შეძლოს, ან წინა განცდის დაუხარჯავად შენარჩუნება, რათა ცეცხლი არ ჩაიფურფლოს, და მაშინ ადამიანი ჭეშმარიტად მზის წილნაყარი ხდება“... ლევანი გრძნობდა მათ შორის მოახლოვებულ უფსკრულსაც... „ახლა ვხედავ, რომ ბეატრიჩეს თვით დანტეზე მეტად მეტი მადლი ჰქონია სიცოცხლისა“ ჩურჩულით დააბოლოვა ეს უკანასკნელი სიტყვა.

მოულოდნელი თავზარდამცში ამბავი ჩამოვიდა თბილისში – თავადი გიორგის დაპატიმრების ამბავი. თავადი გიორგი ყოველგვარი კითხვა-პასუხისათვის მზად იყო, აგრეთვე წამებისათვის, რადგან მასში, უმაღლეს წერტილზე იყო აყვანილი ქართველი კაცის ყოველგვარი ნიშან-თვისება. მის დაკითხვაზე რამოდენიმე ქართველმა უარი განაცხადა. გ.პ.უ-ს წარმომადგენელი გააფთრებული იყო გამომძიებლებზე, რომლებიც თავადი გიორგის დაკითხვაზე რიდნით, შიშით თუ მოკრძალებით უარს ამბობდნენ. იგი იძულებული შეიქმნა მასთან დაკითხვაზე ველსკი შეეგზავნა. თავადმა წამსვე იგრძნო – „ეს ის მახინჯი იქნება, ანდრი და ლევანი რომ შეაშფოთაო“... თავადმა თავისი თავი ხელში აიყვანა, იმ წითურ არსებას კი ხშირად თვალს არიდებდა და მშვიდად თავაზიანად პასუხობდა. ველსკის არ უყვარდა ეს

არისტოკრატი, მაგრამ მისმა დიდებულმა იერსახემ მოხიბლა. საკმაო ხანს ვერ მორიგდნენ, თუ რომელ ენაზე ესაუბრათ. ბოლოს ფრანგულზე შეჯერდნენ. ველსკი მალე მიხვდა, რომ მის წინ უბრალოდ დასამორჩილებელი პატიმარი არ იჯდა და ბოლოს შეახსენა, რომ მუამბოხე შეიკედლა. დიან, პასუხობს თავადი. მე მას მასპინძლობა გაეუწიე... მთავრობა, თქვენც რომ გდევდეთ, სიამოვნებით შეგიკედლებთ. შემდეგ ველსკიმ თავადი პოლიტიკური შეხედულებების თაობაზე გამოკითხა. მანაც დამაჯერებლად უპასუხა, რომ არცერთი პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენელი არ იყო და ამის შესახებ აზრიც არ გააჩნდა... მაგრამ თქვენ მაინც მოგიწევთ, ამ საკითხის ირგვლივ არჩევანის გაკეთებო... თავადიც პასუხობს: მაგრამ მე ვეცდები, ჩემი მოსაზრების ფენომენი გამოვიყენო და დასკვნები ისე გავაკეთო. მოჰყავს მაგალითები ქართული კულტურის სფეროდან – სიტყვებს შორის კავშირსა და მისი გამოყენების ობიექტების შესაბამისობაზე. მაგალითად: ქართველი ერთგან იყენებს სიტყვას „კოცნას“, მეორეგან ის ამბობს „ამბორს“... ან ერთგან – „იმღერს“, მეორეგან ამბობს – „გალობს“... სიტყვას „მოქალაქეს“ მეორე ობიექტივისათვის „უფალო“, ან „ბატონო“ მიუსადაგებს.

დაკითხვის დამთავრების შემდეგ თავადი გიორგი იჭვინუღია, ვერ დაადგინა რა მიზანი ჰქონდა მის დაკითხვას. დერეფანში გავლისას გვერდი გაუარა ბაგრატიონმა, რომელსაც მხარდამხარ გ. პ. უ-ს თანამშრომელი მიჰყვებოდა და ნანახმა ძალიან გააოგნა.

ველსკი ბავშვობიდანვე ისეთი ბოღმიანი კაცი იყო, თვითონვე ვერ გამორკვეულიყო, თუ რატომ სძულდა ადამიანები. გონიერი ყოფილა, მაგრამ უშუალო ურთიერთობა აკლდა მუდამ მოყვასთან. ყველასი შურდა და თუ რაიმეთი ერთობოდა ეს იყო, საკუთარ თავში ზეწოლა ყოველისა: – „მხოლოდ სიძულვილში აღწევდა თავდავიწყებას... თავადი გიორგი იმიტომ სძულდა, რომ თვითონ არ იყო თავადი გიორგი“. ერთი მიზანი ჰქონდა, როგორმე ტან-

ჯვა მიეყენებინა ამ პიროვნებისათვის. სასწრაფოდ მოითხოვა თავადის ქაღალდები, ნახა მისი დღიური „თანამედროვეობისაგან განსმდგომი კაცის ჩანაწერები“... გაეხარდა. იგრძნო კვალს მივაგენიო, აიღო დღიური, სახელში წაიღო და თარჯიმანი დაიჭირავა. მთელი ღამე ათარგმნინა. მოისმინა სიტყვები, სადაც აღნიშნულია გრალის თასის მემკვიდრეობით გადაცემაზე. ამის შემდეგ თარჯიმანიც დაითხოვა. ფიქრობს: „შხამი ნაპოვნია“ – სიხარულით უსასრულოდ კმაყოფილია, ეს სამხილი ეყოფა, რათა გაანადგუროს და სტანჯოს იგი... მერე მატარებელში დამგზავრებული კაცი ამოუტივტივდა გონებაში – ლევანი. ივარაუდა, ალბათ, გრალის თასის მფლობელი ახლა ის კაცია, მას თასს ჩამოართმევენ და თავადის სულში ჩაწვეთებული ეს შხამი თავისას მოიმოქმედებსო. ველსკი გახარებულია ისე, ადგილს ვერ პოულობს სიმშვიდისათვის, გ. პ. უ-ს თანამშრომლებს კი უბრძანათ, რომ თვალთახედვიდან არ გამოეპაროთ ლევანის ადგილსამყოფელი.

ლევან ორბელი ამ დროს მატარებლით – საირმეში საჩქაროდ მიემგზავრება. მან უკვე იცის ჩხრეკისას თავადის ქაღალდების წაღების თაობაზე. ადარდებს ის ფაქტი, რომ გრალის თასის ამბავიც გამჟღავნდება. მატარებელში მფრინავ ზაქარას შეხვდა, რომლებმაც ერთხელ კიდევ გაიხსენეს აჯანყების ჩახშობით მთელი საქართველოს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნის ამბავი. ზაქარა შეწუხებულია ლევანის სულიერი განადგურებით და აღუთქვა, რომ მზად არის ნებისმიერ დროს იგი გაიყვანოს საქართველოდან თავისი თვითმფრინავით. ლევანი არ თანხმდება: პირიქით, მე ახლა, აქ ვარ საჭირო, ხალხი შინაგანად დამსხვრეულია და არა განადგურებული. უნდა შევექმნათ საძმო „რაინდთა ორდენი“... ამ საძმოს ერთერთ წევრად მეც მივუღეთ წამოიძახა ზაქარამ. რიონში ისინი ერთმანეთს დაემშვიდობნენ და ლევანი მარტო გაუდგა საირმის გზას... თან ფიქრობდა: „გრალის თასის“ გადარჩენისათვის ყოველი ღონე უნდა ეხმარა. ამ ფიქრებით დამძიმებული, როგორც კი თავადის

სასახლის ეზოში შევიდა, იქვე დაუხვდა შავდია, თავის ორ გ.პ.უ-ს წარმომადგენელთან ერთად... – „აჰ, მოქალაქე ორბელო, – ხალისიანად შესძახა ველსკიმ, – რა დამთხვევაა, რომ თქვენც აქ მობრძანებულხართ!.. – თქვენ, როგორც საიდუმლოს უარმყოფელს, არა მგონია, დამთხვევებისა გწამდეთ, ხომ ასეა, ბატონო ველსკი? – ღიმილით მიუგო ლევანმა“. მათ საუბარში გაიხსენეს, რომ ადრე მატარებელში მგზავრობისას – სწორედ „გრალის თასის“ შესახებ საუბრობდნენ და თითქოს ახლაც ამ ამბავზე შეყრილიყვნენ აქ. თავადის სასახლიდან გამოსულნი დათა და კნენა თვალებს არ უჯერებდნენ, რისთვის მოსულიყვნენ ლევანთან ერთად ეს წარმომადგენლობა საირმეში. ველსკიმ განუმარტათ, ლევანმა მათ ისეთი რამ უნდა უჩვენოთ, რაც მხოლოდ მას ეკუთვნისო. პირისპირ დარჩნენ მხოლოდ ორნი: ველსკი და ლევანი, რომელთაგან ერთი „გრალის თასის“ მცველი იყო და მეორე კი მისი „შემმუსვრელი“. ლევანმა მოიწადინა, მხოლოდ ეს უკანასკნელნი შესულიყვნენ „გრალის თასის“ სამყოფ ოთახში. ასეც მოხდა. თქვენ ვერ შეძლებთ თასის შემუსვრას, ამისათვის ძალა არ გეყოფათ. ორივენი სასახლის იმ ოთახს მიადგნენ, სადაც „გრალის თასი“ ინახებოდა... უკან მათ შეუმჩნეველად მიჰყვებოდით ბასილა და სვანი ყანსავი. ლევანმა კარადა გააღო, და მიხვდა თუ არა ველსკის ხელის მოძრაობას, – გრალის თასისკენ ასაღებად, მისმა არაადამიანურმა – ზებუნებრივმა დაყვირებამ მთელი სასახლე შესძრა. ველსკის ჭოროფლიანი პროფილი არაადამიანად იქცა. ძალა გამოეცალა და დამბლადაცემულივით ხელი მოაშორა „გრალის თასს“... „იმ წამს ბასილა და ყანსავი შემოიჭრნენ გააფთრებულნი ოთახში... მარჯვე იღეთების გამოყენებით გ.პ.უ-ს თანამშრომლები ძირს დაყარეს და ველსკის სასიკვდილოდ გაწირვას უპირებდნენ – „არ მოკლათ! – ბრძანა ლევანმა“... ისინი განაიარაღეს და ხელ-ფეხი შეუკრეს... გარეთ არყის ხეზე მიაჯაჭვეს სათითაოდ. ლევანმა წმინდა ზარდახშა რომელშიც „გრალის თასი“ ესვენა, გარშემო შემოხ-

ვეულ გლეხებს დაანახვა და მიმართა მათ: – „თქვენ იცით, რომ ბოლშევიკებმა ქვეყანა აგვიოხრეს, ახლა კი ამ სიწმინდის ხელყოფაც განუზრახავთ“. გლეხებს კვლავ ზარდახშა უჩვენა მასში ჩასვენებული თასით და გეზი ციხე-სიმაგრისაკენ აიღო. მე გადავარჩენ ამ თასს, უკან კი მთელი გლეხობა, ყანსავი, ბასილა და მოსახლეობა მისდევდა. „ეს ლაშქრობა სრულიად სტიქიურად დაიწყო. გადაკრიალებული ცის ქვეშ ლევანი ისე მიაბიჯებდა, როგორც ნათელ სიზმარში... უცებ მოაგონდა ნორინა... იმ წამს დაინახა სატრფო: გვერდით ბილიკზე იდგა თავადის ქალიშვილთან ერთად და მამაკაცი უცბად ჩვილ ბავშვად იქცა... – წმინდა გრალი გადავარჩინე, – სასწრაფოდ უთხრა სახეგანათებულმა, – ახლა მე და შენ შეუდლებულები ვართ, – ეს გერმანულად უთხრა... მეც შენთან ერთად მოვდივარ, – როგორც იქნა სიტყვა ამოთქვა ქალმა. – არა, არ შეიძლება, – შენ ისედაც ჩემთან ხარ“... (საოცრად სულის შემძვრელია სამშობლოსგან მოწყვეტილი გრიგოლ რობაქიძის ეს სიტყვები).

თავადი გიორგი განაგრძობდა ფიქრს, იმაზე, რომ ველსკი აუცილებლად ხელთ ჩაიგდებს სამხილს, – ჩემი დღიურის სახით, რითაც „გრალის თასის“ შენახვის ადგილს მიაგნებდა და ამის მიზეზით მას სიცოცხლეს მოუშხამავდა. თავადი დიდხანს ვარჯიშობდა, რომ საკუთარი თავი არსებითად შეუვალი გაეხადა – ველსკიზე საპასუხო იერიშის მისატანად. თავადი წინააღმდეგობას ხედავდა გ.პ.უ-ს თანამშრომელთა სიმრავლეში და დაუნდობლობაში. ბოლოს დასჩემდა, – სიკვდილზე შიში... „მაგრამ ახალა სწორედ ეს შიში გამოეცხადა ხსნად! სიკვდილით დასჯიან? ეს მხოლოდ ხანმოკლე „ოპერაცია“ იქნება, საწოლში განცდილ მღუგავე აგონიაზე ათასგზის უფრო უკეთესი!“ ისევ გაიყვანეს დაკითხვაზე.

შურისძიებას „უდღეურად“ დახარბებული ველსკი მშფოთვარე სჩანდა, იგი მოუსვენრადაა საირმეში გადატანილის შემდეგ, მაგრამ ფიქრობს: თავად ლევანს გრალის თასთან ერთად გაანადგურებენ

გ.პ.უ-ს წარმომადგენლები. სამარცხვინოდ საირმეში ხეზე მიბმის შემდეგ რეტდასხმულს ჰგავდა და შინაგან სისუსტეს აეტანა... „თავადის შემოსვლისთანავე ველსკი ლოკოკინასავით წამიერად ჩაიმალა საკუთარ თავში“. თავადმა უმაღლე მიხვდა, რომ რაღაც უცნაური რამ გადახდენია, მაგრამ ისევ მისმა ხრინწიანმა ხმამ გამოიყვანა ამ ფიქრებიდან... თავადს თავისი დღიური შეახსენა და სახე ზიზლით დაებრიცა. თქვენი ოცნება ჯერ კიდევ შორსაა... ახლაც ფიქრობ რომ საქართველოს თავისი გრალი აქვს? მზაკვრულად შეეკითხა თავადს. – „დიახ, – მტკიცედ მაგრამ მშვიდად წარმოსთქვა თავადმა... ახლა ერთიმეორის პირდაპირ ორი დიდოსტატი მოთამაშე იღვა: თავდაპირველად ორივე ძლიერი იყო, მაგრამ ორივეს გამოცდილი ჰქონდა ძალა: თავადზე გ.პ.უ-ს დამთრგუნველმა გარამომ იმოქმედა, ველსკიზე საირმეში განცდილმა მარცხმა“...

ველსკიმ ვერანაირი მზაკვრული კითხვით თავადი ვერ მოდრიკა... უცებ შეახსენა ლევან ორბელი, რომ ის რამოდენიმე თვის წინ მატარებელში გაიცინო და გრალის შესახებ დიდხანს ისაუბრეს. თქვენ და ლევან ორბელი თითქმის ერთნაირად ხსნიან გრალის მნიშვნელობას... – „რატომ გიკვირთ? გრალის მცველის პიროვნული ხატი ყველა დროში უცვლელია. მცველნი გრალისა ერთნაირად ფიქრობენ და ლაპარაკობენ მაშინაც, როცა ერთმანეთს არ იცნობენ“.

ველსკიმ საირმეში მომხდარი დეტალები, რაც გრალის თასთან მიმართებაში მოხდა, შემპარავი ბოლმიანი თხრობით ჩაუკაკლა თავადს... იმაშიც კი გამოტყდა, რითაც თავადის თვალში დაკნინდებოდა... თავისსავე არყის ხეზე მიბმის ამბავი. თქვენი გრალის ბედი უკვე გადაწყვეტილია, ციხე-სიმაგრე ალყა შემორტყმულია. ლევან ორბელს დაიჭერენ. ამ ამბებით უამრავი შხამი ჩააწვეთა. ველსკი ტკბებოდა მისი მიღწეულით. თავადს აგრძნობინა, თუ წმინდათაწმინდას თავადვე უარყოფდა და ამას ყველაფერს სულელურ მონაგონად აქცევდა, ამით ორბელსაც დაიხსნიდა სიკვდილისაგან. თავადს

ზიზღის გრძნობა ახრჩობდა ველსკის მიმართ, ერის ღირსების შემლახავი „ასპიტის თავი“ იყო ახლა, იგი მისთვის. თავადი ძაღლას მოიკრებს და განაგრძობს: ორბელი ის აღამიანია, რომელიც საკუთარ სიცოცხლეს და ყველაფერს გაწირავს გრალის დასაცავად. არც თქვენი რძლის – ნორინას სიყვარულს გაუფრთხილდება? ეშმაკისეული სიტყვა იხმარა ველსკიმ. რა თქმა უნდა, პასუხობს თავადი. პატიმარი ისეთ მოუდრეკელ გასაოცარ ძაღლას აფრქვევდა, ველსკიმ ერთ მომენტში უკან დაიხია, რომელსაც სახე „ველურთა კერას“ მიუგავდა.

საირმის ახლოს ციხე-სიმაგრეში მყოფ ლევანს და მის მეგობრებს სოფლებიდან ოცდახუთიოდე ახალგაზრდა კაცისაგან შემდგარი ჯგუფი მიუახლოვდა. ისინი ერთად მთაში გადახიზვნასაც გეგმავდნენ. უძილო ღამის შემდეგ დაინახეს ციხე-სიმაგრე გარშემორტყმული ხელისუფლების ჯარით. საშიშროება გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ლევან ორბელის ურყევი ნება, ყოველ ღონეს მიმართავდა გამოსავლის საპოვნელად. გაქცევის გეგმას აწყობდა, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ საბოლოოდ გამორიცხავდა ხელისუფალთა ხელში ჩაგდებას. იმედს თანამებრძოლნი აძლევდა, რომლებიც ერთგულად ეხმარებოდნენ შიგნიდან ჩამოქცეული ციხის გასამაგრებლად და საიდუმლო გასასვლელის გაწმენდაში. შიგადაშიგ მეგობრებს გრალის თასის პათოსით აღვსილი – გარდასული ხანის საგმირო ამბებზე უყვებოდათ. რამოდენიმე დღემ დაძაბულ მოლოდინში, – საწაულგებრივი ხსნის იმედით განვლო. უცებ თავდამსხმელთა ბანაკიდან მოისმა სიმღერის ხმა, ალყაშემორტყმულებმა ერთხანს უსმინეს და ველარ გაუძლეს ცდუნებას, ისინიც აყვნენ სიმღერას – (საირმე ბუნებით და მაცხოვრებლებით ისეთი საინტერესოა, იქ მოხვედრილმა „სიმღერაც, რომ არ იცოდეს მაინც დაიმღერებს“)... „ეს სიმღერა საუკუნეების მანძილზე აღმოცენდა, ხალხის განუყოფელი სასიცოცხლო ხალისიდან და ახლა მას სასიკვდილოდ გადაკიდებულნი მტრები მღეროდნენ“... ლევანს დაწვებიდან

ცრემლი ჩამოუგორდა. ისე რომ არავის შეუნიშნავს. მისი გული ცოტა მოღბა, – მაშინ როცა ნორინას მიერ გაწვრთნილმა ძაღლმა „ჰასანმა“ მას წერილი მოუტანა ნორინასაგან. ამასობაში გრალისათვის ბრძოლის ამბავი მთელ ამ მხარეს მოედო, იტაჯე-ბოდა საქართველოს გული: თბილისი. ათასობით ადამიანმა ირწმუნა გრალის წმინდა თასი, რასაც უწინ ზღაპარს და მითოსს უწოდებდნენ. ლევან ორბელის სახელი ხალხის მეტყველ სიმბოლოდ გადაიქცა.

თბილიში ჩამოსულ ავალასა და ოდილიანს შემზარავი ამბავი დახვდათ, – თავადი გიორგისა და ლევან ორბელის დაჭერის ამბავი. მათ გადაწყვიტეს მიემართათ ლევისათვის, რომელიც წამყვანი ბოლშევიკი იყო და თან პოეზიის მოყვარული. მივიდნენ კიდევ დასახმარებლად, მაგრამ დაინახა თუ არა ისინი, კარებშივე მიაძახათ ჯალათურად: ვიცი, რისთვისაც მოსულხართ, მაგრამ ეს არ შეიძლება ჩემგან მოხდესო. – „მე თქვენ გეკითხებით: რას ნიშნავს ამ ყოვლად სასაცილო გრალის თასის გარშემო ატეხილი მთელი ამბავი? განა ეს ჯამბაზობა არ არის?“. თუ კი, ეს ყველაფერი ჯამბაზობას ჰგავს, მიუშვით იგი, ხელისუფალთ რა გადარდებთო – უპასუხა ოდილიანმა. მაშ რისთვის აინტერესებთ მაღალ ჩინოსანთ „გრალის თასის“ ხელში ჩაგდება, თუ ეს სახუმარო რამ არის? ლევი ჩაფიქრდა. თითქოს მოტყდა. პოეტები ქუჩაში გავიდნენ. – აშკარაა, ლევს ლევანი სძულს, რადგან მასში სერიოზულ მოწინააღმდეგეს ხედავს, მაგრამ შესაძლებელია არ ეცადოს მის დაჟინებით დადუპვას. პოეტებმა გაიხსენეს, რომ ალყაშემორტყმულთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ბესია და იქნებ მან სასიკეთო რამ მოიმოქმედოსო.

ლევი თითქოს მოთვინიერებული დარჩა პოეტებთან საუბრის შემდეგ, იგი ველსკიზე ერთ-დაგვარი გაბრაზებულნი იყო, იმისათვის რომ მის დაუკითხავად დაიწყო გრალის შესახებ ჩხრეკა. ამ ფიქრებში გართულს ამიერკავკასიის ხელისუფალმა ს. ო.-მ გამოუძახა: – „ბოლოს და ბოლოს,

რა ამბავია ამ ციხე-სიმაგრესთან დაკავშირებით, – იკითხა მან ცივი გაღიზიანებით“. ლეგიმ მოჭრით უპასუხა: ამის შესახებ ველსკის უნდა დაეკითხოთ. ამ პასუხმა კიდევ უფრო გააღიზიანა. ველსკის კი არა, შენ გეხება და რაც შეიძლება მალე უნდა მოავგარო ეს საქმეო. ციხე-სიმაგრე ძნელად დასანგრევი შეიქმნა, ის ხომ ჩვენმა წინაპრებმა ააგეს... სისულელეა ეს მონაჩმახი, სასწრაფოდ მიპასუხეთ რა იწვევს ამ დაყოვნებასო. ლეგიმ ისევ ველსკი ახსენა და ბოლშევიკი ს. ო. საერთოდ გამოვიდა მწყობრიდან, ვინაიდან ველსკი თავისივე ფარული აზრებით მისთვისაც საშიშროებას წარმოადგენდა. ცოტა პაუზის შემდეგ ლეგის მიმართა: – თუ იცი, რას აპირებს ველსკი? უწინარეს ყოვლისა თავად გიორგის განადგურება უნდაო, მისგან მოითხოვს აღიარებას, ვითომ გრალი უბრალო სათამაშო იყოს. როგორც ჩანს ორბელის ხელში ჩაგდება უნდა, ვინაიდან იმ გადარეულ მისტიკოსსაც არა ნაკლებ ადელეებს გრალის საკითხი. – „ემშაკსაც წაუღია ველსკი! – ...ბოლმით სავსე ჩასისხლიანებული თვალები ააბრიალა, – დაუყოვნებლივ აიღეთ ციხე-სიმაგრე, ყუშბარებით ააფეთქონ! ლეგი შეკრთა, მაგრამ პასუხი არ გაუცია. ასე განრისხებული ს. ო-სთვის შეპასუხება თვითმკვლელობის ტოლფასი იყო“.

თხუთმეტი წუთში თავადი გიორგი უკვე ველსკისთან დაკითხვაზე იჯდა. ისევ უარს ამბობთ, გრალის შესახებ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე? ჰკითხა ველსკიმ. თავადმა მშვიდად ისევ უარი განაცხადა. ველსკი მიანიშნებს, რომ მაშინ ლევან ორბელს სიკვდილი მიესჯება. – „გრალსაც და მის მცველსაც ფერფლად ვაქცევთ. – მაგრამ ეს ფერფლი სანთლად გამობრწყინდება, რომელსაც ვერაფერს დააკლებთ“. წყობილებიდან გამოსულმა ველსკიმ საბოლოოდ დაიდრიალა თავადის წინაშე, ხარ თუ არა თანახმა, გრალი თქვენ თვითონ მოაშთოთ. ეს კი თავადისთვის სიკვდილის ტოლფასი იყო, უკანასკნელად მოიკრიბა ძალა, „ხანმოკლე კატალეპტური ძილისაგან გამოიღვიძა

და ისე მტკიცედ დაიყვირა – არა!“ ველსკი კინალამ სკამიდან გადმოვარდა. იმავე საღამოს ბესიამ ციხე-სიმაგრის ალების ბრძანება მიიღო. ბესია შორს იყო ბოლშევიკების ხასიათისაგან, მაგრამ მმართველი პარტიის რიგებში შევიდა. რადგან ბოლშევიკები დამოუკიდებლობას პირდებოდნენ მოკავშირე რესპუბლიკებს. იგი ერთაგად მოექცა „თეთრებსა“ და ბოლშევიკებს შორის, მაშინ როცა რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. მან მალე დაკარგა რწმენა ბოლშევიზმისა, მაგრამ სიცოცხლით სავსე კაცი მაინც მებრძოლად დარჩა. ლევანი იმდენად უყვარდა, სასოწარკვეთამდე მიიყვანა გ. პ. უ-ს გადაწყვეტილებამ ციხე-სიმაგრის აფეთქებაზე. ფიქრობდა, იქნებ სამალავი გზით მაინც გაიქცესო, ან გამოუვალ შემთხვევაში ხელისუფლებას ჩაბარდესო, მაგრამ ამის გაფიქრებაზე გულის შეუტოკდა იმდენად ვერ ეგუებოდა ქედმოხრილი ლევანის დანახვას.

აღყაშემორტყმულებმა დაინახეს, ის რომ ნადმეები უკვე დააწყვეს მათ გარშემო. სასოებაში ჩავარდნილნი გამოსავალს ეძებდნენ. ლევანმა მოუხმო თანამებრძოლებს: იცით, ციხე-სიმაგრე დანადგულია, გადარჩენის შანსი არ არსებობს, უნდა დავნებდეთ. წარმოსთქვა მგლოვიარედ... მაგრამ ერთი ჩვენთაგანი აქ უნდა დარჩეს... „როდესაც ერი ქედს უხრის დამპყრობლებს, მისი სულიერი სიმართლე სასიკვდილოდ ზიანდება. ხოლო თუ ვინმე გადარჩება, ამით ერის სასიცოცხლო დვრიტა გადარჩება. ერთმა უნდა შესწიროს თავი ერის გადარჩენას და ეს ერთი მე ვიქნები! – ჩემზე არ იდარდოთ! ...მე აქ დავრჩები წმინდა თასთან ერთად, სიკვდილის წინ ჩვენ თასს წმინდა ცეცხლს მივცემ, რათა უწმინდურის ხელი არ შეეხოს... ის საქართველოს უკვდავ გულში განაგრძობს სიცოცხლეს. ამიერიდან მისი მცველი სხივოსანი ლაშარი იქნება“... ლევანი ამ თხრობისას, მწველ ცეცხლს შეედრებოდა – სიყვარულით ანთებულს, მაგრამ ზვარაკად შეწირულს სამშობლოსათვის. „კარგი, ჩვენ დავნებდებით, ოღონდ ლევანი გავაპაროთ. ნანგრევებს შორის ლოდები-

სვან თავშესაფარი მოვაწყოთ. ლევანი თასით მასში ჩაიმალება, მოწინააღმდეგებს კი ვეტყვით, მიწისქვეშა დერეფნით გაიპარა“. ბასილას ამ რჩევამ იმედი ჩაუსახათ... მაგრამ თითქოს ლევანს იმედი შეურყია, ფიქრის დროც აღარ იყო, ისე დაახვავეს ლოდები, შიგ თუ ვინმე შეიძლებოდა ყოფილიყო, აზრადაც არავის მოუვიდოდა. გრალის თასს შემოეჯარნენ. ილოცეს, ყანსავი ქვითინებდა, ლევანს ევედრებოდა დაეტოვებინა თავისთან, ასევე ბასილაც. მართლაც ეს სამნი დარჩნენ სამალავში... ძაღლი ჰასანა არ შორდებოდათ, ლევანმა სასწრაფოდ დაწერა წერილი ნორინას სახელზე, ჰასანს ბარათი პირში ჩაუდო და ძაღლიც, როგორც ერთგული ჭკვიანი მეგობარი ისე გაშორდა იქაურობას.

ლევანის, ყანსავისა და ბასილას დამალვის შემდეგ, სხვა დანარჩენებმა თეთრი ალაში ააფრიალეს. ბოლშევიკები მოედვნენ ციხეს შიგნიდან. დაიწყეს ყნოსვა-ჩხრეკა. ფერწასული ბესია ლევანზე ფიქრით იტანჯება... „სად არის ამბოხის ხელმძღვანელი? დაიღრიალა ბესიას თანაშემწემ“. ალბათ ღამით გაიპარა მიწისქვეშა სამალავიდან იყო პასუხი მეამბოხეთა მხრიდან. საწრაფოდ ჩხრეკა დაეიწყოთ, – ძაღდატანებით წამოიძახა ბესიამ, თქვენ ტყვეები წაიყვანეთ. ტყვეები მორჩილად მიჰყვნენ გ.პ.უ-ს წარმომადგენლებს – ჯარისკაცებს. ბესია ციხის დათვალიერებას შეუდგა. ამ დროს სამალავში სამი გული ძგერდა შემფოთებით. ლევანს მაინც იმედი ჰქონდა „მამელუქის“, ასე უწოდებდა ბესიას. „ეს ლოდების გროვა გავჩხრიკოთ, მიმართა ერთერთმა დაქვემდებარებულმა ბესიას, – ამას მე თვითონ გავჩხრიკავ, – უპასუხა ბესიამ, – თქვენ აგერ იმ გალავანთან ნახეთ“... ლევანმა შვებითამოსუნთქულმა ჩურჩულით წარმოსთქვა სამალავში. „ყოჩად მამელუქო!... ლევანს და მის მეგობრებს საფრთხე აღარ ემუქრებოდათ“.

სოფელში სწრაფად გავრცელდა ცნობა, იმის შესახებ, რომ აჯანყებულები ხელისუფლების წარმომადგენლებს ჩაბარდნენ. ხოლო ლევანი, ბასილა და ყანსავი გრალთან ერთად მთაში მიიმალ-

ნენ. ნორინა სიხარულით მთვრალი მიმოდოდა და საირმის ერთ ხევეში თავზარდაცემული შედგა, როცა ძალღიჟი ჰასანი ტყვიით განგმირული ნახა. კარგად დააკვირდა და მას პირში ქაღალდი შენიშნა, სწრაფად ჩამოხსნა და რას ხედავს, პირში ლევანის წერილი უდევს. წერილში ლევანი იტყობინებოდა: „საირმის მთაში სეირნობისას, მასთან – სიხლოვეს, ის ზეციური ფურ-ირმის რძით იკვებებოდა, რომლის შემწევობით მასში ჩაისახა ზებუნებრივი ძალა, ახლა მზად ვარ „ირმის ნახტომისათვის“, – ეს უმაღლესი წუთია, როცა უსასრულოდ შორს ხარ და მაინც სამუდამოდ ვარ შენთან შეუღლებული. იქნებ ღვთაებრივი ნათელი ამქვეყნად მხოლოდ ადამიანებში მუდავნდება? იგი ჩვენს სიცოცხლესთან ერთად როდი ქრება, არამედ სანუკვარ ფესვებს უბრუნდება – ეს წამი უსასრულოდ გაგრძელდება, ხოლო მე და შენ მისი სუნთქვა ვართ (თითოეულ ჩვენთაგანს – მხოლოდ ეს უკანასკნელი ფრაზა ეყოფა გრიგოლ რობაქიძის სულის ამოსაკითხავად, – თუ როგორ არის იგი სიკვდილ-სიცოცხლით მიჯაჭვული საირმის მიწას და ცას, და უძლიერესია მისი სიღრმისეული შორსმჭვრეტელობა, ის რომ ფიზიკური განსხეულებით არის ზვარაკად შეწირული და განდევნილი, ხოლო სულით მას, საუკუნოდ ვერავითარი ძალა სანუკვარ ფესვებს ვერ დააშორებს).

ნიშანდობლივია, ისიც რომ მთელი საქართველო გაცისკროვნებულია – თბილისთან ერთად გრალის თასის მცველის გადარჩენით, „ქვეყანა დაჩოქილი იყო, მაგრამ წმინდა სიმბოლო – გრალი – შეუბღალავი დარჩა“... ხალხში გავრცელდა მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, რომ ლევანმა საზღვარი უკვე გადალახა. ნორინა ველარ ისვენებდა... ის ავალასა და ოდილიანთან ერთად იყო. ერთ დღესაც თბილისმა შეიტყო, რომ სიხარული ლევანის გადარჩენისა ხანმოკლე გამოდგა. ერთ საღამოს ჰიდირმა ლევანის გადრაცვალების ამბავი ჩამოიტანა აჭარიდან. გაქცეულებს ის აჭარის საზღვართან ელოდებოდათ. სადაც მხოლოდ ბასილა და ყანსავი შესვდა მას. მათ გადასცეს სწორედ ლევანის გარ-

დაცვალების ამბავი (აქაც ნიშანდობლივია, რომ „ზვარაკად შეწირული“ გრიგოლ რობაქიძე „ცოცხალი“ სამშობლოს არ დატოვებდა).

ჰიდდრს სუნთქვა ჩაუწყდა და მათ მონათხრობს გულჩამწყდარი ისმენდა: ყანსავი და ბასილა რიგრიგობით ყვებოდნენ, ბოლოს როგორ შეიცვალა ლევანი, რომ ის უკვე ცეცხლოვანი აღარ იყო, ლბილი და სათუთი გამხდარა, ხშირად მოუთხრობდათ, თურმე თავადზე, – მის ოჯახზე, განსაკუთრებით თავის მსცოვან დედაზე საუბრობდა, რომელიც მარტო ცხოვრობდა სოფელში. ერთი მაღალი მთის ქიმზე მხერა შეაჩერაო და ისეთი სიტყვები წარმოსთქვა, რომელიც დღემდე ვერ ამოგვისხნიაო. უეცრივ მუხას მოჰკრა თვალი, და მანამ მუხის ძირს მივედით, უკვე ლევანი მის ფესვებთან ახლოს იწვაო. მხარზე უცნაური შევარდენი ეჯდაო, შევარდენი გაფრინდა თუ არა, ჩვენც მასთან ახლოს მივედით, მაგრამ ის უკვე აღარ სუნთქავდა (გრიგოლ რობაქიძე ლამაზად „მიიცვალა“, მანამ თავის სამშობლოს გამოეთხოვებოდა და თავისი ნათელი სული თითქოს შევარდენში გადაიტანა). ყანსავმა და ბასილამ თურქეთს მიაშურეს, მათ თავი ვალდებულად სცნეს წმინდა გრაღის წაუბილწავ მცველებად და სჯეროდათ, ამის შესრულებას უცხოეთში უფრო შეძლებდნენ.

რამდენიმე საათის შემდეგ კოსტასთან და ნორინასთან ავალა და ოდილიანი მივიდნენ. ნორინამ იგრძნო მოახლოვებული სევდა, რაც მათ სახეზე ამოიკითხებოდა. – „ჩვენი ლევანი ამქვეყნად აღარ არის, – ამოთქვა ოდილიანმა... ნორინა უძრავად მიშტერებოდა ერთ წერტილს... ოდილიანის სიტყვა თითქოს სხვა სამყაროდან ჩაესმოდა ქალს... მავანი დედა, დღეს თუ ხვალ ჩვილი რომ უნდა შობოს, ტყვიამ განგმირა... ნორინამ სამყარო დედის გაციებულ სხეულად შეიგრძნო“. ქალი იტანჯებოდა გველის ნაკბენით. მას ვერავითარი ძალა ვეღარ ამშვიდებს.

ერთ დღეს ავალამ და ოდილიანმა ნორინა საგმირო დრამის წარმოდგენაზე წაიყვანეს: პიესის

ერთი თავი ლევანის დაწერილი იყო. დარბაზი სავსე იყო. ყველანი სულმოუთქმელად ელოდნენ სცენას. როცა მებრძოლებს დაღუპული გმირის გული ჭალაში უნდა წაესვენებინათ... „ხმადაბლა თითქოს შესაქმისეული სიშორით გაისმა ორკესტრის ჰანგები... გამოჩნდა სამი გმირი, რომელთა როლებს მსახიობები: ხორავი, უშანგი და ვასა ასრულებდნენ. მოაბიჯებდნენ მძიმედ ისეთ სიჩუმეში, რომ ქვიშის შორეული შრიალიც კი ისმოდა. დაიწყეს გულის გამგმირავი სიტყვები, რაც მომწუსხველი გალობა იყო... გულს, რომელიც გმირებს ეპყრათ, ჯერაც სისხლი სდიოდა: ასე ეჩვენებოდათ მონუსხულ მაყურებლებს და მათი გულებიც თითქოს სისხლისგან იცლებოდა“. უცაბედად დარბაზიდან გულისგამგმირავი სიტყვაგოდება გაისმა... ლევან!... ეს ნორინა იყო... სიჩუმე ტაშმა აიტაცა. სპექტაკლის ბოლოს ასამდე კაცი ულოცავდათ მსახიობებს და რეჟისორებს უდიდეს წარმატებას... მათ აკლდათ ლევანი, რომლის დანაკლისს ნორინა უსაშველობამდე განიცდიდა. შემდეგ მფრინავი ზაქარა წამოდგა და ლევანის ოდესღაც ნაჩუქარ ფურცელს ამოიღებს – კითხულობს: „მას ვინც თავს სწირავს უხვად, მთლიანად, ის არ იკემებს შხამს განშორების“. საქართველოს გული კვლავ ძალუმად ძგერდა... მაგრამ... იმ ღამით სოფლად მცხოვრებმა მოხუცმა ქალმა ნახა სიზმარი: „შვილი ძუძუს სწოვდა. უცნაურად შეკრთა და გამოეღვიძა: რახანი იყო ძუძუ ცარიელი და გამომშრალი ჰქონდა. კვლავ ჩაეძინა და ესიზმრა, თითქოს მისი ბიჭუნა წყალს სვამდა ვარსკვლავით მბრწყინავი თასიდან. გამოეღვიძა და მეტად ველარ დაიძინა. საწოლიდან წამოდგა, ეზოში გავიდა და სახე აღაპყრო ღამის სიცარიელეში. სიზმარეული მზერით აწყურებდა ზეცას და ერთი ვარსკვლავი დაინახა, სინათლის სავსე თასივით რომ ეკიდა ძალზე დაბლა. წამით ენიშნა, თითქოს ეს ვარსკვლავი გრალი ყოფილიყო, რომლის შესახებ დიდი ხნის წინათ ვაჟიშვილს უამბობდა. ნეტავ რასა იქმს ძვირფასი შვილიო, გაიფიქრა, იქნებ ამ წამს იგიც აწყურებს ამ საოცარ ვარსკვლავს? ამ ფიქრმა წამიერად გაუეღ-

ვა და განქარდა. ქალს ჯერაც არ შეეცყო ლევანის, მისი ვაჟის სიკვდილის ამბავი“.

რომანის „მცველნი გრალისა“ ეპილოგში ვკითხულობთ: აგერ უკვე რვა წელი გასულა რაც პარიზში, ერთ „მანსარდაში“ – უცნაური ხასიათის, – სამშობლოს მოწყვეტილი და მოწყურებული შუახნის მამაკაცი ცხოვრობს, მასთან დაახლოვება მეტად რთულია, ხშირად გადის ქალაქგარეთ, რათა გუელს მოწოლილი კაემანი – სამშობლოს მონატრებისა – ბუნების დახმარებით ცოტათი მაინც გაინელოს, და თავადაც უნდა მოუსავლეთში გადაიკარგოს. ერთ დღეს მის ოთახში ბასილა შემოდის, ეკითხება როგორ ხარ?... – „შემოდი დაჯექი! – უთხრა გახარებულმა ყანსავმა: ბასილა მისთვის საქართველოს პატარა ნაწილია“... ბასილამ მოხუც ყანსავს ერთი კვირით რივიერაზე გასეირნება შესთავაზა და დანაპირებიც აუსრულა... როცა სანაპიროს ერთერთ დასახლებას მიუახლოვდნენ, უმაღლვე მოჯადოვდნენ ბუნების მშვენიერებით, ზღვის ტალღოვანი სიღურჯე უსასრულო სივრცეთი და მის გარშემო, – აღუწერელი სილამაზე, – შიშველი – მოწითალო – კლდეებით თითქოს მარადისობიდან მოსულ წუთებს სდარაჯობდნენ. ერთ დღესაც ბასილა, მარტოდ გავიდა ზღვის სანაპიროზე და თვალებს ვერ უჯერებს, მის წინ ნორინა ზის... სახლში მიბრუნებულმა ყანსავს უამბო, თუ როგორ დაინახა სანაპიროზე მარტოდ მჯდომი ნორინა. ყანსავმა ეს ამბავი არ დაიჯერა და თავადაც გაჰყვა მის სანახავად: „ქალი ზღვისპირა კლდეზე იჯდა. გარეშემო არავინ იყო. ორი კვირის წინ ჩამოვიდა“. იშვიათი მოხდენილობით, ჩაცმა-მორიდებულობით ეპყრობოდა ყოველს და ყოველივეს, განმარტოვებით იჯდა ყოველთვის, – იშვიათად თავისი ვაჟის თანხლებით. ახლაც სივრცეს გაჰყურებს, როცა მისი სისხლი მზის სითბოთი ივსებოდა, მამაკაცები სწორედ მაშინ მიუახლოვდნენ... და ზმანებაში წასული ბასილა უცბად ცხადში გამოეცხადა... ერთმანეთს უძრავად და გაოგნებით შესცქერიან. გაიხსენა უკვე დაკაცებული და ერთგული ყანსავი. ორივეს სახლში მიი-

პატიუებს... (ასეთი უცნაური ამბების კითხვისას, არ შეიძლება უეცრივ საგონებელში არ ჩავარდე, ალბათ კეთილშობილური წარმოსახვაა... რომელსაც ღრმა ანალიტიკური აზროვნება სჭირდება ჩანაფიქრის ასახსნელად)

ნორინას ვაჟი მოგონების ბურუსიდან გაიხსენებს ყანსავსა და მით უფრო ბასილას, რომელიც შეიძლება მართლაც არ ახსოვდეს... მიმოიკითხეს ერთმანეთი და ნორინა მათ, დიდ სამწუხარო ამბავს – თავადი გიორგის გარდაცვალებისას ამცნობთ. „საკუთარი სიკვდილით განისვენა. უხმოდ, მშვიდად შეუერთდა მარადისობას“ – დაასრულა ნორინამ. ეს უკანასკნელი მოუთხრობთ მათ, რომ „რაინდებიდან“ ახლა მხოლოდ ხუთნი არიან გადარჩენილნი: ორი ევროპაში ცხოვრობს: დაღლილი ღიმილით გახედავთ თავად ყანსავსა და ბასილას, სამი კიდევ საქართველოში: ავალა, ოდილიანი და ჰიდდირი. – „ზაქარა რასა იქმს? – შეეკითხა ბასილამ“... ნორინამ მათ დაწვრილებით უამბო თბილისიდან სოხუმში გამგზავრებული თვითმფრინავის აფეთქების ამბავი... რომ სამ მაღალჩინოსან ბოლშევიკთან ერთად ზაქარაც დაიღუპა. მათთან ერთად უნდა გაფრენილიყო ს. ო. რომელმაც ბედისწერით თვითმფრინავზე მისვლა დააგვიანა.

– „თქვენ ორივენი თავად გიორგის ემსახურებოდით, – თქვა ნორინამ... მე მისი რძალი ვარ, ღვიძლი შვილივით რომ ვუყვარდი... ამიერიდან ჩემთან დარჩით და ჩემს ვაჟიშვილს ამოუდექით მხარში“... ყანსავი და ბასილა სიხარულით ტიროდნენ. მათ ნორინას ლევანის უკანასკნელი წერილი გადასცეს, – სადაც ეწერა: „სიყვარული ღვთაებრივია. ადრე თუ გვიან მიჯნურებს ურთიერთს სიკვდილი ართმევს. ის მონატრება, განშორებულთ რომ სტანჯავთ, ასევე ღვთაებრივი ბუნებისაა. სადაც, ოდესღაც კვლავ შეხვდებიან ერთიმეორეს. ნორინა, დამეხმარე შენს პოვნაში, როცა ჩემს თავს სიკვდილი წაგართმევს“ (ამით გრიგოლ რობაქიძე მთელ საქართველოს ხმამაღლა მიმართავს, რომ სიკვდილის შემდეგ მაინც იპოვოს იგი). ქალმა თვალები დახუჭა

გრძნობების დასაოკებლად, ფანჯარაში მოეჩვენა – ლანდად ლევანის გაბრწყინებული სახე, რომელიც საღვთო-ნათელს შეემოსა.

გრივოლ რობაქიძე მრავლისმეტყველი პათოსით აღვსილი, მომავლის იმედის ფიქრებში – ღრმად შეჭრილი ამთავრებს რომანს „მცველნი გრალისა“: „ხმელთაშუა ზღვის ტალღებში მოცურავდა ღვთაებრივი ხარი, თვალსხივოსანი ქალღმერთი – ევროპა რომ გაიტაცა. ახლა კი მის ქალიშვილთაგან ერთ-ერთი მწუხარე ცრემლს ღვრიდა და დედას უხმოდ ევედრებოდა შეველას“.

„მცველნი გრალისა“ დანართში ვკითხულობთ, კალისტრატე სალიას მიერ გრივოლ რობაქიძის თხოვნის შესრულების თაობაზე, რომ მან შეასრულა მისი სურვილი წიგნში მოყვანილი პერსონაჟების ნამდვილი გვარ-სახელის განმარტების შესახებ, რომლებთა პირდაპირი ხსენება რომანში მაშინდელი რეჟიმის პირობებში, თავად ავტორმა ვერ მოახერხა ყველასთვის გასაგები მიზეზთა გამო. ესენი არიან: ოდილიანი – პაოლო იაშვილი; ავალა – ტიცვიან ტაბიძე; მამია ოდიშელი – შალვა დადიანი; მზისავარ – აპოლონ წულაძე; დათა და კოსტა – ძმანი ჯაფარიძენი; ლადო და გრიშა (ტყუპები); პიდდირ – მამედ ბეგ აბაშიძე; საღარა – მფრინავი საღარაძე; ს. ო. – სერგო ორჯონიკიძე; აიშა – აისორი გოგონა; შავდია – ლავრენტი ბერია; ლეგი – ლევან ღოღობერიძე; ბესია – შაქრო ფალავანდიშვილი; მარჯანი – კოტე მარჯანიშვილი; უშანგ – უშანგი ჩხეიძე; ხორავ – აკაკი ხორავა; ვასსა – აკაკი ვასაძე; ვანო – იაკობ ნიკოლაძე; (გამოყვანილია როგორც მხატვარი); სანდრო – ვანო ნანიშვილი (მროკავი); ყარანგოზი – ყარანგოშვილი (მროკავი) და მუშნი დადიანი.

გრივოლ რობაქიძემ, ამ წარმოსახვითა და თვითშეგნებით, გააძლიერა საქართველოს ევროპისადმი უმწიკვლო ლტოლვა-სიყვარულის შეგრძნება. მან შინაგანი დელვა-მგზნებარების დათრგუნვით გაიმარჯვა საკუთარ თავზე, რაც კი ნიშნავს, არა მარტო სამშობლოს წინაშე, არამედ უზენაესის

წინაშე გამოცდის ჩაბარებას.

გრიგოლ რობაქიძე, როგორც წმინდა გრალის თასს იცავს სიცოცხლის ბოლომდე, ისე იმდაგვარად არის შეუღლებულ-შესისხლხორცებული სამშობ-ლოზე, რომელიც აქ ნორინას სახით ჰყავს წარმოდგენილი და რომელთანაც არის მარადჟამს. საქართველოსთან საუბარს კი ევროპიდანაც ძილღვიძილში ახერხებს.

გრიგოლ რობაქიძე შორსმჭვრეტელია, წარმოსახვის უდიდესი ოსტატია, რომელმაც მანამ სამშობლოდან გადაიხიზნებოდა, თავისი თავი იმ მუხის ძირას დაისაფლავა, რომლის შუქ-ჩრდილების სახეობა მარად თან სდევდა. ამდაგვარს კი ვერადროის ქართველი მოახერხებდა, და თუ ოდესმე ვინმე შეეცდებოდა, მის სულში ჩახედვას, იგი ვერ აცდებოდა ქართული მზის, – როგორც საქართველოს გულის დაყურადებას, მისი მაჯისცემის მოსმენას, მის მთლიან არსში ღრმად შეჭრას.

მოვიყვან აკაკი ბაქრაძის რამოდენიმე ციტატას „გრალის თასის“ რაობის შესახებ: „გრიგოლ რობაქიძე თვლიდა, რომ როგორც პიროვნების, ისე მთელი ერის გადარჩენისათვის აუცილებელია სულის მოვლა-პატრონობა. მისი შეუბღალავი შენახვა... ჩეკისტი ველსკი იმიტომ დაეძებს გრალს. რომ მისი განადგურებით ქართველი ხალხის სულიერი გატეხვა და დაბეჩავება სურდა. გრალის გუშაგებად გრიგოლ რობაქიძეს მწერლობისა და ხელოვნების მუშაკები მიაჩნია, როცა ევროპულ ლიტერატურაში გრალს გმირები იცავდნენ... გრალი გამოსატავს კაცობრიობის განუხორციელებელ ოცნებას. მის მისწრაფებას განახლების, აღორძინების, მშვენიერების, მარადიული ახალგაზრდობისა და კეთილისაკენ. ე. ი. გრალი ღირსებაც არის, სიყვარულიც და თავისუფლებაც”.

მისტერიები – საიდუმლოებანი – ანუ „ჰიერატული“, რაც გრიგოლ რობაქიძის სამ წიგნში: „გველის პერანგში“, „ჩაკლულ სულში“ და „მცველნი გრალისა“ დევს, არის მისი სამუდამო მიჯაჭვა მის-სავე ძირეულ ფესვებთან. თავად კი, თავის ნაშრომთ

– „მხოლოდ შეწირულთათვის გასაგებ ენაზე ამეტყველებულთ“ – უწოდებდა. მე კი, ვფიქრობ, ბატონ გრიგოლს ქართული ხალხური სიბრძნე ყმაწვილკაცობიდანვე შეუსისხლხორცებია, – სამშობლოს სიყვარულის მოელვარე ქურაში გამოუძერწავს და უჩვეულო გონებამახვილური – ფილოსოფიური ნააზრევი მითოლოგიაში აღუბეჭდავს. რისი სიბლიც თავიდან ბოლომდე გასდევს მის გენიალურ ქმნილებებს. მან ამ წიგნებით გვაზიარა მსოფლიოსა და განსაკუთრებით ევროპელ ფილოსოფოსთა სიბრძნეს, რომელსაც ფუნდამენტურ ხორცშესხმას უკეთებს ქართული სულით – და ეს ყველაფერი საქართველოს ყოფადობას მთარგო. მისი გონი და არსება არასოდეს ისვენებდა.. „თითქოს სხეული სადღაც დარჩენია მეკემს და ღანდი მიღოდავს მისი სივრცედაკარგული“... ეს სადღაც, მისი ფესვებია, დღესაც, რომ იმერეთის ღამაზ და ტკბილ მხარეშია ჩაფლული. და „სხეული“ კი ის ასტრალური სხეულია – რომელიც შეიძლება ამ შემთხვევაში „გველის პერანგად“ წარმოვიდგინოთ, რაც მძიმე ცხოვრებამ და დევნამ შემოახვია. ბოლოს და ბოლოს სულიერად მაინც შესძლო და „კანგამოცვლილი“ ამაღლდა ზეცად. მის ნაშრომთა კითხვისას, გარინდული ხდები უსპეტაკესი ზმანებებით, – უნდა ეცადო საკუთარი ჩარჩოდან არ ამოვარდე, ანუ როგორც თავად ხშირად ახსენებს, – აპოკალიფსური არ გახდე.

წიგნები: „გველის პერანგი“, „ჩაკლული სული“ და „მგველნი გრალისა“, რომელნიც ბატონ გრიგოლ რობაქიძეს შეკრული აქვს ურთიერთგადაჯაჭვული მოვლენა-ამბებით, როგორც გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი აკაკი ბაქრაძე ბრძანებს: „მას ქართულ მითოსსა და ქართულ ენაში სურდა ეპოვნა ქართველთა მსოფლხატის თაურარსიო.“ აკი თავადაც აღნიშნავს: „ვისაც „სიმბოლო“ და „მითოსი“ არ ესმის, იგი ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს“... ანდა „არ ყოფილა ისტორიულად, მაგრამ არის „ზეისტორიულად“... „მითმა არ იცის წარსული და მომავალი, იგი მუდმივი აწმყოა.“...

მეტად ყურადსაღებია, მისი ნაწერების მიმართ მიხეილ წერეთლის შეხედულება: „შენი წიგნები მკითხველთა „მასსისათვის“ არ არის დაწერილი, არც საშუალო „განათლებული“ მკითხველისათვის, – მათ უმეტეს ნაწილად კრიმინალური რომანები უფრო მოსწონთ, ან ტლანქი „რეალიზმი“, – არამედ „არისტოს“ – ებისათვის სულითა და გულითა. ასე სჯობდა, ძვირფასო გრიგოლ: ამათ დავიწყება არ იციან იმისა, რაც კეთილია და კეთილშობილი, რადგან თვით არიან კეთილნი და კეთილშობილნი და მათ არც შენ წიგნებში აღსახული საქართველო და ქართველი დაავიწყდებათ. ხოლო „მასსამ“ მალე იცის დავიწყება: იგი „მოდის“ მიმდევარია...“ („ბედი ქართლისა“, 1964 წ. ნომერი 47. გვ. 14).

გრიგოლ რობაქიძის სამივე წიგნი: „გველის პერანგი“... ჩაკლული სული“ და „მცველნი გრალისა“ გამდიდრებულია ისეთ ტოტემთა ახსნა-განმარტებებით – როგორცაა: მზე, ქალდეა, მუხა, ძელქვა, იფნის ხე, ამორძალები, დიონისე, გველი, ცხენი, ცეცხლი და უამრავ სხვათა, რომლებთა სიბრძენიშან-თვისებებით შემკულია საქართველო, თავისი ხალხთან ერთად. ბატონი გრიგოლი შემთხვევით არ არის თვითდაჯერებული, რომ ჩვენ „ცხრათვალა“ მზის შვილები ვართ და ჩვენი მიწა, ჩვენთან ერთად მზის ნარქენია. ნიშანდობლივია, რომ ბაბუაჩემიც თითქმის ყოველ წინადადებაში ხმარობდა სიტყვას: „შენმა მზემაცა“. ასევე ცოდვამადლიანობაში ხშირად ერთმანეთს ადარებს მზესა და გველს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჩემს გონება-არსებითობაშიც გველი გრიგოლისებურად მყავს მიჩნეული. მახსოვს: უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად მივდიოდი. გზად პატარა ტყე უნდა ჩამომეველო. ამ დროს სწორედ გზაწვრილზე თითქოს „მოკრძალებულად“ გზა გადამიჭრა ანკარა გველმა. ეს იყო ჩემი პირველი სვლა დედაქალაქისაკენ, რომელიც საკმაოდ წარმატებული გამოდგა. და მეორეც, ჩვენ ფერდობზე – ტყის პირად ვცხოვრობდით. სახლის ბალკონიდან ისე შემოდიოდა გველი თურმე, სახლის პირველ

სართულში და მას მამაჩემი მისთვის გამოყოფილი ჯამიდან რძეს ასმევდა, შვილებს ეს ამბავი მთიდან ბარში გადმოსახლებამდე არც გაგვივია. ვფიქრობ, ალბათ გველის „სიბრძნისა“ და მისდამი თაყვანისცემის შესახებ მამაჩემმაც წინაპრისგან იცოდა. ასევე, მრავალჯერ გვხვდება მის ნაწერებში მუხის, ძელქვის, ცხენისა და ცეცხლის, როგორც სიცოცხლის მარადიულ სიმბოლოებად მიჩნევის შესახებ (ისინი ხომ ყველა ადრექრისტიანულ ეოქაში ქართულ ტოტემებს წარმოადგენდნენ). ხოლო ამორძალებზე, საქართველოში ზღვით მოსულნზე – როგორც დაუოკებელ ლტოლვა-სწრაფვისკენ მადევვარნზე. გადმოცემით, დიონისოს სტიქია წყალია, რომლებსაც თანამგზავრებად მენადები ჰყავდათ. გრიგოლის ნაშრომთ უკვდავ-ყოველწამიერ სახეებად გასდევთ: საქართველოს გული – ქალი – მზე (გრიგოლ რობაქიძის ზმანება, წინასწარმეტყველება, წარსულის აწმყოში მოხმობა, მისი სულის ყოველ დროში სიზმარ-ცხადეული ხეტიალი – როცა ყოველი არსება მასშია და თავადაც თითოეულში – სხვა არაფერია, თუ არა ქმედება დიადი მერმისის დასამკვიდრებლად. მისი რომანების მთავარი მოქმედი გმირების: არჩიბაღდ მეკეშის, თამაზ ენგურისა და ლევან ორბელის უკვდავი სახეც ხომ თავად არის, ხოლო ქალთა სახეები: ნინო, მატასი, ელენა, ნატა, და ნორინა თითოეული – მისთვის მთლიანი საქართველოა, მისი სიცოცხლის უკვდავი ხატი, – რომლის ფიქრ-ოცნებაში გალია ბედკრული წუთისოფელი. ბაბუა სარიდანი, თავადი გიორგი და სხვა დიდებული სეხეები მისი რომანებისა – „გრალის თასის“ მცველნი არიან, – რომლებთა მრწამსმა და კეთილგონიერებამ მოიყვანა საქართველო დღემდე).

აღსანიშნავია, ისიც რომ, მისი გენიალური ნააზრვეიდან რაზედააც გონებით წვდომა შევიძელი და ახლოს გულთან მივიტანე, ჩემის მარტივი ენით გაანალიზება მოვასდინე. ამიტომაც ნაშრომი უმეტესად ციტირებულია მისი ღრმააზროვანი გამონათქვამებით, რომლებიც მკითხველმა თავად უნდა შეიმეცნოს (კვლავაც დიდია ჩემი მი-

ზანსწრაფვა – გრიგოლ რობაქიძის დანარჩენ ნაშრომთა სათანადო შემეცნებისაკენ).

ჩემი უფროსი მასწავლებელი და გამოჩენილი მეცნიერი აკაკი ბაქრაძე აღნიშნავს, მას მოუწევს ბევრჯერ „გილიოტინაზე“ ასვლათ, როგორც საქართველოში ისე ევროპაში, მაგრამ მე მაინც მჯერა, კაცი რომელიც ასეთ სიტყვას გვიტოვებს: „ვინც სცოცხლობს „საქართველოს იდეით“, მას მარად მისი მთელი უნდა ახსოვდეს. მხოლოდ მაშინ გამობრუნდება თანდათან მისი „ჯანმრთელობა“-ო. ასევე, – „საქართველო რომ იყოს სუვერენული და არავისზე დამოკიდებული, ჯერ ის უნდა დახდეს თავის თავის უფალი. მარჯი ასეთ თავისუფალ საქართველოს“ თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან თარიღებს კი მწიფობისთვის უკავშირებდა. ამას კი ადასტურებს მისი უკანასკნელი ანდერძითხონა: „როცა მე ამ სოფლად უკვე აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, მწიფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანთებდეს ამ პაწა სალოცავის წინ და ღოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს“-ო. მისი გარდაცვალების თარიღიც 1962 წლის 19 ნოემბერია. გრიგოლ რობაქიძე დარჩა გამორჩეული მსოფლმხედველობით, მსოფლხატით, აზროვნებისა და წერის სტილით, არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპაშიც. მჯერა, როგორც თავად „აკაკის ქნარში“ აღნიშნავს: „სხვა ერთა ლიტერატურა გულმოდგენით სწავლობს თავისს ნიჭიერ შვილთა პიროვნებასა და შემოქმედებას, დაწვრილებით იკვლევს მათს სულიერ ზრდას, ხსნის მათს უნივერსალურ ნაღველსა და ინდივიდუალურ სულისკვეთებას“-ო, მართლაც, მრავალი შემოქმედი აიღებს კალამს მის ნაშრომთა ჭეშმარიტების გასათავისებლად და არ შეიძლება ქართველმა ხალხმა მას, მისი შემოქმედების დარად ღირსეული პასუხი არ მიაგოს.

გრიგოლ რობაქიძის რომანები: „გველის პერანგი“, „ჩაკლული სული“ და „მცველნი გრალისა“, თავად ბატონ გრიგოლის მითოსური სულის აყვავებული ბაღნარია, რომელიც ტერასებადაა განფენილი საქართველოს გულზე – ბარიდან მთამდე.

„გველის პერანგი“, როგორც თავადვე აღნიშნავს, პრელუდიაა მისივე ამ რომანებისა, და იგი გაჯერებულია მაღალ მხატვრულ-ფილოსოფიური ხედვით და ამაღლებული გრძნობებით ევროპულ-აზიური ცხოვრების მიმართ, მაგრამ მაინც უპირველესი და უსაჩინოესი საქართველო და მისი გული – თბილისია, – ეს უკანასკნელი კი, მარად ნატანჯი „სუმბული“ და უჭკნობი თაიგული.

რომანებში წარმოდგენილი: საირმის, ბორჯომის, მანგლისის შერწყმა-შეკვრა ბატონ გრიგოლს მოუხერხებია ისე ლამაზად, როგორც „წმინდა ნინოს“ ვაზის ჯვარი და როგორც საქართველოს მარადი უკვდავება. მე კი ვფიქრობ, უტყეხი კავკასიონის კალთების შეერთება – სამხრეთის თბილ მთიანეთთან, ის მონარარე ჰამაკია, რომელზედაც გაწოლილა და გატრუნულა მარადიულად სევდიანი და ნატანჯი ქართული მიწა. და აი, მოხდა სასწაული მეოცე საუკუნეში ამ მიწამ წარმოშვა „ფოლადის ნატყეხი“ – კავკასიელი. ქართველის მიწა მოითხოვს, მისსივე უბიდან ამოზრდილი ნერვით გახარებას, მაგრამ...

დაბოლოს, სამშობლოს გადარჩენისათვის ბრძოლა, მისი თვითშემეცნებისათვის და თვითდამკვიდრებისათვის სხვადასხვაგვარი გზების ძიება, ყოველი დროის ყოველი ქართველის უპირველესი მიზანსწრაფვაა. არ არის საკადრისი, ბატონ გრიგოლის შემოქმედების განქიქება ეჭვებისა და სათაკილო ცოდვების მინიშნების ფონზე, მისი შეფასება უნდა ხდებოდეს მაღალი ქართული სულიერებიდან გამომდინარე, რამეთუ მას ქართველთათვის სახინჯო და საჭოჭმანო არაფერი შეუქმნია. ის, დღესაც, ზეციური სამყოფელიდან ღრმად იხედება ჩვენს სულებში – როგორც „დიონისური სტიქია მარადიული წრებრუნვიდან“. ის ხომ მთელი ცხოვრება უზაკველობას ემსახურებოდა. მისი სულის სიღრმეში შებნეული სამშობლოს სიყვარულის გამოძახილი ფიანდაზად ეფინება საქართველოს „მზით ნარქენ“ მთა-ველს და ხშირად მეჩვენება კიდევ, თითქოს იგი თავისი სიღარბაისლით და თავისთავადი გარეგნული იერსახით, ახლაც,

ჩვეული ნაბიჯებით დადის ჩვენთან ახლოს, საირმის მთების მიდამოებში და საცაა „გრალის წმინდა თასი“ მომავლის საიმედო გმირებს უნდა გადასცეს, რომელიც მას თავად გიორგიმ საირმეში, კერძოდ, თავის სასახლეში დაუტოვა.

გრიგოლ რობაქიძის სამივე რომანი „გველის პერანგი“, „ჩაკლული სული“ და „მცველნი გრალისა“ ის ძვირფასი საუნჯეა, რომელნიც ყოველი დროის ქართველის სულის დაღადის გამომსახველია, ეს ნაშრომნი თავადვე მოითხოვს საქართველოს სულიერების ფონდში შენახვას, რათა მომავალმა გაითავისოს და პატივი მიაგოს.

მინაწერი: „გველის პერანგის“, „ჩაკლული სულის“ და „მცველნი გრალისა“ კითხვისას, გრიგოლ რობაქიძე იმდენჯერ შემოიჭრა ჩემს სულში და იმდაგვარი შეგრძნებით, ვფიქრობ, ან მე მიცხოვრია ადრე მის გვერდით, – მის ეპოქაში, ანდა ის თავად ცხოვრობს დღეს, – ჩემს გვერდით მეთქი. და ვინ იცის, იქნებ, სულთა ერთობლივი ხეტიალით ეპოქებიც გადაგვიღახავს, და ალბათ ასეც არის!

ს ა რ ჩ ე ვ ი

გველის პერანგი	3
ფალესტრა	61
ჩაკლული სული	87
და... – მცველნი გრადისა	112

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი გიორგაძე

გამომცემლობა ღაჭიტი
თბილისი, მანაბლის 2



„ბავშვობიდანვე უჩვეუ-
ლო ჩმანებებით შეწყობილი
და სუღგანაბული ვიზრდე-
ბოლი - მშობლიური „ასირ-
მის“ მთების სახელოვებს
და ეს ნიგნიც, - ლვთის ნყ-
ლობითა და მათი მადლით
შეიქმნა. დიდება უფადას! -
ქვეყნიერების შემოქმედას!!!“

იამზე
არვედაძე-ხეცურიანი